

K215.630
3

ეროვნული
ბიბლიოთეკი

აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, 6. ლამბაშიძე

ხ ს ლ ხ ს უ რ

ყ

ც

თ

რ

ს

ც



გ

ვ

ც

პ

ო

თ



კ ს ლ გ ხ რ უ

6. აბაკვლია, ქ. ალავერდაშვილი
 6. ღამბაშვილი

ქართულ ხალხურ დღეობგათა კალენდარი

K. 919. 625-33/3

K. 221. 164/3

K. 251. 966/3



ძვირფასი მკითხველო, წიგნი, რომელიც თქვენს სამსჯავროზე გვანდა წარმოვადგინოთ, პირველი მცდელობაა ქართული ხალხური დღვინის ერთიან კალენდრის თავმოყრისა. პირველი მცდელობაა ქართველი ერის სულიერი კულტურის მოყლევა, ერთ წიგნად შეკვრისა, რაც მსოფლიოს მრავალმა ხალხმა უკვე მოახერხა.

ვიმედოვნებთ, რომ ის ნაირგვარი და ფერადოვანი წეს-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები, რიტუალები ოუ სანახაობები, რომელთა შესახებაც მოგითხობთ ჩვენი წიგნი, ღააინტერესებს არა მარტო ეთნოგრაფიებს, ისტორიოსებს, ქართველი კულტურის ნებისმიერ სფეროში მომუშავეთ, არმქედ ფართო საზოგადოებრიობასც.

საგამომცემლო ფირმა „კრიალოსანი“-ს რედაქცია მადლობას გიხდით წიგნის შეძენისათვის.



ჩართულ ხალხურ დღეობათა პალეოზი

შესავალი

ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდრისათვის დამახასიათებელია მრავალფეროვნება. მასში თავმოყრილია დღესასწაულები და სამზადისი ამ დღესასწაულების შესახვედრად, ცრუმორშმუნეობითი აღკვეთები, მაგიური რიტუალები, მკითხაობა, წინასწარმეტყველება, მარხვები, საერთო ტრაპეზები, გართობა-თამაშობანი, პროცესიები და მასკარადები, რიტუალური ცეცხლის დანობა, წმინდანთა კულტები, რწმენა-წარმოდგენები ივ სულებზე და სხვ.

ჩვევების, რწმენებისა და სხვადასხვა ქმედებების ამგვარი „ხლართის“ გასახსნელად ეთნოგრაფები გარკვეული წესრიგის დამყარებას სხვადასხვა სახის კლასიფიკაციათა მეშვეობით ცდილობდნენ, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულ, ელემენტარულ (მაგრამ, ამავე დროს პირობით) კლასიფიკაციას წარმოადგენს დღეობათა დაყოფა წელიწადის დროთა მიხედვით (ზამთრის ციკლი, საგაზაფხულო ციკლი, ზაფხულისა და შემოდგომის ციკლები). არსებობს ისტორიულ-ფუნქციონალური კლასიფიკაციაც, რომელიც თანდათანობით, ერთმანეთის მიყოლებით იღებს ისტორიულ დანაშრევებს და ექებს ხალხურ კალენდარულ რთულ კომპლექსში თავდაპირველ ბირთვს. ამ მეოთხის მეშვეობით ისტორიულად და ფუნქციონალურად განისაზღვრება რელიგიური რწმენისა და რიტუალების აღგილი კალენდარული ციკლის წეს-ჩვეულებებში.

დღესასწაულების შესწავლა, როგორც ცნობილია, მსხვერპლშეწირვის თეორიისთან არის დაკავშირებული. ეს უკანასკნელი დღესასწაულის ცენტრალურ მომენტს წარმოადგენს. დღესასწაული და მსხვერპლშეწირვა ისეთივე კომპლექსში განიხილებიან, როგორც სული და სხეული. მსხვერპლშეწირვის ატმოსფერო დღესასწაულის ატმოსფეროა, დღესასწაულის ღიალექტიკა იმეო

* ნაშრომი ემყარება ავტორთა მიერ მოპოვებულ საველე-ეთნოგრაფიულ და საარქივო მასალებს, პერიოდული პრესის მონაცემებს და სპეციალურ ლიტერატურას, რომელიც სათანადო არის ტექსტში მითითებული (ი. ბიბლიოგრაფია საკითხზე).

ჩებს მსხვერპლშეწირვის დიალექტიკას. შესაწირავები კალენდარული რიტუალების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და მთლიანად განმსჭვალავენ მას.

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ქართულ ტრადიციაში ხალხურ დღეობათა ზამთრის ციკლი ზამთრის მზის ბუნიობასთანაა დაკავშირებული და წელიწადის დასაწყისადაა მიჩნეული. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი წელი საქართველოში სხვადასხვა დროს სხვადასხვა თვეში იწყებოდა. წარმართული საქართველო ახალი წლის ათვლის აგვისტოთი იწყებდა. ქრისტიანობამ ბიზანტიიდან შემოიტანა სექტემბრის, ანუ ინდიცტური წელი, რომლის ადგილს IX საუკუნეშია მატრი იკავებს, X საუკუნეში შემოღის და XI საუკუნეში ფეხს იკიდებს იანვარი, თუმცა XI საუკუნიდან თანაარსებობდა საერო (1 სექტემბერი) და საეკლესიო (1 იანვარი) წელთაღრიცხვა. XVII საუკუნეში, რუსეთის ეკლესიის გავლენით ახალი წლის დასაწყისად, საყოველთაოდ იქნა მიღებული 1 იანვარი.

ბ ა რ ბ ა რ თ ბ ა

ხალხური რწმენების თანახმალ, ზამთარი იწყება საშობაო მარხვით*, რომელიც შემოდგომის გიორგობის (10/23 ნოემბერი) „დაურწყებისონავე“ დგება, კერძოდ — 28 ნოემბერს. საშობაო მარხვა რაიმე განსაკუთრებული წესებით არ გამოიჩინა, მხოლოდ შუა მარხვის დროს 4 (17) დეკემბერს

* მარხვა დღეობათა კალენდარში, წარმოადგენს გარკვეული ხანგრძლივობის პერიოდს, რომლის დროსაც ალექსანდრი ზოგიერთი სახის საკვები, სასმელი და სქესობრივი ურთიერთობა. ყოველივე ეს სრულდება პიროვნების სულიერი განწმენდისა და ღმერთთან მიახლოების მიზნით. ორთოდოქსალური ეკლესია იცავს ოთხ მარხვას: საშობაო (ფილიპე მარხვა) — 15 (28) ნოემბრიდან 25 (7. 1) დეკემბრამდე; დიდი მარხვა (მოიცავს 49 დღეს, მოძრავა და სსილდება ქრისტეს ბრწყინვალუ აღღომით); პეტრე-პავლობის მარხვა (სული-წმიდის გარდამოსცვლის მეორე შეიღებულის სამშაბათიდან 29 (12.07) ივნისამდე); მარიამბის (მიძინების მარხვა) 1 (14) აგვისტოდან 15 (28) აგვისტომდე).

გარდა ამისა არსებობს ერთდღიანი მძიმე მარხვები: ნათლისღების წინა დღე 5 (18) იანვარი, ითანე ნათლისძცემლის თავის კვეთის დღე 29 (11.09) აგვისტო, ვარათამაღლება 14 (27) სექტემბერი, 21 (3. 01) დეკემბერი. მართლმარტნინი, ასევე, იცავენ მარხვას ყოველი კვირის ოთხშემატეთ-პარასკევს (შესაბამის მარხვებზე უფრო დაწვრილებით იხილეთ ტექსტში).

მოდის დღეობა, რომელიც შარბალობის სახელითა ცნობილი (შარბარობის სკონურ დიალექტურ ნაირსახეობას „ბარბოლ“//„ბარბლაშ“ წარმოადგენს)*.

სვანთა რწმენის მიხედვით, ბარბოლის დღეს მზე მამლის სამ ნახტომს აკეთებდა და ამიტომ მატულობდა. მაგრამ დღის ყველაზე უფრო დიდი ზრდა ქრისტე დე შ//შობას ემთხვეოდა, რადგან მაშინ მზე ვერძის სამ ნახტომს აკეთებდა.

მესტიური გადმოცემით, ბარბალაშ-ის (ბარბარობის) განმავლობაში, (ე. ი. სამი დღე) მზე გაჩერებული იყო ერთ ადგილზე. სამაგიროდ შობას ორი ლამე ერთდებოდა, რადგან ლამარის არ ჰყოფნიდა ერთი ლამე ქრისტეს დაბადებისათვის და დღე კი ვერძის ერთი ხარტომით მატულობდა.

სვანებისაგან განსხვავებით, მეგრელები თვლიდნენ, რომ ამ დღის მზე ერთი ნაბიჯით უკან ხტებოდა და იწყებოდა დღის გადიდება.

ბარბარობა დასავლურ ქართულ ტრადიციაში დღესასწაულების თა-

* ქრისტიანული ბარბარე ცნობილია როგორც აღმოსავლური წმინდანი, მისი კულტი პირველად აღმოსავლეთში ჩასახულ და განვითარებულა, საიდანაც იგი დანარჩენ ქვეყნებში გავრცელებულა. ფინიკის ილიოპოლისის მდიდარი და წარჩინებული მოქალაქის დიოსკორეს შვეინიერი ქალიშვილი ბარბარე (შემდგომში წმიდა დიდოწამედ ცნობილი) ცხოვრობდა (დაახლ. 206 წ.) იმპერატორ მაქსიმიანეს დროს (305—311). დიოსკორეზ გადაწყვეტა ბარბარე უცხო თვალთვან ფარულად აღვარდა. ამისათვის მან თავის მამულში კოშკი აშენებინა, რომელშიც ბარბარეს გარდა მხოლოდ მისი წარმართ აღმზრდელი მასწავლებლები ცხოვრობდნენ. ლვის განგებით, ილიოპოლისში ვაკერად გადაცმული მღვდელმთავარი ჩამოვიდა ალექსანდრიიდან, რომელმაც ქალწულ ბარბარეზე წმიდა ნათლობის საიდუმლო აღსრულდა. დიოსკორეს სახლში მდიდრულად აბან შენდებოდა. ბატონის ბრძანებით, მისი მშენებელი მუშები ორი სარტმლის დარბანებას აპირებდნენ ნაგებობის სამხრეთ კედელში, მაგრამ ბარბარემ ისარგებლა მამის არყოფნით და მესამე სარტმელიც გააკეთებინა, რაც მისი აზრით, სამების ნათელს გამოსახულა. შესასვლელში კი თეთ ბარბარემ გამოსახა ჭვარი. აბანის ქვის საფეხურზე ქალწულის ნაფეხური აღიატეჭდა, რომლიდნაც შემდეგში განკურნების დიდი ძალის ქვინე წყაროს წყალმა ამინეთქა.

დიოსკორე გამდეინვარდა, როდესაც შეიტყო ქალიშვილის გაქრისტიანება. რისხვისაგან გონდაკარგულმა ბახვილი იძრო და იქვე უნდოდა თავი მოეკვეთა თავისი ასულისათვის. ბარბარე გაექცა მამას და მიაშურა მთას, რომელიც შუაზე გაიბო და დიდ ნაპრალში შეიიფარა იგი. დიოსკორეს მთაზე ორი მშეყმენი შემოხვდა, რომელთაც მიასწავლეს გამოქვაბული, სადაც ბარბარე ცხოვრობდა. დიოსკორემ შეუბრალებლად სცემა ბარბარე, შემდეგ დილეგში ჩააგდო, მცველები მიუჩინა და იიდახანს აშიშმილა. შემდეგ კი ქალაქის გამგებელს მარტიანეს გაასცა. მისი ბრძანებით წმ. ბარბარე სასტრი სატანგველო სტიეს. წმ. ბარბარეს საკუთარმა მამამ, დიოსკორემ მოჰკვეთა თავი. ლვითის მისაგებელმაც არ დაყყონა, დიოსკორე (და განმებული მარტიანეც) ცალიან მოვლენილმა ცეკვლმა მოაშთო.

ვად*, დასაწყისად არის მიჩნეული. ფართოდ გავრცელებული რწმენის მიხედვით, რა დღესაც ბარბარობა მოდის, იმ დღეს ემთხვევა ახალი წელი (და ასევე სხვა „ბედნიერი“ დღეები), ამიტომ ამ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობით ხვდებოდნენ.

მთელ საქართველოში ბარბარობა უქმე იყო, მაგრამ ზოგიერთ კუთხეში მას რამოდენიმე დღეს უქმობდნენ. მაგ.: ზემო სვანეთში ლახამულელები ორ-სამ დღეს უქმობდნენ; ცხმარში — ზოგი ოჯახი უქმობდა ორ დღეს ბარბოლის წინ და ზოგი კი ორ დღეს ბარბოლის შემდეგ და სხვა. იგი განსაკუთრებით ქალების დღედ იყო მიჩნეული და ბედობის დღე იყო. როგორც ბედობის დღისთვისა დამახსიათებელი, ამ დღეს ერიდებოდნენ სტუმრობას (იმერეთში — განსაკუთრებით ქალების სტუმრობა იყო არასასურველი, რომელთაც ადგილობრივი რწმენით, უბედურების მოტანა შეეძლოთ). რაჭასა და ლეჩხუმში ამ დღეს აკრძალული იყო ჭრა-კერება და ქსოვა. ამავე რეგიონში აუცილებლად ცხვებოდა სართვიანი ტაბლა (რიტუალური პური) ბარბარობა-სათვის, რადგან გავრცელებული რწმენის მიხედვით, ბარბარობა დღეს „უსართვო“ //გულცარი იელი ე. ი. უნიგვზოდ, უკვახისგულოდ, ან ულობით გამომცხარი ტაბლა, მთელი წლის მანძილზე ოჯახში სიცარიელეს გამოიწვევდა. რამდენადაც ბარბარობა ბედობის დღე იყო, იცოდნენ მეკვლეობა. მეკვლე (ახალი წლის მსგავსად) იყო როგორც შინაური, ასევე გარეშეც. შინაური მეკვლე აუცილებლად ქალი უნდა ყოფილიყო, გარეშე — სულერთია კაცი იქნებოდა, ქალი თუ ბავშვი. ადგილობრივთა განმარტებით, მთავარი იყო კარგი ფეხი ჰქონდა. თუ მეკვლე ფეხებინიერი გამოდგებოდა ოჯახისთვის, შემდეგ წელსაც მას იწვევდნენ.

სვანეთში ეს დღე საქონლის, კერძოდ კი ძრობის და წველადობის მომატებისათვის იყო განკუთვნილი, რაჭასა და ლეჩხუმში კი საქონლის, ქათმის და ადამიანის განმრთელობისათვის; ასევე ნათესების სიუხვისათვის. სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში ქათმების ფერს ვის დღე იყო.

გარდა ამისა წმ. ბარბარე და დღეობა ბარბარობა ქართულ ტრადიციაში დაკავშირებულია ბავშვთა ინფექციურ დაავადებებთან. უნდა აღინიშნოს, რომ ბარბალეს ეს თვისება არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებს, რომელიც ამ წმინდას მიიჩნევს ბავშვთა მფარველად და შემწედ;

* მესტიაში ბარბოლს სამ დღეს უქმობდნენ. რაჭა-ლეჩხუმში ბარბარობას დიახწვლების (დღესასწაულების) თავი ეწოდებოდა. სვანეთში — ღგნარი თხუმ (დღეობების თავი); სამეგრელოში — კუჩხა (ძველ უნდა აღინიშნოს რომ კუჩხა ახალი წლის მეორე დღესაც ეწოდება); იმერეთსა და გურიაში — ბძილობის დღედ ითვლებოდა. ყველგან მთელ საქართველოში ამ დღეს ოჯახში მეკვლე მოდიოდა.



გარდა ამისა, საქონლის მეურნალადაც. ეს დღესასწაული საქონლის მეურნეობის ბის, ქათმების და ყველა სულიერის სალოცავად ითვლებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ბარბარეს კულტი გაღმონაშორი სახითაა შემორჩენილი.

იმის გამო, რომ ბარბარობა შარხვაში მოდიოდა, სადღესასწაულო „სულეა“ სამარხეო საჭმელებისაგან შედგებოდა; სხვადასხვა კუთხეში ამ დღისათვის სხვადასხვაგარი რიტუალური პურები ცხვებოდა: სართვიანი (ლობიანი პურები), ჯვარსაზიანი განატეხი (ლობიანი). ნიგვზიანი განატეხი, კვახკაკლიანი პურები; ქვემო სვანეთში: სამი საბარბარო ტაბლა (რიტუალური პური), გულ-ცარიელი.

აღმოსავლეთ საქართველოში აცხობდნენ ნიგვზის გულიან ქადებს, რომლებიც გზაჯვარედინზე გაქვინდათ, ჭრილნენ და გამვლელ-გამომვლელს ურიგებდნენ, რომ ბავშვებს ინფექციური დავადებები მშეიღობიანად მოხეადათ. ოჯახში იშლებოდა სუფრა, ანთებდნენ სანთლებს, ზოგი 7 ანგელოზის სახელზე 7 კაკალს ჩააგდებდა ცეცხლში, ზოგიც ხატისთვის დიდ ქადას ცხრა-ფურცელას გამოაცხობდა. ბარბარეს სახელობის ეკლესიაში მიმსვლელი მლოცველი მამალს „შეაფრენდა“.

როგორც აღინიშნა, საყოველთაო იყო ბარბარობის სუფრისთვის ლობიანების გამოცხობა. რეგიონალური სხვაობაა სვანეთში, სადაც ამ დღეს რძის ფაფა (ლგვემი გაგ) და ყველიანი პურები კეთდებოდა მხოლოდ ოჯახის წევრებისათვის*.

დ. მარგიანის ცნობით: „იმ სოფლებში, სადაც... წმ. ბარბარეს ეკლესიები არსებობდა... 4 დეკემბრის წინა ღამეს ახალგაზრდობა (ძველად მოხუცნიც) წინდაწინ მომარაგებული შეშით ანთებდნენ დიდ ცეცხლს ეკლესის ეზოში და შუალამემდე ამ ცეცხლთან ატარებდნენ დროს ხუმრობა-თამაშობაში“.

ამასთან მიმართებაში საინტერესოა, რომ მულახში გაზაფხულზე, ვიდრე ხეხილი ყლორტებს ამოყრიდა, ყოველი ოჯახიდან თითო ქაცი ტყეში წავიდოდა, იქ ახალგაზრდა არყის ხეს ძირიანად მოგლევდა, სახლში წაიღებდა, დასჭრიდა, ქონებად შეკრავდა და ბარბლაშისათვის შეინახავდა.

ბარბლაშამდე სამი დღით აღრე, საღამოობით ბავშვებს და მამაკაცებს ეს კონები მიჰქონდათ ბარბალის ეკლესის ეზოში (სოფ. ზარდლაშში, ჭოლაშ-

* ლეჩეუმში დავადასტურეთ ცალკეული გვარები, რომლებსაც ამ დღეს შეწირული ქვეონდათ შარხვის გატეხვა.



ში, მუჟალსა და ჩვებიანში). იქ მათ ცეცხლს მოუკიდებლნენ და ღერძისმომოქმედ აცხობლნენ. იცოდნენ თოვლის კოშკების აშენებაც და სხვ.*.

ბარბარობა, ფაქტიურად, ახალი წლის პირველი მილოცვაა მაჩხვაში. დასავლეთ საქართველოში ბარბარობასთანაა „გადაბმული“ საბაო ბა***, მოდის 5 (18) დეკემბერს და ნიკოლოზობა ასე — 6 (19) დეკემბერი, რომელიც განსაკუთრებით ცნობილია რაჭასა და ლეჩებუმში. ამ დღეობას რამე საგანგებო წეს-ჩვეულება არ შემოუნახავს. ზოგან ამ დღეებს უქმობლნენ, ზოგან კი არა.

აღმოსავლეთ საქართველოში, ჩვენამდე მოლწეული მასალის მიხედვით, ნიკოლოზობას და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ჩასახვის დღეს 9 (22) დეკემბერს, მხოლოდ თუშეთში აღნიშნავდნენ. თუშები 6 და 9 დეკემბერს მზის მობრუნებას უკავშირებლნენ. მათი წარმოდგენით, 6-ში მზე ბუდეში ჩაბრძანდებოდა. თუ მას ბატყანი დახვდებოდა, 3 დღე დარჩებოდა და 9-ში ამოვიდოდა. თუ გველი დახვდებოდა, იმდენზე გადახტებოდა, რამდენზეც სამი დღის ბატყანს შეუძლია. 9 (22) დეკემბერს, მზის ბუდიდან ამოსვლის დღეს, ყველა ოჯახი მზისთვის შლილა სუფრას და მზის სადიდებელს ამბობდა.

Ω პ ნ ა შ

დასავლეთ საქართველოში ტერიტორიული თვალსაზრისით ვიწრო, შეზოუდული დღეობაა, ზემო სვანეთში არსებული, მაგრამ თითქმის გამქრალი დანაშ, რომელიც 9 (22) დეკემბერს მოდიოდა. ე. წ. დანობ/დანაშ დღეს ზემო სვანეთის ზოგიერთ თემსა და ქვემო სვანეთში უქმობლნენ. როგორც წესი, სადილის წინ ლოცვა-ველრებას ასრულებდნენ შესატირავებით.

მანაშ//განობ სვანურ დღეობათა კალენდარში სხვა ორ დღესთან ერთად (ჭიკვდობა და ლიჭუდვა) ქმნიდა პერიოდს ახალი წლის დღეობათა ციკლში, რომელსაც (ჩუბეხევური მასალის საფუძველზე) დენშიერი ეწოდებოდა.

ამგვარად, ახალი წლის დღეობები მანობი, ჭიკვდობა ძველად წარმოადგენდნენ დენშიერის სახელით ცნობილ ხანგრძლივი დღესასწაულის დღეებს,

* ბარბალე დასტაქრების და მათი საქმიანობის მფარველად ითვლებოდა. (მისი ეპითეტია ბარბოლ მყურნალი).

** ლირსი მამა საბა განწმენდილი (+532) დაიბადა V საუკუნეში, კაბადოკიაში.

*** წმიდა მღვდელმთავარი ნიკოლოზ საკვირველმოქმედი, მთავარეპისკოპოსი მირონ-ლუკიისა (+ დაახლ. 345—351).



რომლებიც საერთო რიტუალით და თაყვანისცემის ერთი და იმავე პერსონა-
ჟით იყვნენ გაერთიანებული, კერძოდ ა ან-ით.

იანშ დღეს დიასახლისი გამოაცხობდა ყველიან ან უბრალო შესაწირავ
კვერებს, რომლებსაც სვანურად ლემზირები ეწოდებოდა და მათ მას შეა-
ვედრებდნენ.

მანს დიდება მოგსვლოდეს, ხანო მადლიანო,
შენი ლოცვა-დიდება ჯვრიანი გვიყავ,
მრავალი დღეს დღე კარგ გულზე მოგვასწარი,
როგორც შენს მაველრებელს შენ შეეწიე,
ისე შეგვეწიე ჩვენ,
გნუკვით ამას, დიდების მიმღებო დან“.

ლოცვის შემდეგ ყველანი სუფრას შემოუსხდებოდნენ და სხვა საჭმელ-
თან ერთად შეწირულ კვერებს შეექცეოდნენ.

ხენშიერს უქმობდნენ განსაკუთრებით ქალები. ხალხში შემონახული გად-
მოცემების მიხედვით, უქმე დაწესებული იყო ფეტვის მოსავლის დასაბეჭებ-
ლად. დღეობისათვის სამზადისი ჯერ კიდევ შემოდგომის პირზე იწყებოდა.
ახალი მოსავლის აკრეფის დროს, ფეტვის საუკეთესო მარცვლეულს გადაარ-
ჩევდნენ, დაფევავდნენ და საგანგებო კიდობანში მოათავსებდნენ. კიდობანს
დიასახლისი პირველად ხენშიერს გასწიდა, წმინდა ფქვილს ამოილებდა და
მისგან შესაწირავებს დაამზადებდა — ხანობსა და ჭიგლობს მხოლოდ ფეტვი-
სას (ე. ი. სამარხვოს), ხოლო ჭიშდურობს, ყველში გადაზელილ ფეტვის ტაბ-
ლებს (ბურებს), ფეტვის მოსავლიანობისათვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ერთი მოსაზრების თანახმად,
ან დეცეში, ფუნქციონალური და ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, იგივე
მართალი ანაა, ხოლო — ხენშიერი მისაღმი მიძღვნილი დღეობა, რომელიც
სვანეთში სპორადული სახით შემორჩენილა*.

მართალი ანას კულტი შეიძლება მიკვლეულ იქნეს ლეჩეუმშიც, საშობაო
დღეობათა სერიაში, რომელიც „შობის ბებიის“ სახელითაა ცნობილი.
ქრისტეს შობას ლეჩეუმში შემოკლებით შობას უწოდებენ, მის მეორე
დღეს „შობის დედას“ ქრისტიანული კალენდრით, კრება ყოვლადწმიდა

* ვ. ბარდაველიძის მოსაზრებით ან დეცეშის კულტი დაკავშირებულია ონა წინასწარ-
მეტყველთან და იგი ფეტვის ლოთავებად არის მიჩნეული.



ლვთისმშობელისა), ხოლო მესამე დღეს — „შობის ბებიას“, რომელიც იქსო ქრისტეს ბებიას, მართალ ანნას ეძღვნებოდა*. ლეჩხუმში შობის დედა და შობის ბებია უქმე დღეებად ითვლებოდა და მათ განსაკუთრებით ფეხმძიმე ქალები ინახავდნენ.

შობა

კალენდარულ ციკლში შობის წინა სალამოსა და შობას** დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ახალი წლის დასაწყისს და შესაბამისად იგი დატვირ-

* საინტერესოა რომ კალენდარული რიცხვი დღეობისა, 9 (22) დეკემბერი ქრისტიანულ ტრადიციაში ყოვლადუშმილია ლეისმშობლის მართალი ანნასაგან მუცულადლების დღედ ითვლება. წმიდა ანნა, დედა ყოვლადუბიწუ ქალწულ მარიამისა სული იყო ბეთლემის მცირდი მღვდელმსახურის მარფანისა, ტომით ლევინიელისა. იგი მართალ იოაკიმეზე დაქორწინეს, რომელიც წარმოშობით გალილეადან იყო. ხსენება მართალთა: ანნასი და იოაკიმესი აღინიშნება. 9 (22) სექტემბერს (ლეისმშობლის შობის მეორე დღეს).

მართალი ანნასაგან ლეისმშობლის მუცულადლების მართლმადიდებელი ქრისტიანები გამოიჩინეულად ზემობდნენ. დან/დანა-ს დაკავშირება მართალ ანნასთან ბენებრივი ჩანს არა მარტო ფონეტიკური თვალსაზრისით, ან კალენდარულ ნიშით, არამედ მისი როგორც მცურნლოს ფუნქციონაც გაუხსნონ, რომ შესასულებების მიწურულში დასაკულეთში (იგულისმება დასავალის ეკლესია, რომელიც განსხვავდება აღმოსავლური მართლმადიდებელი ეკლესისაგან). შეიქმნა იოაკიმესაგან განცალებულ ანნას კულტის (როგორც იყონორგაფიაზეც ისახა), როგორც მეურნალი სხვადასხვა სენის და განსაკუთრებით ჭირის. მისი ეს ფუნქციები კარგად ჩანს სვანურ ლოკის ტექსტში:

„დიდება მოგსვლოდეს ჟანს ლატალისას,
შენ გავედრებთ შენ წმინდა ფევილს,
ჩვენ ოჯახში მყოფ აღმიანს ააცილე შენგან
გაშეებული ჭირი, გაქრე ჩვენს სახლში მყოფი
აღმიანების თვალთა ტკივილი,
ქვემოთ წყალს მიეცა, ზემოთ ჭარს;
დიდება მოგსვლოდეს ჟან ლატალისას“.

** იქსო ქრისტეს ხორციელად შობის მოსახსენებლად ეკლესის მიერ ეს დღესასწაული ძველთაგანვე დაწესებული. თავის დასაბამს იგი ჭერ კილევ უფლის წმიდა მოციქულთა ღრიოდან იღებს.

შეორე საუკუნეში ქრისტეს შობის დღესასწაულზე, 25 დეკემბერი, მიგვითოვბს წმიდა მღვდელთაგარი კლმენტი ალექსანდრიელი. მესამე საუკუნეში — იპოლიტე რომელი.

ცნობილია, რომ ქრისტიანთა მაპერატორ მაქსიმიანესაგან, დევნის დროს 302 წელს, ნიკომილიელი წმიდა მოწამენი სწორებ ქრისტეს შობის დღესასწაულზე დაწვეს ტაძრში (ამ მორწმუნება რიცხვი 20 თავსა აღწევდა). მავე საუკუნეში, როგო სასტრიქ დეპტლებათა შემდგომ ქრისტეს ეკლესიამ, როგორც იქნა აღმსარებლობის თავისუფლება მიიღო და მთელ რომის იმპერატორში გამარინებული რელიგია გაჩდა (მოციქულთა ჭირი იმპერატორის წმიდა



თული იყო მრავალფეროვანი მაგიური ხასიათის წეს-ჩვეულებებით, რომელიც ბიც ძირითადად მიმართული იყო ნაყოფიერების გასაზრდელად, ჯანმრთელობის განსამტკიცებლად, ავი სულების დასაძლევად და საერთოდ, კეთილდღე-აზით საკე მომავლის უზრუნველსაყოფად.

გამორჩეული საშობაო წეს-ჩვეულებები სრულდებოდა შობის წინა დღეს, უფრო ზუსტად შობის წინა საღამოს, 24 (6, 1) დეკემბერს).

24 დეკემბერს სამეგრელოში ქირის სე საღამოს (ქრისტეს საღამოს) ეძახდნენ, გურიაში — მრავალწლობას, იმერეთში — კორკოტობას, რაჭაში — კორკოტობას ან ჭანტილობას, ლეჩხუმისა და ქვემო კანისტანტინე დიდის, დროს), ქრისტეს შობის დღესასწაულს ყველაზო აღნიშნავდნენ. ეს კარგად ჩანს წმიდა ეფრემ ასურის წმიდა მღვდელმთვარების: ბასილ დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, გრიგოლ ნისელის, ამბროსი მედიოლანელის, იოანე ოქროპირისა და IV საუკუნის ეკლესიის სხვა უძინეს მამათა ქადაგებებიდან ქრისტეს შობის დღესასწაულზე. მღვდელმთვარი ითანა ამანე ამანი 385 წელს წარმოთქმულ სიტყვაში ქრისტეს შობის დღესასწაულს ძევლო ძევლო უწოდება.

იმპერატორების — თეოდოსისა და იუსტინიანეს კოდექსებშიც რომლებიც გამოიცა შეაბამისად 438 და 535 წლებში, მოცემულია კანონი ქრისტეს შობის დღესასწაულის საყველათოდ ღამისწების შესახებ. როგორც ფიქრობენ, სახელმწიფო კანონით დაწესებას უნდა გვლისხმობდეს ნიკიონირე კალისტე, XIV საუკუნის საკულტო მწერალი, როცა თავის სტორაში აღნიშნავს, რომ ქრისტეს შობის საყველთაოდ აღნიშვნა VI საუკუნეში დაწესდა იმპერატორ იუსტინიანეს დროს.

ქრისტეს შობის დღესასწაულის დამიადასტურებული პირები საუკუნეების მრავალი ძევლი შემონახულა ჩენეამდე.

აღსანიშნავია, რომ პირები საუკუნეებში, როცა სასტიკი დევნულებანი ზღუდავდნენ ქრისტიანული ღვთისმსახურების თავისუფალ აღსაჩულებას, აღმოსავლეთის ზოგიერთ ეკლესიში (იერუსალიმის, ანტიოქიისა და კიივრისის) ქრისტეს შობის დღესასწაული ნათლისღების დღესასწაულთან იყო გაიგივებული (6 იანვარი) და საერთო სახელმწოდებით — ღვთის განცხადებით აღნიშნებოდა. ამის მიზეზი, როგორც ფიქრობენ, ის უნდა ყოფილიყო, რომ ბევრი გაშინდელი მოღვაწის აზრით, ქრისტე თავისი შობის დღესვე მოინათლა. ის დღე კი არ წინდგარა ღვთის განცხადებად, როცა იშვა ქრისტე, არაშედ — რომელშიც მან ნათელი მიიღო (ითანა აქროპირი).

ქრისტეს შობის დღესასწაულის აღნიშვნა ღვთის განცხადებასთან ერთად აღმოსავლეთის ზოგიერთ ეკლესიში IV საუკუნის ბოლომდე გრძელდებოდა, ხოლო ზოგან კი V და VI საუკუნეებამდეც კი. მი ფაქტს, რომ უძეველეს დროს ეს ორი დღით მოვლენა ქრისტეს მიწიერის ცხოვრებისა ერთად იდღესასწაულებოდა, გვიდასტურებს დღემდე შემორჩენილი დიღა მსგავსება მართლმადიდებელ ეკლესიში ქრისტეს შობისა და ღვთის განცხადების დღესასწაულთან წესის აღსრულებას შორის. ერთსაც და მეორესაც წინ უსწრებს მწუხრის აღსრულება: ხალხური გაღმოცემით წინადღე არჩავე მი დღესასწაულისა უნდა იმარხულებოდეს ვარსკვლავის გამოჩენამდე. ხოლო ამ დღესასწაულების ღვთისმსახურებისა და მწუხრის ლოცვის წესები ერთმანეთის მსგავსია.

სვანეთში — ჭანტილობას, ზემო სვანეთში — შობს; ქართლში — ქრისტეს კორკოტობას, ხევში — ყორბოულობას, მთიულეთ-გუდამაყარში — თხილობის ღამეს და სხვ. ეს დღე (საღამო) დიდ უქმედ ითვლებოდა განსაკუთრებით ქალებისათვის. არ შეიძლებოდა კერვა, ქსოვა და სხვა ხელსაქმე.

ამ დღეს მთელ საქართველოში პურის მარცვლეულისაგან იხარშებოდა ფაფა, რომელსაც ეწოდებოდა: ჭანტილი (სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი) ან კორკოტი (იმერეთი, გურია სამეგრელო); ქრისტეს კორკოტი (ქართლი, თუშეთი), ცხრაჭვნა (ქართლი, კახეთი) და სხვ.

ჭანტილი//კორკოტი ქალებს მზის ამოსვლამდე უნდა დაერჩიათ და ჩაედგათ მოსახარშად. იგი იქმანებოდა ხახვით, მარილით და ნიგვზით, ან თაფლით//შაქრით და ნიგვზით.

ჭანტილობა დღეს, უფროსი ქალი ყველაზე ადრე ადგებოდა, შემოიტანდა გობს საჭიროილეთი და შუა ცეცხლთან ამ გობს სამჯერ ისე მიარტყამდა, რომ ქატო ცეცხლში ჩაიყრებოდა და ცეცხლი კარგად მოეკიდებოდა. ამის შემდეგ, საჭანტილეს გარეცხავდნენ, ჩაადგამდნენ ქვაბში და ცეცხლზე ჩამოჰყიდებდნენ. როდესაც პური კარგად მოიხარშებოდა, მაშინ მოიტანდნენ ყოველგვარ თესლეულს სამ-სამ კაკალს (სიმინდი, ლობიო, ცერცი, ოსპი) და ჩაყრიდნენ მოხარშულ ჭანტილში. მოხარშული ჭანტილის ქაფს გარეთ ხეებს წაუსვამდნენ, მომავალ წელს უხვი მოსავლის მისაღებად. ჭანტილის ჭამა სალამომდე, ვახშმობამდე არ შეიძლებოდა.

რაჭაში ვახშმისათვის აცხობდნენ სამ განატეხს (საწესო პური). განატეხი უნდა ყოფილიყო ნიგვზიანი. ჩამოქნიდნენ 4 ჩხირ სანთელს, სამს ჩაარჷობდნენ თითო-თითოდ განატეხში, მეოთხეს კი უფროსი ქალი, ან კაცი ხელში დაიკავებდა. განატეხი ანთებული სანთლით, ჭიქა ღვინო, ჭანტილა და სხვ. ჩაწყობილი იყო გობში.

მლოცველი ქალი ან კაცი ამ გობს ცეცხლთან ახლოს წაღმა სამჯერ შეატრიალებდა და შეულოცავდა (დაილოცებოდა): „ღმერთ! რამდენი კაკალ ეს არის, იმდენი სიკეთე მოგვეცი, იმდენი კოდი მოგვეცი, იმდენი თეთრი და ქონება და იმდენი კოდი ხეარბალი მოგვეცი“.

ლოცვის შემდეგ ამ ოთხ ჩხირ ანთებულ სანთელს სახლის ოთხივე „ყურეში“ მიაკრავდნენ და სანამ არ დაიწვებოდა არ ჩააქრობდნენ. შემდეგ დასხდებოდნენ ვახშმად. ჭანტილის ჭამებში გაღმოასხამდნენ, თუ ზეთი გამოხდილი ჰქონდათ, ჭამებში ჩაასხამდნენ და შეექცეოდნენ, როგორც ჭანტილის ისე განატეხს სტუმრებსაც აჭმევდნენ.



ლეჩხუმში საღამოს ვახშმობისათვის, უფროსი ქალი გამოაცხოვდა და
პატარა კვერს, ჯვარდასახულს, „ხევლის ტაბლას“. ამ კვერების სართვად უნდა ყოფილიყო ნიგოზი და ხახვი, ჭანტილიან. გობში ხაწყობდნენ ამ სამ კვერს, ჭიქით ღვინის, გობის კიდეზე ნაკვერჩხალზე საქმეველს დააკმევდნენ. ან სანთელს აანთებდნენ, უფროსი ქალი კერიას ძირში მარჯვნივ სამჯერ შეატრიალებდა და ილოცებოდა: „ღმერთო! დაგვიფარე ხევლისაგან, სნებისაგან (სნეულებისაგან), მოვგვეცი სიმთელე საქონლის, კაცის სულს, რაც ხარ გვიშველე და მოვგვეხმარე“. ამის შემდეგ, ეს ჭანტილი და ტაბლებიც შეიჭმებოდა ვახშმობაზე. თუ ამ ღამეს ჭანტილა გადარჩებოდა, მაშინ მას შობას, ანუ მეორე დღეს არ გამოაჩენდნენ, რადგან იმ დღეს ჭანტილას ჭამა არ შეიძლებოდა, შობის შემდეგ კი ყველას შეეძლო.

სვანეთში (ზემო სვანეთში) საღამოს ყოველ ოჯახში ლობიან პურებს და-აცხობდნენ და მუ ჯორს (კანაფის თესლისაგან) დაამზადებდნენ. ვახშმობის დროს ორ-ორ სუფრას გაშლილნენ — ერთს ლამარის ლიფანეს კერის პირის მოთავსებულ სვანურ მერჩე (ბანდარზე). მის მომრგვალებულ თავზე და-აწყობდნენ ჭვაბიდან ამოლებულ მუჯორმოსს ხმულ თესლსა და ლობიან პურს. მეორე სუფრას, მიცვალებულთა ლიფანესაც, კერის მახლობლად გაშლილნენ და მასზედაც თესლსა და ლობიან პურებს დააწყობდნენ. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ლამარიასადმი განკუთვნილ სუფრაზე თესლთან ერთად ჯამზე კოვჭხა და ჩიგანს ათავსებდნენ და ერთ სანთელს ანთებდნენ, ხოლო სულების სუფრაზე — სამ სანთელს. ლამარის სუფრასთან დიასახლისი ევედ-რებოდა ლამარის ოჯახის კეთილდღეობისათვის. სულების სუფრასთან კა ამასვე შესთხოვდა სულებს სახლის უფროსი მამაკაცი. ლოცვის შემდეგ მანდილოსნები ლამარიასთვის შეწირულ სანოვაგეს შეექცეოდნენ, ხოლო კაცები და ბავშვები სულების ლიფანეს ერთი ადგილიდან მეორეზე გადადგამდნენ და ივახშმებდნენ. ვახშმის გათავების შემდეგ დიასახლისი კოვჭხა და ჩიგანს კიღობააში ჩაწყობდა, საღაც ისინი მომავალ შობამდე* ინახებოდა. ამ დღეს ლოცვულობდნენ და ახსენებდნენ ლამარიას და ქრისტეშს (ქრისტე).

* სვანეთში შობის წინა საღამო შობ-ი, ძირითადად საოჯახო დღეობა იყო, მაგრამ ზოგიერთ თემში ლასკარობაც იყოღონენ.

დალში (აფხაზეთი) მოსახლე სვანების წესების მიხედვით, ჭერ კიდევ შემოღომის პირზე, ლეჭვის გათავების, შემდევ ლასკარ-ის წევრები მიმტანდნენ თავის მოქანდაკე შეთან თითო კარუა ღვევილს საღლობო ღორის საკვების საფასურში. ამ ღორის მოქრისილეში შეარჩევდა თავის საკუთარი ქონებიდან საუკეთესო ღორს, ცალკე დააბამდა და დაუშევებდა სუქებას. ამ ღორს ლექრისიდეში ეწოდებოდა (მდრ. შეგრ. საქირსე ღორს), რადგან ის გან-



საქართველო
REPUBLIC OF GEORGIA

იმერეთში, კორქოტობას, ანუ შობის წინა დღეს, როცა კორქოტს აგე-
თებდნენ, საღამოს მთელი ჯალაბობა იკრიბებოდა: უფროსი ქალი შესთხოვდა
ღმერთს ოჯახის დღეგრძელობას; შემდეგ კორქოტი კერძებად რიგდებოდა
ოჯახის ყველა წევრს შორის.

გურიაში მრავალ წლობას, ანუ 24 დეკემბერს შობისათვის დიდი
მზადება იყო. ამ მზადების მთავარი მომენტი ღვერებელის გამოცხობა იყო.
ღვერებელი (საწესო პური) ნახევარწრის (ნახევარმთვარის) ფორმისა იყო,
ცხვებოდა ხორბლის ფქვილისაგან, ურთავდნენ ყველს და გამომშრალ, შებო-
ლილ კვერცხებს, რომლებიც მთელ-მთელად ან შუაზე გაჭრილი იდებოდა.
ღვემელი ცხვებოდა იმდენი, რამდენი წევრიც იყო ოჯახში — უფროსებისათ-
ვის უფრო დიდი ზომის, პატარებისათვის კი მომცრო. ღვეძელის გამოცხობა
მიცვალებულებისთვისაც იცოდნენ.

სამეგრელოში შობის წინა საღამოს ღვეზელი და მუცლის სალოცავა
კვარი იცოდნენ. თითო კვარში თითო კვერცხს დებდნენ. რამდენი წევრიც
იყო ოჯახში, იმდენს გამოაცხობდნენ.

23 (5. I) დეკემბერს ქართლში, ხოლო 24 (6. I) დეკემბერს კახეთში.
ერწო-თანანეთში, გუდამაყარში იცოდნენ წინასაშობაო რიტუალების შესრუ-
ლება. ამ დღეს თხილობას, ფხოწაობას//ხოწაობას ეძახდნენ. უფროსები თხილ-
კავალს გაღაუყრიდნენ ბავშვებს. მათ რაც შეიძლება მეტი უნდა „მოეხო-
ჭათ“. ერწო-თანანეთში მოხოწილი თხილ-კაკლით ბავშვები ღუშუკ ი-კენ-
ტობას თამაშობდნენ. გუდამაყარში ოჯახის უფროსი თხილ-კაჭლითა და
ჩირით სავსე ჯამს, მას მერე რაც ცეცხლზე მოატარებდა და მიცვალებულებს
შენდობას ეტყოდა, ბავშვებს ურიგებდა.

ხარშვადნენ კორქოტსა და ცხრაწვენას. რომელ მხარესაც გადავი-
ღოდა მოხარშული კორქოტი, იმ მხარეს მომავალ წელს კარგი მოსავალი იყო
მოსალოდნელი. ცხრაწვენასათვის ძირითადად იღებდნენ ლობიოს, რომელსაც
სხვადასხვა მარცვლეულს უმატებდნენ: ქერს, სიმინდს, ხორბალს, ფერვა-,
ცერცხს, მუხულოს. მოსავლის სიუხვის მიზნით, წვენი სქელი უნდა ყოფილი-
ყო. როდესაც მოხარშებოდა, დაილოცებოდნენ: „ბევრი მშვიდობის შობა-
წელიწადი მოგვიძრუნეო“.

კუთვნილი იყო საღასყარო დღეობა ქრისტიანთვის, მაგრამ მას შობის წინადღეს დაკლავდნენ. შობ საღამოს მოქარისდების ოჯახში შეიკრიბებოდა მისი ლასკარი, დაუხობდნენ ლემზირებს, მოხარშავდნენ ხორცს, ილცებდნენ და ვაშვად დასხდებოდნენ: ვაჭშაზე დიდი სმა და
მოლენა იყო. შობ საღამოს მერბიელი თესლს ლამარის შესწირავდა და ამ შეწირულით
ყველა შინმყოფი ეზიარებოდა.



ამავე დღეს დამბალ ხორბალს დანაყაფნენ და წყალში მოხარმელებულია
მამაკაცი (გუთნისდედა) წყალში ხორბალს ჩაყრიდა. და მსხლის ჭობით მოუ-
რედა. ამ ჭოხს სახლის კედელში ერთი წლის გამავლობაში ინახავდნენ.
ზოგჯერ ხორბალს ხშირწვერიანი კაცი ნაყაფდა და წყალში ყრიდა — ხშირი
ყანა გვექნება, ამბობდა ხალხი. ზოგჯერ ფქვილს ბიჭი მოხარშავდა, გარეთ
გაიტანდა და ხშირი ტყისაკენ გაიხედავდა, რომ იმ წელს ხშირი ყანები მოსვ-
ლოდათ. გარეთ გასვლის და ტყის დანახვის წესი დასტურდება მთიულეთში,
აგრეთვე, გუდამაყარსა და ერწო-თიანეთის ქართლიდან მოსული მოსახლეო-
ბის ყოფაში.

ქართლში 24 დეკემბერსაც იხარშებოდა კორკოტი. მისი ქერქის (ანუ შე-
დედებული ზედაპირის) ნაშილს გუთნის დედა სახლის ბოძებს ან კედელს წა-
უსვამდა, ცოტას ხარებს აქმევდა, ცოტასაც თვითონ შეჭამდა. ამის შემდეგ
მას ხახით ან ნიგვზით შეანელებდნენ. გუთნის დედა ოჯახის ყველა წევრს
თავისი ხელით შეაჭმევდა კორკოტს. ახალი მიცავალებულის პატრონები კორ-
კოტს არ აკეთებდნენ. ქართლში 24 (6. 1) დეკემბერს ქრისტეს კორ-
კოტს ეძახდნენ. ქრისტეს სახელზე გამომცხვარი პური, თუ მის სახელზე
კერძად გაეთხებული ხორბალი ან სხვა ფქვილისაგან დამზადებული ფაფა და-
მახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს ყოფისათვის. ასე მაგალითად:
ხევში ცხვებოდა ორი ყორბოული ან იგივე ქრისტეს პური, მთიუ-
ლეთში ქრისტეს პური (ხმიადი), რომელიც ოჯახის უფროსს გარეთ უნდა გა-
ეტანა, ცისთვის დანახვებინა და ლოცვა ეთქვა. შემდეგ, ამავე პურს მუხლებზე
დაიდებდა, ხშირ ტყეს გახედავდა, გადატეხავდა და შინ შევიდოდა. ერწო-
თიანეთში 3 დაჭრელებული კვერი „ქრისტის ოხშამი“ ცხვებოდა და
გარეცეული რიტუალი სრულდებოდა.

თუ შეთსა და ხევში ამ დღეს ისეთივე სამზადისი იყო, როგორც ახალ-
წლის წინა დღეს.

თუ შეთში ბავშვებს ქერიფქლას ჭოყრებს და ფტვებს პატარა ტოტებს მო-
ატანინებდნენ. საღამოს თითო ტოტს კარებში დაამაგრებდნენ ავი კვალისა-
გან დასაცავად. ყველაფერს, რაც განათხოვრებული ჰქონდათ, ამ დღეს იბ-
რუნებდნენ. „ქრისტეს და წელწადის ღამეს სახმარმა, პირუტყვმაც და
კაცმაც, თავის ჭერქვეშ უნდა გააონოს“. ასევე იქცეოდნენ აღმოსავლეთ სა-
ქართველოს სწვა კუთხეებშიც.

საღამოს, მას მერე რაც დიასახლისი მეორე დღის სამზადისისთვის კეცს
ცეცხლზე შემოდგამდა, დაიჭირდნენ კვალს და სახლიდან აღარავის
არაფერს გაატანდნენ.

ოჯახის დიასაბულისი საღმოს გამოცხობდა პურებს. ადამიანთა დაშვინებულებით. მათ „სალოცავებს“ ეძახდნენ. ეს სალოცავები ე.წ. ქრისტეს სუფრაზე უნდა დაედოთ.

გრძელ ცომს ადამიანის ფორმას მისცემდნენ. ეს კაცის კვერი იყო. მრგვალ კვერს 4 წაგრძელებას გაუკეთებდნენ, ძროხის ძუძუებიაო. ცხვრის კვერიც ასეთივე იყო, მხოლოდ ნაცვლად ოთხისა ორი ძუძუ უკეთდებოდა. ცხენისთვის ნალისებრი კვერი ცხვებოდა. ცხვებოდა ერთი ღიღი ქოტორი, რომელსაც ქრისტეს საგძალი ეწოდებოდა.

ყველა კვერს, კორკოტს, ქრისტის კორკოტის ნახევარს, სითეთრეს, კალტის კვერს ან ყველის პატარა ნაჭერს, ცოტაოდენ მატყლს, არაყს პატარა ჭურჭლით, 1 სანთელს ხონჩაზე დაწყობდნენ, მას ქრისტის სუფრა ეწოდებოდა. განცხადებამდე (5 (18) იანვარი) კიდობნის თავზე ან თახჩაში ინახავდნენ. ქრისტეს კორკოტის მეორე ნახევარს დიასახლისი ოჯახისათვის შეინახავდა.

თითოეული ვაჟისათვის, ვინც იარაღს ატარებდა ან მოზარდთათვის ამავე საღმოს ცხვებოდა პატარა გახვრეტილი კვერი. მათ კერასთან, სამამაცო აღგიღის, თავზე დამაგრებულ პატარა ჩხირებზე წამოაცმევდნენ. ამ კვერების ჩამოლება არ შეიძლებოდა. ისინი ან თავად უნდა ჩამოვარდნილიყვნენ, ან საგას, კატას უნდა შეეჭამა.

ცხვებოდა ერთი ლუკმის ხელა მრგვალი პურები — სათავსე კვით კვერი, რომელსაც დიასახლისი ოჯახის ყველა წევრს სასოუმლის ქვეშ ამოუდებდა. ასეთივე კვერებს დებდნენ საცხოვრებლის და პირუტყვის საღვომის კარგების თავზე ბუდეში, ავი კვალისაგან დასაცავად.

კერის პირას ნაცარში ჩასვამდნენ ანთროპომორფულ კვერს, ნისკარტიკვით წაწვეტებული თავით და ცერცვის მარცვლების თვალებით, რაც იმის შთაბეჭდილებას ქმნიდა, თითქოს ფიგურა ჭერში იყურებოდა. ამ კვერს მრავალი სახელი ჰქონდა: ღომლის ღეღა, ჭერჩიჭყეტია, ნაცრის ღეღა და სხვ. იგი კერის მფარველი ანგელოზის სიმბოლოა და კერის პირას რჩებოდა მანამდე, სანამ არ დაიწვებოდა ან კატა-თავი არ შეჭამდა.

შობას რიტუალური კვერების გამოცხობის წესი ხევშიც დასტურდება. როგორც აღინიშნა ამ ღამეს ყორბოულობა ღამეს ეძახდნენ. ცხვებოდა ერთი საკვლევი, სამი წმ. სამების პური, ორი ყორბოული ან ქრისტეს პური და თესლის პური და თესლის პური. ყველა პურს გამოცხობის წინ ჯვრის ნაჭევს გაუკეთებდნენ. მხოლოდ ყორბოულს ჰქონდა ჯვრის ფორმის

ღ

მარგარი



ნიუკორდა
იაკობი მარტინი



R 2153.630



სამ მავლენა
პარასკევის
ეკლესია
ეროვნული
მუზეუმი

საკუთარი სახეჭდავი. ბავშვებისათვის ცხვებოდა ბეღის კვერები. გამოცხობისას ვისიც ამობურცებოდა, მას იღბლიან წელიწადს უწინასწარმეტყ. ველებდნენ, ყორბოულს და თევზს ამავე ღამეს ჰამდნენ. ბედისკვერებს და საკვლევს ახალწლისთვის ინახავდნენ, ხოლო თესლის პურს — საგაზაფხულო თესვამდე.

ზოგი ყორბოულს, თევზს, არაყს ცეცხლს შემოატარებდა და მიცვალებულებს შენდობას ეტყოდა. ამის ჭამას მკვდრის პირის დაჭერას ეძახდნენ. ამავე საღამოს პური უნდა გამოეცხოთ, რომელსაც ონჩარი, ორთქლი უნდა ჰქონოდა, ვინაიდან, მაღლა ასული ორთქლით კარგად მიუვა მიცვალებულს შენდობაო.

ჩვეულებრივ, შობის წინა საღამოს (ზემო სვანეთში, ე. წ. შობის წინ ერთი დღით აღრე) იჯვლებოდა საშობაო ღორი (სვანური ლექრის დეში, მეგრული — საქირსე ღორი). ღორის დაკვლის შემდევ მოდიოდნენ მეალი ლეგები, მგალობლები ე. წ. ქრისტეს მახარობლები. 3—4 კაცისაგან (ან ქალისაგან) შემდგარი ჯუფები, რომლებიც კარდაკარ დაივლიდნენ ოჯახებს და ულოცავდნენ შობას. ამას შობის შემოლოცვა ეწოდებოდა. მილოცვა გამოიხატებოდა მოკლე სიმღერით, რომლის ტექსტი: მრავალი ვარიანტია დაღასტურებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მეალილები ზოგჯერ გადაცმულები და დათხუპნულები დადიოდნენ, რომ ისინი ვერ ეცნოთ. დაღიოდნენ. მოელი ღმის განმავლობაში და საღაც დათენდებოდათ იმ ოჯახში იქეიფებდნენ.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი სიმღერები სრულდებოდა შობის შემოლოცვის დროს დასავლეთ საქართველოში, მოვიტანთ ყველაზე გავრცელებულ ვარიანტებს:

„ოცდახუთსა ამ თვესაო,
 ქრისტე იშვა ბეთლემსაო,
 თქვენ გვაჩუქეთ გროშებიო,
 დაგელოცოთ ბოვშებიო“.
 (სამეგრელო).

ან.

„ქრისტე-შობა გათენდა,
 ღმერთმა გაგითენოს,

ეს ძველი და სხვა ახალი,
ყოველი მხრიდან გაიხარეთ“.
„ალათასა, მალათასა“.
ხელი ჩაკარ კალათასა,
ამოიღე 2 კვერცხი,
ღმერთი მოგცემს ბარაქესა“.
(იმერეთი.)

ა5

„ოცდახუთსა ამ ღლესაო,
ქრისტე იშვა ბელთემსაო,
ქალბატონი ლამაზია,
გაღმოგვიგდებს აბაზიანს“.

ა6

„ოცდახუთსა ამ ოვესაო,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო,
ჩვენ მათხოვრები არა ვართ,
ქრისტეს მახარობლები ვართ“.
„ალილო და აქა ალილო,
ალილო და აქა შობა,
ღმერთმა ბევრი გაგითენოთ
შობა-ახალწელიწადი.
ოცდახუთსა ამ ოვესაო,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო,
ჩიტი შემოჯდა ლობესა,
იძახის ქრისტე შობასა.
ჩვენ მათხოვრები არა ვართ,
ვართ ქრისტეს მახარობლები,
ალილო და აქა შობა,
აქა ალილო“-ო და სხვ.
(ქვ. სვანეთი).

„ალანთასა ბალანთასა,
 ჩამოვჰქიდებ კალათასა,
 ადგა ქალი დაძრა ტნი,
 დადგა გობი, ზედ საცერი,
 ერთი ვთხოვე, ორი მომცა
 ღმერთი მისცემს ბარაქასა“.

„ალანთასა, ბალანთასა
 ჩამოვჰქიდავ კალათასა,
 ქალი ერთი კვერცხი მომე
 ღმერთი მოგცემს ბარაქასა“,
 „ჩიტი ღობეზე შემოჯდა,
 იძახდა ქიშმიშობასა,
 ღმერთმა ყველანი დაგასწროთ
 ალდგომა ქრისტეს შობასა“.

(გესხეთი).

აღმოსავლეთ საქართველოში ფშავ-ხევსურეთის, ხევისა და ქართლის გარდა ალილოზე სიარულის წესი ყველგან დასტურდება.

ძველად, მოზრდილი მამაკაცები, მოგვიანო პერიოდში ბავშვები, კარლაკარ ჩამოივლიდნენ მთელ სოფელს. ზოგჯერ მეალილოებს კომბლებიც (კახეთი) ეჭირათ ხელში. მიადგებოდნენ ოჯახს და უმღეროდნენ. ალილოს ტექსტები მეტად მრავალფეროვანია.

„ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე დაბადებულაო,
 შობა-ახალწელიწადი ჩვენთვის გათენებულაო.
 ალათასა, ბალათასა კვერცხი უნდა კალათასა.
 ერთი კვერცხი გამოიტა, ღმერთი მოგცემს ბარაქასა“.

მოვიტანთ ერთ კახურ გარიანტს, რომელშიც ნაწილობრივ ასახულია სამობაო რიტუალის წეს-ჩვეულებანი:

„ოცდახუთსა და რამდენსა შობა გათენებულაო,
 შობის მაღლი შეგეწიოთ, ქრისტე დაბადებულაო.
 ეს სახლი ვინ ააშენა, ვინ დახურა მუხის ვული?
 ამშენებლის დედა ცხონდეს, დამხურავის მამის სული.

„აკოშტიდან“ გადვიხედე, ერბო გიდგათ ჭილებითა,
 თუ გმოგქევთ გამოიტათ, თორემ წავალთ გინებითა.
 ალათასა, ბალათასა კვერცხი უნდა კალათასა.
 აქა ლორი დაკლულაო, ნაყელარი ჩვენიაო, ნასამედი თქვენიაო.
 პატარძალო ჩვენო ლხინო, მარნის კარი გიჭრიალებს,
 მარნის ქოცო აგვიხადე, ყელი ჩაგვიძაჭრიანე“.

მეალილოთა ხელცარიელი გაშვება არ ვარგოდა, წყევლა იცოდნენ, რაც
 თავისთავად ცუდის მომასწავებელი იყო. როგორც ზემოთ მოტანილი ტექს-
 ტიდანაც ჩანს, კახეთში ზოგან ღამევე იკვლებოდა საღლესასწაულო ლორი —
 ქოს მენი.

თუ შეთში ალილოზე მოსიარულენი წინა დღეებში მოკლულ ყვავს მია-
 ბამდნენ ჯოხზე და ჩამოვლისას ყველა ოჯახის სარკმელში შეახედებდნენ,
 იმღერებდნენ:

„ალილო და ქრისტე ღმერთო, ქრისტე მოსრულაო,
 ყვავსა ფეხი დაზრობია, კარგად მოსრულაო.
 ვინც კაი პურს გამოგვიცხობს, კაი ყმისა აკვანი,
 ვინც მონა პურს გამოგვიცხობს, ფსია ქალის აკვანი“.

ალილოზე მოსიარულეთ დიასახლისი შინ შეიძატისებდა და წინასწარ
 გამოცხობილ 2 დიდ ქადას ალილოს კოტორს გამოუტანდა. ერთს იქვე
 შეჭამდნენ, მეორეს და 1 ჩარექ არაყს თან გაატანდნენ. შეგროვილ სანოვაგეს
 ინაწილებდნენ ან საღმე ერთად მოილხენდნენ.

როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში, ოჯახის უფ-
 როსი ქალი ან კაცი მეალილებს გაუტანდა შეძლებისდაგარად ფულს,
 კვერცხს, ღვინოს, მათთვის გამომცხვარ ღვეზელს და სხვ. (ამ უკანასკნელს
 იმერეთში საციქველი ეწოდებოდა). სამეგრელოში „შობაზე კაცი რომ
 მოვა, გიმღერებს, უს იგივეა, რომ დიდი ძღვენი მიუტანო ოჯახს“. ამ დღეს
 სამეგრელოში წესაღ იყო ნათლულს ნათლიასთან წაელო ყვარილი//ყვერული
 (დაკოდილი მამალი), ღვეზელი და კვერი.

გურიაში „ძღვენი“ ჩვეულებრივად, ეგზავნებოდა გათხოვილი ქალიშვი-
 ლის მშობლებს. ძღვენი შეძლებაზე იყო დამკიდებული. იგი შეიძლება ყო-
 ფილიყო ხარი ან ძროხა, ცხვარი, ინდაური, ღვინო, საპალნე ლომი, გამომცხ-
 ვარი პურები, ხაჭაპური. მაგრამ აუცილებელი ელემენტი ამ ძღვენისა იყო
 საშობაო ღვეზელი.

ამრიგად, შობის წინა საღმოს ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტებია:
 კერაში ქარგი ცეცხლის დანობა, კორკოტის მოხარშვა, ლოცვა და რიტუა-
 20

ლური ტრაქეზები, ლორის დაკვლა, შობის შემოლოცვა შეალილების შეირჩევასა და ლეჩხუმში, ყველაფერი ამასთან ერთად, იცოდნენ მოხარშული ჭანტილის ჭაფის გატანა ეზოში და ყველა ხეზე წასმა (ხის სიმბოლური განაყოფიერება), რაც მომავალ წელს უზრუნველყოფდა მათ მოსავლით, ძღვენის გაგზავნა (გურია, სამეგრელო) და სხვ.

სამეგრელოში ძველად შობა დღეს სისხლი უნდა დაესხათ, ანუ დაეკლათ ლორი (ან ტახი). შობის დილას იხარშებოდა თავი. ზოგან ლორი იგვლებოდა შობის წინა საღამოს. ამ დღეს დილით ადრე უნდა ამდგარიყვნენ და ეჭამთ სპეციალური დილის საუზმე, რომელსაც დილის ხაციცი — „ოჭუ მარე უ ხაციცი“ ეწოდებოდა. იგივე ჩვეულება დასტურდება იმერეთში, მხედველობაში გვაქვს საშობაო დილის საუზმე ხაციცი. იმერეთში შობის წინა საღამოს ოჯახის თითოეული წევრისთვის კლავდნენ ქათმებს და კუჭმავის მაგიერ ურთავდნენ ჰყინტ ყველსა და მოხარშულ ბრინჯს; ადრე შობის გათენებამდე, ყველანი სუფრას მიუსხდებოდნენ და ლოცვის შემდეგ საუზმობდნენ, რასაც ხაციცი ეწოდებოდა.

რაჭაში ჩანტილობის მეორე დღეს, შობას, მამლის ყივილთან ერთად უფროსი ქალი უნდა ამდგარიყონ და ქათმები დაეჭირა — ერთი საანგელოზო ყვინჩილა და მეორე საოჯახო ყვინჩილა ან ვარია. ამ ორ ქათამს უფროსი ქალი სახლში შემოიყვანდა. საანგელოზო ყვინჩილას შემოსვლისას შემოვლებდა თავზე კაცებს, ბავშვებს, შემდეგ ხარებს და თან იტყოდა: „ანგელოზების ბარაზე მომიროთმევია ეს ყვინჩილა, თქვენ სამშვიდობოდ“ (თან ასახელებდა კაცს ან ხარს), საოჯახო ქათამს კი ასეთი სიტყვებით შემოვლებდა ცეცხლთან ახლოს მიღებულ სასაფუვრეს და ცეცხლს „ოჯახის სამშვიდობოდ მომიროთმევია ეს ქათამი“. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა მათი დაკვლა. ამასთან ერთად უნდა გამოეცხოთ ერთი განატეხი: ქონიანი ან ნიგზიანი, ან მარილიანი მაინც. ეს ქათმები უსათუოდ უნდა შეეწვათ და მხოლოდ ამის შემდეგ შეილოცავდნენ შემწვარი ქათმებით, განატეხით და ზედამით. საანგელოზო ყვინჩილას მხოლოდ კაცები და პატიარა ბიჭები შეჭამდნენ; საოჯახო ქათმის ჭამა ყველას შეეძლო, მის შიგნეულს კი ვერავინ ვერ შეჭამდა გარდა იმ ქალისა, რომელმაც საოჯახო ქათმი ცოცხლად შემოვლო კაცებს თავზე. განატეხიც მხოლოდ ამ ქალს უნდა ეჭამა. ეს ყველაფერი ძალიან ადრე გათენებამდე უნდა მომხდარიყო. შემდეგ კი შეუდგებოდნენ საღილის სამზადისს. საღილზე არც განატეხის გამოცხობა და არც ლოცვა, წესად ან ყოფილა.

ლეჩხუმში ჭანტილობის მეორე დღე, შობა — ყველასათვის დიდი უქმე იყო. „ჩიტის აზვრამდე“ — გათენებამდე უნდა დაეკლათ ორი მამალი. ერთი სა ა ნ გ ე ლ ო ზ ი ყ ვ ი ნ ჩ ი ლ ა იყო, ხოლო მეორე ხ ა რ ე ბ ი ს ს ა ლ ო ც ი. საანგელოზო ყვინჩილა ითვლებოდა ადამიანის, ოჯახის წევრების მფარ ველად „სნე-ბატონებისაგან“: თუ ვინმეს ოჯახში რაიმე სნება სჭირდა, ყვინჩილას მას შემოავლებდნენ თავზე და შეულოცავდნენ: „ღმერთო! დაგვიფარე ხველისაგან, სწებისაგან, ყოველი უნებულისაგან“ — ამ ყვინჩილას ჭინჭორს ცოტას ამოაცლიდნენ და შობამდე გაუშვებდნენ; შობას კი დაიკვლებოდა ის ადრე, რომ ჩიტაც არ გაეგო. ოჯახის წევრების მეტი, საანგელოზო ყვინჩილას ხორცის ვერავინ შეჭამდა; ის დაკვლისთანავე გათენებამდე შეიძმებოდა. მის დაკვლაზე არავითარი ლოცვა არ იცოდნენ. მეორე მამალი ხარების სალოციც, „ჩიტის აზვრამდე“ დაიკვლებოდა, მხოლოდ ის უნდა შეჭმულიყო სადილისათვის. მაისის დამლევს, როდესაც ხარებს მთავე გარეავდნენ, სწორედ ამ დროს ყვინჩილას შემოავლებდნენ მათ თავზე და შეულოცავდნენ: „ღმერთო! დაიფარე ნადირისაგან, ჭირისაგან, ფათერაკისაგან, მშვიდობით ჩამოიყვანე, რაც ძალა ხარ მშვიდობით გვაჩვენე ჩვენი პირუტყვი“. პატარა ჭინჭორას ამოაცლიდნენ, რომ კარგი საცნობი ყოფილიყო, „გაუშვებდნენ“ და შობას დაკლავდნენ. ამ მამლის ხორცის შეჭმა თავის, ფეხის, კუჭის და ფილტვის გარდა, გარეშე კაცსაც შეეძლო. ისიც „ჩიტის აზვრამდე“ უნდა შეეჭამათ. თუ ოჯახში ერთი ან ორი წლის მკვდარი ჰყავდათ, მაშინ ამ დღეს მას „ს უ ფ რ ა ს წ ა უ დ გ ა მ დ ნ ე ნ“. მოხარშავდნენ შაშხს, გამოაცხობდნენ ყველიანებს, პურებს, ლვინოს დადგამდნენ სუფრაზე სავსე დოქით, ჭიქებით. აანთებდნენ სანთლებს. უფროსი ქალი პურზე ლვინოს ჭიქს თაგა წაუქცევდა და იტყოდა: „ღმერთო! გამინათე ჩემი ახალი მკვდარი“. შემდეგ კი სადილს მიირთმევდნენ. მიწვევა ამ დღეს არ იცოდნენ.

სვანეთში ზოგან საშობაოდ მამლის დაკვლაც იცოდნენ. მამალი დილით ადრე იკვლებოდა. იგი უნდა დაეკლა მამაკაცს. ამ მამლის თავზე შემოვლებაც იცოდნენ. მამალს ხარშავდნენ, მორჩენილ ძვლებს კი ცეცხლში ყრიდნენ სი-ტყვებით: „ასე დაიწვას ჩვენი ოჯახის მავნე ავადმყოფობა, ასე დაიწვას, როგორც ეს დაიწვა“-ო. ეს მამალი ჭირისათვის იყო შეწირული. იგი ლელყავი იყო, ე. ი. მისი სხვისოთვის ჩვენება ან ჭმევა არ შეიძლებოდა.

სვანეთში და კერძოდ ზემო სვანეთში, ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით ქრისტეში, ქრისტეშობა-ს შეე ვერძის სამ ნახტომს აკეთებდა.

ამ დღეს დილით ძალიან ადრე, ვიდრე ფრინველი გაიღვიძებდა, სახლის უფროსები წამოიშლებოდნენ, კერიაში ცეცხლს გააჩალებდნენ და დიასახლისა

ლამარია-ტაბლაშისაგან (ანუ ლამარიასათვის განკუთვნილი წმინდა ფეხილის საგან) სულზე თითო ყველიან კვერს „კუანჭილ“-ს გამოაცხობდა. ეს „კუანჭილები“ (უწონ ნაში იყო) უცხოს ორავის არ უნდა ეჭია. ქოჩა მას ჟუში (ოჯახის უფროსი) დაიჭერდა ხელში კუანჭილების-ს და ევედრებოდა ქრისტეს (სვანური ფორმით — ქრისტეს): „დიდება მოგსვლოდეს ქრისტე შობისა! ქრისტე შობისა! შენი ლოცვა-დიდება დაკვარული. გვიქენ, მაღლიანო, მრავალი ქრისტეში, კარგ გულზე მოგვასწარი, მუღამ მშვიდობით გვაყოფე ჩვენ და ჩვენი ნათესავი, ოთხფეხი გავიმრავლე, გენუკვით, მაღლიანო ქრისტე!“

ლოცვის დამთავრებისთანავე კუანჭილებს იჯახის წევრებს ჩამოურიგებდნენ და მაშინვე შესჭამდნენ. საღილობის ხანს დაკლავდნენ ღორს, ცხვარს ან თხას, კვლავ ლემზირებს გამოაცხობდნენ და საღილის წინ ლიფანეს გამართავდნენ. საღამოსაც ჯერ მიცვალებულთა სულებს დაუკურთხებდნენ მოხარშულ ხორცს, ლემზირებს, სხვა საჭმელს — სასმელს, შემდგომ კი ივახშმებდნენ. ქრისტეში მისვლა-მოსვლა და სტუმრიანობა მიღებული არ იყო. იმ სოფლებში, სადაც მთავარი სამლოცველო ეკლესია მაცხოვრის სახელობისა იყო, მთელი სოფელი ერთად იხდიდა შობის დღეობას, აღდგომას და ამაღლებას. ის მოსახლე, რომელსაც რიგით საღლეობო ხარჯის გადახდა უწევდა (მოქრისდეში), წინასწარ ასუქებდა ღორს, ვაცს ან ხარს და ბლომალ ხდიდა არაყს. შობა დღეს ყველანი თავს იყრიდნენ გასპინძლის (მოქრისდეშის) ოჯახში. საერთო სუფრაზე დასხდომის წინ ისინი მაცხოვარს შესწირავდნენ პურს, ხორცსა და არაყს. შეწირვის დროს, ასეთ ლოცვა-ვედრებას წარმოსთვამდნენ: „დიდება მოგივიდა ჩვენ უფალ მაცხოვარს, დიდება! მაცხოვარო, შენ შეგვეწიე შენი მადლითა და ძალითა, ნუ მოგვაკლებ შენ წყალობას და შეწევნას. მშვიდობიანობით და გამრავლებით გახარე ჩვენი სოფელი, ნუ გამოგვილევ შენ შესაწირავს; სანამ შენი ვედრება და მსხვერპლის შეწირვა არ დავივიწყოთ, მანამ შენს შეწევნას და წყალობას ნუ მოგვაკლებ, დალოცვე ეს სახლი შენი შესაწირავის მოსამსახურეობისათვის!“

ამის შემდეგ ხორცს, პურს, არაყს მღვდელს აკურთხებინებდნენ დღეობაში მონაწილეთა მიცვალებულების სახელზე. ქრისტეში დღეს შუალამემდეჭამა-სმასა და მხიარულობაში ატარებდნენ. ქრისტეშის მეორე დღეს ლატრენას უწოდებდნენ. ლალტრენა დაბრუნებას ნიშანვდა. ლასკრი კვლავ უბრუნდებოდა მოქრისდეშის სუფრას და წინა დღით მორჩენილი სასმელ-საჭმლით დილიდან საღამომდე ქეიფობდნენ.

25 (7. 01) დეკემბერს, დილით, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში იქვემდინარი, რომელსაც ნოემბრიდან ასუქებდნენ. ქართლში მას სააღებო ღორის ეძახს ეძახდნენ, კახეთში ქოს მენს. ზოგს ამ დღისთვის საკლავიც ჰქონდა შეთქმული. კლავდინენ: ცხვარს, კახეთში ქათმის მამალიც შეიძლებოდა; იტყოდნენ: თითქოს ცხვარი დაგიკლავსო. ზედაშისაგან* ცხვებოდა ქადა, რომელსაც იმდენ ნაწილად ჭრიდნენ, რამდენი ოჯახის წევრიც იყო. ანთებლენენ სანთლებს. საშობაო სუფრაზე უნდა ყოფილიყო: პური, ყველი, ქათმი, ინდაური, საკლავის ხორცი, თხილ-კაფალი, ღვინო და სხვა, რისი შესაძლებლობაც ეჭნებოდა ოჯახს. სუფრასთან რომ ღასხდებოდნენ, ოჯახის უფროსი დაილოცებოდა: „ლმერთო მშვიდობის ზაფხული მოვცეცი, ბარაქიანი წელი-წადი მოვცეცი. ლმერთო! უშველე ჩვენ შვილებს, შვილიშვილებს“...

აღმოსავლეთ საქართველოში ეს დღე მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეც იყო. ლხინი ზოგან (კახეთში) სამი დღეც კი გრძელდებოდა. იქ, სადაც მოქმედი ეკლესიები იყო, მოსახლეობა წირვა-ლოცვას ესწრებოდა. ოუ ჟეფ- მული ჰქონდათ, სალოცვაშიც (ხატში) გავიდოდნენ.

სოფ. შილდაში ამ დღეს ნეკრესის სალოცავში მიღიოდნენ და ოორებს კლავდნენ. ეს წესი დღემდე შემოინახა ყოფამ. სამსხვერპლო მამალ ღორს ლომტას ეძახდნენ. ნეკრესი ერთადერთი სალოცავია მთელ საქართველოში, რომელსაც ღორი ეწიორება მსხვერპლად. ლეგენდის მიხედვით, ლეგები, მორიგი დარბევის შემდეგ, ნადავლით შინ ბრუნდებოდნენ. გზად ნეკრესისკენ გმოუვლიათ. ქართველებს მათვის მამალი ღორები მიუსვიათ და ლეგები ხელცარიელი გაუშვიათ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ძირითადი საწესხევეულებო რიტუალები ხატში სრულდებოდა. სახლში ყოველივე კეთდებოდა ისე, როგორც ბაზში, მხოლოდ სუფრისითვის მზადდებოდა მთის ყოფაში დამკვიდრებული კერძები და სასმელი: ხინკალი, შეთქმული საკლავის ხორცი*, ფაფა, ანტრია, მოხარული ბრინჯი, კაპარი.

დილით, თუშეთში, ოჯახის ერთ-ერთი წევრი უმძრახად მოიტანდა წყალს, რომლითაც საშობაო სუფრისთვის განკუთვნილი კერძები უნდა დამზადებულიყო.

* ზედაში, ღვინის გარდა, შეიძლება იყოს რელიგიური დღეობებისა და წეს-ჩვეულებებისთვის განკუთხნილი საცეკვეთო სარისისის ერბო და ჭავილი.

** ზოგვერ ჭირისუფალი ახალი მიცვალებულის სახელზე კლავდია საკლასი, განსაკუთრებული ხევში, სადაც მიცვალებულისთვის წლამდე შეიღი სულრა უნდა გაშლილიყო, ერთ-ერთი შობას. ხევში შობას სასატულაოზეც გავიდოდნენ.



დღისით საგვარეულო სტუმრად დადიოდა ერთმანეთში, საღამოს კეთილმართვა
ყარაში (სოფლის თვეყრილობა, ჭარი) გროვდებოდნენ. დღისით საშიყარო
სანოვაებს ახალგაზრდები კომბლობრივ იგროვებდნენ ზოგან საშიყაროდ ალი-
ლოზე შეგროვებული სანოვაგა იხმარებოდა. „ქრისტის შიგარაის შიგარაის“
ლამეს ნათე აირჩევდა მაქალათებს — ორ ვაჟს და ორ ან სამ ქალს,
რომლებიც ნათეს წელ წლის (ახალი წელი) ჭარობაზე მოეხმარებოდნენ
ხალხის გამასპინძლებაში.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ხატის მსახურები ხატში შობის ან
ახალწლის ლამეს მიღიოდნენ. ისინი გარკვეული ხნით ადრე იწყებდნენ წმინ-
დობას. ცხოვრობდნენ „სუფთა“ ადგილზე (მაგ. ხევსურეთში ჭერხოში),
წყვეტდნენ ცოლქმრულ ურთიერთობას, არ დაღიოდნენ უწმინდურ ადგი-
ლებში. მთაში სადღეობო ლუდის დუღება ძირითადად ერთი კვირით აღრე
იწყებოდა.

ხევსურეთში ხატში ქრისტეს წუხრას მეგანძური მიიტანდა
განძს. გარეცხავდა, გადასცემდა დასტურებს და ისინი თავის ადგილზე დად-
ვამდნენ. დასტურების მიტანილ* ღამისამთე ლოს და ლულიან თასებს
დააწყობდნენ და ასენებდნენ ჭვართ. ყველა იქ მყოფი დადგებოდა პირია
ღამისამთელოსაკენ და ხუცესი დაიწყებდა ხუცობას. ამ ღროს, ხელოს ბნი
მივიღოდა საზარესოან და ზარს სამჯერ ნელ-ნელა შემოჰკრავდა, მერე ააჩქა-
რებდა და უკან შებრუნდებოდა, როდესაც ხუცესი ჭერ კიდევ ხუცობდა. ხუ-
ცობის დამთავრების შემდეგ, იქ დაამწყალობინებდა ყმათ. შემდეგ დანარჩე-
ნებიც წყალობას ეტყოდნენ ერთმანეთს. ბოლოს იწყებოდა სადიდებლები.

ხატის ერთ-ერთ მთავარ საკულტო ობიექტს წარმოადგენს დროშა. იგი
მედროშავე ხელოსანს ებარი. სანამ მედროშავე დროშას შეეხებოდა, უნდა
განათლულიყო, ანუ საკლავი დაეკლა და მისი სისხლი წაესვა ხელ-
მხარზე. დროშა შესდეგება ხის ტარისაგან, რომელსაც თავზე ჭვარი და ზარა
აქვს. დროშის ტარზე შებმულია ხალხისაგან შეწირული საკადრისები — სხვა-
დასხვა ფერის ბალდადები და ხელსახოცები. დროშა ძირითადად ყველა სახა-
ტო რიტუალში მონაწილეობს.

შობა ლამეს მხოლოდ ჭვარიონი იყო ხატში, თუმცა შეიძლებოდა თითო-
ორილა მეთემც ჭარში ყოფილიყო. იღგმებოდა ხელოსანთა ტაბლა.
სადაც საკუთრივ მათი ნაღულარი ლუდი და საშამავლო იყო, აგრეთვე,
საკლავის ხორცი. იწყებოდა სმა, სიმღერა, ძველ ანდრეზებზე საუბარი

* ახელისა და გუდანის ჭვრებს ჰყავდათ დიასახლისები, ხნიერი ქალები, რომელსაც
ევალებოდათ ხატისთვის სეფე-ჭრის გამოცხობა.



და მხიარულება. სანამ ხატში სმა დაიწყებოდა, მანამ მარხვას ყველა ფაქტზე „გატეხდა“. ფაფიან ჯამს ტაბლაზე ცეცხლოან ახლოს დადგამდნენ. ხუცეს სამჯერ ჩასხამდა ცეცხლში ერბოს. თუ ცეცხლი ძალიან აბრიალდებოდა, კარგ წელს იმედოვნებდნენ. შემდეგ შეექცეოდნენ ფაფიას. ზე დამდეგები ლუდს მიართმევდნენ იქ მყოფთ. ღამეს ყველანი იქვე ათენებდნენ.

დილით ხუცეს-ხელოსანი ნამთვრალევნი და ღამენათევნი იყვნენ. დასტურები მთ ლუდს მიწვდილნენ, რომელსაც სოფლიდან გზა ვნიდნენ. ამის შემდეგ დასტურები მიიტანდნენ წყალს და ხუცეს-ხელოსნებს პირს დააბანინებდნენ. ამას მოსდევდა ყამისწირვა. ყამისწირვის დასრულების შემდეგ, მოდიოდნენ მოლცველები. ჯერ მეზღვე ვნები, შემდეგ კი დანარჩენი სოფელი. კლავდნენ: სასოფლო, უბედოებისა და სხვა მეზღვნეთა საკლავებს. ამ დროს ძნელად თუ იშოვებოდა საკლავი და ვინც იშოვიდა, წელწდის თვის ინახევდა, რადგანაც ქრისტე დიდ დღესასწაულად ორ ითვლებოდა. ხუცესი ცალ-ცალკე მოიხსენიებდა საკლავებს, ხუცობა-კურთხევით კი ერთად. იგი სამსხვერპლოს რქებზე სანთელს დაყრავდა და იხუცებდა. შეახვეწებდა პატრონს და შემდეგ ყველას დამწყალობნებდა. ზოგ პატრონს საღიღებლად არაყიც ეჭნებოდა. თუ საკლავი ხარი იყო, ხუცესი ხუცობის დამთავრების შემდეგ, მას ყურს მოაჭრიდა და იქვე ჯვარში გადააგდებდა. ჭრილობიდან გამოსულ სისხლს ხუცესი საკლავის პატრონს წაუსვამდა შუბლზე ჯვრის ფორმით. ხუცესი რჩებოდა ბეჭი და თავი.

ამ წესების შესრულების შემდეგ სხდებოდა ჯარი. დასტურები მოხარ-შულ ხორცია და ლუდს მიუტანდნენ. იწყებოდა სმა, საგმირო შემღებება. ქალებს ლუდს არ დაალევინებდნენ. ისინი ძალიან მალე ბრუნდებოდნენ სახლში. თუ ვინმეს სტუმარი ჰყავდა, ხატში მას განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ. წასვლის წინ ჯვარიონი დალოცავდა მლოცველებს: „წყალობა წაიღეთ, მაგ. სანების ჯვრის, მეწარმართე ანგელოზი გამოგაყოლასთ. ჯვარ გეწერასთ, ჯვარსაც, კაცესაც“...

ასეთივე წესები სრულდებოდა ფშავშიც. ამ დღეს მიცვალებულთა მოხსენიებაც იცოდნენ. თუ ხევსურეთში მარხვას ფაფით გაიხსნიდნენ, ფშავშა ყველით და პურით და ერთი სასოფლო საკლავის ხორცით.

იმ ხატებში, სადაც ღამისთვევა არ იცოდნენ, ყველა წესი დილით სრულდებოდა.

საეკლესიო კალენდარი გვამცნობს, რომ შობის მეორე დღე, ანუ 26 (8. 01) დეკემბერი, არის კრება ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა.



თუშეთში ამ დღეს ქრისტიანული კუპატს ეძახდნენ და უქმობდნენ? კახეთში ეს დღე ღვთისმშობლის სახელით არის ცნობილი. რაჭა-ლეჩებუმში შობის მეორე დღეს შობის დღედა ეწოდებოდა*.

შობის დღესასწაულში, როგორც ვნახეთ, საწესო ჩვეულებების სიმრავლე მოდის შობის წინა საღმოს და შობის ღილაზე. შობის ღილის მნიშვნელოვანი მომენტებია კარგი ცეცხლის დანოება, ღილის რიტუალური სუზმე, რომელ-საც იმერეთსა და სამეგრელოში ხაციცი ეწოდება, სვანეთში — „ჰამა ხარჯობა“. ამ ჩვევის ნაირსახეობად მიგვაჩნია რაჭასა და ლეჩებუმში სანგელოზო და საოჯახო ყვინჩილებით ღილის აღრიანი საუზმე, რომელსაც გარეშე პირი ვერ დაესწრებოდა.

სვანეთში ყველაფერ ზემოთქმულთან ერთად, იმ თემებში, სადაც მაცხოვ-რის ეკლესიები იყო, საღამოობით იმართებოდა ლასკრობები (ლასკარის შესახებ იხ. ქვემოთ).

სტაციონა

27 (9, 01) დეკემბერს კახეთში, ტიბაანში აღნიშნავდნენ სტეფნობაზე**. ეკლესია შობის მესამე დღეს მოიხსენებს წმ. მოციქულსა და ღიაკონს სტეფანეს. ხალხის გადმოცემით იგი დიაკონი, ნაწიავლი, საღმოო საქმეზე თავდადებული, წმიდა კაცი ყოფილა, როგორც შიო. ამ დღეს მივიღოდნენ ყველესაში, მიიყვანდნენ საკლავს და ქეიფობდნენ. ზოგი სახლში ღორსაც დაკლავდა. ოჯახი ზვარას წინასწარ იჩევდა და ნიშანს დაადებდა (ყურს აკ-ჩილნენ). ხშირად საკლავი სალოცავში მკითხვების აჩევით მიჰყავდათ. გამოაცხობდნენ ქადებს, წაიყვანდნენ საკლავს, წაიღებდნენ სანთლებს და სხვა სა-ნოვაგეს. ზოგჯერ ქალები შეთქმით ან მკითხავის აჩევით, ფეხშიშველი, თავ-

* როგორც ითქვა, ქრისტეს შობის დიდებული დღესასწაულის მომზევნო დღეს წმიდა ეკლესია აღნიშნავს ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის კრებას (ხსენებას წმ. იოსებ დაწმინდველისა, წმ. წინასწარმეტყველის დაით მეფისა, ხორციელად უფალ იესო ქრისტეს წინაპრისა და თორმეტთაგან წმ. მოციქულ ღვთისა. აღნიშნულ დღეს, ადგილობრივი რწმენა-წარმოლდა და თორმეტთაგან წმ. მიხედვით, განსაკუთრებული მნიშვნელობა პერნა ფეხმძიმე ქალებისთვის, რომლების მიხედვით უქმობდნენ ადვილი შშობიარობისთვის, შესაბამისად, მკვიდრა მოსახლეობის რწმენა-ბიც უქმობდნენ ადვილი შშობიარობის ღვთისმშობლის დღეს, რომლის უქმის დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მომავალი დედებისთვის.

** სამცდათაგან უფლის წმიდა მოციქული, პირველმოწამე და მთავარდიაკვანი სტეფანე (დაახლ. 34), უმთავრესი იყო იმ შეიღ დიაკვანთაგან, რომელნიც თვით წმიდა მოციქუ-ლებმა დაუდგინეს იერუსალიმის ტაძარს. იგი იყო პირველი ქრისტიანი, რომელმაც მოწა-მებრივი აღსასრული მიიღო ქრისტეს სახელისათვის.

ზე თეოტი თავსაბურავით ან თეოტი კაბით მიღიოდნენ ეკლესიაში. შლოცები ზეგარასთან ერთად ეკლესის გარშემო სამჯრ შემოუვლიდა, ოთხივე კუთხეს კოცნიდა. დიაკვანი, ან სპეციალურად არჩეული მამაკაცი დადგებოდა პირით აღმოსავლეთისაკენ, საკლავს ჯერ შუბლზე ჯვრის ფორმით თმას შეუტუსავდა, მარილს აალოკებდა და ყელს გამოჭრიდა. პატრიონს საკლავის სისხლით შუბლზე ჯვარის გაუკეთებდა და დაამზუალობნებდა. პატრიონი თავ-ფეხს, ტყავს, მარჯვენა მხარს დამლოცველს მიუტანდა. თუ თვითონ კლავდა მათ მონა ქალს მისცემდა, ქადასაც დამლოცველი ჭრიდა და ნაოთხალს იტოვებდა. თუ ამ მოვალეობის შემსრულებელი არ იყო, პატრიონი ქადას მონა ქალს გააჭრევინებდა. სუფრა რომ გაიშლებოდა, პირველი სიტყვა დამლოცველს ეკუთვნოდა: „ლმერთო! შენ შეუწირე ამა ზეგარაკის მამყანსა, მიიღე და მიითვალე ფრთიანიცა“ და რქიანიც. სახლში უმყოფე დიდებიც და პატარებიც ჭკვიანები. ყველა ჭირი, სენი მაარჩინე, შეგიწიროთ შვილებო თქვენი მოტანილი პურმარილი“. იმართებოდა ლხინი და ქეიფი. ხშირად სალოცავში ღმისთვევით მიღიოდნენ...

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ხელოსნები ძირითადად ხატში შობიდან ახალწლამე ან ნათლისლებამდე რჩებოდნენ. შობიდან ახალწლამდე ერთ კვირას ფშავ-ხევსურეთში წელ შუის კვირას, ხოლო თუშეთში ქრისტის წელ წელ წელ შუს ეძახდნენ. ამ ხნის განმავლობაში ხატის მსახურებს საჭმელ-სასმელი სოფლიდან მოუდიოდათ და წელ შუის კვირას ლხინში ატარებდნენ.

თუშეთში ქალებისთვის მატყლის ჩეჩვა და პერტვა იკრძალებოდა. იტყოდნენ: ქრისტის სუფრა ნაგვიანდებაო. ნათე და მაქალათე ებრ ხარშავდნენ ლუდს. შულტა კომლობრივ შეგროვილი ფორისაგან სამეცვლელი ლუდს მოხარშავდა. ლუდის ნათაური (საფუარი) ჯვრისთვის უნდა შეეწირათ. თუშეთში წელწდობის ჯარობები მხოლოდ სოფელში იმართებოდა.

ახალი ჭვლი

31 (13. 01) დეკემბერი საეკლესიო კალენდრის მიხედვით ქრისტეს შობის დღესასწაულის წარგზავნაა.

რაჭმი 31 (13. 01) დეკემბერი ცნობილია კალანდობის** სახელით. ამ

* ზოგჯერ სალოცავში ქათმის მამალსაც სწირავდნენ.

** სიტყვა კალანდა, ისევე როგორც რუსული კოლია და რომაული კალენდა, ერთი და ოგივე მნიშვნელობის მატარებელია. მევლევართა აზრით, იგი შეიძლება ნასესხები იყოს რომელთაგან ან ზიზანტიელი ბერძნებისაგან შორეულ წარსულში. რომში კალენდას ეძახდნენ თვის პირველ, ან 10 დღეს. იგივე სიტყვა საფუძველია „კალენდრის“.

დღეს ოჯახის ერთი წული ტყეში წავიდოდა და მოიტანდა შეშით საცხე საცხე-საცხე ხილს. შეშაჩე დაწყობილი იყო ბაძგარი (მარადმწვანე ექლიანი და კურკიანი მცენარე). შეშიანი მარხილი კალოზე იდგმებოდა წალმისკენ, პირით აღმოსავლეთით და ამგვარად უნდა მდგარიყონ ნათლიღებამდე. საღმის იყვლებოდა საკალანდო ღორი აცხობდნენ ერთ ღორის ქონიან განატეს, ე.წ. ღორის საღოცვილს. გახშმობამდე ბიჭს ან ოჯახის უფროს კაცს 1 ჭიქა ღვინო უნდა წაეღლ საღორესთან და იქ შეელოცა: „წმ. ბასილმ ამარავლოს ღორებიონ“. ნაცხაშმევს შეუღებოდნენ მეორე ღღლის „სამჯლოვიაროს“ სამზადისს. აკეთებდნენ ლერწმის გვერგვეს, აცხობდნენ ერთ ღიღლობიან-ქონიან განატეს. განატეხი იდებოდა გვერგვეს, ასევე თაფლი, ვაშლი, თეთრი ფული. სართვიანი და ხმელა ბური ცხებოდა სულადობის მიხედვით. მოხარშულ ღორის შიგნებულს ჩაურევდნენ პურში და აცხობდნენ ერთ განატეს, ჯვარსახიანს ე.წ. სირის კუდს. სირის კუდით ღოცულობდა ქალი და იგი მხოლოდ ქალებზე ნაწილდებოდა.

ლეჩებუმში 31 (13. 01) დეკემბერს კალანდა ეწოდებოდა. ქალები უქმობდნენ. „ჩიტის აზვრამდე“ დაკლავდნენ საკალანდო ღორს (ნეზვს). აღსანიშნავია, რომ ნეზვი შეიძლება ნამზითვიც (მზითვებში მოყოლილი) ყოფილიყო. საკალანდოს თავი ნათლიღებამდე ეკიდა სხვეზე. კაცი ამ დღეს მარხილით შეშას მოიტანდა. შეშაჩე დაკრული იყო დიდი კონა „ბაძგარი“. ბაძგარს უკეთებდნენ სახლს, სახაბაზოს, ბეღელს, ნალის, კალოს, მიქეონდათ ვენახში და ყანებში. გააკეთებდნენ გვერგვეს ან ჩიჩილაკს. უფრო მიღებული იყო გვერგვი. ცხვებოდა საოჯახო ტაბლა. ტაბლაზე იდებოდა ფული და ტკბილებული. ტაბლა (საწესო ბური) თავსდებოდა გვერგვეს. კალანდა საღმოს უნდა გამოეცხოთ 6 საოჯახო საღორცავი ტაბლა და მეშვიდე უფრო დიდი „ღორის საღორცავი“. ღორის საღორცავ ტაბლას მოხარშულ ღვიძლს და წყალს, უფროსი ქალი წაიღებდა საღორის კართან (საღამომდე) და შეულოცავდა: „ღმერთო! დეიფარე ჩვენი ღორები ფათერაკისაგან“, წყალს გადასქეცვდა, ღვიძლს ჩამოათლიდა, იქვე შეჭამდა. და სახლში შევიდოდა. პატარ-პატარა ნათალ ღვიძლს ოჯახის ცველა წევრს შეაჭმევდა. ამის შემდეგ საოჯახო ლოცვა იწყებოდა. პურებით და ღობიანებით საცხე გობს უფროსი ქალი წახოქილი სამჯერ შეატრიალებდა კერიასთან და ღალოცავდა ოჯახს. ნავახშმევს ოჯახის მოფეხე, მკლოვიარე გავიდოდა მეორე „ბურულში“ და თან წაიღებდა მომზადებულ მისაღოცს.

ქვემო სვანეთში 31 (13. 01) დეკემბერს ლიძიენა ეწოდება. ხოლო ზემო სვანეთში: ე.შ. გვარე, ე.შ. გვარე, შუშე გვარე. ახალი წლის წინა



დღის მთავარი მომენტები სკანერში იყო: ტუეში წასვლა, ხის მოჭრა და გეგმითხოვანი თხოობა ხის მოჭრის დროს; თხილის ტოტების, ხავსის და თეთრი ქვის მოტანა (ყველის სიმბოლო), ღილის საუზმე, საიდუმლო ლოცვა, რომელზეც ახსენებდნენ ჯგრაგს, დასს და სხვ.; ვახშამი, მარცვლების რიტუალური ძებნი და მათი დათესვა, მეორე დღისთვის საახალწლო პურის გამოცხობა, ღორის ლეზო მახის, ლევალანდის, ზომხას დაკვლა (დედამთილის, უფროსი რძილის და ა. შ. მზითვებიდან), კუპატების გაკეთება, ლალყაჯის წესის შესრულება, კენჭის ყრა გარეშე მეკვლისთვის და ხარისთვის, საახალწლო მისალოცის მომზადება და სხვა.

სამეცნიეროში ახალი წლის წინა ლამეს (რომლის სახელწოდებას აღვაღენთ, როგორც ლეჭ-კამას (ღორის ლოცვა), ოჯხის უფროსი მოაწყობს ჩიჩილაკს. მზადდებოდა ახალი წლის მისალოცი და ყველაფერი იდებოდა გობზე. მზადდებოდა სუროს და თხილის „ხეიხვილის//კვიკვილის“ თაღვული. ღეგხეამა (იგივე სახელწოდება გვკვდება აფხაზური რიტუალის აღსანიშნავად) იწყებოდა მთვარის ამოსვლასთან ერთად. საერთოდ დიდი ყურადღება ექცე-ოდა მთვარეს და მასზე მკითხაობას.

იმერეთში ახალი წლის წინა დღეს კეთდებოდა ჩიჩილაკი. ამ დღეს სახლში მოპქონდათ სხვადასხვაგვარი მარადმწვანე და კენჭროვანი მცენარეები. ყველაფერი ეს საახალწლო მისალოცითან ერთად იდებოდა გობში. ძილის წინ ყველა, დიდი თუ პატარა, თავჭვეშ ერთ ნაჟერ შაქარს იდებდა. ამავე დღეს მზადდებოდა ახალი წლის მისალოცი.

გურიაში 31 (13. 01) დეკემბერს „შელოცვა“ „ცხემლის ჭრა“ ეწოდებოდა. ამ დღისათვის იმარაგებდნენ ცხემლის შეშის, ასუქებდნენ ქათმებს 3—4 კვირის მანძილზე, რომლებსაც დაკლავდნენ და მრგვლად ხარშავდნენ. გათენებისას იკვლებოდა ღორი და ნაწილებად დაჭრილი იხარშებოდა. ამ დღეს ცხვებოდა „საკავკავი“ (საწესო პური გოჭის ფეხით) — ქალებისთვის. მზადდებოდა ჩიჩილაკი. ცხვებოდა სპეციალური პურები: ბოკელი ჩიჩილაკისთვის, ოთხი დიდი პური — ე. წ. საბასილო ბო. საღამოთი იწყებოდა ლოცვა.

1 (14) იანვარი, ახალი წელი, საეკლესიო კალენდრით არის წინადაცეთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს; ხსენება წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ბასილი დიდისა, კესარია კაპადოკიის ეპისკოპოსისა*.

* ბასილი დიდი, ანუ ბასილი კესარიელი დაიბადა 329 წ. კაპადოკიის ქალაქ კესარიაში, დიდგვაროვანთა ოჯაში. მისი ბებია მამის მხრიდან, დიდი მაკრინე, დედა ემილია, პატრია 30

რაჭაში — 31 (13. 01) დეკემბერს ოჯახის წევრების ადგომამდე მოღიოდა ოჯახის შინაური კლოვიარე (მექვლე). ერთ ხელში განატეხიანი სამკლოვიარებელი გვერგვი ეყავა, მეორე ხელში დოქტორი ლეინო. მკლოვიარეს დარების უღებდნენ მას შემდეგ, რაც იგი სამჯერ დაარწმუნებდა სახლში მყოფთ, რომ ოჯახისთვის მოპქონდა ბარაქა, სიკეთე და ჭანმრთელობა. სამკლოვიარო განატეხი შეინახებოდა ნათლილებამდე. მექვლე ოჯახის ყველა წევრს „მიუმკლავებდა“.

ლეჩხუმში — ახალ წელს გათენებამდე მიადგებოდა შინაური მოფეხე ტაბლით ან გვერგვით ხელში. კარებს უღებდნენ მას შემდეგ, რაც ის სამჯერ გამოეორებდა: „მომაქვს თეთრი და ქონება“. სახლში შემოსული პურის ან ღომის მარცვლებს მიმოაბნევდა, ტაბლით ხელში სამჯერ შემოვლიდა კერიას, შემდეგ ტაბლას კერაზე დასდებდა, მუგზალს შეუჩიჩხუნებდა და დაილოცებოდა. ზოგიერთ ოჯახში უფროსი კაცი გარეშე მექვლეს მოსვლამდე მამულში (ვენახში) ჩავიდოდა და ხმამაღლა დაიძახებდა: „აგუნამ ჩამეიარა, ჩვენი მამული ჩეიარა, წივი მეიტეხა, ღვინის ღვარი ააყენა: ისხა, ისხა, ისხა... გამოლმა კვირისთვი, გაღმა ვირის თავი; გამოლმა ყურძენი — გაღმა ფურცელი“. დილის საუზმეზე იცოდნენ „ხელის აშვება“, ე. ი. ერთიძეორეს მისცემდნენ რამეს, ფულს, ღვინოს, ვაშლს და ა. შ.

კაცები ამ დღეს ლერწს მოსხლავდნენ — „დეიმთვარებსა“. უფროსი ქალი სმ პატარა კვერს გამოაცხობდა ე. წ. „ხარების სალოცავს“.

სვანეთში ახალ წელს ზომება (სიტყვასიტყვით ახალი წელი), კანდა, კალანდა ეწოდებოდა. სახალწლო საუზმეს ხაციცი ერქვა. სვანეთში ანსხავებდნენ სახლის მექვლეს (ჭორა მგჭება) წყლის მექვლეს (ლიცე მგჭება) და გარეშე მექვლეს (ჭამე მგჭება). (ზოგან წყლის და სახლის მექვლე ერთიდაგივე პირი იყო). ამ დღეს ისევე, როგორც ლეჩხუმში, იცოდნენ (ხელის ახსნის (ლიცომებე) წესი; მარცვლეულის „დათესვა“. პატარა ორმოში 16 დღის მთვარის დადგომამდე (ამ ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული წესის შესრულება აღარ ვარგოდა).

კანდა საღამოს — ბობბლა ლეთ (ბომბლას საღამო) ეწოდებოდა. შეგროვდებოდა ერთად ახალგაზრდობა (ზოგან ამას ოჯახის წევრები აკეთებდნენ) და სათითაოდ ყველა მოსახლეს ჩამოვლიდნენ. ეზოში შესვლისთავე შეკრინე, მისი და, თავად ბასილი და მისი ძმა გრიგოლ ნოსელი ქრისტიანულმა ეკლესიმზე წმინდანებად შერაცხა. 358 წ. ბასილი მოინათლა და ქედინ იწყება მისი მოღვაწეობა, როგორც ქრისტიანი მოღვაწის, რომელმაც სიცოცხლე დასრულდა დიდ მამად და ეპისკოპოსად და რომელსაც დიდი წვლილი მოყენების წმ. სამების გააზრების, თეოლოგიურად ჩამოყალიბებისა და დაკვიდრების საქმეში. ბასილი დიდი გარდაცვალა 49 წლის ასაში.

ორი ახალგაზრდა ვაჟი მოსახლის კარზე მიყუდებულ ჭულს (არყის არ მსხლის ხეს) მხრებზე შეიღებდა, მესამე პირი ამ ჭულზე მუცლით გადაეკიდებოდა და ასე შევიღოდნენ სახლში დანარჩენი ახალგაზრდების თანხლებით. ისინი კერიას სამჯერ შემოვლიდნენ და თან მღეროდნენ: „ბომბლა, ბომბლა, ბელლის კარზე დატვირთული რიჩე!..“ ამას იმეორებდნენ სანამ კერას შემოვლიდნენ. ჭულზე გადაკიდებულ კაცს ყოველი მხრიდან ჩხვლეტდნენ და ჩქმეტდნენ, ისიც წინამდებრივი იგრძებდა ხალხს. კერიას გარშემო შემოვლის შემდეგ ჭულს მხრებიდან ჩამოიღებდნენ და მას ცეცხლში შეუკეთებდნენ. მასპინძლის ოჯახის წევრები სთავაზობდნენ სტუმრებს არაყსა და წვრილ-წვრილ ლემზი ირებს. ამას ეძახდნენ „კულის ლემზირის განაწილებას“. ამის შემდეგ იგივე პირები მეორე ოჯახში გადავიდოდნენ.

სამეგრელოში ახალ წელს „ახალ წანა“, „კალანდა“ ეწოდებოდა. ამ დღეს ოჯახის უფროსი ქალი აცხობდა მჭადს, რომელშიც ღორის ქონი იყო გარეული. საღილის შემდეგ, ოჯახის ღიასახლისი ამზადებდა „კირუკარუს“. ეს პურები გამოსახვადნენ ყურძნის მტევანს, ხელის საფქვავის ქვას, ბარებს, ბელელს, საფქვავს, ღორს, კრუხს და სხვა. საღამო ხანს ოჯახის ყველა წევრი დატვირთული პურებით, სიმინდის მძრვლებით და ა. შ., ჯოხებით შეიარაღებული შედიოდნენ სარდაფში; ჩამწკრიდებლდნენ საწნახელის გასწვრივ, ურტყაყადნენ მას ჯოხებს და მღეროდნენ: „ჯუჯელია! ჯუჯელია! ჩქიძი მამული ხარგელია; შხვაში მამული ფურცელია!“ (ჯუჯელია, ჯუჯელია! ჩქიძი ვენახი დატვირთული, სხვის მამულში ფურცელი). ამ დღეს კაკალზე მკითხაობა იცოდნენ. მეკვლე იყო შინაური და გარეშე, რომელსაც „მაკუჩური“ ეწოდებოდა. უცილებელი საახალწლო ელემენტი იყო მცენარეები, სურო, თხილის „ხეიხეილი“//„კვიკვილი“, შეერი, წყავი და სხვა. ჩაეტილ კარებს მეკვლეს უღებდნენ იგივე წესის შესრულების შემდეგ, რაც ზემოთ იყო აღწერილი.

იმერეთში ახალ წელს (յალანდას), დილით აღრე, შინაური მეკვლე მისალოცი გობით მოდიოდა. დატეტილ კარებს მანამდე არ გაუღებდნენ, სანამ სამჯერ არ გაამეორებინებდნენ, რომ „ადამიანებისთვის სიხარული, ჯანმრთელობა, ბეღნიერება“ მოპქონდა. შესვლისას მეკვლე აბნევდა ღომს და ღორცავდა ოჯახს. დიასახლისი აცხობდა „პურებს“ ღორის ქონით და ანაწილებდა ოჯახის წევრებს შორის. იმერეთში ყოველ ეზოში იმართებოდა საქანელა. ვენახში იცოდნენ ღვინის წალება, ქათამს დაყლავდნენ. გამომცხარ „მტევანს“ წაილებდნენ და დაპკიდებდნენ ვაზზე. სახალწლო სუფრის აუცილებელი ელემენტი იყო მოხარშული ღორის თავი, რომელიც შობაზე იკვლებოდა.

გურიაში ახალ წელს კალანდა ეწოდებოდა. გათენებამდე ბინაროს ჭამა იცოდნენ. კაცები გადიოდნენ გარეთ. ჭალები სახლში ლოცულობდნენ: შესთხოვდნენ ღმერთსა და ბასილს, რომ ახალ წელს მათვეის ბელინერება მოეტანა. ლოცვის შემდეგ კაცები ბრუნდებოდნენ. უფროსს მოჰკონდა ჩიჩილაკი; ერთს ქოთანი ღომის მარცვლით სავსე. აქაც კარების გაღებასთან დაკავშირებული წესი მეორდებოდა. კარს მანამდე არ გააღებდნენ, სანამ არ დარწმუნდებოდნენ, რომ მოჰკონდათ წმ. ბასილს მობრძანება, კაცთა მშვიდობა, ოეთრი და საქონელი მრავალი“. ოჯახში შესული კაცები სამჭერ უვლიდნენ ოთხს, მიმოაბნევდნენ ღომის მარცვლებს, შემდეგ იწყებდნენ ლოცვას. ცეცხლში მუგუზალს „შეუჩიჩინებდნენ“ და გახურებული მუგუზლებით შინაური ცხოველებისა და ფრინველების მილოცვა იწყებოდა.

მოვიანებით მოდიოდა გარეშე მეკვლე. სადილის შემდეგ გარეთ გადიოდნენ და „ყრიდნენ თესლს“. ამის მერე სრულდებოდა ე.წ. აგუნას რიტუალი (ზოგი მთხოვნებელის მიხედვით მას ნათლისმებას ასრულებდნენ): ოჯახის უფროსი კაცი იღებდა ღორის მოხარულ თავს და მიდიოდა ვენახში (ან მარანში, არტყამდა ღორის თავს საწანახელს ან რაიმე სხვა საგანს და მთელი ხმით ყვიროდა: „აგუნა, აგუნა, ჩამოიარე, ჩვენს მამულს ამოტენა (აიყვანდნენ ხელში ყმაწვილს) მტევნები, სხვის მამულს ჩხერგი და ფურცლები“. ყოველ ეზოში აწყობდნენ საქანელებს.

ახალი წლის მეორე დღე 2 (15) იანვარი ხალხური დღეობების ციკლში, დასავლეთ საქართველოში ბედობის დღე იყო და სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი.

რაჭაში მას „ფეხის დაპწნა“ ეწოდება. ამ დღეს ყველა ოჯახში მიდიოდა გარეშე „კლოვიარე“. მოვიდოდა თუ არა კლოვიარე, მიაგებებდნენ გვერგვს და ღოქით ღვინოს. მას მიჰკონდა ყველიანი ან ქონიანი განატეხი. ოჯახის ყველა წევრს „მოუმქოლოვდა“. სანამ სუფრასთან დასხდებოდნენ, ყველას ხელები უნდა რაგებანა ღვინით. კლოვიარეს დაათრობდნენ, დაასაჩუქრებდნენ და ისე გაუშვებდნენ.

ლეჩხუმში — ახალი წლის მეორე დღეს, ასევე „ფეხის დაპწნა“ ეწოდებოდა. ამ დღეს ძველად იწვევდნენ ახლად შეძენილ მოყვრებს. სტუმრებს „ფეხის დაპწნას“ წოულს“ ეძახდნენ. შემოსვლისას თვითეულ

* სვანეთში — შობიდან ახალწლამდე პერიოდს ჩარუნესგა ეწოდებოდა. იგი ქრისტიანული კალენდარის ორ დიდ მსგეფს (მარხვის შვიდდღიანი ხსნილი) ემთხვეოდა. სიტყვა მარუნესგა ნიშნავს ორთაშუას. ჩარუნესგა თრგვერ მოდიოდა წელიწადში. ერთი იყო შობა-ახალწლის შორის შუა კვირა და მეორე აღდგომა-ახალკვირის შუა. მარუნესგა ისეთი

მომსვლელს ხელზე ღვინოს გადასხამდნენ და ზედ მარილს მოაყრიდნენ —
ამას ჰელის აშვებას ეძახდნენ. ვინც ამ დღეს ხელს ჰქანდა სტუმრებს,
ის იქნებოდა „მოხელადე“, რომელზეც დამკიდებული იყო მთელი წლის
წარმართვა.

ზოგიერთ ოჯახში ამ ღამეს (სხვაგან თვითონ ახალ წელიწადს) გახშმობამ-
დე, უფროსი კაცი აიღებდა „კოროლს“, გაუჭრელ შემწვარ ღორის გულს,
პატარა, გვარსახულ ტაბლას, ჭიქით ღვინოს და ანთებულ სანთელს. ამას კვე-
ლაფერს მიტანდა ვაზის ძირში: კოროლს ვაზს თავზე წიმოაცმევდა და იღო-
ცებოდა: „ღმერთო! ბევრი მოაბმევინე ჩემ მამულს, აცილე კოხი, მავნებე-
ლი“. ღვინოს იქვე დალევდა, ღორის გულს, ტაბლას შეჭამდა და შინ შემო-
გიდოდა.

სვანეთში, უფრო ზუსტად ზემო სვანეთში, ამ დღეს კუიმტარ, კუიმ-
ტარეშ, კუიმტობ, კუიმშტ, კუმბტ, ნანკ — ეწოდებოდა.

კუიმტრი ერქვა ახალი წლის მეორე, სხვა ვერსიით — ახალი წლის მომ-
დევნო პირველ 2—3 დღეს. იყო უქმე. სრულდებოდა შიმი ლიფშტედე:
(საახალწლო ჩვეულება „ხელის შენაცვლება“) მეზობლები ერთმანეთს ჯამით
პურის ფქვილს (ქალები) და ვერცხლის ფულს (კაცები) უცვლიდნენ. სანამ ეს
წესი არ შესრულდებოდა, მანამ ოჯახიდან არაფერს გაასესხებდნენ.

კუიმტრის დროს ტყიდან მოზიდავდნენ მუხისა და წიფლის ტოტებს.
გაკეთებდნენ კონებს ე. წ. „ნამპარ-ებს, რომელთაც ვახშმობის დროს
სხვენზე შეყრიდნენ დღეობას სუიმპარ-სა და ლამპარ-ბის თვის. ზო-
გიერთ თემში კუიმტარ-ს სადილ-ვახშმად მორიგე მასპინძელთან იკრიბებოდ-
ნენ.

პერიოდია, რომლის განმავლობაში, აღგილობრივი რწმენის მიხედვით, სამოთხის კარი მუდა-
ლია და ვისაც სურს, თავისუფლად შეუქლა სამოთხეში შესვლა. რაც უნდა ცოდვილი იყოს
ეცი, თუ ის ძარუნებაში გარდაიცვალა, აუცილებლად სამოთხეში მოხვდებათ. სამოთხის
კარგი სანთლის არის, სვანები მათ სანათლი კორარს უწოდებდნენ.

ძარუნებას განმავლობაში ყოველ მოსახლესთან ყოველდღიურად ცხვებოდა ლემზირები
(სალოცავი პურები). დილა-სალამოს სვანეთისა და საქართველოს სხვა კუთხეების სალოცა-
ვებს აღიდებდნენ. ლემზირები, რომლებითაც ხდებოდა წმინდანების და სალოცავების მო-
სენება, ლამარიაშ ტაბლაშისაგან აცხმდნენ და ისინი უწონაში იყო, ე. ი. გარეშე პირს
მისი ჭამა არ შეეძლო. ამ ხის განმავლობაში აღკვეთილი იყო ქალის ხელსაქმე: ჭრა-კერვა,
ქსოვა, რთვა და სხვა; აგრეთვე იარაღისა და სხვადასხვა რეანესულის ხმარება.

ძარუნებას განმავლობაში ზოგიერთ თემში (ძაგ. ცხუმარი, ლატალი, იენაში და სხვ.)
ხუთშაბაზ დღეს დადუარე ცაში ეწოდებოდა (დედლების ხუთშაბაზი). ქალები ნასა-



ამ დღეს ქალები და კაცები ცალკე ასრულებდნენ ლოცვას. კაცებით ქონდა
ში ლოცულობდნენ. ქვემო სვანეთში ახალი წლის მეორე დღეს ლიშია ა-
ლი ეწოდებოდა. ამ დღეს მეფეხური, მაყუჩხური მოდიოდა. საქონელს მამა-
კაცები რქაზე ჩამოაცევდა პურს, კვერცხს გადაუსვამდა ზურგზე — ბევრა
მოიწველეო (თუ ძროხა იყო), თუ ხარი იყო — ბევრი ტვირთი ზიდეო. სახლ.
ში ღომის მობნევა იცოდნენ. ამ დღეს არც არაფერს გასცემდნენ და არც
ითხოვდნენ.

გურიაში ამ დღეს ქათმის ფერს ვა ეწოდებოდა. ოჯახში მოდიოდა „მფერხავი“. იგი შევიდოდა საქათმეში და უფერხავდა. ჩევლებრივ, ეს ახა-
ლი წლის მფერხავი იყო (მისი არჩევა ღახის სურვილზე იყო დამკიდებუ-
ლი). ადგილობრივი რწმენის მიხედვით, მფერხავის თვისებებზე იყო დამკი-
დებული მოელი წლის მანძილზე არა მარტო ქათმებისა და საერთოდ შინაურა
ფრინველის, არამედ მოლიანად ღახის კეთილდღეობაც.

მფერხავს აძლევდნენ თხის ქოთანს, რომელიც ღომის მარცვლებით და
კაკლით იყო სავსე. იგი მიდიოდა საქათმეში, მას მიჰყვებილნენ ბავშვები. შე-
დიოდა, შემოუვლიდა სამგერ მარჯვნიდან მარცხნივ და შემდეგ ძირს აგდებდა
და ამსხვრევდა ქოთანს. ნიგოზს ბავშვები კრეფლენენ, ღოშის მარცვლები კი
ქათმებს რჩებოდათ. თუ ყველა კაცალი გულსავსე იყო, წლის განმავლობაში
კარგი კვერცხი ეჭნებოდათ. ამის შემდეგ მფერხავს იწვევდნენ სადილად.

აღმოსავლეთ საქართველოში 31 (13. 01) დეკემბერს ყველაგან იწყებოდა
საახალწლო სამზადისი. ოჯახის დიასახლისი აცხობდა რიტუალურ პურებს:
ბელისკვერს ას ღახის ყველა წევრისთვის, კაცის ფორმის პურს, ბასა-
ლას, ვაჟებისთვის — სახრეს, ნამგალს, გუთანს, სახნისს, ჩექს, ლულებს
(საინგილო), სამკალ თითს, ხარისთვალს, ქალებისთვის — ქარას, კრუხ-წიწა-
ლის, ქათმის კლანტს. აგრეთვე აცხობდნენ: ორმოებს, ღორის ძუძუებს, ძრო-
ხის ძუძუებს, ფრთიან ჩიტებს, პურებს — ჭიისთვის, ვაზისთვის, მიცვალებუ-
ლისთვის, ქათმის ფრჩხილს, ღულს — ახლად დაქორწინებული ვაჟისთვის,
მევენახეს ქვევრსა და მაკრატელსაც უცხობდნენ (აღმოსავლეთ საქართველოს
ბარში). გარდა ამისა, ქართლში ოჯახისთვის ცხვებოდა დიდი პური და ბიჭე-
ბისთვის მკლავზე ჩამოსაცმელი კვერები. ეს კვერები მათ წყალკურთხევაზე
უნდა წაელოთ და იქიდან მობრუნებას შემდეგ ეჭამათ.

დილევს ლოცვას ატარებდენ ყველიანი და ნიგვზიანი ლემზირებით სგირის აღმოსავლეთის
გეღლის მარჯვენა სარკმელთან ლამაზიას სახელზე.

ლატალის თემში — დარუნესგაში კვირა დღეს კუან-ლიში ეწოდებოდა. ს. მა-
ცვარიშვი (ლატალი) — ეს დღე სასოფლო დღეობა იყო.

მთაშიც ოჯახის ყველა წევრისთვის აცხობდნენ ბეღისკვერებს, განკუთხა
მისა, ცხვებოდა ბეღისკვერები: კაცი პური, ხარებისთვის, ძროხუშისთვის,
ცხვრისთვის, წყლისთვის, ქათმისთვის, საღლვებლისთვის, მეკვლისთვის, ბებე-
რასთვის, რომელიც მთელ ოჯახს უნდა ეჭამა (მთიულეთ-გუდამაყარი). ზოგა
მეცვლისთვის განკუთვნილ საკვლელ ამ დღეს აცხობდა. იგი მხოლოდ
კიტებით (ფიჩით) უნდა გამომცხვარიყო. გამომცხვარ საკვლელს გულს ამო-
უღებდნენ მრგვალად, შიგ ჩაუდებდნენ ერბოს და კვნიტ შაქარს. ერბო და
პური ბარაქა, შაქარი კი სიტბოო (ხევი). ხევსურულ სამეცვლეოს სპეცია-
ლური საჭრელებლებით აჭრელებდნენ. მასზე გამოსახული იყო: ჯვარი; კაცი,
სახნისი, ძროხა, ცხენი, მარცვლეულის თავთავი და სხვა. ფშაურ სამეცვლეოს
გოგა ერქვა. ყველგან წესად იყო რიტუალურ პურებზე მყითხაობა. თუ პუ-
რი კარგად გამოცხვებოდა, ამოიწევდა, ან კარგი ფერი ეჭნებოდა, მაშინ ეს
სიკეთის მომასწავებელი იყო, თუ არა და ცუდის.

ბარში ცხრილზე ან ტაბლაზე დააწყობდნენ: წვრილ კვერცხებს, ცივად
მოხარულ დედალს, ინდაურს, ლორის თაგა, ჩურჩელას, გოზინყს, ჩამიჩს,
ვაშლს, ლვინოს, არაყს, ნაზუქებს, რიტუალურ პურებს. ქართლში დადგამდნენ
ჯამს წყლით, ლვინით, თაფლით, რომელშიც პურის დიდ ლუკმებს ჩაყრიდნენ.
ამგვარად გამზადებულ საახალწლო სანოვაგეს ქართლში აბრამიანს უწო-
დებენ, ხოლო კახეთში საკვლევარს. ძველად, როგორც სულხან-საბა ორ-
ბელიანის განმარტებიდან ჩანს, აბრამიან „შაქრით და თაფლით ლვინის ბოლ-
ლიწო“-ს უწოდებდნენ. აბრამიანი თუ საკვლევარი, უმეტეს შემოხვევაში
შზადდებოდა სალამოს მეორე დღისთვის. ზოგჯერ აბრამიანზე ტყვიასაც დებ-
დნენ.

საინგილოში, შუა ღამეს, როდესაც ყველას ეძინა, ოჯახის დიასახლისი
ართავდა ბამბის ძაფს. ოჯახის უფროსი ფიზლობდა და საუბრით ართობდა
მეუღლეს. როდესაც ძაფი დაირთვებოდა, ორივე ჩუმად, ოჯახის ყველა მძინა-
რე ვაჟს მაჯებზე ძაფს შეაბამდნენ, რომელიც მათ სამი დღე უნდა ეტარები-
ნათ. ახლად დართულ ძაფს ყველაფერს ახვევდნენ: დედაბოძს, ავეჯს, ჭურ-
ჭელს და სხვა.

ამ დღის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რიტუალს აღმოსავლეთ საქართველოში
მთაში თუ ბარში, შეშის მოტანა წარმოადგენდა. გარდა იმისა, რომ ოჯახს
საწვავი შეშა უნდა მოემარაგებინა, მას ტყიდან გარკვეული რიტუალისთვის
განკუთვნილი ხე უნდა მოეტანა. ქართლში ეს ხე მუხისა უნდა ყოფილიყო და
სათარი ეწოდებოდა.

მთიულეთში უღელი ხარით მოიტანდნენ დიდ ხეს — საახალწლოს,
ჩადებდნენ შუა ცეცხლში და დიასახლისი იმაზე გამოაცხობდა ბეღისკვერებს.
გარდა ამისა, ყველას უნდა მოეტანა ბებერად წოდებული ხე, რომელზეც

მოგრეხილი წნელით ერთი ან ორი პატარა „ნაკრი“, ანუ ნეკერი იყო შეიძლება, ბებერას კარებზე მიაყუდებდნენ.

გუდამაყარში ბებერა იღნის ხე იყო, რომელიც ისეთი სუფთა უნდა ყოფილიყო, რომ არცერთი კაპი არ ჰქონიდა.

ეს წესი ერწო-თიანეთშიც დასტურდება.

ხევში ბებერას ნაცვლად, ამ ღამეს ახალგაზრდებს ასკილის ტოტები მოჰქონდათ, პატარ-პატარებად ჭრიდნენ და ყველგან აწყობდნენ: ბავაში, ფქვილში, სიმინდში, სახლის ფანჯრებზე. ამ ნაწილებს მა ხვილს ეძახდნენ, ასკილის დაწყობას კი დამახვილებას. ეს ღამე ღამახვილება ღამე იყო ან კუმეტი. ზოგჯერ მახვილს ოჯახში მეკვლე უკეთებდა. ზოგჯერ ასკილის ტოტებთან ერთად ნახშირსაც დებდნენ. ყოველივე ეს ეშმაკის, ავი სულების საწინააღმდეგოდ კეთდებოდა.

31 (13. 1) დეკემბერს მოტანილ სათარს, ბებერას ცეცხლში ჩადებდნენ. სასურველი იყო, რომ საახალწლო ცეცხლი დიდხანს არ ჩამქრალიყო. მთაში, ბებერასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო რიტუალი სრულდებოდა. გუდამაყარში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხებში, ხის ძელს ცეცხლში ჩადებდნენ. თუ ნაპერწყალი გავარდებოდა, ცუდის ნიშანი იყო. თუ კარგად დაიწვებოდა, სიკეთის მომასწავებლად ითვლებოდა. ცეცხლში ჩადების წინ, ბებერას თავში, შუაში, ბოლოში ჭვარედინად თაფლს და ერბოს წაუსვამდნენ. ზოგი თაფლს და ერბოს ჭერ საკიდელს წაუსვამდა და შემდეგ ბებერას. ბებერაზე ბიჭს გადასვამდნენ. მას აუცილებლად უნდა გაეცინა. ამის შემდეგ იმართებოდა დიალოგი. უფრო ძველად კი, ბებერას შემოტანის შემდეგ, ოჯახის უფროსი მართვდა დიალოგს დიასახლისთან:

— ბერი მოდის ბერიბითა!

ცხენ-აბჯარი ჩამაართვით,

წინაც მაეგებენითო.

— ბერი რას გრძანებსო?

კაციანობას, საქონიანობას, კარგა ყოფნასა და მხიარულობას.

ერწო-თიანეთის ხევსურულ ოჯახში კარგად რომ დაღამდებოდა, დიასახლისი გარედან შემოიტანდა ბებერას და ღამახებდა:

— მამიდიან ბებერანი!

— რას მაიძახიან? — დაუმახებდა ვინმე.

— ლხინსა, გახარებასა. ტომარანი მიკიდიან ლხინიანნი,

თხილიანნი, ნიგვზიანნი. ბევრსამც ახალწელს ილოცავთ,
მომილოცნია. მრავალი ახალი წელი გამაგვეცვალასთა,
მშვიდობისა, რეგბისა, გახარებისა, ბეღიან დავლათიანობისა.
ქალისა დროზე გათხოვებისა, ვაჟისა ცოლის აღრე მოყვანისა.

ბებერაზე გადამჯდარი ბავშვი თავის მხრივ დაილოცებოდა: „ღმერთო
დალოცვილო, შენი მახვეწურნი ვართ. საქრისტიანოს დამარსებელო, ბევრ
წელიწად-ქრისტე გვალოცინე. მშვიდობისი, რეგბისი, გახარებისი. შენ ნუ
დალლევ ჩვენ სახლში, მაუმატე ბებერათ მამჭრელს, ბებერათ გამქეთებელს,
ბებერათ მამყვანს, ბებერათ გადამჯდომს. პურისა, წულსა, სუყველის მაუმატე“.

ამ ღამეს მთიულეთში საქონელს მაგრად დაბამდნენ, რომ არ აშვებულიყო, რადგანაც მომავალ წელს, ხალხის რწმენით, საქონელი გადაიჩებოდა
ან მგელი ჭეშამდა. ხევში ბავშვებმა ქანაობა (ციგაობა) იცოდნენ. ამავე ღა-
მეს ფშავ-ხევსურეთში, ხოლო გამთენისას მთიულეთ-გუდამაყარში, ყველა
ოჯახიდან ხატში მიდიოდა მექვლე. ფშავში თითო ქადა, საწირავი და სანთე-
ლი მიპქონდათ. ზოგ ხატში, მაგ. კოპალაში, წინასწარ ლიტანია ღამისთვის
(ახალწლის წინა ღამე) ორჩეულ საკლავს მიიღვანდნენ. ხევსურეთში არაყი
და იმდენი წულის სანთელი მიპქონდათ, რამდენიც ოჯახს მამაკაცი
ჰყავდა. მთიულეთში — წულის და კომლის სანთელი; გუდამაყარში სამი ად-
ლი სანთელი და თაფლი. აქვე ზოგან ღამით მიდიოდნენ და მოელ ღამეს იქ
ათენებდნენ. მიპქონდათ ხატშიანი ქადა, მოსალოცავები, პური, ყველი, სას-
მელი, მიყავდათ საკლავი.

ხატში მისული მექვლე ხატს მიესალმებოდა და შიგნით შევიდოდა. მას
მიესალმებოდნენ. „მოხვედ მშვიდობითა, ბევრ ახალ წელსამც ილოცავ, ერთს
ამასა, ათი ათას სხვასა, პურიანს, წულიანს, სახელ-სარგებლიანს“ (ხევსურეთი).
მექვლები ღამეს ხატში ათენებდნენ.

ხევში, სოფ. გერგეტში, საღაც მთავარი სალოცავი წმ. სამებაა, ახალ-
წლის წინა ღამეს განსაკუთრებული წესები სრულდებოდა. წმ. სამებამ სოფ. გერგეტს ხევში განსაკუთრებული პრივილეგიები მიანიჭა. გერგეტელს ქალის
ოხვაზე ვერავინ ვერ. ეტყოდა უასრ. ყველა სუფრაზე გერგეტელი სასურ-
ველი სტუმარი იყო. ამ სოფლის გამორჩეულობა ახალწლის რიტუალშიც აი-
სახა. საღამოს წმ. სამების დეკანზი სოფ. გერგეტში, თავის ოჯახში გამოცხო-
ბილ ცხრეულებს (პურის ფქვილისგან გამომცხვარი პატარა თხელი
პური, ან როგორც ხევში ეძახიან, პეპლები) ამაღლებული აღგილიდან
გადაუყრიდა ხალხს და დალოცავდა. ცხრეულები ყველის თავიანთი ხარების-
თვის უნდა ეჭმია — ხვნაში მუხლი ექნებათო. გერგეტელი და სტეფანწმინდე-

ლი (ყაზბეგი) დეკანოზები წმ. სამებაში ათენებდნენ ღამეს. ვახშმისა და შეკვ-ლების ხატში გასტუმრების შემდეგ ყველან კარები იკეტებოდა და ზღურ-ბლზე გადაბიჯება შიგნიდან თუ გარედან იკრძალებოდა.

ყველა ცდილობდა ახალ წელს სუფთა, ახალი ტანსაცმლით შეხვედროდა. სუფთავებდნენ სახლს. ყველა განათხოვრებული ნივთის თუ საქონლის დაბ-რუნებას ცდილობდა, ახალ წელს მშვიდად და მხიარულად დახვედრას. გამ-თენისას ხატში ხუცესი კვალს დაიჭირდა, გარეთ გავიდოდა, შემოიტანდა თოვლს და ფეხზე მდგარ ჩეკვლებს გადააყრიდა, თან იტყოდა: „ესრ თეთრად აყვავდით! წელიმც კაისა გამოგეცვლებისთ, პურიან-წულიანი, სახელ-სარგებ-ლიანი, მშვიდობისა და კარგად ყოფისა!“ დარბაზში მყოფნი პასუხობდნენ: „აგემც შენ გამოგეცვლებას ბევრ ახალი წელი, მშვიდობისა, კარგა ყოფისა, პურიან-წულიანი“ (ხევსურეთი). ერთმანეთს არყით დალოცავდნენ. შემდეგ მზის ამოსვლისას ხუცესი გარეთ გავიდოდა, ზარს დარეკავდა. შიგნით მეტ-ლები ჩიგ-ჩიგობით წილის ყრის შემდეგ გარეთ გამოვიდოდნენ. ხუცესა გარეთ დადგმულ ლუდიან თასთან იხუცებდა და ყველა მეკვლეს ლუდს გა-ატანდა სახლში. ზოგან ხატიდან მეკვლებს ლუდთან ერთად მწვავდიც მოჰ-ჭონდათ. ფშავში ზოგან ახალწლის დილას მეკვლების მოყვანილ ჭედილას კლავდნენ, რის შემდეგაც გარეთ გასული ხევისბერი ზღურბლზე დადგებოდა და მეკვლეების მიწოდებულ გოგას 3-ჯერ შემოაგორებდა. დაჭრელებული მხრიდან დაცემა კარგის ნიშანი იყო, უკულმა კი ცუდისა. ხევისბერი მარჯვენა ფეხს გადააბიჯებდა ზღურბლს და იქ მყოფთ მიულოცავდა. გოგას ლუკმობით დაანაშილებდა, თაფლიან ჯამში ჩაყრიდა და ყველა მეკვლეს თითო ლუკმას დაურიგებდა. წილის ყრით ირჩევდნენ სამ მეკვლეს, რომლებიც თაფლიანი ჯამით და პურით მთელ სოფელს მიუკვლევდნენ და კვლავ ხატში ბრუნდე-ბოდნენ. ხევისბერი მაგ. კოპალაში, წყალზე წაყიდოდა მისაკვლევად. თან წაი-ღებდა პატარა პურს და ყველს და წყალში ჩაგდებდა. წამოიღებდა წყალს, რომელიც ა ი ა ზ მ ი ს სანაცვლო იყო. სანამ იქ მყოფი ხალხი მოხარშულ საკ-ლას შეეცეოდა, ხევისბერი მიცვალებულებს, განსაკუთრებით უპატრონო-ებს შენდობას ეტყოდა. ქეიფი ღამემდე გრძელდებოდა. ოჯახს მეზობელიც შეჰყავდა გარეშე მეკვლედ სახლში, მეტადრე პატარა — ანგელოზია.

როგორც აღინიშნა, მთიულეთში მეკვლე დილით მიდიოდა ხატში. მივი-დოდა, მიესალმებოდა, ილოცებდა, სანთელს დაანთებდა და უკან გამობრუნ-დებოდა. გუდამაყარში, იქ სადაც ღამეს ათენებდნენ, დეკანზი რომელიმე ახალგაზრდას აირჩევდა. ეს უკანასკნელი გარედან თოვლს შემოიტანდა, გა-დააყრიდა იქ მყოფთ და იტყოდა: ასე თეთრად დაბერდითო. თან დაუმატებ-

და: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი. ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა“. ხატში ახალ წელს ხატის მსახურები აუცილებლად უნდა განბანილიყვნენ მდი ნარეში.

მთელ საქართველოში სახლში შესვლისას შეკვლეული პირველად ზემოთ სსენებულ მილოცვის ფორმულას იტყოდნენ. ამის შემდეგ, თავის სიტყვებსაც დაუმატებდნენ. ზოგან თოვლის შეყრაც იცოდნენ, ზოგან თაფლიან პურს შეჭამდნენ. საერთოდ თაფლი საახალწ'ლო სუფრის განუყოფელი ნაწილია, ვინაიდან იგი მომავალი ტყბილი ცხოვრების სიმბოლოა. ხევსურეთში, სადაც მეკვლეს ხატიდან ლუდი მოჰქონდა, სახლში შესვლისას მთელ ოჯახს და საოჯახო ნივთებს მოასხურებდა, თან იტყოდა: „აგრემც ახყვავდებით, აგრემც ახუვდებით“. შემდეგ იგი მიღიოდა ცეცხლთან, შეუჩიჩინებდა ჭოხს და რამდენი ნაპერწყალიც გავარდებოდა, იტყოდა: „ამდენი საქონელი, ამდენი ქალი, ამდენი ქაცი“.

მთიულეთში შინაური მეკვლის მოსვლის შემდეგ ოჯახის ყველა წევრს უნდა შემოეტანა გარედან თოვლი და ისევე მოქცეულიყო, როგორც მეკვლე. მეკვლე კაცთ პურს სახლის ერთ ნაწილში დაყრილ ხორბალს სამჯერ შემოავლებდა. თუ დაჭრელებული ზედაპირით ზემოთ დაეცემოდა კარგ ნიშნადი ითვლებოდა, თუ არა პირიქით. ამ ხორბლიდან სამ მარცვალს იღებდნენ და სათესლე გოდორში ჩაყრიდნენ. გარეთ გასულს ზოგან პირველად ფრინველა უნდა დაენახა ადამიანის ნაცვლად, რომ ავადმყოფობა არ შეყრილა (გვდამაყრი), ზოგან ხშირი ტყისკენ უნდა გაეხედა (ქართლი), რომ უხვი მოსავალა მოსულიყო.

შინაური მეკვლის შემდეგ ოჯახს გარეშე მეკვლე მოჰყავდა, რომელიც იგივე წესებს ასრულებდა. გარეშე მეკვლესთან წინასწარ იყვნენ შეთანხმებულები. მივიღოდნენ მასთან სახლში, კენჭს ესროლნენ მის კარებს ან დაუკავუნებდნენ, დაძახება არ შეიძლებოდა. ზოგან ამბობდნენ: ახალ წელს თუ დაიძახე, მთელი წელიწადი ბორილა იბლავლებსო. მეკვლეს შეეძლო რაიმე განსაკუთრებული, მაგ. სიტყბო მოეტანა სახლიდან. მას კარგი „კვალი“ უნდა ჰქონოდა, სასურველი იყო წესიერი, მდიდარი, სახელოვანი კაცი ყოფილიყო. ზოგან ბავშვს შეატანინებდნენ კვალს. ოჯახში მეკვლის მისვლის შემდეგ „დაჭრილი კვალი“ იხსნებოდა და შესაძლებელი ხდებოდა თავისუფალი მიმოსვლა.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მეკვლეს უფრო მრავალფეროვანი რიცტუალის ჩატარება უხდებოდა. აქ მეკვლე ხატში არ გადიოდა. დილით საკვლეველს, აბრამიანს ანთებულ სანთლებს მიაკრავდა, აიღებდა და გარეთ გა-

კოდოდა. ზოგჯერ საკვლეველს ორი კაცი აიღებდა ხელში (კახეთი). ერთი იტ-ყოდა: „წავიდა ძველი წელი“. მეორე — „მოვიდა ახალი წელი“. ამ ღრის თოფებს ისროდნენ, თან ამბობდნენ: „ცუდი წელი წავიდეს, ახალი წელი მოვიდეს“. თოფების სროლით ავი სულების განდევნას ცდილობდნენ. მექვლე მოივლიდა ყველა სპეციალურნეო ნაგებობას და ყველას და ყველაფერს მიუკვლევდა. ზოგი ხარს ზურგზე კვერცხს გადაატარებდა: ასე გაჭედილი, ასე სავსე იყავიო. მთიულეთში წყლიდან მოტანილ ყინულს წაუსვამდნენ და ეტყოდნენ: ყინვა-სეტყვისგან ნურაფერი გვევნება, მრავალ ახალწელს დასწარიო ქართლში კვერცხებს ბოსელში შეაგორებდნენ. საქონელს წელზე გადაუსვამდნენ ხელს და ეტყოდნენ: ასე მთლიანად დაესწარ მრავალ ახალ წელს. ყველას ჩამოუვლიდნენ და ბოლოს კვერცხებს იქვე, მთელი ღამის განმავლობაში ღანთებულ ცეცხლში წვავდნენ და ჰამდნენ. ქალი საქამეში შევიდოდა, შინაურ ფრინველს წყალს დაუსხამდა და ბლომად საკენს დაუყრიდა, თან ეტყოდა: დამეზარდოს ამდენი ქათამი, იხვი, ბატი და სხვა.

თუშეთში დიასახლისი ფახს რომ სუფრას გაუშლიდა, წავიდოდა ბოსელში, თან „წყაროს კვერს“, პატარა ჭურჭლით უმძრას წყალს, წყაროდან მოტანილ ქვიშას, ცხვრის კურკლს და ძროხის ნაკელს წაიღებდა. ბოსელში კვერს შეაგორებდა, საქონელს ხმადაბლა მიულოცავდა, ქვიშას, კურკლს და ნაკელს შიგნით შეყრიდა, საქონელს უმძრას წყალს გადაპკურებდა, კვერს გადამტკრევდა, ხარებს და ფურებს შეაჭმევდა.

აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მექვლე შევიდოდა ვენახში და წითლად შელებილ კვერცხებს შეიტანდა. ვაზს თავის ბედისკვერს გადაატეხავდა, მიულოცავდა და მის ძირში მამალს დაკლავდა. ქართლში მექვლე სამ ძირ ვაზს გასხლავდა და როცა მამალს დაკლავდა, იტყოდა: ბევრი ღვინო მოგვივაო. მამალს სახლში მოხარშავდნენ და შეექცეოდნენ. მექვლე სადაც კი შევიდოდა, ყველგან ზემოთ ხსენებულ სიტყვებს ამბობდა. სახლს სამჯერ შემოუვლიდა, საკვლევს კარებზე სამჯერ დაარტყამდა და იტყოდა:

— გამიღეთ კარი!

— რა მოგაქვს? — ჰეითხავდნენ შიგნიდან.

— ორმოდან პური, ქვევრის ღვინო, სიმრთელე და კარგად ყოფნა.

გაულებდნენ კარებს და იმავე ტრადიციულ მისალოცს გაიმეორებდა.

აღსანიშავია, რომ კახეთში ქათმის მექვლე და გარეშე მექვლე, რომელიც 1 იანვარს მოდიოდა, ერთიანი იგივე პიროვნება იყო. გარეშე მექვლე რომ შემოვიდოდა, ხორბალს ან სიმინდს, გადაუყრიდნენ და იტყოდნენ: ბევრი მაძარი კრუხ-წიწილა გვეყოლებათ. არ შეიძლებოდა მექვლე კოჭლი, ხეიბარი ყო-



ფილიკ — წიწილებიც ისეთები გამოვლენო. მიაჩნდათ, რომ ქათების გაძრავლებისთვის სიმინდისა და ხორბლის გადაყრა კარგი იყო, მეკვლისთვის კი ზიანის მომტანი, ციებ-ცხელებაც იცისო. კრუხი საბუღარში რომ ჩამჭდარიყო, მეკვლეს ფეხმორთხულს დასვამდნენ, გარშემო ხორბალს და სიმინდს შემოუყრიდნენ. ზოგჯერ ბავშვს დაისვამდნენ ფეხთით და ცერზე ხორბალს დააყრიდნენ — ბევრი წიწილა გვეყოლებაო. კახეთში მღვდელი ახალ წლის ღმეს ყველა ოჯახს ჩამოუვლიდა და აკურთხებდა.

ამ დღეს ინგილო მეკვლის მიერ ჩატარებული რიტუალები ძალზე პგავა აღმოსავლეთ საქართველოში დამოწმებულ წესებს. მაგრამ მცირეოდენი განსხვავების გამო, მოვიტან ინგილოურ ვარიანტს.

დღით ადრე, ოჯახის უფროსი საეკნიანი აბგით და ჩაფით მიღიოდა წყალზე, ხელ-პირს იბანდა, ღმერთს ახსენებდა, ღოქს აავსებდა, აბგის საკენკიან მხარეს წყალში ამოავლებდა, ცარიელში თხილის ყვავილიან ტოტებს ჩააწყობდა და სახლში ბრუნვებოდა. კარებთან იმართებოდა ზემოთ ხსენებული სახის დიალოგი, რის შემდეგაც შედიოდა შინ. თხილის ტოტებს თხილისა და ხორბლის შესანახ ყუთზე დებდა, საკენქს გადააბნევდა და რამდენჯერმე იტყოდა: „ღმერთო, ქურმუხის საყდარო, ნუ მოგვაჭლებ პურსა და სარჩო-საბადაბებლს“. შემდევ მთელი ოჯახი კერას შემოუსხდებოდა. ოჯახის უფროსი სხვენზე წინა დღით შემოწყობილ ლარტახებს (კაკლის ტოტები) ჩამოიღებდა და ყველას დაურიგებდა. ჯერ თვითონ, ხოლო შემდევ დანარჩენები. კერას „შეუტყლაშუნებდნენ“. კაკლის კანი დასკლებოდა და ტკაცაზე ოჯახის უფროსი იტყოდა: „ღმერთო გაგვამრავლე, ყველასუფრით გაგვაბედნიერე“. 1 ან 2 ლარტახს კვლავ სხვენში ინახვდა. გამზადებულ ხონჩას, ოჯახის უფროსთან ერთად, ოჯახის წევრები წაიღებდნენ ვენახში ვაზის მისაკვლევად. ერთ ყველაზე კარგ ვაზთან დადგებოდნენ. ოჯახის უფროსი გასხლავდა, ააგებდა, ჭიავოების ჩარჭობის ღროს ნააღვს ღვინით მოალბობდა და ვაზის ძირში წითელ მამალს დაპკლავდა, წითელ ფრთებს მოაგლეჭდა და ბამბის ძაფით ჭიგოზე და ვაზზე მიაკრავდა, თან ილოცებდა. თითო ლუკმა პურს თაფლში და ერბოში ამოაწობდნენ და შეჭამდნენ, თითო ჭიქა ღვინოს დალევდნენ და სახლში დაბრუნდებოდნენ. უკალევდნენ ბოსელს. საქონლისთვის გამომცხვარ კვერს ჩეებზე გადატეხავდნენ და შეაჭმევდნენ. სახლში მობრუნებულები თავიანთ ბედისკვერს ჭამდნენ და ელოდნენ გარეშე მეკვლეს.

მეკვლის მისვლის შემდევ, ოჯახის ერთ-ერთი წევრი უმძრახად წყალზე მიღიოდა და მიჰქონდა ნიჭი (ხევსურეთი), ნაყრი (ფშვი), წყლის კვერი (მთიულეთი, თუშეთი), წყალთკვერი (გუდამაყარი), ნაკმაზა

(ქართლი). ზოგი ზემოდან ყველს, ერბოს, ნახშირს, ჩალს, მატყლს დაადებდა, ან მხოლოდ ცარიელ პურს ჩააგდებდა. თუშეთში კვერს წყალთან გააგორებდნენ და წყალს იღბალს მოსთხოვდნენ. წალმა დაცემული კვერი იმ წელს ოჯახს იღბალს უქადდა. პურის პატარა ყუას, ყველს, მატყლს წყალში ჩაგდებდნენ, 3-ჯერ წყალს ამოიღებდნენ და დაღვრიდნენ, თან ამბობდნენ: „ჩვენ ყანა მაძღარი-დ დიდოს ყანა დამპალი“. ბოლოს აავსებდნენ თუნგს, წყაროს პირიდან 3 ქიტ ჭვიშას აიღებდნენ, იქვე მოძებნილ ცხერის კურკლებს და ძროხის ნაკელის გამხმარ კოთხალს სახლში წამოიღებდნენ. ცდილობდნენ გზაში არავინ შეხვედროდათ. თუ ვინმე შეხვედროდათ, ცდილობდნენ მისთვის უმძრავად სათავე მხარეზე გადაევლოთ. ბედ-იღბალი სათავე მხარეზე გადამსვლელისაა. ოჯახშიც შეაგორებდნენ კვერს, ოჯახს მიულოცავდნენ და მიტანილ წყალს კერის გარშემო მიაჰყურებდნენ. საჭმლის დასამზაღებლად ამ წყალს ხმარობდნენ და ბავშვებს პირს ამ წყლით დააბანინებდნენ.

მესხეთში ახალ წელს ოჯახიდან ღილით ადრე კაცი ბეღლიდან ამოიღებდა ხორბალს, ვეღროში ჩაჰყრიდა, წყალზე გაიტანდა და იტყოდა: „წყალო და წყლის დედაო, ბრძენმა შემოგითვალიო, როგორც შენ ხარ ულეველი, ისე ჩვენი ოჯახი იყოს ულეველი“. ნახევარ ხორბალს წყალში ჩაჰყრიდა, მეორე ნახევარს წყალს დაასხამდა და სახლში წამოიღებდა; შემდეგ წყალს გადაწურავდა და ხორბალს ბეღლიში დაჰყრიდა — „ეს ბრძენმა გამოგიგზავნაო“. მდინარის ნაარის სხვებზე ადრე ხორბლის მობნევა კარგ ნიშნალ ითვლებოდა. ყველაფერი ეს უბრად უნდა გაეკეთებინა, ისე რომ ოჯახის წევრებსაც არ გაეგოთ.

ქართლში დიასახლისი სიმინდს ან ქერს ხელსახლცში გაახვევდა და წყალში ჩაგდებდა, თან იტყოდა: „წყალო ეს, ნაემაზი შენა და წრეულს ბევრი წვრილფეხი დამეზარდოს“. ზოგი წყალთან ქვაზე დალებდა კვერს, ზოგიც წყალში ჩაგდებდა და იტყოდა: „წყალო ნიჭი მოგიტანე, ბედი გამამაყოლეო“, ან „წყალო მომილოცნა, ახალწლის კვერი მომიტანია. ჩემიანს ყველის ერიდე, არც არაი ვინმე ჩახერჩის, არც ძროხა. წელს ამას დასჭერდი“. ხევსურეთში ცდილობდნენ წყალთან ერთად მთის ბროლიც მოეტანათ, რომელსაც ძროხებთან ყორეში ამაგრებდნენ, იმ მიზნით, რომ საქონელს თეთრი ხბო მოევო.

ხევში, გუდამაყარში ახალ წელს ახალგაზრდები ქანაობდნენ (ციგაობდნენ). განსაუთრებით სასარგებლოდ ითვლებოდა ქალებისთვის — წელი გაუმაგრდებათო. ხევში ახალ წელს, სოფ. გერგეტისა და სოფ. კარკუჩის გარდა, ყველგან იკვლებოდა ღორი. საქლავს ტუჩს აჭრიდნენ და სახლის კარგზე

ამაგრებდნენ ეშმაკის საწინააღმდეგოდ. საახალწლო სუფრაზე ღორის ხორცა აუცილებლად უნდა ყოფილიყო.

ოჯახში რიტუალის მომთავრების შემდეგ, მთიელი მამაკაცები ხატს უბრუნდებოდნენ და ილხენდნენ.

ახალ წელს ხევსურეთში (ერწო-თიანეთშიც) „დარბევა“ იცოდნენ. ხუცესი აირჩევდა დასტურებს და სოფელში „საქურდლად“ გააგზავნიდა. მოიპარავდნენ ხორცს, არაყს, ქადას, თხილ-კავალს და სხვა. წალებულ ნაღავლზე მეორე დღეს ოჯახის პატრონს მიიწვევდნენ, ვინაიდან მან ქურდების დაჭერა ვერ შეძლო, ვალდებული იყო ხატში ჯარიმა, არაყი და ლუდი მიეტანა. თუ პატრონი ქურდებს დაიჭერდა, მათ არაყით დაათრობდა და თოკით დააბამდა, თან ხუცესს შეუთვლიდა: სახსარი (გამოსასყიდი) მოიტანეო. მეორე დღეს ხატიდან გამოგზავნილი დასტურები არყით და ლუდით თავიანთ ამხანავებს გამოიხსნდნენ.

ახალ წელს, დილით, არხოტიდამ საკლავების გატაცება სცოლნიათ. შუა დღეს ხალხი და ხატიონი შეებრძოლებოდა ერთმანეთს. ხალხს „შურისძიების“ სურვილი ჰქონდა. თოფებით, ხმლებით „იბრძოდნენ“. ამდენი თოფიც გავარდებოდა, იმდენი დავარდებოდა, ვითომ დაიჭრა. ხუცესი ყველას არყით „მოარჩენდა“. შემდეგ იტაცებდნენ ხატის დიასახლისს. შესვამდნენ მარხილზე და გაიქცეოდნენ. დანარჩენები დაედევნებოდნენ. იმართებოდა ხელ-ჩართული ძბრალა და ქალიც გამარჯვებულის იყო.

გუდამაყაჩში, ზოგან ახალ წელს ოჯახიდან ხატში მივიდოდნენ, მიეპარებოდნენ დეკანზეს, თოვლში ჩააგდებოდნენ. შემდეგ ხელის კვრით სახლამდე მიიყვანდნენ. თოვლში ამოგანგლულები მივიდოდნენ ოჯახში და ყველას დალოცავდნინ.

ხევში, გათენებისას გერგეტელი და სტეფანწმინდელი (ყაზბეგი) დეკანზები შპ. სამებიდან დროშებით ჩამოვიდოდნენ სოფელში, „ნაბულთ ბანზე“ (სოფ. გრგეტი) დადგებოდნენ და პირველად ახალ წელს გერგეტელებს მიულოცავდნენ. თავშეუყრილ ხალხს დეკანზები ამწყალობებდნენ. ყოველი დამწყალობების შემდეგ ხალხი ამბობდა: ამენ შეს მაღლას!

როდესაც კარგად ინათებდა, დეკანზებთან მოვიდოდნენ მიცვალებულთა პატრონები ხილი იანით (ხილი და ტქბილებული) და კუტაბით (ერბოში მომწვარი გულიანი კვერებით). დეკანზი იღებდა ამ საწირს, მიცვალებულა შენდობას ერყოდა. შემდეგ ბავშვებს ბანიდან ხილიანთს და კუტაბებს გაღმურიდნენ.

მზის ამოსვლის შემდეგ დეკანზები ხატებით ბანიდან ჩამოვიდოდნენ და დიდების სიმღერით ყაზბეგისკენ გაემართებოდნენ. ყაზბეგთან მათ მუხლის მოყრით მხოლოდ ხეთაგურები ხვდებოდნენ. ყველა ხეთაგეთა უბანში გაე-

მართებოდა, სადაც წმ. სამების ნიში იყო და ხატებს დაასვენებდნენ; მაგრა მიზანში თაროზე გაშლიდნენ ვახტანგ VI-ის მიერ იქსე ხეთაგურისადმი ბოძებულ სი-გელს და ღვეკანოზები ხეთაგურების მილოცვას და დამწყალობნებს იწყებდნენ. დამწყალობნებისას ღვეკანოზები იგონებდნენ, რომ ვახტანგ VI-მ ისეს ჯილდოდ სოფლები: სიონი, გარბანი, თოთი მისცა. იასეს უარი უთქვამს და უთხოვია: ახალ წელს გერგეტელებმა წმ. ნინოს ჭვარი პირველად ჩემ კარზე მოასვენენ და ახალი წელი ისე მომილოცონი. დასასრულს ღვეკანოზი ნიშ-თინ კლავდა ხეთაგურების საღმთო ცხვარს. შემდეგ საკვლევარით ხელში, ღვეკანოზი ხეთაგურების ოჯახებს დაივლიდა. ჯერ უხუცესთან შევიდოდა და იტყოდა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი. ფეხი ჩემი კოლი წმ. სამე-ბისა“. შემდეგ მივიდოდა ოჯახის კერასთან და საკვლევარს სამჯერ მოაბრუ-ნებდა. ოჯახი მეკვლეს უმასპინძლდებოდა. ღვეკანოზი საკვლეებს ბოლო ოჯახ-ში ტოვებდა. საღამოს ღვეკანოზები წმ. სამების ხატს, დროშებს ისევ გერგეტ-ში წაიღებდნენ, კვლავ დამწყალობნებდნენ ხალხს და ისევ წმ. სამებაში აი-ტანდნენ. ვიდრე ხატები სამებაში არ იყო დაბრუნებული, მანამ სოფელში უცხო პირის შესვლა-გასვლა აქრძალული იყო. როდესაც ხატების აბრძანებას დააპირებდნენ, ორ ახალგაზრდის თითო დროშას მისცემდნენ და აჯიბრებდნენ, ვინ პირველი აიტანდა წმ. სამებაში.

თუშეთში 1 იანვრის ღამეს თასებ ჩამოის ღამეს ეძახდნენ. საჯა-რეში შეკრებილი მთელი გვარი ხატიდან დროშასთან ერთად თასების ჩამო-ტანას ელოდა. იმართებოდა ლხინი.

ვინაიდან ახალი წელი ბედობის დღეა, ხალხის ყოფაში მრავალი აკრ-ძალვა არსებობდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ახალწლის პირველ დღეს იყრძალებოდა: ცეცხლისთვის სულის შებერვა — მუცლის ბერვა იცის; გაღაფუროთხება — ხველანი, ხანტიანი ვიქწებითო (ქართლი); თმის დავარცხნა — თხელი ყანა მოგვივა; ჯარას და თოთისტარს დამალავდნენ — ვინც ნახავს იმას ახალ წე-ლიწადს თავბრუსხვევები ექნება; ტილს არ მოჰკლავდნენ — წიწილზე ფეხი მოგვიხვდება და გავვეჭყლიტება. არ დაიძახებდნენ — წიწილს წივილი ეცოდინებათ ან ბორილა იბრავლებსო ან კეთილი ანგელოზები დაფრთხებია-ნო (ხევი).

სახლს არ დაგვიდნენ — ქარი წაიღებს პურის ნათესებსო;

ძველი ხაში ახალწლის დადგომამდე უნდა ეხმარათ: ახალ წელს კი ახალი უნდა გაეკეთებინათ. ამაზე ამბობდნენ: სატყივარი რამე რომ მოდის ოჯახში, იტყვის: — „არა, აქ რა გვინდა, ხაში არის გაახლებული“. თხილ-კაკალს არ



დამტკრევლენ — ჭურჭლის მტკრევა იცისო. წყალს არ დაღვრილენ — ჭურჭლის მტკრევა იცისო (გუდამაყარი) ან რძის დაღვრა დაგვებედებათ (ხევი). შეშას არ გაჩეხავლენ — გუთანი და ცული ან ჭურჭლი გატყდებათ. სახლიდან არაფრის გატანა არ შეიძლებოდა — ბარაქა გამოილევათ და სხვა.

ახალწლის მეორე დღეს ეწოდებოდა ქათმის მეკვლეობა (ქართლი, ერწო-თიანეთი), კუ მე ტი (ფშავე, ხევსურეთი, მთიულეთი, გუდამაყარი, ერწო-თიანეთი) და კუ ბა ტი (თუშეთი).

ქართლში და ერწო-თიანეთში 2 (15) იანვარს ოჯახში შედიოდა წინასწარ არჩეული მეკვლე — ქათმის მეკვლე. სრულდებოდა ისეთივე რიტუალები, როგორიც კახეთში 1 (14) იანვარს.

მთიულეთთან მომიჯნავე ქართლის სოფლებში, ღილაალრიან დიასახლისი ქათმის ბედისპურს და ცოტა ნაკმაზს წყალზე წაიღებდა. სასურველი იყო იგი არავის დაენახა. დაასახლისი ბედისპურს წყალს მოატარებდა, მის ხმას მოასმენინებდა. ნაკმაზს წყალში ჩაყრიდა, რათა მომავალ წელს ოჯახში ქათმის სიმრავლე ჰქონდა. წყალს სახლში წამოილებდა, ქათმებს ბედისპურებს შეაჭმევდა და ეცდებოდა, რაც შეიძლება კარგად დაეპურებინა. ამ სოფლებში ქათმის მეკვლეობას კუ მე ტი საც ეძახდნენ.

კუ მე ტი ბა ას ფშავში, ხევსურეთში, ერწო-თიანეთში უქმობდნენ. მარხულობდნენ საქონლის ბედობაზე, ოუმცა საკვლესიო წესების მიხედვით შობიდან წყალკურთხევის წინა დღემდე მსგებსია. ამ დღეს განსაკუთრებით ცხენის პატრონი არ ჭამდა ხორცს. ცხენის პატრონად ითვლებოდა ის, ვისაც ძალიან კარგი ცხენი ჰყავდა, რომელიც დოლში წინ მიღიოდა. მარხევის გარდა ამ დღეს საკლავით ცხენის განათვლა იცოდნენ, რომ ცხენს და პატრონს არაფრი დაშავებოდათ (ბუღე ხევსურეთი). სოფელში აღულებლენ ფაფას და ერთმანეთს ეპატიუებოდნენ.

ხევსურეთში, არხოტის თემში, ახალგაზრდები თანატოლს თავიდან ფეხებამდე ჩალას შემოაწევედნენ, გამოაბამდნენ კუდს, ჩქებიან თხის ნიღბას ჩამოაცმევდნენ, მოაბამდნენ თოქს და ხატში წაიყვანდნენ. ერთი, პატრონად ჰყავდა მიჩნილი, რომელიც ნიღბოსანს ოხუნჯობას, ხტუნვა-თამაშს იძულებდა. ზოგან კუმეტს იცოდნენ „ჭურდობა“. კუმეტი ხალხში საფრთხილო დღედ ითვლებოდა: ამ დღეს ბევრი ხიფათი მამხდარაო.

მთიულეთ-გუდამაყარში კუ მე ტ ლ ა მ ე ს, როგორც ახალწლის ღამეს, სხვასთან დარჩენა არ შეიძლებოდა. ახალ წელს გარეთ გატანილ ნაკელს ერთად აგროვებდნენ და მაგრად სტეპნიდნენ, რადგანაც ამ ღამეს კუმეტებს რომ ჩამოივლიან თუ გადაშლილი ნაკელი ნახეს, ოჯახს დასწეულიანო. გუ-

დამაყარში, ზოგან ბავშვებს ახლებში გამოაწყობდნენ და ეტყოდნენ: „კურტისტის ჩამაივლის და იმაზე დეერიგებითო“, ე. ი. კუმეტს უნდა შეხვედროდნენ. ეს დღე უქმე იყო.

თუშეთშიც ეს დღე (ცუ ბატი) უქმე იყო. რა დღეც დაემთხვეოდა, ამ დღეს მთელი წლის განმავლობაში ახალ საქმეს არ დაიწყებდნენ — წელიწადის კუბატი წლამდის გასდევსო.

ახალწლის მესამე დღეს ფშავ-ხევსურეთში წინა შუადღეს ეძახდნენ. ამ დღეს კვლავ გრძელდებოდა ლხინი. არხოოტის თემში წინა შუადღეს: „ქურდობა“ და ხატის ღიასახლისის „მოტაცება“ იცოდნენ.

ფშავ-ხევსურეთში 4 (17) იანვარს უკანა შუადღე ეწოდებოდა. არც ამ დღეს არ სრულდებოდა რამე განსაკუთრებული წესი; იცოდნენ ლხინი.

თუშეთში ამ დღეს კვლავ სოფლის ჭარი ისხდა, სადაც მხოლოდ მიცვალებულებს მოიხსენიებდნენ.

ნათლისღება

შემდეგი დიდი დღესასწაული დღეობათა კალენდარში არის ნათლისღება, რომელსაც წინ უსწრებს ნათლისღების მარხვა და უქმი. საეკლესიო კალენდრით 5 (18) იანვარი 33-ე შვიდეულია სულიწმიდის გარდამოსვლიდან. ნათლისღების წინა დღე მძიმე მარხვაა. არის დიდი უამნობა, წყლის კურთხევა რაჭაში — 5 (18) იანვარი ნათლისღების მარხვა და უქმია. ამ დღეს ყველა ცდილობდა მარხვაში სახსნილო არ „შერეულიყო“. ლოცვა ან განატეხის გამოცხობა არ იცოდნენ.

ლეჩენებშიც — ნაახალწლევის მეხუთე დღე ნათლიღების მარხვა და უქმია. ამ დღეს წირვაზე მიღიოდნენ და მიპერნდათ „ჭინჭში“ გამოხვეული ყოველგვარი თესლეული. თესლს წირვას „მოაყურებინებდნენ“ და ნაკურთხ თესლს შეინახავდნენ. ნაკურთხ წყალს ბოთლით წამოიღებდნენ. აიზმით მოცომვდნენ ნაცარ წმენდილს და კვერებად დააცხობდნენ. კვერებს ინახავდნენ. თესვის დრო როცა მოვიდოდა, ახალ „ფეხასულ“ თესლში აურევდნენ ნაკურთხ თესლს, ნაცარწმენდილს და შეულოცავდნენ: „ლმერთო! დაგვიცავი ჩეენ მრავალი თავვისაგან, მჭრელისაგან, კოხისაგან“. ამ დღეს კომბოსტოს ჭამა აკრძალული იყო. ამას ხსნიდნენ იმით, თითქოს ქრისტე მის ფოთლებში იმაღლებოდა.

სვანეთში ახალი წლის მეხუთე დღეს აღგომ (აღგომა) ეწოდებოდა. დიდი მარხვა და უქმე იყო. ზემო სვანეთში ეს დღე ლიფანალის (მიცვალებულთა სულების სტუმრად წვევის) პირველ დღედ ითვლებოდა. ლიფანა-

ლი მიცვალებულთა მოსაგონარი დღეობაა, რომელიც 5 იანვრიდან პირველა კვირის ორშაბათობდე სრულდებოდა. ამ დროს ხდებოდა მიცვალებულთა სულების დალოცვა და მათი გაცილება ეზოს გარეთ.

სამეცნიეროში ახალი წლის მეხუთე დღეს წინა დღეს უწინდებნ. მძიმე მარტვილი იყო. აკრძალული იყო კომბოსტოს და თალგამურას ჭამა, იმ მოტივით, რომ მის ფოთლებში თითქოს ქრისტე იმაღლებოდა.

იმერეთში, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებში ეს დღე მძიმე მარტვად და უქმედ ითვლებოდა.

გურიაში ნათლილების წინა დღეს ყოველი ოჯახი გათხოვილ ქალიშვილი უგზავნიდა თავის აჩჩიეს (სახალწლოს).

6 (19) იანვარი საეკლესიო კალენდრის მიხედვით არის განცხადება, ნათლისლება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

რაჭაში ნათლისლება დღეს ოჯახის უფროსი კაცი „ჩიტის აზვრამდე“, აღგებოდა. იღებდა ამ დღისათვის შენახულ საკალანდო ღორის თავს, გაწმენდ და და ჩადგამდა ქვაბში მოსახარშავად. ღიასახლისი აცხობდა ერთ ქონიან განატეხს, უფროსი კაცი ჩაწყობდა ღორის თავს, განატეხს, კანაფს და ხარის გვერდის ძვალს გობში, თან წაიღებდა ცარიელ ღოქს და წავიდოდა მარანში; დაგოზილ ღვინიან ქვევრს მოხდიდა, გობს ჭურის თავზე წაღმა შეატრიალებდა და და შეიტოვავდა: „ღმერთო! მიეცი სიწმინდე, ბარაქა ჩვენ ჭრს“. იქვე მოთლიდა ორჯერ ღორის თავს და განატეხს და შეჭამდა; ჭურის თავზე ღვინოსაც დალევდა, კანაფს რამდენჯერმე წაუსვამდა ხარის გვერდს და იტყოდა: „ასე გასწმინდე ჩვენი ჭურ-მარანი ყოველგვარი უწმინდურობისაგან“, მერე ღოქს ღვინით გაავსებდა და შინ შემოიტანდა. ეს უნდა დასრულებულიყო მზის ამოსვლამდე, შემდეგ წირვაზე მიღიოდნენ და ნაკურთხი წყალი მოჰკონდათ. ამ დღეს მღვდელი ჭვარს წყალში ჩააგდებდა და წყალს აკურთხებდა.

ლეჩესუმში ნათლილებაზე უფროსი კაცი „ჩიტის აზვრამდე“ სხვენზე დაკიდებულ ღორის თავს ჩამოილებდა. კერიას მარჯვნიდან ღორის ღიზგით „დოუჩაჩენებდა“, გაასუფთავებდა და მოსახარშალ ჩადგამდა, ქალი გამოაცხობდა და 3 ჯვარსახიან ღორისქონიან ტაბლას. ამას ეძახდნენ ცეროიანს. ღორის თავს, გობზე გადგებულ 3 ტაბლას, კეცზე სანთლით მოკმედულ ნაკვერცხალს, ჭიქას და ღოქს უფროსი კაცი გაიტანდა მარანში დაგოზილ ჭურთან და იქ დაილოცებოდა, ყველაფერი ეს მზის ამოსვლამდე ხდებოდა. ისაუზმებდნენ და შემდეგ ცელესიაში წავიდოდნენ. ღიასახლის სახლში ჩეხებოდა და სულის პურებს აცხობდა. ნათლილებიდან დაწყებული მომავალ ხუთშაბათამდე მიცვალებულს სუფრას დაუდგამდნენ დღეში თითოეულ სადილობის ღროს (თუ ნათლილება დამტხვეოდა ხუთშაბათს, მაშინ ამ დღიდან დაწყებული სულის დღე გრძელდებოდა მომავალ ხუთშაბათამდე). იცოდნენ ოგრას (კერძი)

გაეთხობა მიცვალებულებისათვის. სულის გადაბრძანება ნათლისლების მომდევნო ხუთშაბათს იყო. ამ დღისათვის საკალანდო ლორსის ჭილვი და სამი გვერდი უნდა შეენახათ; სულის პურებს გამოაცხობდნენ და სუფრას დადგმილნენ მხოლოდ ვახშმისათვის. დიასახლისი ამ დღეს ვერც შეკერავდა, ვერც მოქსოვდა. სუფრაზე უნდა ყოფილიყო 3 ყველიანი ან ლობიანი ტაბლა, 3 სულის პური, ლორის ჭილვი და 3 გვერდი, ლვინო და 1 ჩხირი სანთელა. უფროსი ქალი სამჯერ „შაუსხამდა“ ლვინოს: „გამინათლე ჩემი მიცვალებულის სულიონ“. ამის შემდეგ, ოჯახის უფროსი კაცი აიღებდა 1 სულის პურს, შემწვარ სამ გვერდს, ჭიქით ლვინოს, 1 ჩხირ სანთელს და ეზოს კარებამდე „მიაცილებდა“ სულებს. ლვინოს გზადაგზა ასხამდა, პურს და ხორცს კი ჭიშკართან დატოვებდა. ქვემო სვანეთში იგივე რიტუალს ჭუნარეში ეწოდებოდა.

სვანეთში ახალი წლის მეექვსე დღეს განცხდა (განცხადება, წყალკურთხევა) ეწოდებოდა. ამ დღეს იცოდნენ დიდებული წირვალოცა. მდინარეში ან ლელეში მღვდელი ჩაგდებდა ჯვარს და იწყებოდა შეგიბრი, თუ ვინ ამოიღებდა მას. ამას „ტოლქს“ („ტორგს“) ეძახდნენ. ვინც იმ დღეს ამოიღებდა ჯვარს, ის იქნებოდა მათი რწმენით იქსო ქრისტეს ნაორია.

სამეგრელოში ამ დღეს წაკუთხია ეწოდებოდა. ამ დღეს იცოდნენ მდინარეზე წყლის კურთხევა, ჯვრის ამოღება თანხაზე, ახალწელს მოტანილი სუროს დაწვა ცეცხლში. ვინც წყალში ჩაგდებულ ჯვარს ამოიღებდა, იმაზე იტყოდნენ: „იქსო ქრისტეს მონათლულია წყლსაონ“. ნაკურთხი წყალი მოჰკონდათ სახლში და ინახავდნენ საჭიროებისთვის.

იმერეთში ნათლისლების დღეს ხალხი ეკლესიაში მიღიოდა, იქიდან კი ახლო მდებარე მდინარეზე. იქ მღვდელი ჩაუშვებდა ჯვარს წყალში, ვინც უფრო მამაცი იყო, სტაცებდა ხელს და ამოიღებდა ჯვარს. ყველა იქ მყოფი განათლული იყო, ნაკურთხი წყალი სახლში მოჰკონდათ.

გურიაში ნათლისლებას მდინარეზე წყლის კურთხევა იცოდნენ. წყალში ჩადებულ ჯვარს ამოიღებდა ის პირი, ვინც მეტ ფულს გადაიხდიდა. 6 იანვარს დილით ადრე, ოჯახის უფროსი მამაკაცი დგებოდა, ილოცებდა, შემდეგ სნიდა ჩიჩილაქს თავისი მოსართავებით და სამჯერ შემოატარებდა სახლში მარჯვნიდან მარცხნივ. შემდეგ გაპქონდა გარეთ მარანში (ლია მარანში), სადაც უმეტესწილად რცხილები იყო დარგული და ერთ-ერთ ხეზე დაპქიდებდა. ზოგი მთხოველის მიხედვით ნათლისლების დღეს სრულდებოდა აგუნას გადახანება. ნაკურთხ წყალს მკვდრის საკურთხზე მიასხურებდნენ.



თუშეთში ამ დღეს ქვლავ სოფლის ჯარი იყო, სადაც მხოლოდ მიტვალიშვილი ბულებს მოიხსენიებდნენ.

5 (18) იანვარს მოდიოდა წუნკალაობა (ქართლი, მთიულეთ-გუდამაყარი, ერწო-თიანეთი), გამცხადება (ფშავე-ხევსურეთი, თუშეთი) ამპარიობა (ხევი, გუდამაყარი) (შდრ. დასავლურ ქართულ ლამპრობას).

ამ დღეს მარხულობდნენ. ქართლში მას „მყრალს“ ეძახდნენ. ხალხის აზრით, ამ მარხვის გატეხას ჭობდა ძალის ხორცის ჭამა. იქ, სადაც ეს წესა ღასტურდება, ყველასათვის ცნობილია ხალხის მიერ გამოთქმული ასეთი ლექსი: „არ იშება წუნკალაო, როგორც ძალი უკანაო“; ან „ენკენია უკანაო, წყალკურთხევა წინა დღეო, იმის მეტად არ იშება, როგორც ძალი წუნკალაო“ (მთიულეთი). ეს დღე უქმე იყო.

ქართლში ამ დღეს ისეთივე წესები სრულდებოდა, როგორც წყალკურთხევას. გადიოდნენ წყლის დასაღვრელად, აკეთებდნენ მიცვალებულთათვის სუფრას.

მთიულეთში გავიდოდნენ წყალზე და ყცელაფერს მოამზადებდნენ მეორე დღისათვის.

როგორც ითქვა, ხევში, გუდამაყარში წუნკალაობის პარალელურად ამპარიობა იცოდნენ.

გუდამაყარში, იქ სადაც ზამთარში ნაკელს ყრიდნენ, დაანთებდნენ კოცონს, რომელსაც ამპარიას ეძახდნენ. ახალ წელს ბედისკვერებთან ერთად გამომცხვარ საცრის კვერს საცერში ჩადებდნენ, რომელსაც ბავშვი მოიკიდებდა ზურგზე და ამპარიას სამჯერ შემოუვლიდა. პერიოდულად ჩაიმუხლებდა და იძახდა: „მომეშველეთ, მომეშველეთ. კეთილმა წელი მომწყვიტა. საფუარი, ფუარიო, სახლი ბარაქიანი. ამ სიტყვების შემდეგ შევიდოდა სახლში და ვარცლზე დააგდებდა საცერს. საცრის პური ოჯახის ყველა წევრს უნდა ეჭამა. ამპარიას რომ შემოივლიდა, ბავშვი ხშირი ტყისკენ გაიხედავდა — ბარაქიანი მოსავალი იქნებაო. ბავშვები ცეცხლზე ხტებოდნენ. ზოგი მეკვლისთვის გამომცხვარ პურს დებდა საცერში. მსგავს წესს ქართლში და მთიულეთში წყალკურთხევას ასრულებდნენ.

ხევში ამპარიობა, ძირითადად, 5 (18) იანვარს იყო. ეს წესი იშვიათად იანგრის ბოლო დღეს სრულდებოდა. ასეთ შემთხვევებში, ამ რიტუალს იანვრის კუდის მოცვას მოწვევდნენ, რადგან ეს იყო ზამთრის დასასრულის და გაზაფხულის მოახლოების მაუწყებელი.

5 (18) იანვარს ამპარიობა მიცვალებულებს უკავშირდებოდა. ღამე, თითოეულ ჟმინში, ყველა გვარი ჩალას შეაგროვებდა. გვარის უხუცესი ჩალას

სამკერ შემოუვლიდა და დაილოცებოდა: „ღმერთო, ჩემი ხელი მშვიდობიანი იყოს მოსავლისათვის, პური მრავალი და მშვიდობა მოგვანიჭე“. ამის შემდეგ წაუკიდებდა ჩალას ცეცხლს. მანამ, სანამ ალი მალლა აზ ავარდებოდა, იქ მყოფნი ხელაპყრობილნი იდგნენ. ცეცხლი იმიტომაც ინთებოდა, რომ ხალხის რწმენით მიცვალებულები თბებოდნენ. ზოგჯერ ცეცხლთან მიცვალებულებსაც ეუბნებოდნენ შენდობას. ამპარია იღბლიან, ფეხედნიერ კაცს უნდა აენთო. კოცონზე აუცილებლად უნდა გადამხტარიყვნენ.

როგორც აღინიშნა ხევსურეთში ამ დღეს გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ს ეძახდნენ; იყო უქმე — იყრძალებოდა ხელსაქმის კეთება. ამ დღეს პირიქით ხევსურეთში ერთი კოდი ლუდი ცალკე იდგებოდა და ილოცებოდა ლაშარის ჯვრის ლაშარში დახოცილთათვის. ბუდე ხევსურეთში დასტურების ბანზე იკრიბებოდა მთელი სოფელი და ქეიფობდნენ, მიცვალებულებს შენდობას ეუბნებოდნენ, ახალგაზრდები საკუთარ ბედზე მკითხაობდნენ.

ბუდე ხევსურეთში განცხადება დღეს სრულდებოდა იგივე წესები, რაც არხოტის თემში კუმეტობას. მხოლოდ ბუდე ხევსურეთში ბერიყა ახალგაზრდების თანხლებით, მთელ სოფელს შემოივლიდა. იგი და მისი თანხლები ყველა ოჯახში შედიოდნენ და სანოვაგეს აგრივებდნენ. ბოლოს, ჯერ ჯვარის კართან, შემდეგ ვინდესთან ოჯახში მართავდნენ ლხინს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ს, ხევსური მამაკაცები სახლში შეიტანდნენ 2 „მყოვან“* ჯოხს. ვაჟები ამ ჯოხებს გადააჭდებოდნენ და ზედ თავიანთ ბედისკვერებს გატეხავდნენ და შემდეგ მათ კერის ცეცხლში ჩაყრიდნენ. სუფრასთან დამსხდარ ოჯახს დიასახლისი სამეცვლელს გაუნაწილებდა, ბედისკვერებს კასათითაოდ დაურიგებდა. ბედისკვერის შეჭმის წინ ყველა დაილოცებოდა.

თუშეთში ნათე და მაქალათე ები დო ხ ა ნ ი თ (ერთად მოხარშული ლობითოთ და ხორბლით) გაუმასპინძლდებოდნენ საგვარეულოს. ოჯახში უნდა გაშლილიყო „ქრისტის სუფრა“. უფროსები მარხულობდნენ. ახალგაზრდები შეგროვილი ერბოსა და კალტისაგან ხავიწს აკეთებდნენ და ჭამდნენ. ირჩევდნენ ახალ ნათეს. თუშეთში ამ დღეს იცოდნენ „ქურდობა“. „ქურდები“, ვინც ჯარში არ იყო, ყველას ატყვევებდნენ. თუ აღამიანს ვერ დაატყვევებდნენ, მის ნაცვლად საქონელი მიჰყავდათ. მეორე დღეს ტყვეებს ოჯახიდან ოჯახში დაატარებდნენ. „ტყვეს“ გამოსახსნელად ქვაბ-ს აკლავით (1 მწვა-

* „მყოვანი“, ე. ი. ისეთი, რომელიც ყვავის და ნაყოფს ისხამს. მაგ.: პანტა, მაჟალო და სხვ.

დი და სასმელი) პატრონი მიდიოდა. იმართებოდა ქეიფი. საერთოდ წელში ბებში მაქალათეები დიდად ერთობოდნენ და სხვებსაც ამხიარულებდნენ.

წყალკურთხევას, 6 (19) იანვარს დილით, აღმოსავლეთ საქართველოში, იქ საღაც ეკლესიები იყო, ხალხი წირვას ესწრებოდა. წირვის შემდეგ მღვდელი მიდიოდა მღინარეზე, წყალს აკურთხებდა და ხალხი აიაზმას იღებდა. ქართლ-კახეთში მღინარეზე პატარა ზიდი „იორდანი“ იყო გადებული, რომელშეც მღვდელი იდგა. ზიდის გადება მღინარეზე ხევშიც იცოდნენ. როდესაც მღვდელი ჯვარს წყალში ჩაპყოფდა, იტყოდნენ: ყინვა გატყდაო (კახეთი). კახეთში მღვდელი თუ ხევშე აკურთხებდა წყალს, ჩამოკიდებდნენ: ვაშლს, კანფეტს, ჩურჩხელას და ესროლნენ თოფებს. ვინც მიზანში გაარტყაშდა, სოფელს მასთან უნდა ექვიფა. ამ დღეს აიაზმით ნაცარს მოზელდნენ და ხელებს იბანდნენ. ნაცარს დიღხანს ინახავდნენ. აიაზმას სახლს მოასხურებდნენ, მელოგინეს გადასხამდნენ, ხატში წისვლის წინ გადაივლებდნენ, უშმინდურა ცხოველის ჭადანავალ ჭურჭელს მოავლებდნენ.

ქართლის ზოგიერთ რაიონებში, აიაზმას საპურე ცომის ქოთანში ჩაასხამდნენ და იტყოდნენ: „მოვიდა ზეთი მანანა, თავით ფეხამდე გაგვბანა“, ან „მოვიდა ზეთი მანანა, პური და ღვინო დანამა (ან გამრავლდა)“. ქართლში, წყლის კურთხევამდე, ოჯახში ცხვებოდა კვერები, რომლებსაც უსვამდნენ კვერცხს. ისინი ბიჭებისთვის იყო განკუთვნილი. გამომცვარ კვერებს ვაჟებს მისცემდნენ წყლის კურთხევაზე წასაღებად. როდესაც მღვდელი წყალს აკურთხებდა, თავად შევარდებოდნენ მღინარეში, ან ერთმანეთს აგდებდნენ. ხშირად წყალში აგდებდნენ* მღვდელს ან ასაკოვანს, ბარაქიან კაცს, ან გუთნის დედას, რომელსაც ხელში დროშას მისცემდნენ და ისე ჩააგდებდნენ — კარგი, ბარაქიანი წელი მოვაო.

ახალგაზრდები მათთვის გამომცვარ კვერებს უკან წაიღებდნენ სახლში. ამ კვერებზე ჯვარს ამოჭრიდნენ, პურის ცომში ჩააგდებდნენ და აიაზმას მოასხამდნენ. ზოგჯერ ჯვარს ვასილას კვერიდან ამოჭრიდნენ და პურის ცომში ჩააგდებდნენ. ნაკურთხი მღინარის წყალს საქონელს დაალევინებდნენ (ეს წესი სხვაგანაც სრულდებოდა) და სახლიდან წალებულ რიტუალურ პურებს: ცელს, ცულს, ნამგალს და ზემოთხსენებულ კვერს წყალში ამოავლებდნენ.

ამ დღეს სახლში საკვლევარს (აბრამიანს) დაშლიდნენ. კახეთშიც ასე იქცეოდნენ. ხართვევას ხარს გადასტეხავდნენ ქედზე — შენი მოყვანილია, ალალი იყოსო. ცოტას მოტეხავდნენ და ხარს შეაჭმევდნენ. და-

* ეს წესი ერთ-თიანეთსა და ხევშიც დასტურდება. ხევში მღვდელი წყალში თავისი ნებით წვებოდა:

ნარჩენს თვითონ შეჭამდნენ. ყველა თავის ბედისკერს შეჭამდა: სახრეც, მაკალების გალს — კაცი, მაკრატელს — ქალი.

როგორც აღინიშნა, გუდამაყრული და მოხეური ამპარის მსგავსი წესი ქართლში წყალკურთხევას სრულდებოდა. მდინარიდან მობრუნებული ოჯახი მზადებდა კორკოტს ან ხალიფას (იგივეა რაც კორკოტი). სანთელ-საკეველს დაანთებდნენ და მიცვალებულებს მოიხსენიებდნენ. ზოგი საკლავ-საც კლავდა. კორკოტი მეზობლისთვის კენტად უნდა მიეწოდებინათ.

ზოგჯერ ნათლისღებას კახეთში, რომელიმე მამაკაცს აირჩევდნენ და მას-ხარასავით გამოაწყობდნენ. თუ სადმე წყალს ნახავდნენ, შიგ ჩააგდებდნენ. ტანზე მასხარას ძეველმანები ეცვა, ოხუნჯობდა, თავშესაქცევ ამბებს ყვებოდა. მას ყეინს ეძახდნენ. თუ ყეინი ენაკვიმატი კაცი იყო 3 წლით აირჩევდნენ. ყეინს საკლავი უნდა დაეკლა.

აღმოსავლეთ საქართველოში წყლის დაღვრა იცოდნენ. ეს წესი ისევა სრულდებოდა, როგორც წუნკალაობა დღეს. განსხვავდებოდა მხოლოდ ზოგბერთი თავისებურებით. ზოგი ამ დღეს სასაფლაოზე გაღიოდა და რამდენი მიცვალებულიც ჰყავდა, იმდენ წყლით სახსე ჭურჭელს დაღვრიდა (ხევი). მთიულეთში წყალზე ქადა-სანთელი, საკლავი მიჰქონდათ და მთელი წესების დაცვით მიცვალებულს შენდობას ეუბნებოდნენ. ქალები თხილ-კაკალს, ჩირს, შაქარს, კანფეტს, კვერცხებს, თამბაქოს არიგებდნენ. გარდა ამისა, იხლობელი მიცვალებულის შესანდობრად სარიგს (დათაფლული არაყი) ასმევდა იქ მყოფთ. შემდეგ ყველა სახლში ბრუნდებოდა. გუდამაყარში ზემოსხენებული სახის სანოვაგესთან ერთად მიჰქონდათ ჭიიჭიანი კვერცხებიც (მიცვალებულის შესანდობარი, ხავიშის გულიანი, ოთხკუთხა კვერცხი). თუ წითელ კვერცხებს და ჭიიჭიან კვერცხს არ დაარიგებდნენ, მაშინ ერთ ადგილას დაწყობდნენ და ბავშვები მათ ისრებს ესროდნენ. ვინც მოარტყამდა, სამინეც მას რჩებოდა. იცოდნენ თხილ-კაკალი, კანფეტი, რომელთაც გუდამაყარში სალალობოს ეძახდნენ. ვინც წყალკურთხევას წყალზე არ წავიდოდა (მოხუცება და ბავშვები), უმეტესად დიასახლისი, ჯერ ისევ სიბნელეში, ახალწელს დაგროვილ ნაკელზე დაყრიდა ახალწელს გადანახულ ნეკერს, მრგვლად ჩალას მოაყრიდა და ცეცხლს წაუკიდებდა. ეს იყო ამ 3 არია. შემდეგ დიასახლისი შედიოდა სახლში და იწყებდა საღილის მზადებას. გააკეთებდა ხინკალს, ანტრიას, ან ფაფას. წყლიდან მობრუნებული ოჯახის წევრები შემოუსხდებოდნენ სუფრას, მიცვალებულებს შენდობას ეტყოდნენ, სანთელებს დაანთებდნენ. ყველა თავის ბედისკვერს ჭამდა. დიასახლისი გარეშე მეკვლეს ბედისკვერს უცხობდა და უგზავნიდა.



ხევსურეთშიც წყალკურთხევა ახალწლის ციკლის უკანასკნელი ფრთხოები და ამიტომ ხატში გამოლოცვის წესი სრულდებოდა. მანამ საერთო ლხინი და ღროსტარება იყო, ახალგაზრდები საღმე ოჯახში იკრიბებოდნენ და იქ ატარებდნენ ღროს. უფროსები ჭარბე დასხდებოდნენ. ხატის მსახურნი ამ დღეს გვიან ღმერდე, უმეტეს შემთხვევაში, მარტო ისხდნენ და სვამდნენ. ჭარის ღროს ყვებოდნენ ანდრეზებს, იხსენებდნენ საგმირო საქმეებს. თუ დიდოვლობა არ იყო, სხვადასხვა თემებიდან უფროს კაცებს იწვევდნენ და ბჟობდნენ ხევსურეთის საჭირობოროტო საკითხებზე.

დილით სოფელში გამოცხობდნენ სახელსადებებს, მიცვალებულ-თავის ტაბლას გაამზადებდნენ, სანთელს დაანთებდნენ. უფროსი დასდებდა სახელს და შემდეგ სათითაოდ, ოჯახის სხვა წევრებიც დალევდნენ.

ახალ წელს დიასახლისი თავის ოჯახის წევრებთან ერთად ნათლიას, გათხოვილ ქალიშვილს, რძალს, რომელიც ჯერ კიდევ მამის სახლში იყო, მამიღას, ბიძას. დეიდას უცხობლა ბედისკვერებს. ამ კვერების მათი პატრონებისთვის მიტანის წესს ხევსურები ბედისკვერობას ეძახდნენ. ეს კვერები აუცილებლად უნდა მისულიყო პატრონამდე და ამის გამო ხშირად გაზაფხულს ელოდებოდნენ, რომ ჩაკეტილი გზები გახსნილიყო.

ფშავში, იქ სადაც 3 ღღეზე მეტხანს გრძელდებოდა ახალი წელი, ისეთი-ვე ლხინი იცოდნენ წყალკურთხევას, როგორც სხვა ღღებში. აქაც გამოლოცვის ღღე იყო. სახლში ფშაველები ხარებს ახალ წელს გამომცხვარ გოგას აჭმევდნენ.

ნინო ბაბ

კახეთში 14 (27) იანვარს ნინობა^{*} იცოდნენ. ამ ღღისთვის ერთი კვირით აღრე ემზადებოდნენ. მიღიოდნენ ბოლბეში, ესწრებოდნენ წირვა-ლოცვას. იღებდნენ ზიარებას. წმ. ნინო ქალიშვილების მკურნალად ითვლებოდა. ამიტომ მისი სახელობის ეკლესიაში ქალიშვილები მიჰყავდათ. ხალხის რწმენით, მათ

* როგორც ცნობილია, ზიზანტიიდან მოსულმა, კაპალოკილმა ქალწულმა, მოციქულთა-სწორმა წმ. ნინომ IV საუკუნეში საქართველოში იქადაგა ქრისტიანობა, მოაქცია მრავალი წარმართ ქართველი, მათი იმდროინდელი მეფე მირიანი და დეფოფალი ნანა. მირიან მეფემ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ამ ნინის განმავლობაში, ჩაც წმ. ნინო სა-ქართველოში მოღვაწეობდა, ღვთის შეწევნით, მან მრავალი კურნება და სასწაული მოახდინა. დაკრძალულია ბოლბეში.

ჭანის სიმრთელე ეძღვოდათ. ამ წესების შესრულებით მთავრდებოდა საახალ-წლო დღეობების ციკლი*, რომლებიც მყარ თარიღებთან იყო დაკავშირებული.

ნათლისლეგიდან ხორციელის პლატფორმა

ზამთრის დღეობებს — ნათლისლებიდან და ხორციელის კვირამდე გოჭუება მოძრავ დღესასწაულთა სერია, რომელიც ამა თუ იმ მყარი დღესასწაულიდან გამოითვლება. ისინი წარმოადგენდნენ ზამთრიდან გაზაფხულზე გარდამავალ პერიოდს, რომელიც მოიცავს ძროის მონაცემს ნათლისლებიდან დიდ მარტის დადგომამდე**. ამ პერიოდების დღესასწაულებიდან ასეანიშნავია ნათ-

* საახალწლო დღეობების ციკლში შედის რეგიონალური თვალსაზრისით შეზღუდული (იგი ჩვენს ხელო არსებული მასალების მხედვით სრულდება მხოლოდ სამეცნიეროში), ძევლი სტილით აასალი წლის პირველი ორშაბათის დღეობა, რომელიც ოდფლია სამარიოს სახელით იყო ცნობილი. ამ სალოცავს სხვაგვარად დიდ ონეგამერს (დიდ სალოცავს) ან თუ სხვამერსაც (გროვით სალოცავს) ეძახდნენ. სალოცავად მიჩნიანი იყო ონეგამერ ლავანი (სალოცავი ქვევრი), რომელიც სპეციალურად იყო ჩადგმული მიქა გარისა სახელზე (მთავარ-ანგელოზების მიქალისა და გაბრიელის). ზოგი მთხოვნელის მიხედვით ეს ქვევრი მარანში იყო, ზოგის მიხედვით — გარეთ, შემოლობილში, მზის პირზე, სახლის მარჯვენა მხარეს, ან — ვენაზში. თუ ვინმე ვერ მოასწრებდა ორშაბათს ლოცვას, მაშინ თოხშაბათს ან პარასკევს ლოცულობდნენ. ლოცვას ასრულებდა ოჯახის უფროსი. ერთი მამის შვილები ერთად ლოცულობდნენ. თუ ძები გაყრილები იყვნენ ისინი სალოცავად მიღიოდნენ იმ ძმათან, რომელიც მამის ოჯახში ცხოვრობდა. ოჯახის უფროსის ლოცვობიდე ვერავინ ვერ მივიღოდა მარანში (ან იქ, სადაც ეს ქვევრი იყო მოთავსებული). ქალებს უფლება არ ჰქონდათ ლოცვას დასწრებოდნენ. ოხამერთან ოჯახის წევრები ლოცულობდნენ მუხლმოძრავილები. ლოცულობდნენ როი კვერითა და ლვეზელით, რომელიც კეთდებოდა სიმინდის უქვილითა და ზველით (ზოგი მთხოვნელის გადმოცემით, კვერი მოხარშული შეიგნულით კეთდებოდა). ამ კვერებს ქვევრთან ჰქონდნენ. კვერების გარდა, სალოცავად მიპერნდათ საკლავის ფილტვი, გული და თავი. ოჯახის უფროსი დანანთებდა სანთლებს, თავზე შემოვლებდა ოჯახის წევრებს და დაილოცებოდა. ადგილობრივი რწმენით, მიქამ-გარისასამი ლოცვის ჩატარებაზე იყო დამკიცებული ოჯახის წევრთა ჭარბობობა, კეთილდღობა და ნაყოფიერება.

- 2 (15) ගෝජ්පෙරවාලෂ සිරිසත්තානුෂ්‍යලා පාලුවනුපූරුණ මදරාවි පෙළුසාසජ්ංගලයා. මහුවම්

** 2 (15) თებერვალი ქრისტიანულია კალვინიზმით უძრავი დღისაწულია. მირქმა (მიგებება) უფლისა ლოცისა და მაცხოვრისა ჩენისა იქს ქრისტეს. საკანონი მირქმა და გურიაში იგი ლამპრობ (ნამპრობ) // ლამპრარი ელის (ქვ. სვანი) სახელითა ცნობილი. ქვემო სვანითმი ის ჩიტების დღე იყო. გურიაში რამე განსაკუთრებული საჭირო ამ დროს არ კეთდებოდა — ეშმაკების საწინააღმდეგოდ იყო მიჩნეული. ცეცხლის დათვება განსაკუთრებით სოფ. აცანაში იცოდნენ. ბლის ტყავებიდან დანონებდნენ კალოზე ცეცხლს. ბლის კანს რეინა-ჭოხხე ან რამე მაგარზე წამოაცმევდნენ. კუდიანებს ერევებოდნენ. ლაპარა უსუცესი გაკეთებდა და ბაჟვებს დააკერინებდა. ამოსაგლეო საცართველოს მთაში ცერძო



ლისლების ორშაბათს ლეჩხუმში ფ. გარდაფხაძის მიერ (1939) დაუღვუდებული ლიკურ ცობა თბა (ტერიტორიული თვალსაზრისით შეზღუდული დღე-ობა, რომელიც მხოლოდ ორბელის თემში იცოდნენ, ს. კურცობში). ეს დღე შეწირული იყო ვაჟიშვილებისათვის. ამ სოფლის თითოეულ ოჯახში აცხობდნენ ყველიან ტაბლას (ერთს). ყველიან პურებს, ლავაშებს, ტაბლას და ღვრნოს წაიღებდა ერთი კაცი ოჯახიდან, ავიღოდა გარცის (პატარა მთა ორბელის თავზე) წვერზე ცაცხვთან. ამ ხის ძირთან იკრიბებოდნენ ყოველი ოჯახიდან და პურობად სხდებოდნენ.

ნათლილების მომდევნო ხუთშაბათი ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში წარმოადგენდა სულის გადაბრძანების დღეს. ამ დროს სრულდებოდა მიცვალებულთა სულების ოიტუალური გაცილება (შორ. სვანურ ლიცანილები).

თუშები იანვრის მესამე კვირას, მთვარის კალენდრის მიხედვით, კდ ინ ს* ეძაბლნენ. ეს იყო დღე, როდესაც ეშმაკ-კულიანები დაძრწოდნენ და ადამიანთა ხელში ჩაგდებას, მათ ჰქონდან შემლას ლამობდნენ. კდ ინ ის კვირას თუშები ს მინაობის კვირას ეძაბლნენ. ამ, ან მომდევნო შაბათ-კვირას, შეღამებისას სოფლის გოგო-ბიჭები იკრიბებოდნენ რომელიმე სახლში, ირქმევდნენ ეშმაკების სახელებს, უკუღმა გამოდიოდნენ სახლიდან, სოფლის განაპირა აღგილს იჩევდნენ, სადაც სხდებოდნენ და ხმებს უსმენდნენ. ვისი სახლიდან რასაც გაიგონებდნენ, იმ ოჯახს იმ წელიწადს ის დაემართებოდა.

კლინის კვირის ბოლო პარასკევს და შაბათს თუშები საიქიოლან თავიანთ მიცვალებულებს. ელოდებოდნენ. პარასკევს კუტ-ბრმანი და შაბათს ხელფეხიანები ჩამოდიოდნენ. ერთი კვირა რჩებოდნენ სახლში და ამავე დღეებში (პარასკევ-შაბათს) მიდიოდნენ, რასაც მკვდართ წარ ეძაბლნენ. ოჯახი გამოაცხობდა კოტრებს. მთელი ამ კვირის განმავლობაში მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე, სახლის დაგვა და მატყლის ჩერვა იკრძალებოდა: მკვდართ ჯამებში ემსვებათო (ანუ ევსებათ). მთელი ეს კვირა ხორცი უნდა ეჭამათ და ყოველ ჭამაზე მიცვალებულები მოეხსენებიათ. თუ ოჯახს ხორცი არ ჰქონდა, ერთი პატარა ნაჭერი მაინც უნდა ჩაეგდო ცეცხლში და ზედ ერბო დაესხა, რომ სახლში შემწვარი ხორცის სუნი დატრიალებულიყო.

თუშეთში, 2 (15) თებერვალს მიჩქმას მკაცრად უქმნობდნენ. ამ დღეს ბაშინურთ უქმეს ეძაბლნენ. კოკლათში ბაშინურთ კაცმა იმ დღეს თავის 7 ასალს 7 კაბა გამოუჭრა და იმ წელს ყველა დაღუპა. ამ უქმის გატეხა თუშებს ძალიან ეშინოდათ. ხევში და გლევაყარში იგივე დეობა მაპარიობის სახელითაა ცნობილი (იხ. დაწვრილებით ახალი წლის დღეობების ციკლში).

* მსგავსი რწმენა-წარმოდგენები ფშავ-ხევსურეთში ათხშაბათს და ხუთშაბათს უკავშირდება.

სულის გადაბრძანების სწორი, შაბათი მთელ დასაცლეთ საქართველოში ცნობილია მ ე ი ს ა რ ი ს // მ რ ი ს ა რ ი ს დღედ.

რაჭაში მეისარობა ქალების უქმე იყო. სალამოთი დაკლავდნენ წითელ ყვინჩილას, ს ა ვ ა ჟ თ ყ ვ ი ნ ჩ ი ლ ა ს, სახალის, ყოველგვარი სენისაგან თავის ასარიდებლად. ცოცხალ წითელ ყვინჩილას შემოვლებლნენ თავზე ოჯახის კაცებს — უფროსს და უმცროსს: „მომირომევია ეს ყვინჩილა და განატეხი თავი — თავის მაგიერ, ტანი — ტანის მაგიერ, ფეხი — ფეხის მაგიერ“. ყვინჩილა შეიწვებოდა, თავ-ფეხი იხარშებოდა: შეულოცავდა ქალი და ის შეჭამდა, ამ დღიდან იწყებოდა ბოსლობის კვირა. ამავე ღამეს აცხობლნენ 2 ძალიან პატარა კოკორს. 1 მთელ კვერცხს და 2 კოკორს უფროსი ქალი თვალებზე წაისვამდა და იტყოდა: „აგვაშორე სიწითლე, კლორწი, ხლიორწი, დაგვიფარე ფურჩხისაგან, შეიწირე ჩვენი თვალებისაგან“. ამის შემდეგ 2 კოკორს შორს გადაისროდა, რომ მათ თვალების სნეულება გაპყოლოდა.

ლეჩხუმში მ ე ი ს ა რ ი ბ ა დიდი უქმე იყო და ითვლებოდა თვალების სალოცავ დღედ. ოჯახის უფროსი ქალი ოჯახის სულზე ორ-ორ კურკუ შელას აცხობდა. დიასახლისი იჯახის წევრებს დაურიგებდა კურკუშელებს; ისნი ჯვარედინად ამოისვამდნენ მათ თვალებზე და ლოცვას წარმოსთვამდნენ. ამის შემდეგ, დიასახლისი მისცემდა უმ კვერცხს, რომელსაც თვალში ამოისვამდნენ და იტყოდნენ: „ასე კვერცხივით ამყოფე ჩვენი თვალებიო“. ამ დღეს განსაკუთრებით ქალები უქმობდნენ.

სვანეთში მ ე ი ს ა რ ი ბ // მ ე ი ს ა რ ი ბ ა სევე თვალთა მხედველობის დღე იყო. ქვემო სვანეთში დაპკლავდნენ მამალს, რომელიც მხოლოდ ოჯახისათვის იყო განკუთვნილი. შეა ცეცხლიდან ნაცარს ამოილებდნენ, შეუბერავდნენ და ღმერთს სინათლეს სთხოვდნენ: ღმერთო კარგი მხედველობა მომეციო.

სამეგრელოში დაახლოებით 24 დღით აღრე დიდმარხვამდე დღესასწაულობდნენ მ ი რ ს ო ბ ა ს / ნ ი რ ს ო ბ ა ს. ამ დღეს იცოდნენ ომირსე (ანუ სამირსე) ღორის დაკვლა. ორ-ორი მოხარშული კვერით თვალების ლოცვას ატარებდნენ. სამეგრელოში მირსობის მეორე დღეს სრულდებოდა ე. წ. ნ ე რ ჩ ი ს ხ ვ ა მ ა // რ ჭ მ ა შ ხ უ რ ი.

გურიაში მოისარობა ყველიერამდე სამი კვირით აღრე, შაბათს, იცოდნენ. მოისარი ითვლებოდა თვალთახილვის მფარველად. ამ დღეს არ უქმობდნენ. ოჯახის დიასახლისი სიმინდის ფქვილისაგან აკეთებდა ცომს, ყველასთვის 2 პატარა კოკორს. ამ კოკრებს იგი თვითონეულს თვალებზე უსვამდა და მოისარსა და ღმერთს თვალების სიჯამსაღეს შესთხოვდა. ამის შემდეგ, ცომის



ნაგლეჯებს აგდებდა წყლიან ჭიქაში. ლოცვის დამთავრების შემდეგ კი ტომიშნ
წყალს ასხამდა სუფთა წყალში.

პერიოდს მოისარობიდან ბოსლობამდე ბოსლობამდე ბოსლობის კვირა ეწოდებოდა. ამ კვირაში იღსანიშნავია პარასკევი, რომელიც ლეჩხუმში კაი პარასკევი მარიაშენ ბის (ქათმის ლოცვა) სახელითაა ცნობილი. კაი პარასკევი მარიაშენ ბის (ქათმის ლოცვა) სწორზე მოდიოდა. უქმე იყო, განსაკუთრებით ქალებისათვის, რადგან ხელსაქმემ თვალდაფუსებული გოჭის მომრიცლება იცის. საღამოთ დიასახლისი გმოაცხობდა ერთ ქონიან ჯვარ-სახიან ტაბლას — ეს იყო ღორის სალოცი. ვახშმამდე ქალი ამ ტაბლას, 1 ჭიქა ღვინოს, სანთელს დაქმეულს, ნაკვერჩხალს, კაცების უჩუმრად გაიტანდა საღორის კარებთან; გაჩერდებოდა, ღვინოს და ტაბლას წარმა შეატრიალებდა და შეილოცავდა: წმ. ბასილა, გამრავლე ჩემი ღორებიო. ღვინოს იქვე დალევდა და ტაბლას კი შინ შემოიტანდა, დასჭრიდა და ოჯახის ყველა წევრს უნაწილებდა. მიცემისას უნდა ეთქვა: „ლოცვა ღორის!“ ნაწილის მიმღები პასუხობდა: „ამრავლოს წმ. ბასილამ“. შემდეგ ივახშმებდნენ. ქალის საღორესთან ლოცვის დროს, მამაკაცი ახლოს არ გაივლიდა.

სვანეთში ამ დღეს ხორავები ში (კაი პარასკევი) ეწოდებოდა, რომელიც ბამბლუს წინა პარასკევს მოდიოდა, შაბათს კი ბამბლუ იყო. წვავლენ გოჭებს, ღამე ლოცულობდნენ; უცხო პირს არ გაუმასპინძლდებოდნენ. ლორების დღეობა იყო. საღორის კარზე გაიტანდნენ ღორის 3 წყვილ კუ პარას, ღვიძლს და გულს. კაცი ილოცებდა:

„ვებიშ ამჟყარ!“

გამრავლება და ჯანმრთელობა ამ ღორებსაც.

მოისარობის სწორზე, ანუ კაი პარასკევის მეორე დღეს, მთელ დასავლეთ საქართველოში მოდიოდა ბოსლობა.

რაჭაში ბოსლობა განსაკუთრებით ქალების უქმე იყო. კერვა-ქსოვა არ შეიძლებოდა. ამ დღეს უფროსი ქალები თმობდნენ (მარხულობდნენ) საღამომდე — საქონლის სახადის საწინააღმდეგოდ — ხარებს კისრები არ გაუფუჭდეს. ძველად დაკლავდნენ გოჭის საბოსლობის, გამოაცხობდნენ სართვიან პურებს, ლობიანებს, ერთ ლობიან ჯვარსახიან განატეხს. განატეხზე ჩაასობდნენ ანთებულ სანთელს, ზედვე იღებოდა გოჭის ბეჭი და ჭიქით ღვინო. ეს ყველაფერი გობზე უნდა მოეთავსებინათ. ოჯახის უფროსი კაცი წაიღებდა ამ გობს ბოსელში, თაგზე შემოავლებდა საქონელს და შეულოცავდა: „საქონლის ანგელოზ! ააშორე ჩვენს საქონელს ყველაფერი გაჭირვება, სა-

ხადი და ნაღირი!“... ბოსელშივე გატეხდა განატეხს. ცოტას შეჭამდა, ლურზე დალევდა, დანარჩენს კი შინ შემოიტანდა.

ლეჩესუმში ბოსლობა კი პარასკევის მეორე დღეს, შაბათს მოღიოდა. დიდი უქმე იყო „ხერების ჯანიერებისათვის“. ნაშუადღევს დისახლისი შეუდგებოდა სამზადის: ჟურს მოცომავდა, ცერცვს ჩაადგამდა. პატარა მარილიან ტაბლას გამოაცხობდა — ეს იყო საოჯახო სალოცი. ილოცებდა კერიასთან. ამ დროს მამაკაცი (ქმარი) მივიღოდა და ეტყოდა: „ბოსლა-კოტრა მომეკოტრა“. ამ ქალს მოიკოტრებდა ზურგზე და კერიას გარშემო სამჯერ შემოუვლიდა. ბოსლა-კოტრას დროს სახლში არავინ არ უნდა ყოფილიყო. ამის შემდეგ იგი პატარა საოჯახო ტაბლას შეჭამდა. ეს კველაფერი სამხრობის დროს უნდა მომზდარიყო. შემდეგ ვახშობის სამზადისი იწყებოდა: უნდა გამოეცხოთ 3 ცერცვიანი ტაბლა, საოჯახო სალოცი და 3 უფრო პატარა ცერცვიანი. ეს ხარების სალოცი იყო. დაღამებისას, სანამ ვახშამს დაიწყებდნენ, უფრო მამაკაცი წაიღებდა ხარების სალოც ტაბლებს, 1 ჭიქა ლვინოს, იმდენ უმ კვერცხს, რამდენი ხარიც იყო ოჯახში და იქ ილოცებდა. კვერცხებს ბაგში დამალავდა. მეორე დღეს ამ კვერცხებს ოჯახის პატარა ვაჟიშვილი დაეპატრონებოდა.

სვანეთში (უფრო ზუსტად ქვემო სვანეთში) ბოსლობაზე კუპლი იან ებს აცხობდნენ. გოდორში თივა იყო გაგებული და კუპლიანებს შიგ აწყობდნენ. „კიტი, კიტი ბამბლუ“ — სამჯერ გაიმეორებდა კაცი და მათ გოდრიდან გაღმოყრიდა. ბავშვები უკანვე ჩაყრიდნენ. ეს სამჯერ გამეორდებოდა. ამის შემდეგ ტაბაკზე დადებდნენ საკვებს. ახალი წლიდან ღიღმარხვემდე მოღიოდა საქონლის სიმრთელისთვის განკუთვნილი დღეობა ბამბლუ, მეისარი და ხოჩა ვებიშ//კაი პარას კევი. ბამბლუ იცოდნენ სოფ. ლემზა-გორებში. ამ დღეს იცოდნენ ტაბლები. ხერიაშის ჯგრაგის ეკლესიაში მიღიოდა სოფელი. იქ ილოცებდნენ: „ბევრი მეყოლოს ცხვარი, საქონელი, მისი მძღოლი პატრონი“. ამ ღოცვას წარმოსთქვამდა ის, ვისაც ზურგზე ბაგშვი (შესაძლოა ხუთი-ექვსი) ეკიდა. ეკლესიას უკლიდნენ გარშემო.

სამეგრელოში ბოსლობას //ბოსლობას დღესასწაულობდნენ 17 დღით ადრე დიდარხვის დაწყებამდე.

იმერეთში — ბოსლობა მოღიოდა ხორციელის ხუთშაბათ საღამოს. ხარები და ქონის მოზრდილი ნაჭერი, კაცებს, რომელთაც ზურგზე ყმაწვილები ჰყავდათ „მოკუტალებული“, მიჰქონდათ ბოსელში; ქონს საქონელს უსვამდნენ ზურგზე და თან ამბობდნენ, ასე გასუქდიო. შემდეგ საჭმელს შეექცეოდნენ და „ბოსელ-ბოსელ ბუო“-ს გაიძახოდნენ.

გურიაში ბოსლობა მოძრავი დღესასწაული იყო. უფრო ზუსტად, ის ყვე-

ლიერის წინა შაბათს მოდიოდა. აღნიშნული დღე შინაურ ცხოველზე მსახურდებოდათ. ამ დღეს ცხვებოდა დიდი საჯახო მჟადი, რომელშიც ხარ-თული იყო დამარილებული ღორის ქონის ნაჭრები (საახალწლო ღორი-დან). იგი მზადდებოდა საღამოთი ვახშიმისათვის. ლოცვის ღროს ახსენებდნენ „ბოსლე პატიოსანს“, რომელიც ცხოველების მფარველად ითვლებოდა. პური იდებოდა ხონჩაზე, სანთელთან და კაცალთან ერთად და მიპქონდა ქალს ან კაცს, ბავშვთან ერთად ბოსელში. ბავშვი დგებოდა ძროხებსა და ხარებს შო-რის, ხონჩიანი კი მის პირდაპირ. ქალი ეკითხებოდა: „ბოსლე, შინა ხარ?“ „შინა ვარ, ბატონო“. — „ძროხას მომცემ? ხარს მომცემ? ცხენს მომცემ? კაცთა მშვიდობას მომცემ? — „ბევრს, ბატონო“. ეს სამჯერ მეორდებოდა. ამის შემდეგ, კაცალს ბოსელში ყრიდნენ, ბავშვი და ქალი კი სახლში ბრუნ-დებოდნენ. ამის შემდეგ, ვახშმად სხდებოდნენ და სთხოდნენ „ბოსლე პატი-ოსანს“ იგივეს, რასაც ქალი სთხოვდა ბოსელში.

სამცხე-გავახეთში ადგილობრივი მოსახლეობის მონათხოვის მიხედვით უებრვალში (მის პირველ ან მეორე ნახევარში, დრო ზუსტად არაა დადგენი-ლი, რამდენადაც დღესასწაული მოძრავა) იცოდნენ ხიდ რიელი. ხიდრიე-ლა ხუთ დღეს გრძელდებოდა ორშაბათიდან პარასკევამდე. ვ. სუდაძის მასა-ლის მიხედვით ხიდრიელას უქმობდნენ სხვადასხვა მიზნით. უქმობდნენ ერთი, სამი ანდა ხუთი დღე. გასათხოვარი ქალი, რომელსაც ჭრა-კერვის შესწავლა სურდა, ხუთი დღე „დაიჭირდა ხიდრიელის“. იგი დილით შეჭამდა ცოტა პურს. სააღმოთიც ცოტა უნდა ეჭმა, ისე რომ არ გამძლარიყო. ასე უნდა გაეტარე-ბინა ხუთი დღე. მეხუთო დღეს საღამოთი გამოაცხობდა მტუტე მარილის კვერს, შეჭამდა და დაწვებოდა დასაძინებლად. თავჭვეშ სასოფლალთან დაი-წყობდა: მაკრატელს, ფერად ნაჭრებს, ნემსს, ძაფს, საქართვეს. ღამე მას სიზ-სარში გამოეცხადებოდნენ ანგელოზები და ასწავლიდნენ ჭრა-კერვას. თუ ახალგაზრდა გაუთხოვარ ქალს სურდა თავისი ბედის გაეგბა, ის თავჭვეშ დაი-დებდა სარკეს, სავარცხელს და მაშრავით წყალს. ვისაც იგი სიზმარში იხი-ლავდა, ის იქნებოდა მისი საბოლოო ბედი. ასევე იქცეოდნენ ბიჭები. ახალ-გაზრდა კაცი სიზმარში ვისაც დაალევინებდა წყალს, ის იქნებოდა მისი ბედი. ხიდრიელას უფრო ახალგაზრდები იჭერდნენ — 15 წლიდან 30 წლიმდე, სა-ცოლშვილო ხალხი და ისინი, ვისაც რაიმე ხელობის შესწავლა აინტერესებდა მოკლე ხანში.

ხორციელის დაურწყების კვირაში, ხუთშაბათ დღეს იყო მარიაშენო-ბა (რაჭა-ლეჩხუმი) // მარე შლობა (იმერეთი)*, რომელიც ქათმის ლოც-

* მარაშენა // მარაშინა სამეგრელოში, ჩვენი მასალის მიხედვით, მოდის 15 აგვის-ტოს (ძვ. სტილით). ყურძნის დაწურვა, ქეითი იცოდნენ, ამ დღეს „იარმურეა“ // ბაზრობა იყო. ახალ ხილს, ახალ შემოსულ სიმინდს და გოგრას აკურთხებდნენ. იყო საკურთხობა.

ვის დღედ იყო მიჩნეული. ობიტუალი, რომელიც მარიაშენობის//მარეშლობის დღეს სრულდებოდა, ყველაზე სრულად, არსებული მასალებით, იმერეთშა შემორჩენილი და მისი დაფიქსირება დღესაც შესაძლებელია. ამ დღისათვის, იმერეთში იკვლებოდა მამალი და ქალის მიერ სახლის კუთხეში თაროსთან, რომელზეც ანთებული იყო სანთლები, სრულდებოდა ლოცვა. „წმ. მარიაშენის ძალო და მადლო, კა წიწილები გამოგვაზრდევინე, მოგვახმარე კარგად“. საქაომეზე კვირისთვის შებმა იცოდნენ. ლოცვა სრულდებოდა დილით აღრე უბრალ*.

ხორციელის დაურწყების კვირაში, პარასკევს, რაჭისა და ლეჩხუმში ძალლის შარასკევი ერქვა. ძალლის პარასკევი მარიაშენობის მეორე დღეს იყო. ეს დღე უშენებისათვის. საღამოს აცხობდნენ სართვიან ლობიან პურებს. ერთ ხელდასხმულ განატეხს, რომელიც ქონიანი და ლობიანი უნდა ყოფილიყო. ეს განატეხი, ჭიქით ღვინო და ანთებული სანთლი უნდა წაელო უფროს კაცს სალორის კართან ვახშობის დროს. იქ კართან განატეხს წალმა შეატრიალებდა და შეულოცავდა: „წმ. ბასილის ძალო და მადლო! გამიმრავლე გოჭ-ქათამი, ააშორე ჭირი და სახადი, მის ბარობაზე არ მოგიშალო განატეხი და ზედაში“. ამ განატეხს შემოიტანდა სახლში და დაგდებოდნენ ვახშმად. გარეშე პირი ამ განატეხს ვერ შექმადა.

ხორციელის შაბათი (მიცვალებულთა მოხსენების დღე ეკლესიაში), რაჭაში სულის შაბათის სახელითა ცნობილი. ყველა ოჯახში ექთდებოდა საკურთხი. დაიკვლებოდა ქათამი (უფრო დედალი), მოხარულვდნენ შაშხს. აუცილებელად უნდა ყოფილიყო ერთი კვერცხი; გამოაცხობდნენ შეიდ სართვიან, ლობიან პურს, სულის პურს (შუაში სამთით დასმულს). სუფრაზე იდო ანთებული სანთლი, ყველი, ერთი ბოთლი ღვინო (თუ მიცვალებული დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი გაქონდათ საფლავზე). სუფრასთან იდგნენ ჩუმად, რამდენიმე ხნის შემდეგ მასთან პირველად მივიდოდა მცხობელი დიასახლისი, ღვინოს თავს წაუქცევდა, ყველაფერს ხელს მოჰკიდებდა და შეატრიალებდა სიტყვებით „ლმერთო სარგებელი ქენი“ და განზე გავიდოდა. შემდეგ სუფრასთან მივიდოდნენ დანარჩენებიც უფროს უძრავოსნობით და ამგვარადვე მოიქცეოდნენ. ყველა რომ თავს წაუქცევდა, შემდეგ დიასახლისი სუფრას შეატრიალებდა და საღილად დასხდებოდნენ.

ლეჩხუმში ძალლის პარასკევის მეორე დღე იყო სულთა შაბათი. ამ დღეს ქალები უქმობდნენ. დილით ადრე დიასახლისი მოამზადებდა ხარგს

* მარიაშენობის წინა დღე, ოთხშაბათი ლეჩხუმში ცნობილი იყო ძალლის თოხ-შაბათის სახელით. ამ დღეს ყველა თმობდა. უშმი არ იყო.

სუფრის დასადგმელად. გამოცხობდა ყველიან სულის პურებს, დაკლავდნენ ქათამს ან ბატს, თუ ახალი მკვდარი ჰყავდათ, საფლავზე წაიღებდნენ მთელ ქათამს, 3 სულის პურს, ერთ ბოთლ ღვინოს და სანთელს, მღვდელი აკურ-თხებდა საკურთხეს. ქათამს, 2 სულის პურს და 1 ბოთლ ღვინოს მღვდელი წა-იღებდა, დანარჩენს კი სახლში დაბრუნებდნენ. ოჯახში ახალი მკვდარიც რომ არ ჰყოლოდათ, უსათუოდ უნდა „წაედგათ“ საღილამდე.

გურიაში ხორციელის შაბათს სულთა ცოცხლისას უწოდებდნენ. ეს დღე დღესასწაულად არ ითვლებოდა, თუმცა ტ. მამალაძის ცნობით (1893) ზოგი მაინც ზეიმობდა.

სულთა შაბათის მეორე დღე, კვირა, ხორციელის დაურწყება // დაღების დაურწყება. რაჭაში ამ დღეს განსაკუთრებული წესები არ იცოდნენ, მხოლოდ საღილად და ვახშმად მოხარშავდნენ ხორცს და გამო-აცხობდნენ პურებს.

ლეჩხეუშში ხორციელის დაურწყება განსაკუთრებით „სახლის ბარაზეა“. დიასახლისი აცხობდა 1 ბატარა ჯვარსახიან ტაბლას, რომელშიც ჩაურთავდა მარილს, ნიგოზს, ყველს. უფრო ხშირად ხმარობდნენ მარილს. ამას ეწოდე-ბოდა სახლითავი სალოცი. მამაკაცს ეს სალოცი სახლის სახურავზე უნდა აეტანა, ღვინით და სანთლით. ზემოთ წაღმა ეტრიალებინა და ელოცა. ვახშმისთვის შაშხი უნდა ჩაედგათ. ამ დღეს ქალები „იჭერდნენ“ კაცებს. დაშერილი კაცი ვალდებული იყო რაიმე ხარჯი გაეღო. უფრო ხშირად, საჩუქ-რით გაისტუმრებდა ქალს.

აღმოსავლეთ საქართველოში წყალკურთხევიდან ხორციელის კვირამდე არსებულ დროის მონაკვეთს აღებას უწოდებდნენ. ხევსურეთში აღება კვირა ხორციელს ემთხვეოდა, თუმცა ხევსურეთში აღების სახელწოდებით ცალკე დღეობა არსებობდა.

ხორციელის ხუთშაბათს ქართლ-კახეთში სახლთან გელოზობა ა აღნიშნავდნენ. თუშებთში ამ დღეს ხინკლაობას ეძახდნენ.

ქართლში სახლთან გელოზობას ანუ მარიაშნობას, ახლად გამოჩეკილ 3 დღის წიწილის აღებდნენ ნიშანს, ქუსლს ანუ შუა მწყალს აჭრი-ლნენ. ეს წიწილა სამარაზნოლ იყო განკუთვნილი. ამ დღისათვის ერბოს ზე-დაშეც ჰქონდათ. გამოცხობდნენ 3 გულიან ქადას, 3 ლავაშს, მოხარშავდნენ ქათამს, 3 კვერცხს და ჩარექა ღვინოსთან ერთად დაწყობდნენ სუფრაზე. ქა-დას და ქათამს სტუმარს არ შეაჭმევდნენ. ქათმის ძვლებს მიწაში ჩაფლავდნენ ან ცეცხლში დაწვავდნენ, რომ რაიმე ცხვველს არ შეეჭამა. ქადაზე დაღე-ბულ თავ-ფეხს მოიტანდნენ სახლის მარჯვენა კუთხეში, ანთებდნენ სანთელს



და დაილოცებოდნენ. ესენი ქალს უნდა ეჭამა. ზოგი, ქათამს რომ დაჭლებულება
ქვემოთ მარცვალი ეყარა და ზემოღან სისხლს დაადენდა. მარცვალს ინახავდ-
ნენ და ახლად გამოჩეკილ წიწილებს უყრიღდნენ. საანგელოზო საჭმელს მხო-
ლოდ უფროსები შეჭამდნენ, ბავშვებს არც დაანახვებდნენ — თვალები ეტკი-
ნებათო. ზოგი ქათამს როდინზე კლავდა — როდინში ნიგოზი ინაყება, ბარა-
ჯიანი არისო. ამ დღეს მხოლოდ ქალები უქმობდნენ.

კახეთშიც ამ დღის მთავარი კერძი მოხარშული ქათამი იყო. მას ღია
ფანგარაში დადგამდნენ, საღამოს მოსულმა ანგელოზმა დაინახოსო. ანგელოზს
შესთხოვდნენ წლის მოსავალს ბარაქა მიეციო. ყველა კუთხეში სანთლებს
დაანთებდნენ, კარებს გააღებდნენ — კეთილო ანგელოზო შინ შემოღიო, ავთ
ჭარეთ გადიო.

თუ შეთში ამ დღეს, როგორც ითქვა, ხინკლაობას ეძახდნენ. დილით
აღრე, დიასახლისები ღიდ ხინკლებს მოხარშავდნენ და ზეის ამოსვლამდე,
თთოთ-თთოთს მეზობლებს დაურიგებდნენ. სახლში სანთლებს აანთებდნენ და
ხინკლიან ტაბლაზე მიცვალებულთა სულების მოსახსენებელს იტყოდნენ.

თუ შეთში ხორციელის პარასკევს ცეცხლის უქმე იყო. უქმობდნენ,
რომ ცეცხლს ქონება არ დაეზიანებინა.

ხორციელის შაბათი მიცვალებულთა დღეა. (ამ უქმეს აღმოსავლეთ სა-
ქართველოს სხვა კუთხეებშიც იცავდნენ) მოხარშავდნენ კორქოტს, დაკლავდ-
ნენ ცხვარს, სანთლს აანთებდნენ, მოაქმევდნენ საკმეველს.

კახეთში წინა დღეს გააკეთებდნენ ფაფას შაბათისთვის — წანდილო-
ბა ა. ფაფა წინა დღეს, მზის ამოსვლის შემდეგ კეთდებოდა. მეორე დღეს
კი მზის ამოსვლამდე რიგდებოდა მეზობლებში.

მთიულეთში ამ დღეს ხატში გადიოდნენ.

გუდამაყარში ამბობდნენ: „ხორციელის შაბათს თქვენ მითხარით ძმანო
შანდობა, ყველის შაბათს რაბალნ თქვენ მითხარით შანდობა“. იშლებოდა
მიცვალებულთა მოსახსენებლად სუფრა, სადაც უნდა ყოფილიყო კორქოტი
და მოხარშული ბრინჯის კერძი.

ხევშიც გადიოდნენ სასაფლაოზე.

თუ შეთში ხორციელის შაბათი მკვდართ გასტუმრების დღე
იყო. იგი ღიდ უქმედ ითვლებოდა. სოფ. დანოში, დართლოსა და კვავლოში ამ
დღეს „ყვავპურობა“ ანუ მკითხაობა იცოდნენ. ნაშუადღევს ახალგაზრ-
და ქალები პატარა კვერებს გაიტანდნენ სოფლის განაპირას და ყვავებს გადა-
უყრიდნენ. საითკენაც წაიღებდა ყვავი კვერს, ქალებიც და ვაჟებიც იმ მხრი-

დან ელოდებოდნენ საბედოს. თუ ადგილზე შეჭამდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ კვერის პატრონს ბედი არ ეხსნებოდა.

ხორციელის კვირის აღ ე ბ ღ ა მ ე იყო, ამ ღამეს აუცილებლად ხორცი უნდა ექამათ. კახეთში ახალგაზრდები დაკლული ქათმის ძვლებს თავქვეშ ამოიდებოდნენ, რომ სიზმარში საბედო ენახათ.

გუდამაყარში ძვლიანი ხორცი უნდა მოეხარშათ. ხორცს რომ შეჭამდნენ, შემდეგ 7 ძვალს წითელ ძაფს მოაბამდნენ, ბანზე შეაგდებოდნენ და თან იტყონენ: „აბრამის ძოლნო, ბეთლემის ლეკვნო, ველის ნადირნო“, ან „აბრამი! შევყრი შენსა ძვალსა, შემახვეჭე შენ წილ ღმერთსა“.

თუ შეთში ამ დღეს მარხვას „შეირავდნენ“. ოჯახი ცალკე ან ახლო ბიძაშვილებთან ერთად მოხარშავდა ხინკალს და ამით დაიმარხვებდა. ზოგან სოფლის ჭარი იძართებოდა, ზოგან ფერხისას ჩაბმის გარეშე სახლში ვერავინ წავიდოდა.

ძველად ამ დღეს კუდიანების გასტუმრება იცოდნენ. ბავშვები სალამოს ამზადებოდნენ ისრებს, წვერს ცოტათი ჩაუჭრიდნენ, შიგ ბუქნის პატარა ნაჭერს ჩაურჭობდნენ და ბაჭარს შემოახვევდნენ. დედები შებინდებიას ბავშვებს სანთელ-ზედაშეს და კოტრებს გარეთ გამოუტანდნენ. ბავშვები სოფლის ბოლოს გავიდოდნენ და სოფლისკენ ცეცლმოდებულ ისრებს ისროდნენ, თან იძახოდნენ: „ხიბალო კუდიანებო, კაკალო გულიანებო, თქვენამც გჩრიათ“. გადმოცემით, უფრო ადრე ამ ისრებს უფროსები ისროდნენ.

ხორციელის კვირის ხევსურეთში იცოლნენ აღ ე ბ ა. ეს დღეობა ყველა ხატში არ იმართებოდა და მისი ხანგრძლივობა ერთი ან რამდენიმე დღე იყო. ზოგ ხატში ახალ დასტურებს ირჩევდნენ, რომლებიც თავიანთი მოვალეობის შესრულებას მხოლოდ გიორგობას შეუდგებოდნენ. ერთი დასტური თხას დაკლავდა დილით, ჟამისწირვის შემდეგ. სოფელში ყველა მოხარშავდა ხორცს. თქმულების მიხედვით ამ დღეს ქრისტეს ჩამოუვლია და სტუმრის დასახვედრად ყველა მზად უნდა ყოფილიყო. ზოგან ეს წესი ა ხ ა ლ წ ე ლ წ უ ხ რა ს სრულდებოდა. იმართებოდა ჭარი. სოფელ ამღაში ისეთივე თამაშები სცოდნიათ, როგორც ახალ წელს: მეთამაშე, ომი, ქალების გოტაცება.

ჟ ვ ე ლ ი ვ რ ი

ხორციელის დაურწყებას მოჰყვებოდა ერთკვირიანი პერიოდი, რომელიც საყოველთაოდ ყველიერის სახელითაა ცნობილი. ეს კვირა გამოირჩეოდა მრავალფეროვანი ხალხური წეს-ჩვეულებებით.

ყველიერის პირველ დღეს დასავლეთ საქართველოში თეთრი მარტი ბათი^{*} ეწოდებოდა.

რაჭაში თეთრ ორშაბათს უფროსი ქალი ძალიან ადრე ადგებოდა, გამოაცხობდა ერთ დიდ ყველიან განატეხს, ჩამოქნიდა სანთელს და განატეხში ჩასობდა, ღრმა თევზს წყლით გაასებდა, ბოსელში შევიდოდა და დალოცავდა საქონელს. წყალს მიასხმავ ძროხას, ანთებულ სანთელს კი იქვე დატოვებდა. განატეხს შინ შემოიტანდა და ყველა ქალს დაურიგებდა. ამ დღეებში სადილ-განმად უფრო ყველს ჭამდნენ.

ლეჩებუმში თეთრი ორ შაბათი დიდი უქმე იყო. ამ დღეს განსაკუთრებულ დიდ დღეობას იხდიდა ორბელის თემი. ცხვებოდა პური ყველიანებით, საერთო ხარჯში მენახევრები ღვინო ც (15 ბოთლი) უნდა გაეღოთ. ეს ღვინო მამულის (ვენახის) შესაწირავად და კოხის საწინააღმდეგოდ ითვლებოდა. ყველიანების გარდა ამ მიზნით ცხვებოდა სამი სამშვიდობო ტაბლა. ყველაფერი უნდა წაეღოთ არჩეულ დიდ სახლში. შეკრებილებთან მიღიოდა მღვდელი, თითოეული ოჯახის წევრს მიჰქონდა მასთან ერთი ტაბლა და მენახევრე ღვინო. მღვდელი აიღებდა ტაბლას და დაილოცებოდა: „დეიფარის ღმერთმა ბორიოტისაგან, კოხისაგან შენი ვენახი. დეიფარის ღმერთმა შენი ოჯახი სწორისაგან, გაჭირვებისაგან, გამრავლოს ღმერთმა“! შემდეგ აიღებდა და ხმამაღლა განაცხადებდა: „ეს მენახევრე ღვინო შემოსწირა ამან და ამან, დალოცოს ღმერთმა“. ხალხიც იმეორებდა — დაილოცოს. სანამ სადილზე დასხდებოდნენ, გაისტუმრებდნენ მღვდელს. აძლევდნენ 1 ყველიან ტაბლას, 2 ან 3 ლავაშს და თითო ბოთლ ღვინოს. თითოეული ოჯახი თავის წევრებში იჯდა და წინ თავისი ხარჯი ედო. აირჩევდნენ „ტოლობაში“. ღმერთის ხსენება პირველ სასმისზე ყველასათვის სავალდებულო იყო, მერე ჩამოკიყებოდნენ თითოეულ ოჯახს და დასახელებდნენ თჯახის უფროსს.

სალმოს დიასახლისი ძროხის სალოცს გამოაცხობდა. ამ ტაბლას, ჭიქით წყალს და ჩასაქმევ-სანთელს დიასახლისი გაიტანდა ძროხასთან, წალმა შემოავლებდა თავზე და შეულოცავდა. მის ზურგზე გადაატარებდა ტაბლას. ამ ტაბლას მხოლოდ გათხოვილი ქალი შეჭამდა.

ქვემო სვანეთში ადრე, მოსიმლერე ხალხი შემოიკრიბებოდა და ღამე ჩამოივლიდა სოფლებს. ერთი მოსიმლერე ჯგუფი „ლოგუშედათი“ დაიგლიდა ოჯახებს. სახლში ისინი არ შეპყავდათ, ლობიოს ან ყველს გამოუტანდნენ. სანამ მღეროდნენ, ერთ ბიჭს კანაფით დაბურდავდნენ. მას ხის ხმალი ჰქონდა,

* იმერეთში თეთრ ორშაბათს ყვენობა იცოდნენ.



ეროვნული
ბიბლიოთეკი

სახლში უნდა შევარდნილიყო და საქვაბისათვის დაერტყა. გამოეკვებდებოდნენ — ქალები, თუ დაეწეოდნენ კანაფს დააგლოჭავდნენ და ქათმებს დაუყრიდნენ — ბევრი ქათმი გვეყოლებათ. ეს წესი ცველიერის ნებისმიერ დღეს სრულდებოდა. ცველიერის სამშაბათს ლეჩხუმში იცოდნენ „საკაცურობის“ სახელით ცნობილი თამაში.

ცველიერის ოთხშაბათს გოგო-ბიჭები ერთად დადიოდნენ. იცოდნენ ყანაში მომუშავე ხალხის „დაბრორკვა“. გაუშვებდნენ შემდეგ ვინმე მოსახლესთან და ის გუხსნიდა ხელს და მისცემდა პურ-მარილს.

ცველიერის ხუთშაბათს — ლამარია ცაში ეწოდებოდა (ქვ. სვანური მასალის მიხედვით). ამ დღეს მიღიოდნენ ქუთაისში სალოცავად (ძირითალად უშვილო ხალხი).

სამეგრელოში აგვისტოში მიწაში იმარხებოდა ცველი 10—20 კილოიანი ხალამით, რომელსაც გახსნილნენ ცველიერში და გამოიყენებდნენ სხვადასხვა საკვების დასამზადებლად.

გურიაში ცველიერის ორშაბათს ყვავილობას, ანუ ყვავილბატონების ღოლები უწოდებდნენ. იმ პირებს, ვისაც მოხდილი არ ჰქონდა ცვავილი, ამ დღეს ეკრძალებოდათ პირის დაბანა, პურის გამოცხობა, წერა-კიოხვა. ფანჯრებზე აფარებდნენ ფარდებს და საღამოთი გარეთ არ გადიოდნენ. თუ სოფელში ვინმე ყვავილ-ბატონებით იყო ავად, აკრძალული იყო სროლა, რათა ბატონების რისხევა არ გამოეწვიათ. ხალხის რწმენით, ვინც ამ დღეს წესს არ დაიცავდა, იგი ავად გახდებოდა. არავითარი ლოცვა ან რიტუალი ამ დღეს არ სრულდებოდა. მუშაობა არ იყრძალებოდა.

ცველიერის შაბათს, საღამოს კვერცხის ნაჭუჭვში ცოტ-ცოტა ნამცეცებს ჩაყრიდნენ — ეს ბუზებსო, ეს კოლოსო, ეს რწყილსო და სხვ. შემდეგ ნაჭუჭვს დაახურავდნენ ზემოდან, შემოივლებდნენ თავზე და გადააგდებდნენ. სხვას უნდა წაედო, ვინც ხელს მოჰკიდებდა.

რაჭაში ცველიერის შაბათი კილმართბის სახელით იყო ცნობილი (სხვა ვერსიით ის მოდის კვირიკობის სამ რიცხვში). უქმე არ იყო, მხოლოდ ვენახის „ბარობაზე“ „შეწირული“ ჰქონდათ ოჯახის უფროსი კაცის ვენახში შესვლა, რომელიც ლერწმის ძირში შეინახვდა რკინას. ამას ეწოდებოდა ვენახის დარკინვა, რაც საჭიროდ მიაჩნდათ იმისთვის, რომ მტევანი საღი ყოფილიყო.

სვანეთში ყველიერი ყველიერი აღაბენის საღამო) იყო. ცველიერის გაცილებას კვირას აწყობდნენ. ერთად შეიყრებოდნენ, ქეიფობდნენ და ერთობოდნენ.



ყველიერის შაბათს ლეჩხუმში სულთა შაბათი, გურიაში კულტურული ა
მკვდრისი ეწოდებოდა. ლეჩხუმში ამ დღეს ქალები უქმობდნენ. ყველა
ოჯახში სავალდებულო იყო სულრის წადგმა სადილობამდე.

გურიაში ყველიერის შაბათს საღამოსთვის კეთდებოდა საკურთხი, იგზავ-
ნებოდა ეკლესიაში და მღვდელი აკურთხებდა. საკურთხის ნაწილს თვითონ
აიღებდა, ნაწილს კი პატრიონი შეჭირდა.

ყველიერის კვირა ყველიერის დაურწყება იყო. საღილ-ვახშ-
მად განსაკუთრებულად უნდა ყოფილიყო ყველი და დიდი რაოდენობით
კვერცხი. ამ დღისთვის ყველიანების გამოცხობაც იცოდნენ. დილიდანვე იწ-
ყებოდა ჯამ-ჭურჭლის „დაკასკასება“, რომ ქონი ან ხორცი არ დარჩენილყო
ზედ.

თუშეთის გარდა, მთელ აღმოსავლეთ საქართველოში ამ დღეს ჩითა-
ფაფაბა იცოდნენ, ხევსურეთში კი დიდმარხევის ორშაბათს. ეს დღე ქარ-
თლში, მთიულეთ-გულამაყაჩში, ხევში ბატონების, ანუ ყვავილის
უქმე იყო. მთიულეთში იგი უამის უქმედაც ითვლებოდა.

ქართლელები ამ დღეს ჩალიჩს აწყობდნენ. ქალების და ქაცების ჩა-
ლიჩი ცალ-ცალკე, ძირითადად ნეფისა და პატარძლის გამოსაცდელად იმარ-
თებოდა. მოთამაშეთა ერთი ჯგუფი წრეში იდგა, მეორე გარეთ. გარეთ მყოფ-
ნი ცდილობდნენ ქამრები მოერტყათ მეორე გუნდის წევრებისათვის, რომ-
ლებიც წრეში იდგნენ. ქამარმოხვედრილი მოთამაშე წრიდან უნდა გამოსუ-
ლიყო. სათამაშოდ იჩჩევდნენ დიდ ბანს. ზოგჯერ ჩალიჩი აღდგომამდე გრძელ-
დებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოში, იქ სადაც ჩიტ-ფაფაბის ან ჩითა-
ფაფაბის წესი დასტურდება, ხორბლის ან სიმინდის ფევილის ფაფს აკე-
თებდნენ, რის შემდეგაც დედა-შვილს ან ბებიასა და შვილიშვილებს შორის
იმართებოდა დიალოგი:

- დედა, დედა რას აკეთებდე?
- ჩიტა-ფაფასა.
- მერე მე არ მაჟმევ?
- გაჟმევ მრავალსა.
- ჩემი ჯამი სადა დგა?
- მაღლა კერასა (ან მაღლა თაროზე).
- ჩიტნი ვის ყანას ჰქექენ? (ან თაგვნი ვის ყანას მქიან?) (ხევი).
- სხვისა ყანასა.



ხშირად აკონტრეტებდნენ. ქართლში ფაფას ნაფოტებზე დადებლა მარტინ ლობეზე შემოღებდნენ, თან იტყოდნენ: „ჩვენ ყანას ნუ შეშპამთ, ეს შე-ჭამეთ“.

ხევში ამ დღეს ფაფასთან ერთად აკეთებდნენ ვ პატარა კვერს, ხინკალს, ხაბიძენებს, რომლებსაც საღამოს, ვარსკვლავები რომ ამოვიდოდა, დედა ან ბებია გარეთ გამოიტანდა და ბავშვებსაც გამოიყვანდა. ბავშვები ცას შეხე-დავდნენ და იძახდნენ: ეს ჩემი ვარსკვლავია, ეს ჩემიო. ბავშვებს ხელის მტე-ვანზე რამდენიმე წვეთ ცხელ რძეს დაწვეტებდნენ, თითქოს ვარსკვლავებია მოფენილი. ეს იმისთვის კეთლებოდა, რომ მათ სახადი იოლად მოხადათ. ვინაიდან სახადის განმეობლად ითანე ნათლისმცემელი* ითვლებოდა, ამიტომ ეს დღე მისთვის განკუთვნილი დღეც იყო. აქვე უნდა ეჭვამათ კვერები და ხა-ბიძენები. შემდეგ იმართებოდა ზემოთ აღწერილი დიალოგი.

ხევში ყველიერის ორშაბათი გრძელებოდა.

თუ შეთში ყველიერის ორშაბათს უქმობდნენ. ახალგაზრდები მთელი დღე ზონილაობდნენ, ანუ შიმშილობდნენ. საღამოს გათხოვილი ქალი „ცეფის-ჭერს“ გამოუცხობდათ. ცერით 9-ჯერ დაფქულ მარილს და ფქვილს აზელდა და კვერს გამოაცხობდა. პონილა ძილის წინ შექამდა კვერს, რომ თავისი საბედო ენხას.

თუ შეთში ყველიერის სამშაბათს მჭრელთ უქმეს იცავდნენ. უქმობ-ინენ რომ თავგს, ჩრჩილს, კალიას მათი სარჩო-საბადებლისთვის ზიანი არ მი-უყენებინა.

ყველიერის ოთხშაბათს რჩილის (ქართლი), ჩირჩილთ (ერწო-თა-ნეთი), მღილთ (მთიულეთ-გულამაყარი), უქმე იყო. თუ ამ დღეს ისაქმებდ-ნენ, ხალხის რწმენით ჩრჩილი ტანსაცმელს დაჭრიდა. დილით დიასახლისი უმძრავად დაჩრჩილ მატყლს სახლის თხივე კუთხეში დადებდა და იტყოდა: „აბა, რჩილო, ეს ჭამე ჩემი ტანსაცმლის მაგივრად“.

ყველიერის ხუთშაბათი იყო შიოობა. მთიულეთში დათვის უქმი, ანუ დათვქალობა. დათვქალობა ყველიერში გუდამაყარშიც იცოდნენ. ზოგი ამ დღეს ხატში გადიოდა და კაცის, საქონლის კარგად ყოფნას ეხვეწებოდა, არი-დე საქონელს ნაირის პირით. ვინაიდან ქართლში თვლიდნენ, რომ შიო მუ-

* ითანე ნათლისმცემელი იყო წინასწარმეტყველი, წინამორბედი და ნათლისმცემელი უფლისა, იგი ხალხს ნათელს ცემდა წყლით, ალთქმულ მაცხოვართან შესახვედრად შეამზა-დებდა, წინასწარმეტყველებდა და ცოდვილებს სინანულად მოუქმიბდა. შეურჩევებლად ებრძოდა სულმდაბალ ადამიანებს. მან ამილა და გაყიცა მეფე ჰეროდე. დედოფალ ჰეროდიას ჩაგონებით ებრძოლთა მბრძანებელმა შეიპყრო ითანე და თა-ვი მოპევეთა. საქართველოში განსაკუთრებით აღინიშნება ითანე ნათლისმცემლის თვეისკვე-თის დღე — 8 (წ. 09) აგვისტო.

შაც იყო და წმინდა კაციც, (ანალოგიური რწმენა-წარმოდგენები შინა შესახებ დასტურდება დასავლეთ საქართველოშიც, სადაც ეს დღე უქმე იყო, ქადით უნდა გამძლარიყვნენ. გამოაცხობდნენ დიდ ქადას — ცხრაფურცელას). ამ დღეს მუშაობდნენ.

თუშეთში მაქცე-ფართო აგის უქმესაც იცავდენ. თუშთა წარმოდგენით „მაქცე-ფართოაგის“ მსხვერპლი თავად მზრომელი კაცი, შიო ყოფილა, რომელიც ცეცხლში დამწვარა. მისი სული ეხში ბინადრობს. ამ დღეს კი გაზოის და მზეზე წვება.

ყველიერის პარასკევს ქართლში კვირტის უქმე იცოდნენ, მთიულეთ-გუდამაყარში, კახეთში და მწვრთის უქმე. ქართლში დამწვრის უქმე ითდმარხეის პირველ ოთხშაბათს და პარასკევს იყო.

კვირტის უქმე ვაზისთვის კეთდებოდა. უქმობდნენ მამაკაცები, რომ ვაზს კვირტი არ გაცვენოდა. დამწვრის უქმეს ცეცხლის გაჩენის საწინააღმდეგოდ ინახავდნენ.

ყველიერის შაბათის უქმის გატეხვას ხალხის რწმენით უბარაქობა მოყვებოდა. გუდამაყარში მიცვალებულთა დღე იყო თავის უქმე-საც იცავდა. თუშეთში ჯარი იცოდნენ. ზოგ სოფელში ამ დღეს ქალთვორბას ანუ ქალთვორბაბას მართავდნენ. ხესურეთშიც მიცვალებულთა დღე იყო. მთიულეთში კაცები ბანზე იკრიბებოდნენ. სახლებიდან მიჰქონდათ დიასახლისის გამომცხვარი ქადები, რომლებსაც დაუყენებდნენ და ესროლდნენ თოფებს, რასაც თოფოსნობა ეწოდებოდა. ვინც მოარტყამდა, სამიზნეც მისი იქნებოდა. ჭირისუფალ ქალებს, ზოგჯერ თოფოსნობისას მიჰქონდათ მიცვალებულის სახელზე ტანსაცმელი: წინდები, პაჭიშები, ქუდი და სხვა. ვინც მიზანში მოარტყამდა, მას აჯილდოებდნენ.

როგორც აღინიშნა, გუდამაყარში ამ დღეს თავის უქმე იყო. ზოგი ამ უქმეს დიდმარხები იცავდა. ჯოხს ჩალას გაუკეთებდნენ, თაგვის ულვაშების მსგავსად, სახლს წარმა ჩამოუვლიდნენ და ამბობდნენ: „გამო თაგო, გამო რწყილო, ანგელოზნო შინ შემოდით“. შემდეგ ამ ჯოხებს, ბავშვები სოფლის განაპირა წაიღებდნენ და იქ დაყრიდნენ. თუ ვინმე დაუძახებდათ, უკან არ უნდა მოეხედათ — თაგვები უკან მოგვიბრუნდებანო. გამოაცხობდნენ კვერს. ქართლში ამ წესს ყველიერის კვირას ასრულებდნენ. ბიჭები სახლს ასკილის ტოტებს გამოუსვამდნენ და იტყოდნენ: „თაგვო, თაგვო გამოდი, ანგელოზო შამოდი“. ამ ტოტებს სადმე ლობის ძირში დარჭობდნენ. დანარჩენი მსგავსია.

* შიო მღვიმელი ერთ-ერთი ცამეტი ასურელ მამათაგანია. მას ეკლესია მოიხსენიებს ყველიერის ხუთშაბათს, 7 და 9 მაისს და 1 ივნისს.

ყველიერში ხევშიც იცოდნენ თაგვის უქმე. განსხვავებული წესები, რომელიც ხევში იყო, შემდეგია: ამ დღეს გამომცხვარ კუტაბს ბავშვები წყალში ჩააგდებდნენ, ვითომ თაგვიაო. ზოგან, როგორც გუდამაყარში, ჯოხის ჩალას მოაბაძლნენ და გამოსმის შემდეგ მეზობელს გადაუგდებდნენ, ან ქუჩაში გავიდოდნენ, კუტბებს შეჭამდნენ და ჯოხებს გადაყრიდნენ.

როგორც ითქვა, თუშური „ქალთვორიაობა“ ან „ქალთვორიაობა“ და ოფოფ ბა ყველიერის შაბათს იცოდნენ. ომალოში ამ დღეს დიდ კოტორს გამოაცხობდნენ და ნაშუადღევს საჯარეში გაიტანდნენ. ჯარში ახალგაზრდები ყველაზე კარგ, ბევრ გულიან კოტორს აირჩევდნენ. ქალი ან ვაჟი დაავლებდა ამ კოტორს ხელს და გაიქცეოდა, დანარჩენები გამოეკიდებოდნენ. თუ ქალი გაიტაცებდა, ვაჟებს უნდა წაერთვათ, თუ ვაჟი — ქალებს. ვინც გამტაცებლის მხარეს იყო, მდევრებს ხელს უშლიდა. გამტაცებელს კოტორის გატაცება და მისი რომელიმე ოჯახში დამალვა უნდა მოესწრო. ამ საქმეში მდევრებს ხელი უნდა შეეშალათ. ქალის დამალული ვაჟებს უნდა ენახათ, ვაჟისა — ქალებს. მისთვის, ვინც იპოვიდა, ის წელი იღბლიანი იქნებოდა. დამალულ კოტორს ყველა ინაწილებდა. როდესაც ახალგაზრდები საჯარეში ბრუნდებოდნენ, რომელიმე ვაჟი ერთ-ერთ ქალს სახეზე ტალახს წაუსვამდა და იწყებოდა საერთო ლაფობა. მათ უფროსებიც უერთდებოდნენ. ამ დღეს ტალახის წაუსმელი არავინ არ უნდა დარჩენილიყო. ხანდაზმულებს შებლზე ტალახის ჯვარს წაუსვამდნენ.

ბოლოს წყაროზე წავიდოდნენ, დაიბანდნენ, თან წაიღებდნენ კოტრებს, სანთელ-ზედაშეს, დაილოცებოდნენ, მექალთვორეთა შესანდობარს იტყოდნენ, შემდეგ სოფელში დაბრუნდებოდნენ და სალამოს „შიყარაში“ შეგროვდებოდნენ.

სოფ. ვესტმოში გათხოვილი ქალები დაუქორწინებელ ქალ-ვაჟებს ერთ ახლში ჩაკეტავდნენ. თვითონ მამულში, თოვლში ჩამალავდნენ კოტორს და ჩერე გამოუშვებოდნენ ჩაკეტილებს. მათ შიშველი ხელებით უნდა მოექებნათ კოტორი. ნაპოვნს გაისროდნენ და თან იტყოდნენ: „დმერთო! მოგვიყვანე კარგი ყანა“. კოტორს დასაჭერად ყველა დაედევნებოდა და ვინც კოტორს დაიჭერდა, მისი იყო. ბოლოს იმ ადგილას მიგიღოდნენ, საიდანაც გაისროლეს. დედაქაცები და ახალგაზრდები ერთმანეთს დაეჭიდებოდნენ და გვარინად გორავდნენ. ამას ქალთვორობა ეწოდებოდა, ხოლო აღვილს, საღაც ეს ხდებოდა, ქალთსაგორნაო. აქაც შიყარას გააკეთებდნენ, საღაც მთავარი მომენტი იყო მექალთვორეთა მოსაგონარი და ხვავისა და ბარაქის ლოცვა.

როგორც ითქვა, ყველიერის შაბათს ოფოფობაც იცოდნენ. ირჩევდნენ 6 ქალს, რომლებსაც დილით ბერიკებად მორთავდნენ. ჩაატმევდნენ კაბებს და ტილის ჭუბებს, ისე რომ ქალები ოფოფებს დამსგავსებოდნენ. საჯარეს წინ ტალახით, ნაკელით და ნაცრით ტლაპოს გააკეთებდნენ. ქალები ოფოფებს დაკვრით და სიმღერით მიუძლოდნენ წინ. ოფოფები ტლაპოში ამოიგანგლებოდნენ, ხალხს შეერეოდნენ და მათ დასკრას ცდილობდნენ. თავის მხრივ ისინი ხელს კრავდნენ ოფოფებს, რომლებიც ძირს ვარდებოდნენ და კარგა გვარიანად იუეჭებოდნენ. ამას კარგად იმახსოვრებდა დანარჩენი 3 ქალიშვილი, რომლებიც საღამოს ბერიკებად უნდა გადაცმულიყო.

საღამოს ჯარზე, მამაკაცად გადაცმული სამი ქალიშვილი ტრიალებდა. მათ სახეზე დიდულვაშიანი ნილებით ჰქონდათ გაკეთებული და ხელში ხის ხმლება ეჭირათ. ბერიკები ცეკვავდნენ, სხვებსაც იწვევდნენ საცეკვაოდ და მცირე ურჩობისათვის ან დილით ოფოფთა გაჯავრებისთვის, ხის ხმლებს ურტყმდნენ.

ყველიერის კვირას დიდმარხევის წინა ღამე იყო. ამ დღეს ხევში აღება ა ეძახდნენ. ზოგან სოფელმა ერთად შეყრა და ლხინი იცოდა.

მთიულეთში ცხენის პატრონი ქადას გამოაცხობდა, ცხენს სამჯერ შემოავლებდა და მის შენარჩუნებას ეხვეწებოდა ხამლს (ხუნაგის მშველელი ხატი). ამ დღეს ესკალაის (ასკილის) სახრით იცოდნენ თაგვების გარეევა.

ხევსურეთში ამ დღეს მარხვაშამაი წუხრას ეძახდნენ. კარგ გახშამს გააკეთებდნენ და ყველა ერთმანეთს უმასპინძლდებოდა.

თუშეთში ყველით დაიმარხვებდნენ. გამოაცხობდნენ კოტორებს და კალტიან ხინკლებს.

ქართლში ყველიერში აცხობდნენ გულიან ქადას და ხორბლის ან ლობის გოდორში ჩაფლავდნენ. გახსნილების შემდეგ ბავშვებს პატარა ნაჭრებს შეაჭმევდნენ — აღარ გაცივდებოთ.

ყველიერის მხიარულება და მრავალფეროვნება ყეენობა-ბერიკაობაშია გაცხადებული, როდესაც ხალხი მომავალი ხანგრძლივი მარხევის მოლოდინში თავდავწყებით ეძლეოდა ლხინს. ეს ლხინი და მხიარულება ხალხური თეატრალური სანახაობის ისეთ მასშტაბებს აღწევდა, რომელშიც ჩაბმული იყო არა მარტო ერთი და ორი სოფელი, არამედ ზოგჯერ მთელი ხეობაც. ზოგან ბერიკაობა რომ ყველიერში იყო, ყეენობა დიდმარხევის ორშაბათს იმართებოდა.

სოფლის მამაკაცები ირჩევდნენ ბერიკაობის მონაწილეებს: მთავარ ბერიკას, ბერიკებს: ლორს, არაბს, ლექს, თათარს, მღვდელს, ნათლიას, დედო-



ფალს, მებარგულებებს, მომღერლებს და მუსიკალურ ინსტრუმენტების შესრულებებს. სახალხო „სპექტაკლის“ მონაწილენი თავიანთი „როლების“ შესაბამისად ირთვებოდნენ.

ბერიკა ცხვრის ან თხის ტყავს იცვამდა, რომელსაც უკან საქონლის კუდა ჰქონდა მიბმული. იშვიათად ცხვრის გაღმობრუნებული ტყავიც ეცვა. სახეზე ტომარასავით გაკერილი უხეში ნაბდის ნიღაბი ეკეთა, რომელსაც ორი გრძელი ყური და თხის რქა ჰქონდა დამაგრებული. ნიღბის წვერ-ულვაში თხის ბალნისგან კეთდებოდა. თვალების, ცხვირის, პირის ადგილები გამოჭრილი ჰქონდა. ზოგან ნიღბის ნაცვლად ბერიკა სახეს შავად იღებავდა, თხის წვერს და რქებს იმაგრებდა. ზოგან მას ვაცის ყბა, რქები და კუდი ეკეთა. წელზე ქამარი ერტყა, რომელზეც ხის, ძვლის ან რქის ფალოსი ჰქონდა ჩამოკიდებული.

ბერიკაობის მეორე მთავარ გმირს, დედოფალს — „კეკელას“, ქალურად გამოწყობილი ბიჭი განასახიერებდა. მას საპატარიძლო ტანსაცმელი ეცვა, თავზე გვირგვინი ედგა, ზოგან — ფრინველის ჭრელი ფრთხების ქუდი ეხურა. ყელზე სხვადასხვა ფერის ქაღალდისა და შუშის მძივებს უკეთებდნენ, სახეს ფერადი საცხებლით უღებავდნენ. ზოგის გაღმოცემით, იგი გამურულიც ყოფილა.

ღორბერიკა ნიღბად ჭოხზე წამოცმულ ღორის გამხმარ თავს ატარებდა ან ტყავის ნიღაბს. ტანზე ღორის ტყავი ეცვა.

ერთ ფუნქციას ასრულებდნენ დღესასწაულში არაბი, ლექი, თათარი, მათ სავზე ქუდი ან ფაფახი ეხურათ, რაიმე ძეველმანები ეცვათ და ძონძები ეკიდათ. ეწეოდნენ ყალიონს, ყელზე ზარი ჰქონდათ ჩამოკიდებული, ხელში დარი ჭოხი ეკავათ. ისინი სოფლის დარბევაში მთავარ მონაწილეობას იღებდნენ.

ნათლიას აბეზარი ხალხისგან დედოფლის დაცვა ევალებოდა.

მღვდელს ანაფორასავით ტანსაცმელი ეცვა, რომელზეც ოლარი ეკიდა. ხშირად ხბოს ან თხის ტყავს ატარებდა და თხის ბალნის წვერ-ულვაში ჰქონდა. საცეცხლურის ნაცვლად ხბოს კუდი ეკავა ან მოწნული ხის ჭურჭელი, რომელშიც ცეცხლწაკიდებული ნაკელი იყო.

ხანდახან მებარგული და მეკალათე, პატარა ბიჭები, ნიღბებს ატარებდნენ. ასევე იყვნენ მუსიკოსებიც.

წარმოდგენის მორთულ-მოკაზმულ მონაწილეებს წინ თავბერიკა და დედოფალი მიუძღვდათ. მათ ამაღა მოსდევდა. მუსიკოსები მღეროდნენ ბერიკულს, ცეკვავდნენ, უკრავდნენ. მთელი პროცესია კარდაკარ ჩამოივლიდა სოფელს. ეზოში შესულებს მიეგებებოდნენ, ცეკვა-თამაშს, სიმღერას სთხოვდნენ. ბერიკაც ხის ხმლით, ანუ ფალოსით ხელში ცეკვავდა და ღროდადრო მი-

წას უსვამდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მასპინძელს სურსათი უნდა გაძოებანა. დანარჩენები მღეროდნენ:

„ალათასა, მალათასა, გადვიკიდებ კალათასა
 ერთი-ორი კვერცხი მამე,
 ღმერთი მოგცემს ბარაქასა“.

ან

„ერთი თხა მყვანდა ნისლაო,
 ყველგან იცოდა მისვლაო.
 აჩქარდი დიასახლისო,
 სუყველგან გვინდა მისვლაო“ (გუდამაყარო).

ან

„ბერა მოდგა კარებსაო,
 აბრიალებს თვალებსაო.
 ხელი ჩაჰვარ ხალამშიო,
 ღმერთი მოგცემს ბარაქასო.
 ვინცა ბერას არას მისცემს,
 მელას მისცემს მის ქათამსო, ჰო“.

სახლიდან კვერცხებს, ყველს, ერბოს, ფქვილს, პურს, ზოგჯერ ფულს და
 ყოველივეს, რაც ემეტებოდათ, გაუტანდნენ და მისცემდნენ. კმაყოფილი ბე-
 რიკები იმღერებდნენ:

მაგ.:

„ოჯახი აქა ყოფილა
 სხვაგან ტყუილად გვივლია“ (გუდამაყარი).

ან

„გაუსვი ფეხი მაგრადა, თან მიაყოლე ხელები,
 ეგ სახლის პატრონს აევსოს პირამდე პურით ბელელი“.

თუ ვინმე ბერიკას არ გაუმასპინძლდებოდა, მისი ოჯახის, საქონლის,
 ფრინველის გაწყვეტის, უბარაქობას, ყანების განაღვურებას, აღამიანის სიკვ-
 დილს მოასწავებდა. ბერიკების უკმაყოფილების ნიშანი იყო მათი ერთ-ერთი
 წევრის ეზოში გაგორება.

ბერიკები არ კმაყოფილდებოდნენ იმ სურსათით, რომელსაც მათ აძლევ-



დნენ, შეცვივდებოდნენ ხთლე სახლში და ოჯახს არბევდნენ. ეს მომავალი კულტურული ძეგლია: არაბს, თათარს, ლეპს და ლორს, რასაც სიხარულით ხვდებოდნენ მასპინძლები, რადგანაც იგი მათთვის სიუხვე-ბეღნიერების მომასწავებელი იყო. თავის მხრიდან, მასპინძლები ცდილობდნენ ბერივას, თათრის ან მღვდლის წვერისგან რაც შეიძლება მეტი თმა ამოეგლიჯათ და ბაგაში, საბუღარში საქონლისა და წიწილების გამრავლების მიზნით ჩაეყარათ. ამ სიარულში თავგერივა, სხვა ბერივები, ხალხი ცდილობდა დედოფლისათვის კულტურათ და მის მიმართ ერთტულ გრძნობებს ამედავნებდნენ. დედოფლის კოცნა ბედნიერებისა და დოვლათის მიმნიჭებელი ძალის მქონე იყო. სოფლის მოედანზე, ან რომელიმე ბანზე, ბერივა თავს აწონებდა დედოფლა და ცოლობას თხოვდა. ქალიც თანხმდებოდა. ყველანი ჯვრის დასაწერად მიღიოდნენ. პროცესის „ჯვრის პურით“ ხელში ნათლია მიუძღვოდა. მოედანზე ან რომელიმე სახლას წინ მღვდელი ჯვარს სწერდა ნეფე-პატარძალს. რასაც სიმღერა, ცეკვა-თამაში და ახლად ჯვარდაწერილებს შორის სქესობრივი აქტის ინსცენირება მოსდევდა. მაყურებლებიც ცდილობდნენ იქ მყოფ ქალებს მოხვეოდნენ, კულტურათ მათთვის, იძახდნენ უწმაწურ სიტყვებს. აღნიშნული ცერემონიის კულმინაციას ბერივას სიკვდილი წარმოადგენდა. დედოფლა მას დაიტირებდა, გარშემო მყოფი ხალხი კი ცდილობდა მიცვალებულის მობრუნებას. ამასობაში ბერივას მკვლელები — თათარი ან არაბი, დედოფლალს გაიტაცებდნენ. როდესაც ბერივას ჩასძახებდნენ მოიტაცეს, წამოხტებოდა და დაიბრუნებდა პატარძალს, კუკელას. ზოგჯერ ბერივაობის ყველა პერსონაჟი კვდებოდა. ბოლოს ხის ხმლებით და კეტებით სოფლის მოედანზე ბრძოლა და ჭიდაობა იმართებოდა. ხალხის რწმენით უხვი მოსავალი იმ სოფელში მოვიდოდა, სადაურიც ამ ბრძოლა-ჭიდაობაში გაიმარჯვებდა. ამის შემდეგ საერთო სუფრა და ლხინი იმართებოდა.

ყეენობა ყველიერის კვირას ან დიდმარხების ორშაბათს იმართებოდა. ყეენი ფეხბედნიერი უნდა ყოფილიყო. თუ წინა წლის ყეენს ცუდი კვალი გამოაჩინდებოდა, მას გამოცვლიდნენ, თუ არა — იგივეს დატოვებდნენ. ყეენი ენამოსწრებული, ბრეე, ტანადი ახალგაზრდა კაცი ან ახალი სიძე უნდა ყოფილიყო — კარგი მოსავალი მოვაო. ყეენს წაწვეტებული ქუდი, ფრინველის ბუმბულით მორთული ფაფაზი, ან საბუღრის მსგავსი ჩალის ქუდი ეხურა — ჩალისა და თივის უხვი მოსავალი მოვაო. ქუდზე ხშირად მრგვალი პურის, ყეენის ხმიადის დადგებაც იცოდნენ. კახელ ყეენს ხშირად საბუღარი ედო თავზე, რომელშიც ცოცხალი კრუხი ეჭრა, გორსა და თბილისში ყეენი ჩაღმასაც ხმარობდა. ყეენს სახეზე ხორცისფრად ან წითლად შელებილი მუ-

ყაოს ან ქალალდის ნიღაბი ეკეთა. ზოგჯერ ნიღაბი შავად იყო შეღებილი ან საერთოდ შავი ნაბისმაგან კეთდებოდა. იგი თვალების, პირის და ცხვირის ადგილას გამოჭრილი იყო, ჰქონდა რქები, ღორის ან თხის ბეჭვის წვერ-ულვა-ში. ტანზე ბერივასავით ეცვა და საქონლის ან წნელის კუდი იკეთებდა. წელ-ზე კამეჩის ან ხარის კანჭის ძვალი, მოკლე ჭოხი ჰქონდა ჩამოკიდებული, რაც, როგორც ცნობილია, ფალიურ სიმბოლიზმს უკავშირდება. ყერნის ყელზე ყვე-ლიერში გამომცხვარი ნაზქის კვერი და საგანგებოდ დამზადებული მამლის თავი ეკიდა. მამალს ნისკარტში თავისივე ბრჭყალი ჰქონდა გაყრილი. მას ხში-რად ხახვის გალათი და ფერადი მძიებებით ამკიბლნენ. ხელში წინასწარ გა-მოჭრილი მაღალი დროშა ჰქონდა. ამ დროშის სიგრძით განისაზღვრებოდა მომავალი წლის მოსავლის სიმაღლე. ყერნი მოედანზე ან სადმე თვალსაჩინა ადგილზე დასვამდნენ, ხელში ქარქაშიდან ამოლებული ხმალი და შამფურა მყავა, რომელზეც ხახვი ან ვაშლი იყო წამოგებული. ყერნი მხლებლებით იყო გარშემორტყმული. მას, წინ ჩავლილ ქალს მიგვრიდნენ, რომლისთვისაც ხევ-ნა-კოცა უნდა დაეწყო. თავადაც დაერიოდა ხოლმე სანახაობაზე მოსულ ქა-ლებს, თან ფალოსს ამოძრავებდა. აქაც ყერნის და დედოფლის ქორწინების ინსცენირება ხდებოდა. შემდეგ პროცესია მთელ სოფელს დაუვლიდა. ჯერ, ახალდაქორწინებულ ოჯახებს ჩამოუვლიდნენ. ყერნი მოედანზე ან გამოსახენ ადგილზე დაჯდებოდა და მოსახლეობას ღვინით, არყოთ, ყველით, ერბოთა, ხაჭაპურებით, ხაბიძებინათი, ქადით და სხვა, ბეგრავდა. გარდა ამისა, ყველა ოჯახი ვალდებული იყო მიეცა „საციქველი“ — ხონჩაზე დაწყობილი ხილი, ჩურჩხელა, ყურძენი. ზოგან ყერნი ოჯახს სანაცვლოდ სიმინდის მარცვლებს აძლევდა, რაც ქათმის სიმრავლეს მოასწავებდა და წიწილების გამოსახეკად საბულარში მჯდარ კრუხს უნდა ეჭიმა. ზოგჯერ გადასახადს ყერნის ნაცვლიდ მისი მხლებლები აგრძელდნენ. დღეობაზე ჭიდაობაც იმართებოდა. ყერნი მუდამ ჭიდაობდა. ზოგჯერ ყერნი და დედოფალიც ჭიდაობდნენ. თუ ყერნი აჭიბებდა, კარგი მოსავლის მომასწავებელი იყო, თუ პირიქით, ცუდი. ჭიდა-ობა ზოგჯერ მდინარის პირის და მდინარეში იცოდნენ. ყერნს თავის მხლებ-ლებითურთ საგანგებოდ დაგუბებულ ტბაში ჩაყრიდნენ და ლაფში სვრიდნენ. შემდეგ მთელი პროცესია და ხალხი მდინარისკენ მიღიოდა და დედოფალსა და ყერნს წყალში აგდებდნენ. ზოგჯერ წყალში ჩასული ყერნი ღვინოს შეს-ვამდა, „ფალოსს“ მარილს მოაყრიდა, ღვინოს დასხამდა, დალოცავდა, მო-იხსნიდა, წყალში ჩაგდებდა და იტყოდა: „წადი გამრავლდი ქვეყანაზე, კარგი მოსავალი მოიყვანეო“. შემდეგ ყერნი და დედოფალი ქუდებით ხალხს წუ-წავდნენ, თან დაილოცებოდნენ: „გაგიმრავლდეთ ძროხა, ცხვარი, კრუხი, წი-

 წილა და ასე მრავალი მოგსვლოდეთ პურიო". კახეთში ყევენს შიშველულისაგ-
დებდნენ, გვალვა აღარ იქნებაო.

ქართლში, ზოგ სოფელში ქალების და კაცების ყევენები ცალ-ცალკე
ჰყავდათ. ხალხის ჩრდებით, ქალების გამართული ყევენბა უკეთესი იყო, ამ
წელს უფრო ქარგი მოსავალი მოდისო.

გვალვის საწინააღმდეგოდ, გუთნით წყალსაც ხნავდნენ. გუთნის ღირლი-
ტაზე მსხდომი ყევნი და დედოფალი გუთანში შებმულ მამაკაცებს — „მეხრე-
ებს“, წყალში შეყავდათ. ყევნი და დედოფალი ამ ღროსაც ალერსში იყვნენ.
ბოლოს იმართებოდა საერთო ლხინი. სუფრაზე მთავარი იყო ყევნის გამხია-
რულება. ხალხის ჩრდებით, თუ ყევნი კარგ ღროს გაატარებდა, მოსავალიც
კარგი მოვიდოდა. ყველიერში მთიულეთ-გუდამაყარში, ხევში, ბავშვები სა-
ქონლის კოჭებით თამაშობდნენ. გუდამაყარში ცხვრის კოჭებს ერთმანეთს
დაადებდნენ. ამ „ნაგებობას“ ყევნს ეძახდნენ. ყევნს ძროხის ან ხარის კო-
ჭებს ესროდნენ.

ყველიერის ერთ-ერთი დამახასიათებელი და სასურველი გასართობი სა-
ქანელებზე ქანაობა იყო. ქართლში, ქალები პირველად რომ დაჯდებოდნენ
საქანელაზე, კალთაში დიდ ქვას ჩაიდებდნენ, ბეგრი ერბო გვექნებაო.

ყველიერში მარიონეტების პრინცპაზე გაქეთებული თოჯინები — კუ კ-
ნე ბი ჰეონდათ და თითებზე დახვეული ძაფებით ათამაშებდნენ.

ყველიერში ბუმბულს გაარჩევდნენ, რბილი პური გამოცხვებაო (კახეთი).
ანალოგიური წეს-ჩვეულებები სრულდებოდა ქართლ-კახეთში, მთიულე-
თის ზოგ სოფელში, სვანეთში და სხვ.

დიდმარხევის ორშაბათს (შავ ორშაბათს) მთელი ლაშეთი იქრიბებოდა
სოფ. უხუნდერში (ქვ. სვანეთი) დიდი ცაცხვის ქვეშ და იმართებოდა მუ რ-
ყვამობა.

შავ ორშაბათს ლაშეთელები გამოაწყობდნენ ბეროლ-ს (გონჯლ-ს).
მას თავზე გოდირი ეხურა, ტანზე ჩალა და ძონძები ჰეონდა შემოხვეული და
ხელში ხის დაშნა ეჭირა, ხტუნაობდა და „ჰო-პუ-პუ“-ს გაიძახოდა. მისი თან-
შელებნი მღეროდნენ:

„გონჯო მოდგა კარასაო,
აბრიალებს თვალებსაო,
ვინაც გონჯოს არ მისცეს,
გვალვა მისცეს მის ყანასა,
ალათასა, მალათასა,
ხელი ჩაჟყავ ხალამასა,
ამიღელე თეთრი ყველი,
შივ ჩადევი კალათასა“.



მთელი ლაშეთი მოსახლეობაში აგროვებდნენ სანოვაგეს და შემცირებული თად ქეიფობდნენ. გონიოსათვის გამოჰქონდათ კვერცხი, ვაშლი, ყველი და სხვ. ქალები მიეპარებოდნენ, ძონების აგლიჯავლენ და ქათმების უფენდნენ საბუდარში — კრუხები მეტ კვერცხებს დასდებენ და მეტ წიწილებს გამოჩეკავენ.

ყველიერის კვირა რომ დასრულდებოდა, ორშაბათიდან დიღმარხვა იწყებოდა. ეს მარხვა, ორმელიც 49 დღე გრძელდებოდა, მძიმე და ყველასათვის სავალდებულო იყო. ბავშვებსაც კი ამარხულებდნენ. მაგ., ქართლში ითვლებოდა, რომ ვინც ამ მარხვას გატეხდა, ის თვახი უბარაქო იქნებოდა. ჭურჭელს ყველა გულდასმით დარეცხავდა, რომ ცხიმი არ შეყოლოდათ. გააკეთებდნენ ნაცრის პარქს (კახეთში, ზოგან ქართლშიც ნაცრის პარკის მაგივრობას ხახვი წევდა), გაუკეთებდნენ 7 ბუმბულს და ჩამოკიდებდნენ. კახეთში და ქართლში მას მარტვას ეძახდენ, სამცხე-ჯავახეთში ბობოლას. თითო კვირა რომ გავიდოდა, თითო ბუმბულს გამოაცლიდნენ. თუ ბავშვი საჭმელს მოინდომებდა, მარხვას შეარხევდნენ და ამით აშინებდნენ.

დიღმარხვის პირველ ორშაბათს ხალხი სხვადასხვა სახელს ეძახდა: შავი ორშაბათი, ღიღი ორშაბათი, ღიღმარხვის ორშაბათი, წმინდა ორშაბათი, კუმეტი, ურწყის ორშაბათი, თუთაშხა ბედინერი (ანუ ბედინერი ორშაბათი).

კახეთში ამ დღეს ნამცეცობასაც ეძახდნენ. მორჩენილ საჭმელს შეჭამდნენ. მეგუთნეს. პერანგს გაურეცხავლენ — წმინდა ყანა მოვაო. ამ დღის ნაცარს თვალებაზევულები გადაყრიდნენ. მთელი დღე ახალგაზრდები იშიმუილებდნენ. ბეღის კვერცხებს დედ-მამიანს გამოაცხობინებდნენ. ცერა თითოთ სამჯერ აიღებდნენ ფქვილს, მარილს აურევდნენ და გამოაცხობდნენ. დაწოლის წინ, ჯვარედინ გზაზე გავიდოდნენ და კვერს უმძრახად შეჭამდნენ. ასევე უმძრახად მიბრუნდებოდნენ სახლში და დაიძინებდნენ. ამ მარხვას და შემდეგ კვერის შეჭმას წუმის შენახვას ეძახდნენ. ხევშიც ჭამდნენ მარილის კვერს მყითხობის მიზნით და მას ზოგან ქმრის მარხვა ეწოდებოდა. ზოგი ამ დღეს ჩიტ-ფაფობას აღნიშნავდა. საერთოდ იგი უქმებიყო. მხოლოდ ბუმბულს გაარჩევდნენ. საპონს არ იხმარებდნენ — პური დაობდებაო. ლილას კი არ ერიდებოდნენ — პურს რომ გავტეხავთ, ლილისფერი იქნებაო. ტარის ხმარებამ თავბრუსხევევა იცისო.

სახსნილო საჭმელი რაც დარჩებოდათ, ჯოხე წამოაცმევდნენ და მიწაში ჩაარჭობდნენ, რათა ჩიტებს ეჭამათ. ჩიტებს პურის ფქვილში აზელილ საპონსაც დაუკიდებდნენ.



ამავე დღეს იცოდნენ ჩირჩილის უქმე და თაგოთა აჭარაში. ჯოხზე მატყლს დაახვევდნენ და იტყოდნენ: აბა ჩემო ჩრჩილო, მაგართვი შენი წმინდა (შენი პაჭიშები) და ჩემ ტანსაცმელს ხელი არ ახლო. შემდეგ ამ ჯოხებს სახლის კუთხეებში გაუკეთებდნენ.

სალამოს, კვერცხს, ყველს, თევზს და სხვას ეკალზე წამოაცმევდნენ, გაიტანდნენ შორს და იგივე რიტუალს ასრულებდნენ, რაც ზემოთ აღვწერეთ. ზოგი გამოაცხობდა ქადას, წამოაცმევდა ასკილის ტოტზე და სახლს სამჯერ შემოუვლიდა, თან აზბობდა: „გამო თავო, გამო რწყილო...“ შემდეგ სახლიდან მოშორებით გაიტანდნენ ასკილს, მიწაში ჩაამაგრებდნენ და იტყოდნენ: „ეს წელს მოგიტანეთ, მომავალ წელს სხვას მოგიტანთ“.

მჭრელის უქმესაც უქმობდნენ. ინახვდნენ დანას, რომ მოული წლის განმავლობაში მღრღნელებს რამე არ დაეჭრათ.

მოიულეთში ამ დღეს გარე განაბა ერქვა. ლვთის სახელზე უქმე როდნენ და ვინც გატეხავდა, ლვთის გარე განს ეძახდნენ.

ხევში ჟამიანობის საწინააღმდეგოდ ჟამის უქმეს იცავდნენ.

თუშეთში ზეწველის უქმე იცოდნენ. ამ უქმის გატეხვას ზეწველის უბარაქობა მოჰყვებოდა. ძროხებს ძუძუები ატკიცდებოდათ და სისხლს მოიწყელდნენ.

ხევსურეთში ეს დღე ურწყის ორშაბათი იყო. მკითხავები ამბობდნენ, ამ დღეს ურწყთა გამოსვლის დღეაო. თუ მათ ვინმე აწყენინებდა, ვნების მოტანა შეეძლოთ. თუ არა და შეიძლება კეთილი საქმეც გაეკეთებინათ. თუ ურწყთ გზაში ვინმე შეხვდებოდათ, ვინც ცუდს ფიქრობდა, ჩეუბობდა, სხვაზე ცუდს ლაპარაკობდა, უწყრებოდნენო. ამ დღეს ბავშვებს აშინებდნენ და გარეთ არ უშვებდნენ.

ფშავში ამ დღეს თაგვ-ჩიტო უქმეს იცავდნენ.

ყველიერის აღების ღამეს, კვირას, სვანეთში დიასახლისი აცხობდა ყველიან ტაბლის, ე.წ. მელის ტაბლას. დიასახლისს (ან ბავშვს) მიჰქონდა ივი მინდორში ან ტყის პირას და იქ სტოვებდა. ეს ტაბლა განკუთვნილი იყო მელიასათვის. მის სახელზე სწირავდნენ და სთხოვდნენ ფრინველი დაეცვა მელისა და ქორებისაგან. სხვაგან აცხობდნენ პატარა თახურიან ლემზირს, რომელსაც ბავშვი აიღებდა და გაიქცეოდა. მას გამოეკიდებოდნენ, ვითომ არ ანებებდენო მოპარვას და შუაცეცხლიდან აღებულ მუგუზლებს (ზოგან თოვლის გუნდებს) ესროდნენ. ბავშვს ეზოდან უნდა გაეტანა ლემზირი და გარეთ შეეჭამა, რის შემდეგაც მელა და ქორი აღარაფერს წაიღებდნენ.



ამავე ღამეს იცოდნენ „მგლის არჩივის“ შენახვა. ხორცის ნაჟერთა მულტანად ინახავდნენ, შავ ორშაბათს დილას კი ტყეში გადააგდებდნენ სიტყვებით: „აპა, მგელო, არჩივი, პირ ღალებულო გაღმა მხარეს, პირ მოკუმულო აქეთა (გამორმა) მხარეს“. შავ ორშაბათს, დილას რაჭაში, უფროსი ქალი ადგომისთანავე აიღებდა თავქვეშ ნადებ კვერცხის ღენწერეში შენახულ სუფრის ნამცეცებს, ყველა ბავშვს, ყველა უგვირგვინოს, ფეხევეშ გამოუსვამდა „დაგრილი“ (ფეხის გულის ტკივილი) არ გაუჩნდებაო. ქალები ხელს არ მოჰკიდებდნენ საკერავს, საქსოვს; კაცები თუ ამ დღეს მთაში წავიდოდნენ, ნაჯახისათვის ან წალღისათვის პირი უნდა შეეხვიათ ჩვრით, მთაზე ასვლისას რკინას პირს გაუსწინდნენ, შინ კი ნაჯახის ხმარება არ შეიძლებოდა. ამ დღისათვის რკინეული სულ დამალული ჰქონდათ. ამის სამზადისს წინა დღით გასწევდნენ ხოლმე. რკინეულის ხმარების აღკვეთა „შეწირული“ იყო საქონლის ნადირისაგან დასაცავად. ამავე დღეს იცოდნენ სახლ-კარის დასუფთავება. საღამოს კი მოზელდნენ პურს, გამოცხობდნენ მარილიან, საშუალო ზომის, ხელდამულ „ბეწვის განატეხს“; ვახშობის დროისათვის, კაცები გარეთ უნდა გასულიყვნენ, უფროსი ქალი კი აიღებდა ბეწვის განატეხს, კადის ძაფს, მივიღოდა ბუჯერთან, განატეხს ბუჯერში ჩასდებდა, ძაფს ერთი ხელით ხეორე ხელის თითზე დაახვევდა და შეულოცავდა: „ღმერთო, შენ ააშორე ჩემი ნამზადი უწმინდურობისაგან, ბეწვეულობისაგან, ნურაფერს კაცს ნუ შეახვედრებ ჩემ ნამზადში უწმინდურობას და ბეწვს“. ამ ძაფს ყველა ოჯახის ქალი გ. ი. ვისაც საჭმლის დამზადება და გამოცხობა შეეძლო, დაიხვევდა თითზე და ამგვარადვე შეულოცავდა, ლოცვის შემდეგ ძაფს ცეცხლში ჩაგდებდნენ და თან იტყობდნენ: „ახე დასწვი, თუ რამე უწმინდურობა ან ბეწვი იქნეს ჩემს ნამზადშიონ“, განატეხს ყველა დამსწრე და შემლოცველი ქალი შესჭამდა.

ბეწვის განატეხის გარდა უნდა გამოეცხოთ „უ ი ვ უ ი გ ა ს“ განატეხს, ესეც მარილიანი უნდა ყოფილიყო. ქალები რომ ბუჯერთან ბეწვის ლოცვას გაათავებდნენ, კაცები სახლში შემოვიდოდნენ და თითოეული მათგანი მოსტეხდა უივევისას განატეხის პატარა ნაწილს, ჩაწებდა ლვინოში და შეულოცავდა: „უივევისას და მის გაუინას შეუნდოს“. თქმის დროს ის გარეთ გადიოდა და ლუკმას შორს აგდებდა. თითოეულს სამ-სამჯერ უნდა მოეტეხა განატეხი, სამჯერ ეთქვა ვაჟინას შეუნდოსო და მონატეხი ლუკმა გარეთ გაესროლა. შავი ორშაბათიდან იწყებოდა თმობა. ანალოგიური ჩვევები დასტურდება ლეჩხუმშიც. ვაჟინასა და უივევისას მოხსენება შავ ორშაბათს დასტურდება რაჭაში, ლეჩხუმში, ქვ. სვანეთში.

თევდორობა

შევი თრშაბათიდან დაწყებული შაბათის ჩათვლით ცნობილია თედორობის* (თევდორობის კვირის) სახელით. ამ კვირაში განსაკუთრებით გმოიყოფა მთელ დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია დღეობა თევდორობა.

სამეგრელოში თევდორობა//თერდობა, სვანეთში — ლითოდრი ცხენების დღესასწაულად ითვლებოდა. თერდობის რიტუალს ასრულებდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც ცხენები ჰყავდა.

რაჭასა და ლეჩებუმში — იგი ნათესების, ვენახისოთვის განკუთვნილ დღელ შეიძლება ჩაითვალოს. მთელ დასავლეთ საქართველოში ამ დღეს ცხვებოდა სხვადასხვა ფორმისა და სახის რიტუალური პურები. ამ დღეს უახუნდერში (ქვ. სვანეთი) ამზადებდნენ ცხენის ტაბლას. ვითინთან (ნიში), რომელსაც ლითოდრ ეწოდებოდა, მიღიოდნენ სოფ. ლემზავორიდან და მიქვონდათ ცხენის ტაბლა, რომელსაც აქეთ-იქით რქები ჰქონდა გაყეობული. ყოველი ოჯახიდან დილის, თითო მამაკაცი მიღიოდა ასეთი ტაბლით. ტაბლას იქვე შესჭამდნენ და დაბრუნდებოდნენ. ეს ტაბლა ცხენის სალოცავი იყო. მას ლობიოს გული ჰქონდა. ლოცვისას წმ. თევდორეს იხსენიებდნენ — ცხენები გვიმრავლე და მისი მომხრე კაციო**.

თევდორობას საქონლისათვის ლოცულობდნენ. ამ რიტუალისთვის აცხობდნენ დაულლებული ხარების, მეწველი ძროხის იმდენ რიტუალურ პურს, რამდენი საქონელიც ჰყავდათ ოჯახში. ძროხებს ძუძუებს უკეთებდნენ, ხარებს კი ულელს ადგამდნენ. აცხობდნენ ნიგვზიან ტაბლებს.

ყოველივე ამით ხელში ლოცულობდა ოჯახის უფროსი მამაკაცი. იგი სანოელს ჩააქმევდა ცეცხლში, ხელში დაიჭირდა ლემზირს, ღვინოს და იტყოდა: „ოჯახში კარგად იყოს ოჯახის ყველა წევრი, საქონელი, მოსავალი, რასაც მუშაობ, მოსავლიანი იყოსო“. ლოცულობდნენ, რომ საქონელიც და მის მომვლელიც კარგად ყოფილიყო.

* დიდმარხების პირველ შაბათს ეკლესია მოიხსენიებს წარდა დიდმოწამი თეოდორე ტარებს (დაახლ. 306). იგი სამხედრო პარი იყო მცირე აზიაში და ენო ქრისტიანობისათვის. მისი გარდაცვალებიდან თრმოცდამეათე წელს იმპერატორმა იულიანე განდგომილმა ქრისტიანთა რწმენის შეურაცხყოფის მიზნით ქ. კონსტანტინეპოლის განმეობელს უბრძანა დიდმარხების პირველ კვირაში ფარულად, ხაერბავი სისხლი ეპკურებინა ბაზარში ყველა არცვავეზე. წმ. თეოდორე ძილში გამოეცად მთავარებისკობლის ევროქსის და გააფრთხოალა, რომ ატცერთ ქრისტიანს არ მიეღო შებილწული საკვები და ყველას ეჭამა თაფლით შენელებული მხარეშული ხორბალი (წანდილი), ან ისპის შეჭამალი. მას აქეთ დიდ მარხების პირველ შაბათს წანდილს ეკლესიაში აკურთხებერ და ურიგებენ მორწმუნებეს

** უახუნდერი.

სამიერო
სამიერო

ღლება



ამაღება

სარქა





ამ დღეს ყველაფერი სამარხო იყო, ჭამა კი ყველას შეეძლო — საფლავები
და პატარასაც.

დიდმარხების პირველი კვირა

ქართლში დიდმარხების პირველ ოთხშაბათ-პარასკევს დაწვრის უქმე იცოდნენ.

დიდმარხების პირველ შაბათს ხევში, თუშეთში მგლის უქმეს იცავდნენ, ხევსურეთში — თაგვ-ჩიტ უქმეს, კახეთში, მთიულეთში აღნიშნავდნენ თევლორობას.

ხევში მგლის უქმეზე გააქეთებდნენ მოგრძო ცომს, ერთ ბოლოში წაუჰერდნენ ხელს, ვითომ თავიაო. ეს იყო მგლის გამოსახულება. ამ ცომს პირში ქვას ჩაუდებდნენ, ვითომ ეს ქვა ჭამე საქონლის ნაცვლადო. ჩაავდებდნენ ამ გამომცხვარ კვერს წყალში და იტყოდნენ: „წელს ეს ჭამე და კლოვ ქვა ჭამე“. წყალში გადავდების ნაცვლად, ზოგჯერ ბავშვები მგლის პურს ჩხვლერავდნენ ან თავს აჭრიდნენ.

მთიულეთ-გუდამაყარში მგელთ უქმე შუა მარხვაში იცოდნენ. რიტუალი ზემოთ აღწერილის მსგავსია, მხოლოდ, იქ „მგელს“ აგურის ნატეხებს უდებდნენ „პირში“. მას ბაგაზე მიიტანდნენ და დანაყავდნენ: ჩვენ ძროხებს ნადირის პირი აშოროსო, მგელს პირი ეგრემც დაენაყებაო. ზოგმა გამომცხვარი კვერის დათოფვა (სიგრძეზე დაჩხვლეტა) იცოდა, რომ მგელს საქონლისთვის არ ევნო.

მთიულეთში დიდმარხების პირველ შაბათ-კვირას სახლის ანგელოზს ბავშვების კარგად ყოფნას ეველრებოლდნენ. ერთ დიდ გამომცხვარ პურს დადებდნენ კერაზზე, სანთლებს აანთებდნენ და ანგელოზს ოჯახის კეთილდღეობას შესთხოვდნენ. ზოგჯერ სახლის ანგელოზის სახელზე ბორილას აირჩევდნენ. მას „ან გელოზას“ ეძახდნენ და დაბერებამდე ინახავდნენ. შემდეგ მას ფურის ანგელოზობაზე სახლში მიწვეულ დეკანზს დაავლევინებდნენ.

თუშეთში მგელთ შაბათი უქმე იყო და ზოგადად საქონლის მავნებელი ცხოველებისა და ადამიანების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. მეტაცრად იქრძალებოდა ნებისმიერი რკინის იარაღის ხმარება, მათ წინა დღით მალავდნენ.

ამ დღესვე იყო მგელ-ჯიხვაობა. უფუარი ცომისაგან ყველა გამოაცხობდა „მგელ-ჯიხვაობის ბაცუკაებს“, მგლის და ჯიხვის იმდენ გამოსახულებას, რამდენი ვაჟიშვილიც ჰყავდა ოჯახს. შუადღეს, მათ სოფლის საანჯო ში გაიტანდნენ და გარკვეული მანძილიდან ბავშვები ისრებს ეს-



როდნენ. ვინც რას მოარტყამდა, მას ერგებოდა. თუ ვინმეს იმ შელქართულში ჰქონდა კუავდა გარდაცვლილი, ადამიანის ფორმის გამოცხვარ სულის ბაცკუას გაუტანდა. ვინც მას ისახს მოარტყამდა, მისი მშობელი არაყს გამოიტანდა და იქ მყოფ უფროსებს მიცვალებულის სულის შესანდობარს აოქმევინებდა.

ფშავშიც ამ დღეს მგელთუჭმეს იცავდნენ. დიასახლისი აიღებდა სანაყქვას — „გურჩის“, სავარცხელს და დედაბოძს მიაკრავდა — მგელი დაიხუთებაო, თან ანთებულ მუგუზალსაც დაახლიდა — მგელს პირი დაეთუთქებაო. ამავე მიზნით, ზოგი კეცზე ცერცვს მოხალავდა, გამოაცხობდნენ მგლის სახის მგელთკვერს, რომელსაც ოვალებს შავი ცერცვისაგან ან ნახშირისაგან უკეთებდნენ. ზოგი კვერს წნელის მაგვარ რაიმეს შეაბამდა, თითქოს მგელი დაბმულიაო. ამ კვერს ბავშვები სანიშნელ დააყენებდნენ და ისრებს ესროდნენ, შემდეგ შეჭამდნენ. ვინც პირველი მოარტყამდა, იტყოდა მგელი მოვკალიო. „დაუკოდავი“ კვერის ჭამა, მგლის გამარჯვებას ნიშნავდა (შდრ. სვანურ აშანგელო-შაშანგელოს).

შემდეგი დღესასწაული, რომელიც დიდ მარხვაში მოდიოდა (და ტერატორიული თვალსაზრისით, მხოლოდ რაჭში დასტურდება) ალინიშნებოდა 9 მარტს. ეს დღე მისადაგებულია წმ. ორმოცთა მოწამეთა, სებასტიის ტბათა შინა წამებულთა დღესთან. უქმე არ იყო. ამ დღეს საღამოს კაცებს წესად ჰქონდათ მამულში გისვლა და ცხრა — სარიკარი“ ლერწის გადაწვენა. ამის შემდეგ სახლში დაბრუნდებოდნენ, სადაც მათ დახვდებოდათ ცხრა კულა ღვინო და ერთი განატეხი ნიგვზიანი, ნაკვერჩხალში ჩაკმეული სანთელი; ამ ერთი განატეხით დაილოცებოდნენ: „ლმერთო, გაახარ ჩვენი ნაწვენი ლერწი, არ მოგიშალოთ განატეხი და ცხრა კულა ღვინო“. ამის შემდეგ დაჭდებოდნენ ვახშმად, ამ განატეხს კაცები შეჭმდნენ და დალევდნენ ცხრა კულა ღვინოს. ეს დღე მამულის „ბარობაზე“ იყო.

დიღგარების შეორე პირა, იმრავალეთობა, სულთაპრეზა

დიღმარხვის მეორე ხუთშაბათს თუშეთში იერუმსალეთობას ეძახდნენ. ეკლესია ამ დღეს მოიხსენიებს ითანე ოქროპირს*. მზის ამოსკლამ-

* წმიდა მღვლელმთავარი ითანე მთავარეპისკოპოსი კონსტანტინეპოლისა. — (+407) ბასილი დიღთან და გრიგოლი ღვთისმეტყველთან ერთად განეკუთვნება მსოფლიოს უმთავრეს მღვდელმთავართა რიცხვს. მოიხსენება 13 (26) ნოემბერს.

და, ყველა დიდ კეცში გამოაცხობდა პურს, რომელსაც იერუ მსალეთობის პური ეწოდებოდა. ყველა წესით მიცვალებულებს მოიხსენიებდნენ. თუშთა წარმოდგენებით, ეს პური გაგორდებოდა, „იერუმსალეთის“ დარებს შეაღებდა — მკვდარნი სამზეოს გამოხედავენ. ახალი მიცვალებულის პატ-რონი თითო ჯამ ბიჭინთან ერთად, წვრილად დაჭრილ იერუმსალეთის პურს მეზობლებს დაურიგებდა. სხვანი, ერთ ნახევარს ამ დღეს შეჭამდნენ, მეორეს კი სულთაკრეფისთვის შეინახავდნენ.

დიდმარხების მეორე შაბათს ხევსურეთში, თუშეთში, გუდამაყარში სულთაკრეთში აღნიშნავდნენ. ეს დღე მიცვალებულთა მოსახენებელი დღე იყო. ხევსურეთში და გუდამაყარში საერთო სასოფლო ლუდი აღულებდნენ. იმართებოდა დღეობა. ხევსურეთში ამ დღეს ყველა ოჯახი გამოაცხობდა სათოფა — თხელ პურს და ქსოვილგადაფარებული გაპქონდათ განსაზღვრულ აღგილზე, სადაც თოვლში ამაგრებდნენ და თოვებს ესროდნენ. ვინც მოარტყამდა, პურიც და მასთან დადებული ჯილდოც მისი იყო. ჯილდო შეიძლება ყოფილიყო: ფეხსაცმელი, ხელთაომანი, წინდა, თამბაქო, მარილი. მიცვალებულთა პატრონებს არაყი ჰქონდათ მოტანილი და სროლის დროს სვამდნენ, ლუდს კი სროლის შემდეგ, როდესაც სოფლის ჯარი სხდებოდა. მიცვალებული თუ ბავშვი იყო, ჭირისუფალს მიჰქონდა ვაცად წოდებული პური, რომელსაც ბავშვები სამიზნედ აყენებდნენ და ისარს ესროდნენ. 3—4 წლამდე ცოცხალი ბავშვისთვისაც იცოდნენ ვაცის გამოცხობა. ამ ვაცზე ცოტა საჩუქრებსაც ჰქილებდნენ. ვაცისთვის ისრების სროლას ვაცაობას ეძახდნენ. ამ დროს სახლში მზადდებოდა დოხანი (ლობიოგარეული სიმინდის ან წმინდა და პურის მარცვლის წანდილის მსგავსი კერძი, უკიდურეს შემთხვევაში დოხანს სვილისგან ხარშავდნენ). ოჯახში სუფრაზე დოხანთან ერთად ეწყო წვრილი პურები, ვაცები, მარტულებები, ლავაშები, ხმიადები. ტაბლაზე მარილიც იდო. დიასახლისი მას „სახელს დასდებდა“, ანუ შენდობას ეტყოდა. ბავშვები ვაცებს, მარტულებებს ან ლავაშებს წაილებდნენ და მთელი დღე ისრებს ესროდნენ. დოხანს სურვილისამებრ ჭამდნენ. შემდეგ ქალები ახალი მიცვალებულის ოჯახში მივიდოდნენ, გაშლილნენ ტალავარს და იტრებდნენ. ტირილის დამთავრების შემდეგ სტუმრებს სამარხო სუფრით გაუმასპინძლდებოდნენ. ეს დღე ქალების იყო და მასში მამაკაცები არ მონაწილეობდნენ.

ასევე იყო თუშეთშიც. დოჭულებს 2 დროშიდან ერთი მოგზაური ჰყავდათ. მას სულთაკრეფას წააბრძანებდნენ გუდანის ჯვარში, სადაც დიდი პატივით ხვდებოდნენ და დიდ ჯარს უმართავდნენ. მეორე დღეს სტუმრებს მასპინძლეობდნენ.

ძლები გამოჰყებოდნენ. ზაფხულში, ათენენობას სტუმრად გუდანის ჯვარი მოღიოდა.

დიდმარხვის მეორე შაბათს ხევში წყალკურთხევის უქმე იყო, მესამე შაბათს — ცეცხლის.

დიდმარხვის შესახვა პვირა

დიდმარხვის მესამე ორშაბათს კახეთში როჭის უქმე იცოდნენ. მას მოსავლის სიუხვისთვისა და ბარაქიანობისთვის იცავდნენ, არ ისაქმებდნენ ჭიას რომ პურის ნათესი არ შეეჭამა.

გარევის განხოგება

აღმოსავლეთ საქართველოში შუა მარტვას, ანუ მარტვის განზოგებას, უქმობდნენ. ოთხშაბათს რომ არ ეუქმათ, ხალხის რწმენით, ყველაფერი გაეყოფოდათ. ხევსურეთში ქალებს წესად ტალავრის გაშლა ჰქონდათ.

დიდი მარხვის პერიოდში, მის ოცდამეოთხე დღეს სამეგრელოში სრულდებოდა წესი, რომელიც გაძიგების სახელით იყო ცნობილი.

ხარება

ხარება ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა — 25 (7. 4) მარტი, საყოველთაო დღესასწაულია მთელი საქართველოსთვის. ამ დღეს აკრძალული იყო მუშაობა. შეიძლებოდა სიმბოლურად დაემყნოთ ხეილი. იცოდნენ თევზის ჭამა. ქართლში ვისაც მიცვალებული ჰყავდა, გააკეთებდა კოლიოს, თევზს (ზურგიელს) და მღვდელს აკურთხებინებდა.

გუდამაყარში ხარს ბალანს, ბავშვს თმას, ხეხილს უვარგის ტოტს შეაჭრიდნენ და იტყოდნენ: იხარონთ. ბავშვებს ეუბნებოდნენ: გაიხარე შენი და-ძმითო. ხევში ძროხებს კუდზე აჭრიდნენ ბალანს და იტყოდნენ: „ოცდახუთსა ხარებასა დღე-ღამენის სწორებასა“.

ხევში ხარება მარხვის შუად ითვლებოდა და ისეთივე რწმენა-წარმოდგენები ჰქონდა ხალხს, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი. ზოგან სოფლის ცენტრში, რკინის სახისიანი გუთნით გააკეთებდნენ ჯვრის ფორმის კვალს. კისერზე ხარებს და გუთნის დედას ამ დღისთვის გამოხდილ კაპარს გადასხამდნენ. ეს წესი ხვნის დასაწყისისთვის სრულდებოდა და როდესაც მაისში გადიოდნენ სახნავად, ჩიტუალის ჩატარება საჭირო აღარ იყო.

თუშეთში ხარებობას ოცობასაც ეძახდნენ, რადგანაც გიორგიშვილი ან საქონლის ბაგაზე დადგომიდან 20 კვირა იყო გასული. მთელი წლის იღბალი ან უილბლობა, ამ დღეზე იყო დამოკიდებული.. იგი ბედობის დღე იყო. ოცობა ზამთრიდან ზაფხულისკენ შემობრუნების დღედ ითვლებოდა და ნებისმიერ ამინდში, სიმბოლურად მაინც, უნდა გაეყვანათ ხარი მინდორში. გაყვანის წინ ავი თვალისა და ავი სულებისგან უნდა დაეცვათ. ხარებობის მეორე დღიდან იწყებოდა საზაფხულო სამუშაოები.

ბ ზ ო ბ ა

კახეთში ბზობის წინა დღეს, ლაზარეს შაბათს, ალნიშნავდნენ.

იეს ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში, ბზობა (აღდგომის წინა კვირა) საყოველთაო დღესასწაული იყო. დიდ უქმედ ითვლებოდა. თევზით ხსნილი იყო. მლვდელი ტყიდან მოტანილ ბზას აკურთხებდა და ხალხს ურიგებდა. თუ ბზას ბევრი მარცვალი ჰქონდა (დაპურებული იყო) ქართლში და კახეთში, ხალხის ჩრდენით, პურის მარცვალიც კარგი და უხევი იქნებოდა. კახეთში, სახლში მიტანილ ბზას ერთმანეთს არტყამდნენ. ბზობას ქართლ-კახეთში ზურგიელს ჭამდნენ. კახეთში წანდილსაც აკეთებდნენ. ზურგიელის უქმელობა კახეთში იმის ნიშნად მიაჩნდათ, რომ მიცვალებულები საიქიოს წყალს ვერ დალევდნენ, მათ წყალთან არ მიუშვებდნენ. ეკლესიიდან რომ ბზა მოჰქმნდათ, თან იტყოდნენ:

„აპა ყვაო ბზა,
ეგერიოს გზა,
მიტრიალდი, მოტრიალდი,
გაოხრდი და გატიალდი“.

მთელი დღის განმავლობაში ცდილობდნენ ყვავი არ დაენახათ — წიწილას ალარ შეჭამსო. ბზობას საქმეს გააკეთებდნენ — ყველაფერი ბარაქიანი იქნებათ. მეტადრე თესავლნენ: სიმინდს, ლობიოს, კიტრს — ბზასავით დაისხამსო. გუდამაყარები ბზას ბაშვებს თავზე უკეთებდნენ, ყვავები დაიმალებიანო. მთაში ბზა იმ მცენარეს ერქვა, რომელიც იმ დროს ყვაოდა. მაგ. ხევში ბზა ტირიფი იყო.

360801 პვირა

ბზობიდან აღდგომამდე კვირას ვნების კვირა (ვნების შვიდეული) ეწოდება. ამ კვირაში განსაკუთრებული წეს-ჩვეულებებით გამოიჩინდა და-



და ორშაბათი, დიდი ხუთშაბათი და წითელი პარასკევისას
ფშავში ვნების კვირის ორშაბათს კუდიანების დღე-ღმე იცოდნენ. ფშა-
ველების აზრით, კუდიანი ეშმაკის მოციქულია. იგი ვნების კვირის ორშაბათს
მიღიოდა ეშმაკთან, რომ მისგან გაეგო რა უბედურებები უნდა მომხდარიყო
სოფელში. ეშმაკთა ყურის გდების, ანუ მისნობის წესები ამავე კვირის ოთხ-
შაბათს სრულდებოდა.

ვნების კვირის ოთხშაბათს მთელ საქართველოში ჭიაკოკონობა იცოდნენ.
დასავლეთ საქართველოში დიდ ოთხშაბათს მხოლოდ სადილობამდე შეიძლე-
ბოდა მუშაობა. ისიც უფრო მატულში. ნასადილევს კი არ შეიძლებოდა — ნა-
მუშევარი შუაზე გაიყოფა.

ხევსურეთში ამ დღეს კუდიანწუხა ეწოდებოდა. დიდ ხუთშაბათს
იცოდნენ. მესმინაობა ანუ საგანგებო რიტუალი, რომლის დროსაც ხდე-
ბოდა ეშმაკების „მოსმენა“, მათი ავი ზრახვების შეტყობის მიზნით.

დასავლეთ საქართველოში დიდ ხუთშაბათს იცოდნენ მწარე ბლის ტო-
ტების, ეკლის, წყლის, თეთრი ქვის და სხვ. უბრად მოტანა.

ვნების ხუთშაბათს ფშავში დილით დიასახლის უმძრახად წყალი მოჰ-
ქონდა. ამ წყალში ვაშლისა და ტყემლის ხის ნახშირს გახსნიდა, ნაზავს ოჯახის
წევრებს მიასხურებდა, და იტყოდა: „ჯვარი გეწეროსთ, მთვალავი კაცი შარკ-
რას და თქვენ ვერ გევნოთ“. შემდეგ ბაბის ფითილას ყველას სათითაოდ
მარჯვენა ხელის მაჯაზე შეაბამდა, რომ ამით ეშმაკი დაება და ადამიანი ვერ
დაენავსა. ამ დღეს მხოლოდ მშედლები მუშობდნენ. მათთვის მუშაობა აუცი-
ლებელი იყო, რომ მიზანულ ამირანს არ აეწყვიტა და მშედლები არ ამო-
ხოცა. მსგავსი რწმენა-წარმოდგენების არსებობა მთიულეთ-გუდამაყარშიც
დასტურდება.

დიდ ხუთშაბათს ქართლში ჭიაკოკონობის ნაცარს სხვა ნაცარში
აურევდნენ და კომბისტოს მოაყრიდნენ — ჭია აღარ შეჲამსო. ჭიაკოკონას
ნაცარს ზოგი უმძრახად, ხელუკულმა ხილს მიაყრიდა ვენახში. უმძრახადვე
მოიტანდნენ წყალს, ნაცარს გაურევდნენ და თავს იბანდნენ — თმის ბოლო-
ჭამიებს აღარ გააჩენს, ან მუწუკი არ გაუჩნდებაო, თავის ტკივილები არ
ექნებაო. კახეთში იტყოდნენ: თმა გაიზრდება, ამაღლდებაო.

კახეთში ბალახს ჯოხს ურტყამდნენ, ანუ ჭია-ღუას თავს აჭრიდნენ. ეს
წესი ნათესებისთვის სრულდებოდა. ნათესებს, ნიორს ჭიისაგან თავდაცვის
მიზნით ჭიაკოკონას ნაცარს იყრიდნენ. ყანაში, ვენახში ავი თვალის საწინააღ-
მდევოდ ასკილის ტოტებს დებდნენ და სხვა.

დიდ ხუთშაბათს შიომიბაც იცოდნენ. კახეთში უმძრახად წავიდოდნენ



წყალზე. ლიტრიან ბოთლს სამჯერ დაღვრიდნენ ქვაზე მიცვალებულ ჟაფარიშვილის შემდეგ უმძრახად თავს დაიბანდნენ. ამის შემდეგ ხეს, რომელიც ნაყოფს არ ისხამდა, შეაშინებდნენ. ცულს მოულერებდნენ და ეტყოდნენ: მოისხი, ორერმ მოგჭრიო.

დასავლეთ საქართველოში წითელ პარასკევს მიწის დამუშავება არ შეიძლებოდა. ამ დღეს წითელ კვერცხს შეღებავდნენ.

ქართლში წითელ პარასკევს საფლავზე გაჭქონდათ კოლიო და სხვა საჭმელი. ახალი მკვდრის ჭირსუფალ ქალებს არ უნდა გაერეცხათ, არც სახლის ჭვარტლი ჩამოერეცხათ. კვერცხებს ღებავდნენ, ენდროში, ხახვის ფურცელში. კახეთში აცხობდნენ პასკას, ხარშავდნენ ჭარხსალს, ჭინჭარს. ჭარხსალს არიგებდნენ მეზობლებში. ამ დღეს ლვინო არ დაილეოდა, ნემსი არ იხმარებოდა.

დაწყებულ საქმეს აღდგომის შაბათს აღარ გააკეთებდნენ.

დიდ შაბათს ღამე ეკლესიაში მიღიოდნენ. კახეთში იტყოდნენ: შაბათს ქართველები კვერცხს არ გატეხავენ, რჯულის გატეხვას ნიშნავსი. სამაგიეროდ ამ დღეს ლორის ჭონისთვის კბილი უნდა დაედგათ.

მთიულეთში შუადღემდე მიცვალებულთა საპატივცემულოდ ოჯახი იმარსულებდა. იტყოდნენ:

„აღდგომისა შაბათსაო,
მკვდარნი წავლენ ტაბლასაო.
ჩვენი ვინმე გახეთქილა
დავეზიდნეთ კალთასაო“.

ან

„აღდგომისა შაბათსაო,
მკვდარნი ჩავლენ თაბახსაო.
ვინც იმას არ იმარხვებს,
გაუსქდება დედასაო“. (ხევი)

ხევში ერთად არეულ მოხარშულ ლობიოსა და ხორბალზე მიცვალებულებს შენდობას ეტყოდნენ.

თუ დიდ უქმეებში ვერ შეძლებდნენ, ამ შაბათს მაინც გამოიტანდა ყველა ოჯახი ხეს, რომელსაც 2 ხარი თუ მოერეოდა. ეს ხე ღამისთვისთვის იყო განკუთვნილი.

გუდამაყარში ამ დღეს კორკოტს აკეთებდნენ. ზოგმა თრშაბათისთვის ლავაშის გამოცხობა იცოდა.



თუშეთშიც, როგორც ხევში, ბავშვებმა მარხვის გოდ რიცხვით
გორება, ანუ მარხვის ჩატკეცა იცოდნენ. თუშეთში ბავშვები მო-
ნახავდნენ ძველ გოდორს, პირუტყვის ბაგიღან ამოყრილი ჩალა-თივით გაავ-
სებდნენ, გატანდნენ გარეთ, ცეცხლს წაუკიდებდნენ და დააგორებდნენ, თან
მისდევდნენ და ჭოხებით სცემდნენ, შემდეგ ქვებს ესროლნენ. ასევე იცოდნენ
ხევსურეთში. ამ დღეს მარიამ მინდობას ეძახდნენ.

ა ღ ღ გ ო მ ა

აღდგომას, დასავლეთ საქართველოში ყველა აღრიანად ემზადებოდა ცის-
კარზე წასასვლელად; ახალი მიცვალებულის პატრონი თავისი ჩამოსარი-
გით მიღიოდა თავისი მიცვალებულის საფლავზე და იქვე სუფრაზე აწ-
ყობდა სანოვაგეს; გათავდებოდა თუ არა ცისკარი, მღვდელი ჩამოივლიდა
ყველა სუფრას, აკურთხებდა და შემდეგ ჭირისუფალი თავისი სანოვაგიდან
ურიგებდა ცოტ-ცოტას ყველაფერს იქ მყოფთ. ოჯახში კი, სანამ სადილად
დასხდებოდნენ, უფროსი ქალი აიღებდა საოჯახო განატეხს (ანთებუ-
ლი სანთელი კედელზე უნდა ყოფილიყო მიკრული), ჭიქით ღვინოს, განატეხს
წალმა შეატრიალებდა და დაილოცებოდა: „აღდგომის ძალო და მაღლო! კაი
წელიწადი დაგვიყენე, ბევრი აღდგომა მოასწარი ყველა ჩვენიანს“. განატეხს
დანაწილდებოდა და ოჯახის ყველა წევრს უნდა შეეჭამა საღილობამდე. თი-
თოეულ სუფრაზე 4 ან 5 წითელი კვერცხი ელაგა. ამავე დღეს ბევრი ოჯახი-
დან გავიღოდნენ მინდორზე, გაიტანდნენ ხორცს, კვერცხებს, ღვინოს. აქვე
მოვიღოდნენ სხვა ოჯახებიდან თავ-თავის მარაგით და მინდორზე ერთად ქეი-
ფობდნენ. ვისაც საკურთხი ჰქონდა, ეკლესიაში დაკურთხების შემდეგ
მღვდელს მისცემდნენ მის წილს ერთ ნათალ ხორცს, ორ სულის პურს,
ერთ ლავაშს და ნახევარ ბოთლ ღვინოს, დანარჩენ სანოვაგეს კი შინ მოიტან-
დნენ. ამ დღეს სულ წითელ-წითალი კვერცხები ჰქონდათ, როგორც საკურ-
თხად, ისე ოჯახში.

აღმოსავლეთ საქართველოში, იქ, საღაც ეკლესიები იყო, ხალხი წირვა-
ლოცვას ესწრებოდა, ზიარებას იღებდა. კახეთში ბატყანს კლავდნენ, ახალი
მიცვალებულის პატრონები გადიოდნენ სასაფლაოზე, ავთრებდნენ კვერცხებს.
სახლში აუცილებლად უნდა დაეკლათ ღორი. კლავდნენ ქათმებს, ინდაურს,
მიცვალებულს უჭრიოდნენ ზურგიელს, იმ ქვეყნად წყლის დალევის ნება რომ
მიეცათ, ერთმანეთს ეპატულებოდნენ და ქეიფობდნენ. აღდგომას უხაშო კა-
განტელებს აცხობდნენ და არიგებდნენ. იცოდნენ კვერცხებით თამაში. ნათ-



ლიას კვერცხებს და გელაპტრებს უგზავნიდნენ. მთაში იმართებოდა უკანასკნელი წევშემოგან „საწულე“ მიყავდათ, სამართლებრივი ხასიათის წევებიც სრულდებოდა. მაგ. სამანის ჩასმა, ჭედის ამოგდება, დარისხება (მთიულეთი).

ხევში ბავშვები სახლში ჩამოვიდნენ, ფეხს ამოკრავდნენ, ჭოხს ურტყამდნენ და იძახდნენ: მარხვა გაჩანჩალდათ, ხსნილი მე დამრჩაო, ცველ-ერბო მე დამრჩაო. პირველად კვერცხს შეჭამდნენ.

აღდგომასთან დაკავშირებით ერთი მეტად საინტერესო თქმულებაა გავრცლებული მთელ საქართველოში. თურმე, აღდგომა დღეს ებრაელები ისხდნენ და მამალს ხარშავდნენ. ვიღაცას მათთვის ამბავი მიუტანია — ქრისტე აღზდგაო (რაჭული ვერსიის თანახმად ებრაელებს თავად მკვდრეთით აღმდგარმა ქრისტემ გაუგზავნა ბავშვი ამბის მახარებლად). გაუცინიათ ებრაელებს და უთქვამთ: — ქრისტე ისე აღზდგებოდა, როგორც ეს მოხარშული მამალი გაცოცხლდებათ და კეცებში ჩაქრული პურები ჭეჭილად გადაიქცევაო (რაჭული ვარიანტი). ამ სიტყვების თქმა და მამლის აღუღებული წყლიდან ამოხტომა და პურების ჭეჭილად აბიბინება ერთი ყოფილა. წყლიდან ამომხტარ მამალს ფრთხები შეუბერტყია, მაგრად დაუყივლია, გაფრენილა და ებრაელები სახტად დაუტოვებია.

აღდგომიდან პირაცხოვლობამდე

დასავლეთ საქართველოში აღდგომიდან მის სწორამდე, რომელიც ახალკვირის სახელითაა ცნობილი შემდეგი დღეობები იყო: აღდგომის მეორე დღეს რაჭაში: გორგოთობა; აღდგომიდან პირველ ოთხშაბათს — ჟრის ლოცვა; აღდგომის სწორზე ახალკვირე (სამეგრელოში ახალკვირას ჭიჭეთა აფას//ვატარა აღდგომას ან თსურეფაშ თანაფას//ქალების აღდგომას ეძახდნენ). ლეჩხუმში — აღდგომის მეორე დღეს გორგოთობა, მეოთხე დღეს — ჭიბუკობა იყო. იცოდნენ ახალკვირის შაბათი, ანუ მისი წინა დღე.

აღდგომის შემდეგ, ორშაბათს ქართლში და ქახეთში ღვთის მშობლობა იცოდნენ. ქართლში მისთვის განკუთვნილი ზედაშით აცხობდნენ ქადებს. ამ ერბოს კედელზე წაუსვამდნენ. ხატში ქათმებს დაკლავდნენ, ვინც შორიდან მიღიოდა, ცხვარსაც მიიყვანდა, ქადებიც მიჰქონდათ. ძველად დიდი საკლავიც მიყავდათ და მის ხორცს ხატში ტოვებდნენ. იმართებოდა ლხინი, ჭიღაობა. კახეთში წანდილი, პური, ღვინო მიჰქონდათ ეკლესიაში და აკურთხებდნენ. მთიულეთში ამ დღეს ხალხი კვლავ მიღიოდა ხატში და ყველა წესი



ეროვნული
მუზეუმი

ასრულებდა. კეთდებოდა მიცვალებულთა ტაბლები, ყველა სასაფლაოზე გადიოდა და გაჭქონდა სურსათი. საღამოს დეკანზი, სასაფლაოს გვერდით. მთელ ხალხს სურააზე მიწვევდა.

ალდგომის მომდევნო საშაბათს საეკლესიო კალენდრის მიხედვით ს ამ ე ბ ობ ა ა. ქართლში, სოფ. ბერშეუთან სამების ხატია და მოსახლეობა იქ მიდიოდა. კახეთშიც იცოდნენ სამებობა და სალოცავში სიარული. ხევში იმ. დღეს, სოფ. კარკუჩაში ხალხი ხვედის წმ. გიორგის სალოცავში მიდიოდა და მხოლოდ ქადები და სანთლები მიქონდა. მთიულეთ-ხევსურეთში, (არხოტში), ალდგომის მომდევნო უახლოეს დღეს ხატის ქვევრის არყით ავსების დღე იყო.

პირაცხოვლობიდან ამაღლებამდე

ალდგომის სწორზე კვირაცხოვლობა იყო. ქართლში ამ დღისთვის წინასწარ მამალს დანიშნავდნენ, მარჯვენა ან მარცხენა ფეხს მოაჭრიდნენ. ზოგს სანთლისგან გაეთებული თვალის კავლები მიჰქონდა ხატში, თვალის ტკივილის საწინააღმდეგოდ. კახეთშიც იცოდნენ კვირაცხოვლობა, რომელიც მიცვალებულთა დღედ ითვლებოდა. სახლში ან საფლავზე კლავდნენ ცხვარს. მთიულეთში ხატობა იცოდნენ. კვირაცხოვლობას კვირაჯვრობასა ც ეძახდნენ. ხატობა იცოდნენ გუდიამარშიც და ხევშიც.

მომდევნო ორშაბათს კახეთში დამბადებლის დღეობას აღნიშნავდნენ. მიჰქონდათ საფლავზე ხარჯი, ქეიფობდნენ და იცოდნენ ცხენების ჭენება.

ალდგომის მესამე კვირას ხევში კვირარძლობას აღნიშნავდნენ. ქრისტიანული ეკლესია ამ დღეს მენელსაცხებლე დედებს მოიხსენიებს.

ზემოთ აღწერილი საგაზაფხულო მოძრავ დღეობათა სერიაში იჭრება უძრავი დიდი საგაზაფხულო დღესასწაული გიორგობა, რომელსაც მთელი საქართველო ზეიმობს 23 (6.V) აპრილი*. ქართველები სხვა ქრისტიანებისაგან განსხვავებით, გიორგობას წელიწადში ორჯერ იხდიან როგორც უკვე აღნიშნა

* ორთოდოქსალური ქრისტიანული ლიტერატურა წმ. გიორგიზე მოგვითხოოს, როგორც არმაველი იმპერატორის — დიოკლეტიანეს თანამედროვეზე. აღმოსავლეთ მცირე აზიის (კადოკია) მცველი დაგილობრივ წარჩინებულთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელმაც მხედართმთავრის ერთ-ერთი მაღალი წოდება — კომიტი — მიიღო. ქრისტიანთა დევნის დაილობდნენ მის ვანიდომას ქრისტიანული წამებით, მაგრამ ამათდ. საბოლოოდ განრისხებული დიოკლეტიანეს ბრძანებით მას მოჰკვეთეს თავი.

გაზაფხულზე 23 (6.V) აპრილი და შემოღომაზე 10 (23.11) ნოემბერს (გიორგობის თვეს).

საგაზაფხულო დღესასწაული წმ. ღიდმოწამე და ქლევაშემოსილ გიორგის საგვემელ ბორბალზე ტანჯვათა მოხსენიების დღედ ითვლება. ხალხური ტრადიციით იგი მესაქონლეობის საგაზაფხულო წარმართულ წეს-ჩვეულებებს (რამდენადაც ეს დღე სეზონური საზღვარი იყო მესაქონლეთა კალენდარში) და სამიწათმოქმედო კულტებს უკავშირდება. მასთან ასევე დაკავშირებულია მითოლოგიური გადმოცემები.

აღდგომიდან ამაღლებამდე რაჭაში დასტურდება შემდეგი დღეობები: ა ხ ა ლ კ ვ ი რ ე, ბ ა ტ ა რ ა ს ა მ ლ ვ თ თ ი ბ ა (ჩომელიც დიდი სამღვთოობის სწორს, ხუთშაბათს იყო), ე ლ ი თ ბ ა, კ ო ხ ი ნ გ რ ი ბ ა*, კ ო ხ ი ნ ა რ ი ბ ა. ლეჩეუმში: ა ხ ა ლ კ ვ ი რ ე, კ ვ ი რ ტ ი ბ ა, 7 მაისი ან კოხინგრობა.

ჯგარბათიოსნობა — ძალიცხოვლობა

ქართლ-კახეთის ზოგიერთ სალოცავში 7 მაისს აღნიშნავდნენ ჯვარ პატიოს ნობა-ძე ლიც ცოვლიბას**. ეკლესია ამ დღეს აღნიშნავს იერუსალიმში 315 წ. ჯვრის გმოცხადებას. ხალხი ამ დღესასწაულს ჯვარსა და ანდრია პირველწოდებულს*** უკავშირებს. კახეთში სოფ. ჯუგაანის სალოცავს, რომელშიც ამ დღეს მოდის დღეობა, ძლიერ სალოცავად მიიჩნევდნენ. ხალხის რწმენით მას შეეძლო ავადმყოფის მორჩენა, ურჩის დასჯა, სეტყვის მოყვანა. ამ დღეს ხალხის რწმენით, ამაღლდა ჯვარი და ამიტომ ეწოდა ძელი-

* დასავლეთ საქართველოში კოხინგრობა მოდის 7 მაისს, მაგრამ ამ თარიღის გარდა მისი დღეობა იციან საჭიროების დროსაც, როცა სურთ სასურველი ამინდის გამოწვევა. იგივე შეიძლება ითქვას აღმოსავლეთ საქართველოს ბარხეც.

** პატიოსან და ცხოველმყოფელ ჯვარს ბართლმადიდებელი ეკლესია წელიწადში რამდენიმეჯერ მოიხსენიება: დიდმარხების მეოთხე კვირას, რომელსაც ამის გამო ჯვრის თაყვანის ცემის კვირა ეწოდება, 7 მაისს — ჯვრის გამოცხადების საჭაულის ხსნების დღეს, 14 სემბობერს — მსოფლიო ამაღება პატიოსან და ცხოველმყოფელი ჯვარისა.

*** წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული (+62) პირველ იყო თორმეტ მოციქულთა შორის, ვისც უფალმა იესა ქრისტემ მოუწოდა სამოციქულო მსახურებად მის ღვიძლ მშასთან წმიდა მოციქულ ჟეტრესთან ერთად. ანდრია პირველწოდებული აღმოსავლეთის ქვეყნებში ქადაგებდა ლოთის სიტყვას, სახარების ქადაგებით მოვლო მან მცირე აზია, თრაკია, ძაევლინი; მოციქულ სეიმინ კანანელთან ერთად მან საქართველოშიც იქადაგა. სამგზის იმგზაურა სამხარებლო შინით და ბოლოს მდინარე დნეპრამდეც ავიდა. მოწამებრივად აღასრულა სიცოცხლე ჯვარზე.

ცხოვლობა. ამავე დღეს კახეთში კო ხ ი ა თ ბ ა ი ც ი დ ნ ე ნ და დადიოდნებული დღე ბ ა ზ ე. ძირითადად დიდებაზე გვალვის დროს დადიოდნენ.

აღდგომიდან მე-40 დღეს, ხუთშაბათს, დგებოდა ამაღლება. ამ დღეს ყველა გან აღნიშნავდნენ. ბარში, ხატში ან ეკლესიაში გადიოდნენ. ქართლში ვისაც ახალი მიცვალებული ჰყავდა, ცხვარს დაჭილავდა და ტაბლას დადგამდა, სახლშიც და სასაფლაოზეც ეწერდნენ სუფრა. სასაფლაოზე კელაპტარს აანთებდნენ და საკმეველსაც დააკმევდნენ. ხატში ქადა — სანთლის და საკლავის გარდა სანთლის კაქლებიც მიძქონდათ თვალის ტკივილის საწინააღმდეგოდ. კახეთში ზოგან ხის შეშინებაც იცოდნენ. ხესთან დაანთებდნენ ცეცხლს, ნაჯახს მოუღერებდნენ და ეტყოდნენ: მოისხი, თორემ მოგვტრით. ხევში ამაღლებას ძირითადად სოფ. კარკუჩაში აღნიშნავდნენ, გაღიოდნენ ხატში. სხვაგან უქმნდნენ. თუმცა ძველად სოფ. ფეხლშეშიც სკორნიათ ეს დოკობა.

ხევსურეთში ამაღლება ერთ ან რამდენიმე ღლეს გრძელდებოდა. ამ ღლეს ყველას თავისი ბატყანი უნდა მიეყვანა. ყველაფერი ისეთივე წესებით სრულდებოდა, როგორც სხვა ღლეობებში. ხელოსანი ამ ღლეობაში იცვლებოდა. ჭერ 1 კვირა ჭირხოში მოწმინდარობდა, 2 კვირა ხატში და შემდეგ იქამდა სა ა ხელოს. ღროშის აბმის წინ ცხრაჭერ 9 სხვადასხვა ადგილზე გაიბანებოდა.

თუ ამაღლება რამდენიმე დღე გრძელდებოდა, ხელოსანი ყოველ დილით იბანებოდა. ღამისამთელო და უამსაწირი ერთ-ერთი დასტურის სახლში ქეთ-დებოდა. ხატის ღიასახლისი ამ დღეობაში არ მიღიოდა. ჭარი ისევე სხდებოდა, როგორც ახალ წელს. მეზღვნეებს მისამბარეო, საკუთრივა და სანათლავი საკულავები მიჰყავდათ, სრულდებოდა ბავშვების ხატში მიბარების წესი.

თუ ქალს ცუდი სიზმრები აწუხებდა ან ჭკუიდან გადაცდებოდა, დააკო-
ჭინებდნენ ხატში. სანათლავი, ანუ ბატყანი ყველას მიჰყავდა. ხუცესი იხუ-
ცებდა, საკლავის სისხლს პატრონი ხელებს შეუშვერდა, ხუცესი კი სისხლის
ჯვარს შუბლზე და გულზე გამოუსახავდა. სისხლიანი ხელები პატრონს სუფ-
თა ადგილს უნდა დაებანა. საკლავს იგი ვერ გაარტყავებდა. ეს საქმე სხვას
უნდა გაეკეთებინა, სახელოში ახლად ჩამდგარს, ცხრაჯერ რომ გაიბანებოდა,
მხოლოდ ეამის წირგინ შემდეგ ცოტა არაყს შეასმევდნენ. სოფლიდან ხელო-
სანს 3 წლის მოზევერი და 1 ცხვარი მოჰყავდა. კურატს ხუცესი სანათლავად
მოახსენებდა, იხუცებდა და დაკლავდა. ხელოსანი სისხლით ხელებს დაიბან-



და, ხოლო ხუცესი გულზე და შუბლზე სისხლის ჯვარს უკეთებდა. ორივე შეკლავს ახალგაზრდები გაატყავებდნენ. კურატის ტყავი, როგორც სანათლავისა, სახლში იგზავნებოდა, ცხვარი კი ხატში რჩებოდა. ამაღლებას სახელოს ყველა ხატში არ იწდიდნენ, ზოგან ეს წესი სხვა დღეობებში სრულდებოდა.

თუშეთში ამაღლება მიცვალებულთა მოსახლეებელი დღე იყო. ყველა ოჯახი სასაფლაოზე გაშლიდა სუფრას, დაანთებდა სანთლებს და მიცვალებულებს შესანდობარს ეტყოდა. ქერქვაცლილ პატარა არყის ჩეხებს წითელ კვერცხებს, ვაშლებს, სხვა ხილს წამოაცმევდნენ, მორთავდნენ ყვავილებით და ახალ მიცვალებულს თავთან დაურკობდნენ. ახალი მიცვალებულის პატრონი დაუქორწინებელ ქალს ან ვაჟს საფლავის თავთან ბელტს ამოაჭრევინებდა. ვინც ამოჭრიდა შიგ 1 კოვზ ერბოს, 1 ქიტ ყოლოს (დოვში ჩაყრილ პურს), 1 ყანწ არაყს ჩასხამდა და ბელტს ისევ დააფარებდა. კოვზი, ქიტი და 1 კოტორი ბელტის ამომჭრელს მიპქონდა. ამაღლება ასევე, პოპულარული იყო სამცხე-ჭავახეთში.

აგაღლეგიდან სულთაოცენობამდე

ამაღლების სწორზე კახეთში დავითობა* იცოდნენ.

ამაღლების მეათე დღეს ხალარ ჯობა — საეკლესიო კალენდრის მიხედვით სულის შაბათი — სულთაობა.

ხევსურთა წარმოდგენებით ამაღლებას ქრისტეს თან გაპყვნენ ანგელოზები, ამიტომ იმ 10 ღლის განმავლობაში, სანამ ხალარჯობა იქნებოდა, დედამიწაზე ეშმაქები და ბოროტი სულები დადიოდნენ. ამ პერიოდში ბავშვებს და ქალებს ეშინოდათ სოფლიდან შორს გასვლა. მიცვალებულის პატრონი არაყს ამზადებდა. ახალი მიცვალებულის პატრონი აღულებდა ლუდს და მთელ სოფელს უმასპინძლდებოდა, ქალები ტალავარს გაშლიდნენ და ტიროლნენ. ამ ღღეს მიცვალებულს ღოლს უმართავდნენ. ხატში წესები არ სრულდებოდა. ყველა ოჯახში მიცვალებულთათვის სუფრა იღგმებოდა. მთიულეთში ხატობა იმართებოდა:

ხატში ახალი მიცვალებულის პატრონი საკლავს დაპკლავდა. ხალარჯობა შედის იმ 7 სუფრაში, რომელიც წლის განმავლობაში ხევში ჭირისუფალს მიცვალებულისთვის უნდა გაეკეთებინა. სუფრაზე ხალხს პატიჟებდნენ.

ფშავშიც ხალარჯობა მიცვალებულთა მოსახლეებელი დღე იყო (სამებობის წინა დღე). სრულდებოდა ხევსურულის მსგავსი წესი. გადიოდნენ სასაფ-

* დავით გარეჭელი. ერთ-ერთი ასურელ მამათაგანი.



ლაოზე, მიპქონდათ ქადა-პურები, სასმელი. მიცვალებულებს შენდობაში ნებისმიერ და ერთმანეთს პატიჟებდნენ. ბოზარე კაცები და ქალები ერთად იქრიბებოდნენ და მორიგეობით ტიროდნენ ყველას მიცვალებულებს. ვაჟკაცთა საფლავებზე შეკაზმული ცხენები ეჭირა კაცს. გაშლილი იყო მიცვალებულის ტანსაცმელი და იარაღი.

სულთაოზენობა

მეორე დღეს, კვირას ეკლესია აღნიშნავს სულმოფენის, ანუ სული წმინდის გარდამოს ვლის დღეს. ქართლ-კახეთშიც ამ დღეს სულთმოფენობას ეძახდნენ.

ქართლში უმხეოდ მოკრეფლნენ ყვავილებს და საფლავებს დააყრიდნენ, თან ცივ წყალს დაასხამდნენ — მკვდარმა გული გაიგრილოს. ამჟამად ტაბლასაც აქეთებენ. სასაფლაოზე გააქვთ: ქათმი, პური (ლავაში), სანთელი, არაყი, ყველი. სანმ მღვდელი ჰყავდათ, სუფრას აკურთხებინებდნენ.

კახეთში ჰყავდნენ ბატყანს, გააკეთებდნენ ფლავს, გამოაცხობდნენ პურს. დილით, გათენებისას, გავიდოდნენ სასაფლაოზე. გაიტანდნენ ყვავილებს (ცარდებს), მუხის კინწერს (წვერი), ხილის ტოტებს. წყალში დამხვრჩვალს უკლავდნენ ციკანს.

საღამოთი მზის ჩასვლის შემდეგ, ზოგი შეაგროვებდა ყველა ყვავილს, კაკალს, ფშატს, და სხვ. აკაციის ყვავილის გარდა და დაწყობდა გარეთ ან თონეში. დილით ადრე, ყვავილებით, სანთლებით, 1 კოკა წყლით გავიდოდნენ საფლავზე, ზედ დაალაგებდნენ ზემოდან ყველაფერს და გადაასხამდნენ წყალს. ოჯახში გაკეთდებოდა წანდილი და მეზობლებში გაიცემოდა. ყვავილებით ოჯახიც უნდა ყოფილიყო მორთული. ასევე რთავდნენ ეზოს და გვარედინ გზას. სულთმოფენობის წინა შაბათს, ვარდის შაბათსაც ეძახდნენ.

ხალარჯობის ანუ სულთაობის მომდევნო ხუთშაბათს მთიულების ყველაზე დიდ სალოცავში, ლომისაში იმართებოდა ხატობა.

აგალლეგიდან შარიოზამდე

ამაღლებიდან მარიობამდე რაჭაში შემდეგი დღესასწაულები მოდიოდა: ხვამლობა, ივანობა, ფერიცვალება: ლეჩებუმში: ხვამლობა, ივანობა, პეტრებალობა (პეტრეპავლობა), მანის კრეფის ჭაბუკობა, წილეთელიობა, ფერიცვალება. გურიაში: ელიობა, ფერიცვალება და სხვ.

ხელისუფლის განკუთვნილი რიტუალები

ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხალხის ცხოვრებაში მოსავალთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს.

ხენა-თესვის დასაწყისისთვის, როდესაც ხევსურები პირველად გაიყვანდნენ ხარს სახნავში, ცხვებოდა ქადები. გაავლებდნენ პირველ კვალს, უხვი მოსავლიანობისთვის დაილოცებოდნენ და ამ ქადას ხარს უღელზე ორად გადატეხავდნენ. ერთ ნატებს თავად შესჭამდნენ, მეორეს ხარს შეაჭმევდნენ.

ფშავში, მინდორში პირველად გასულ ხარს წითელი ძაფით შეკრულ, ჩვარში გახვეულ ნაცარს ან ნახშირს კუდზე შეაბამდნენ და მიწის მოხვნის დაწყებამდე გუთნისლედა უხვი მოსავლისთვის დედამიწის მფარველ ანგელოზს შეეხვეწებოდა, ხმიადს გუთანზე გატეხავდნენ და შეჭამდნენ. შემდეგ სათესლედან ამოიღებდნენ ერთ მუჭა თესლს, ხატის მამულის თესლში გაურევდნენ და ყანის მოხვნას იწყებდნენ. დამთავრებისას ყანაში გრძელ ჭოხს ჩაარჭობდნენ, რომელზეც გრძელი ბალახის თავთავი იყო დამაგრებული — ასეთი თავთავიანი ჭირნახული ამოვიდესო.

ხევსურეთში ხენა-თესვა რომ მთავრდებოდა, გადაიხდიდნენ გუთნის სამღვთოს. საკლავით, სასმელით, კვერებით მთავარ ხატში მივიდოდნენ და წმ. გიორგის შეეველრებოდნენ კარგი ჭირნახული და მისთვის სასიკეთო დარავდარი მოგვეციო.

თუშეთში ხენის დასასრული ჰატარა სუფრით აღინიშნებოდა. დიასახლისი, ვისი ყანაც ითესებოდა, სახნავში კოტრებს ან სწვა რაიმე საგანგებოდ მომზადებულ საჭმელს გაიტანდა. გუთნის დედა, ახალ დაფარცხულ ყანაშა, სათესლე ხურჯინს გადმოაბრუნებდა და დაფერთხავდა. ხურჯინში უღელზების დღეს გამომცხვარი ნალის ფორმის თესლის კვერი იღო. გადმოფერთხვისას რომ გადმოვარდებოდა, მას იქ ტოვებდნენ. გუთნის დედა სახრეს, რომელსაც ხენისას ხმარობდა, შუა ყანაში დაარჭობდა, თავს გადაუმტვრევდა, ვითომ ასეთი თავთავი დაეკიდოსო. შემდეგ სუფრისთან დასხდებოდნენ და ღმერთს კარგ მოსავალს და მის მშვიდობით აღებას შესთხოვდნენ.

გუდამყარში ხენის წინ გამში ცომს მოზელდნენ, ხარს მარჯვნივ ჭვრის ფთრმით წაუსვამდნენ. ახსენებდნენ ელიას და შესთხოვდნენ: უშველე, ნახნავი შეინახე, სეტყვისგან დაიცავიო.

შანა-სათიბების დასაცავად განკუთვნილი რიტუალები

შთიულეთში ყანა-სათიბების განადგურების საწინააღმდეგოდ სოფელი საღმრთოს იხდიდა. კვირას ან ორშაბათს შეიკრიბებოდნენ ღამისსათვევად, მთიდან მოიყვანდნენ „საბალახე“ საკლავს და ციკანს. ციკანს ელიასა* და ზაქარიას** უკლავდნენ. მოხუცი კაცი დაკვლის წინ ამბობდა: „შეუწივენით ჩვენ სოფლებას, დაიხსენით ქარ-სეტყვისგან. მიუცით მაღლი და ბარაქა ამათ ნამუშევარს, თუ ეშმაკი დასტრიალებდეს ჩვენი სოფლის ჭირნახულს, მოაშორეთ თქვენის ძალით. თქვენა ხართ ცა-ლრუბლის უფროსნი ღვთისაგან და თქვენ შეინახეთ ჩვენი სოფლის ჭირნახული“. მოჭრიდა ციკანს თავს და ხორცს მოხარშავდნენ. როდესაც ხორცი მზად იყო, ყველა მზარეულს ხმიადს და ყველისნატესს მისცემდნენ, დეკანოზს კი 1 სანთელს. იწყებოდა პურობა. დეკანოზი ამ დროს ლოცულობდა და პარასკევის და ორშაბათის უქმობას პირდებოდა. ორშაბათობით თიბეის, ხოლო პარასკევს მკის დამთავრებამდე უქმობდნენ. ყავდათ თითოოროლა მამაკაცი და დედაკაცი მეთვალყურედ. ვინც უქმეს გატეხდა, არყით აჯარიმებდნენ.

ამინდს რომ ყანა არ გაეფუჭებინა, ფშავ-ხევსურეთში ნაკვეთ დღეებს ირჩევდნენ. ფშავში ორშაბათო, პარასკევი და შაბათი იყო. ხევსურეთში პარასკევი და შაბათი (შდრ. მეგრ. გევულია დღარე-ს) არჩეულ დღეს მოსახლეობა ჭირნახულის 'ალებამდე უქმეს მკაცრად დაიცავდა.

დარ-ავდრისთვის განკუთვნილი რიტუალები

გვალვისა და უაინდობის საწინააღმდეგო წეს-ჩევულებანი ლაგდება გარკვეული პრინციპით, საღაც ცალკე ჭმულია გამოიყოფა: 1. მარტივი, ფრაგ-

* ელია//ილია, ებრაელთა ერთ-ერთი უდიდესი წინასწარმეტყველი, ებრძოდა ბაალის კულტს, რომელსაც მისი თანამედროვენი და ისრაელის მეფენ, ეთაყვანებოდნენ. მოუწოდებდა მათ კვლავ დაბრუნებოდნენ იაპეს. ილიამ იწინასწარმეტყველა და შემდგომ იაპეს შეწევნით საჭაროდ მოიყვანა წვიმა. ილიამ, ასევე სასწაულებრივ მიამარა ღმერთს სული. იაპემ მას ცეცხლოვან ეტლში შებმული ცეცხლოვანი ცხენები გამოუგზავნა და აიტაცა ზეცაში ცოცხლად.


** ზაქარია წინასწარმეტყველი, ნამდლისმხილველი განეკუთვნება ძველი აღთქმის 12 შეირე წინასწარმეტყველთა რიცხვს, მხილველი უსამშეიღლებელ ხილვათა. იწინასწარმეტყველა მაცხოვრის ცხოვრების უკანასკნელი დღეები. „ნამდლისმხილველი“ წმ. ზაქარია წინასწარმეტყველს ეწოდა იმის გამო, რომ მას ერთხელ გამოცხადება პქონია და ზეცად მრისანე ნამგალი უხილავს, მომასწავებელი ჭრისტეს ამჟღვნად მეორედ მოსვლისა, როცა „სამქალი ფრაც იქნება“.



63. ჰუმრუ და ჰავულა



ცერის ცეკვაძესა



ჭიათურანიშვილი

ჭიათურანიშვილი

ლე. მარია



მენტური მაგიური მოქმედებანი (მაგ. ქვების კადაბრუნება, ბაყაყის გასრესვა, ქალქვების გადაბრუნება, საფლავიდან მიცვალებულის ძვლების ამოღება, გამურული ჭურჭლის გამოტანა, წმ. ტბების „შებილწვა“ და სხვ.); 2. ამინდის შეცვლის რიტუალები, რომელთაც მართავდნენ გარკვეული ღვთაების სახელზე საჭიროების შემთხვევაში (ლაზარობა, გონჯაობა, დიდებაზე სიარული და სხვ.); და რომლებიც შემდეგნაირად სრულდებოდა: ძლიერი გვალვის ან წვიმების დროს ქალები ამზადებდნენ თიხის თოჯინას, დაატარებდნენ სოფელ-სოფელ და მღეროდნენ ლაზარეს საგალობრელს, მაგალითად:

„ახ ლაზარე, ლაზარე,
 თავი გაზანზარე,
 ცხავი აცხავებულა,
 ტარი გაცხარებულა.
 აღარ გვინდა ტალახი,
 ახლა მოგვე გორახი“.

ან:

„გონჯა, გონჯა, მოიარე,
 გონჯა მიდგა, მოდგა კარებსა,
 დაემსგავსა მთვარესა...“

ან

„ახა წმინდაო ჟღია,
 რასა მოგიწყენია,
 თეთრი ფურის მხარ-ბეჭი
 შენთვის მოგვირთმევია,
 შენ მოიყვან წვიმასა,
 წვენ დაგილავთ ციკანსა“... და სხვა.

დამხელურები ჩამომვლელებს წყალს გადაასხამდნენ ან ნაცარს მიაყრიდნენ, იმის მიხედვით თუ როგორი ამინდის გამოთხოვა უნდოდათ. პროცესის მონაწილეები აგროვებდნენ სხვადასხვა სანოვაგეს — ფქვილს, კვერცხებს, ყველს და ა. შ. თოჯინას, ზოგჯერ კი პროცესის წინამდლოლს წუწავდნენ და წყალში აგდებდნენ. შემდეგ საერთო სუფრა იმართებოდა. თოჯინას კახეთში, რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთში გონჯოს ეძახდნენ, მესხეთ-ჯავახეთში კოტიკორიას, თუშეთში საწვიმარა გუგას, სამეგრელოში მოჭუდიას, ძირიას, ქართლ-კახეთში, მესხეთ-ჯავახეთში, აჭარაში —



ლაზიარეს და ა. შ. ზოგან თოჯინას მაგივრად გამურულ ბიჭს ან ქართველობის ჩამოატარებდნენ.

ხშირად ამასთან ერთად სრულდებოდა წყლის მოხვნის წესიც. რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: ქალები გაებმებოდნენ ულელში და იწყებდნენ გუთნის ტარებას მდინარეში, ისე რომ გუთანიც და თვითონაც დასველებულიყვნენ.

წვიმის გამოწვევის მიზნით, ასევე, სრულდებოდა ხატის გაბანვის წესი, საეკლესიო კალენდარული დღესასწაულები, რომლებიც ძირითადად წმ. ელიას სახელზე იმართებოდა.

გარდა ამისა, საქართველოში დასტურდება უქმები, რომლებიც ცალკეულ სოფლებს ან რამდენიმე სოფელს ერთად „შეწირული“ ჰქონდათ სასურველი ამინდის დასახელებლად. ასეთი იყო მაგ. კვირტობა, ხვამლობა, კოხინგრობა, ელიობა, წიფეთელიობა, ელიოტელიობა და სხვ. ასეთ შემთხვევებში იცოდნენ საერთო შემოწირულობებით საკლავის ყიდვა და მსხვერპლად შეწირვა. ღაყლული საკლავის ნაწილი ყველა ოჯახს უნდა შეხვედროდა.

ზემოთ მოტანილი, ტაროსთან დაყავშირებული წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების გარდა, ხალხურ დღეობათა კალენდარში გამოყოფა-ლია სპეციალური დღე 20 (2.08) ივლისი, როდესაც ტაროსის განმგებლის ელიას ან ელია-ზაქარიას სახელობის დღეობა აღინიშნება. საეკლესიო კალენდრის მიხედვით, ამ დღეს მოიხსენიება ილია წინასწარმეტყველი.

ხალხის წარმოდგენით ელია არის ბრძან ხარაზი, რომელიც ეტლს დაქროლებს ცაში და სეტყვას უშენს სოფლებს. ელიას თან ეშმაკი დაჟყვება და შეცდომაში შეჰყავს. ამიტომ ჩვეულებად ჰქონდათ ზარების რეკვა, თოფების სროლა, რათა ელიასთვის ემცნობებინათ რომ ესა თუ ის ადგილი დასახლებულია და არ დაესეტყვა. ტრადიციული შესაწირავია თხა, ციკანი, რცოდნენ მამლების შეფრენაც.

თიბგისთვის განკუთვნილი რიტუალები

ხევსურეთში თიბგის წინ თიბის თავს იხდიდნენ. სოფელი 3 საკლავი, ყიდულობდა და შაბათს ან კვირას ხატში კლავდა. მომდევნო სამშაბათს კი ყველა სათიბად გავიდოდა.

თიბგის სამშაბათს ახალი მიცვალებულის პატრონი სუფრას



გააკეთებდა და დილით, სათიბში გასვლამდე ცველა მასთან მივიღოდათ აკრძალული ტალავარზე იტირებდნენ. თუ ჭირისუფალს მომთიბავი არავინ პყავდა, ჯერ მას მიუთიბავდნენ და შემდეგ საკუთარ საქმეებზე წავიდოდნენ. თიბგა და მეტა სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს იცოდნენ. 4 დღე უქმობდნენ.

თუშეთში მკათათვის 12-დან 18-მდე, ხუთშაბათს მთიბველი „ცელგამო-ლებად“ გავიღოდა. ყოველი ოჯახიდან მოხუცი ქალი გაიტანდა ნამგალს თავის სათიბში, ღმერთს ახსენებდა და იტყოდა: „ღმერთო-დ კვირაჲო, ცა-ქვეყნის გმჩენო, ჯვარ დაგვიწურ, ბარაქა დაგვიდევნ წლევანდელ ნათიბ-ნამეალს ზღველ მშვიდობისა მოგვვერი, მშვიდობას გვაჭმიე-ლ გვაქმარი“. შემდევ 3 ხელურს გამოთიბავდა და დაანებებდა თიბგას თავს. მეორე დღეს, პარას-კებს .ქართბას უქმობდნენ, რომ ნათიბ-ნამეალი ქარს არ დაეზიანებინა. ქარის უქმეს ფშავ-ხევსურეთში შემოღომაზე ინახვდნენ. შემდევ დღეს, შაბათს, სეტყვის უქმეს იცავდნენ, თიბგის სეზონი კი ორშაბათიდან იწყებოდა.

გულამაყარში თიბგის წინ საღმრთო-სამთიბლოს იხდიდნენ. შაბათ-კვირას მინდორზე შეკრებილი ხალხი, კლავდა ციკანს და ბატკანს. ჭექა-ქუხილის, მეხის, სეტყვის საწინააღმდეგოდ, მოსავლისა და აღამიანთა დასაცავად.

მთიულეთში სოფ. გოგნაურში სულთმოფენობის მე-6 კვირას აღნიშნავდნენ გიორგი მთაწმინდელის* დღეს. ამ დღეობის მეორე დღეს ან 2 კვირის შემდევ მთიბელის საღმრთოს იხდიდნენ. ჩამოჰყავდათ „საბალახე“ ჭედილა ან ბერწი დედალი ცხვარი. ცველას ხმიადი ჰქონდა მიტანილი. დეკანზი დაკლავდა საკლავს და ღმერთს შეეხვეწიებოდა თიბგა და მეტა მშვიდობიანი და ბარაქიანი ყოფილიყო. ამ დღეს არაყი არ იცოდნენ. მეორე დღეს გადიოდნენ სათიბში.

მკასთან დაკავშირებული რიტუალები

მთიულეთში მეტა ნამგვალ-წერე რით მთაერდებოდა. სამუშაოს დამთავრების შემდევ ნამგლებს შექრავდნენ და პურის გოდორში ჩადებდნენ. ღია-სახლისი მივიღოდა გოდორთან, ფქვილს ამოილებდა და თითს ნამგლით გაიჭრიდა. ამ ფქვილისაგან ხინკალს აკეთებდნენ, ანთებდნენ სანთლებს და ღმერთს ჭირნახულის მშვიდობიან მოხმარებას შესთხოვდნენ. გალეწილ პურს ათავსებდნენ გოდრებში და შიგ ნახშირსა და რკინას ჩასდებდნენ, რომ ეშმაქს ბარაქა.

* გიორგი მთაწმინდელი დაიბადა 1009 წელს თრიალეთში. იყო ბერი. მოღვაწეობდა შავი მთისა და ათონის ივერთა მონასტერში.



არ გამოეცალა. ჭირნახულის დაბინავება „ბეგრის“ აღებით მოვალეობულიდა. ამისთვის მიწის ნაკვეთებიდან თითო პინას (8 კგ) ილებდნენ და ხატისთვის ცალკე ინახავდნენ.

თუშეთში, როდესაც ყანები მოიმკებოდა, მომკელნი ყანის დასვენების რიტუალს ასრულებდნენ. ყველა ყანის აღმოსავლეთ კიდეში გავიღოდა, ყანის კენტურგშექცევით დასხდებოდნენ და ნამგლებს ზურგსუკან გადაისროდნენ სიტყვებით: „ყანაო, დიდებულო-დ დასვენებულიმც ხარი, ხნას კაბიწ, ულლის გვერდ, ხვავიან-ბარაქიანიმც ხარი, სამხდო, საქორწილო საჯვარისკროიმც ხარი“.

ხევსურები კალოობის შემდეგ გამოხდიდნენ არაყს, 9 კვერს გამოაცხობდნენ, საკლავს დაპკლავდნენ. აანთებდნენ სანთლებს და თავიანთ ხატებს შეეხვეწებოდნენ — მოწეული ჭირნახული კეთილად მოგვახმარეო.

ფშავში მექარეობის უქმობის შემდეგ იწყებოდა მკა. მის წინ სოფელი ხატში, ადგილის დედის ნიშთან შეიკრიბებოდა და გუთნის საღმრთო ს გადაიხდიდა. ნაკვეთი დღეც აისხნებოდა. გალეჭილი პურის ერთი კოდიდან ქადა-პურებს აცხობდნენ და ხატს მაღლობას უხდიდნენ მოსავლისათვის. განიავებულ პურს მოათავსებდნენ ჭურჭელში და შიგ ნახშირს ჩადებდნენ — ბარაქა ექნებაო. ბოლოს გიორგობისთვეში ფშავლები სახლის საღმრთო ს გადაიხდიდნენ. დაკლავდნენ საკლავს და ლმერთს შეეხვეწებოდნენ — ოჯახს სარჩო კეთილად მოახმარეო.

მესამონლეობასთან დაკავშირებული ზოგიერთი შეს-ჩვეულებები

ვინაიდან მთიელისათვის მესაქონლეობას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, მათ ყოფაში მყარად იყო გამზღარი მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებული მაგიურტელიგიური რწმენა-წარმოლევნები თუ ქმედებანი.

მთიულეთში საქონლის მფარველად ოველორეს თვლიდნენ. სოფ. გომურთაში, თევდორეს ხატში თევდორობას მიღიოდნენ. თან მიპქონდათ: ქადა-სან-თლები, თეთრი ფული, საქონლის კუდის წანაჭერი ბოლო. ამ ბალანს ორ ნალში ჩადებდნენ, წითელი ძაფით შექრავდნენ და ხატის ნიშში დადებდნენ. ეს ნალი ერბო-ყველის ბარაქისთვის კეთდებოდა. საქონლის გამრავლებას კვირისასაც ეველრებოდნენ. პირველად მოგებული ხბოს პირველად მოწველილი რძიდან მოყვანილ ყველს ჯვრის ფორმით გაჭრიდნენ, სანთელს აანთებდნენ

და კვირიას საქონლის გამრავლებას შესთხოვდნენ. ზოგჯერ ყველი კვირიას ნიში მიჰეონდათ.

საქონლის გამრავლებას ლომისის წმ. გიორგისაც ევედრებოდნენ.

გუდამაყარში საქონლის მფარველად ხახმატის ჯვარის ნიშებია, რომელიც ოსავის ხევშია. მას საქონლის გამრავლებას და ნაწველ-ნადლვების ბარაქიანობას შესთხოვდნენ.

ფშავშიც ხარების გამრავლებას კვირიას ევედრებოდნენ. ამისათვის უნდა გადაეხადათ ხარების სამხვევე წრო. აცხობდნენ: ქადას, ხმიადს, 3 პატარა კვერს, არაყთან ერთად მიიტანდნენ კვირიას სახარბაკე ნიშში და ხარების კეთილდღეობას შესთხოვდნენ. ძროხებისა და ფურქების პატრონობას მარიამობას ღვთისმშობლის ხატს ევედრებოდნენ. ხატში მიტანილ ქადას ხევისბერი ამწყალობებდა და ძროხების გამრავლებისთვის გაჭრიდა. ფურის გამრავლებას ხახმატსაც სთხოვდნენ. აცხობდნენ სადობილო 9 კვერს. ქალი სანთელს აანთებდა და ხევისბერი თავად დაილოცებოდა: „გიორგი წაჭმატის ჯვარი, შენ უშველე, დასწერე ჯვარი, დასდე მადლი და ბარაქა ჩვენს ფურ-საქონელს, ავსა და ცუდასა ნულარ მოგვარგებ, დალონებასა“.

როცა კარაქს ვერ შედღვებდნენ, ღვთისმშობელს სთხოვდნენ დახმარებას. თუ ესეც არ გასჭრიდა, მაშინ სული იწმინდის სული (იგულისხმება მიცვალებულის სული) დადგამდნენ და სახელს შესდებდნენ. აცხობდნენ: ქადას, ხმიადს, ხაჭო-ჭურს, აანთებდნენ სანთლებს და იტყოლენ: „თუ რომელი-მე სულიწმიდა მოგონებას მოგველოდეს, ჩვენ ვერ ვიცოდეთ, ღმერთმა შენ ხელთ ნებასა ქნასა, თუ ვისოვინ ვევეტებოდეს, შენ მისცემ სისწორსო“.

ზოგჯერ ძროხის რძეს შეალოცვინებდნენ ხოლმე.

ხევსურეთში ერბო-ყველის სიუხვეს ადგილის დედას შესთხოვდნენ. ათენ-გენობაში მიდიობდნენ. ქალები ერბო-ხინკლებით და ლოცულობდნენ. ხუცობითაც ქალები იხუცებდნენ (ცერძოდ, ადგილის დედის ნიშში სოფ. გურიოში). ხატში დიდი ქვა იდო. ხალხის რწმენით მის ქვეშ ადგილის დედის დობილა იყო დასადგურებული და როდესაც ის გაჯვრდებოდა, ოჯახს ყველ-ერბოს ბარაქა ელეოდა. ხატში მისულ მლოცველს ფეხი არ უნდა მიეკარებინა ქვის-თვის, თორებ სულს განუტევებდა. ქადა-ხინკალს ცოტას ფრჩხილით მოსტებავდნენ და ქვას წაუსვამდნენ, თან ერჩოთი გაპოხვდნენ: „ბარაქა მოგვიტანე ერბოსა და ყველისა, ადგილის დედაო, ჩვენ ნაშრომ ნამუშევარი მშვიდობიანად მოგვახმარე“.

ერბო იმდენი უნდა დაესხათ, რომ ძირს გადმომოვრილიყო. ხალხის რწმენით, ამ ერბოთი ქვის ქვეშ მყოფი დობილი იკვებებოდა.

ძროხა რომ ხელს მოიგებდა, ქალები მისი რძის პირველ ნალებს აღგილის დედის ნიშში წაიღებდნენ და იქ ბროლის ქვას წაუსვამდნენ.

იოანე ნათლისმცველის ზოგა

24 (7. VII) ივნისს ეკლესია ონიშნავს პატიოსნისა დიდებულისა წინას-წარმეტყველისა იოანე ნათლისმცემლის შობას. ამ დღეს კახეთში ნათლი მცემლის შემოღებას უკავ-შირებდა. გარდა ამისა ხალხს ნათლისმცემელი ექიმიად, ყოვლის მშველელად ჰყავდა წარმოდგენილი. მიდიოდნენ ეკლესიაში, საკლავიც იდვლებოდა. ლეჩ-ხემში ივანობას ღომის ლოცვა იცოდნენ. აუცილებელი იყო ღომის სა-ლოცვი ტაბლის გამოცხობა. დიასახლისი აცხობდა 1 ნიგვზიან ან ყვე-ლიან ტაბლას — ღომის სალოცს, მიჰქონდა ღომის ყანაში და შეილო-ცებდა: „ღომის გამჩენო ძალა, შენ დეიფარე ჩენი ღომი ჩიტის დაჩიჩენი-საგან, ჭირისაგან“. ტაბლას წაღმა შეატრიალებდა და იქვე ყანაში შეჭამდა. მამაკაცს ეს ღომის სალოცი არ ეჭმეოდა. ვისაც ღომი არ ეთესა, ის მხოლოდ უქმობდა.

პეტრე-პავლოგა, ათენისობა

მოციქულთა მარხვას 29 (12. VII) ივლისს ახსნილებდა პეტრე-პავლობის* დღესასწაული. კახეთში მიცვალებულებს ტაბლას უდგამდნენ. ხევში, გუდამა-ყარში, ვისაც ამ დღეს ხატი გოუდიოდა, სალოცავში გადიოდა. პეტრე-პავ-ლობის შემდეგ გუდამაყრელები სათიბში გავიდოდნენ.

ათენ გენობა, აღმოსავლეთ საქართველოს მთის ყოფისთვის მეტად მნიშვნელოვანი დღეობა, პეტრე-პავლობიდან ან მისი მომდევნო დღეებიდან იღებს სათავეს. ხევსურეთში ის იწყება 13 (26) ივლისს, გრძელება 1 კვირის მანძილზე. ზოგან ივლისის პირველ შაბათს იწყებოდა და ორშაბათამდე გას-ტანდა. ათენგენობა ხევსურეთის ყველა ხატებში იმართებოდა, მაგრამ ხევ-სურები უპირატესობას დიდ ხატებს ანიჭებდნენ. პირაქეთ ხევსურეთში ძირი-თადად გუდან-ხახმატში დადიოდნენ, პირიქითში კი ახიელის მთავარანგელოზ-

* პეტრე (სიმონ) და პავლე (სავლე) მოციქულები. პეტრე უშეალოდ ქრისტეს მოწაფე იყო. იგი პირველია მოციქულთა შორის, რომელთა მწყემსად ნიშნავს მას ქრისტე. პეტრე ჭვარს აცვეს რომში მისივე თხოვნით თავით ეკემოთ. პავლე იყო წარმართი, ცნობილი ქრის-ტანების სასტიკი დევნით, ქრისტეს სასწაულებრივი გამოცხადების შემდეგ იგი მოექცა.

ში. საეკლესიო კალენდრის მიხედვით 13 (26) ივლისი არის გაბრიელ შთავარე-ანგელოზის* კრება აქედან მოყოლებული, ერთი კვირის განმავლობაში ეკლე-სია მოიხსენიებს: მოწამე კვირიკეს და მის დედას ივლიტას (15—28 ივლისი), მღვდელმოწამე ათინოგენს და ათთა მოწაფეთა მისთა (16—29 ივლისი), დიდ-მოწამე მარინეს** (17—30 (VII), ილია წინასწარმეტყველს (20 (VII—2) VIII).

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ათენგენობას*** იმართებოდა დიდი ხატობები.

ათენგენობისთვის ხატის მსახურები ისევე ემზადებოდნენ და დღეობაც ძირითადად ისე სრულდებოდა, როგორც ზემოთ სხვა დღეობების აღწერილო-ბებში იყო ნათქვამი. აღუღებდნენ ლუდს, წმინდობდნენ 2 კვირა. ამ ხნის გან-მავლობაში სოფლიდან მოუდიოდათ საჭმელი, თავად საქმიანობდნენ. წნავდ-ნენ თოჯებს, საბელებს და სხვ. სოფლიდან გამოგზავნილ საჭმელს: ხინკალს, კაცაულებს, ხორცს და სხვ. მათ საკვლები უწოდებდნენ. განსაკუთრებით უგზავნიდნენ ახალ ხელოსანს. ხელოსანი საკვლევის ყველა გამომგზავნელს დაიმახსოვრებდა და დღეობის ბოლოს ყველას ლუდით მოიკითხავდა. იქ სა-დაც დიასახლისი იყო, თავის ჩვეულ წესებს შეასრულებდა: მიიტანდა ბოჭო-ლებს და მოსანთოებს, ხატში სხვადასხვა ადგილს ანთებდა სანთლებს, აღუ-ღებდა ხავიწს, აცხობდა ქადას. თუ ხატში ერბოს მიტანა სხვადასხვა დღეობას სხვადასხვა დასტურს ევალებოდა, წელწადას და ათენგენობას ყველას უნდა მიეტანა. დაბაზაზიც ემზადებოდნენ. ხელოსანი გაიბანებოდა, დროშის ააბავ-და, პირჯვარს გადაიწერდა, ხატს ახსენებდა, აბმული დროშის წკარუნით დარ-ბაზს შემოუვლიდა. შემდეგ დასტურ-ხუცესებთან ერთად გარედან შემოუვლი-და ხატს. შევიდოლნენ ისევ ხატში. შეასრულდებოდა ყველა წესი: კოდის გახსნა, ხუცობა, დამწყალობნება. ღამისთევის წესების შემდეგ ჯვარიონი სუფრასთან დასხდებოდა და მათ ორი დასტური მოემსახურებოდა.

* გაბრიელი ერთ-ერთი მთავარანგელოზთაგანია. იგი კეთილი ამბის მახარებელია; გან-მარტავს წინასწარმეტყველურ ხილვებს მესისის მოსულის შესახებ. ზოგიერთ იუდეურ ტექ-ტებში. იგი სტიქიების, ცეცხლის, წყლის და ვეგეტაციის განმეგებელია.

** წმიდა დიდმოწამე მარინე (IV) მცირე აზიელი ქრისტიანი, რომელმაც დიოკლეტია-ნეს დროს მოწამებრივად დაასრულა ცხოვრება. კონსტანტინეპოლის აღებამდე მარინეს წმი-და ნაშილები პანტეპონტოს მონასტერში ესვენა. სხვა ცნობებით ისინი ანტიოქიაში ინახებო-და 908 წლამდე, ვიდრე იტალიაში არ გადასვენეს. მისი პატიოსანი ხელი ათონის მთაზე, ვატობედის მონასტერში წაიღის.

*** ათენგენობა უკავშირდება წმ. ათინოგენის სახელს. წმიდა მღვდელმოწამე ათინოგენი და მისი ათი მოწაფე ქრისტესათვის ევნენ, ქრისტიანთა დევნისას, ქალაქ სებასტიაში.



დილით სრულდებოდა ჟამისწირვა. შემდეგ მიღიოდნენ მეზღვნეული. ძველად ბარიღან მოდიოდნენ ე. წ. მეკელუხენი, რომლებსაც ღვინო მოპქონდათ. არხოტის, გუდანის, იახსრის ჯვრებს ვენახი ჰქონდათ ახმეტაში და დღეობაში იქიდან მოუდიოდათ ღვინო. მეზღვნეულს ღვინით, ღუდით, არყით უმასპინძლდებოდნენ. საკლავი ჩვეულებრივ იკვლებოდა. წვრილი საკლავის ტყავი და ხორცი ხატში რჩებოდა, კურატისა შუაზე იყოფოდა. ფულის შეწირულობა ხატის ხარჯი ხმარდებოდა.

ზოგ ხატებში ხალხი ღამისთვევით იყო. ხატში გარობა იმართებოდა. მღრღოდნენ, ცეკვავდნენ, დროს ატარებდნენ.

13 (26) ივლისს სოფ. ყანობში თარან გე ლოზობა იყო, ანუ მთავარანგელოზობა. იგი სოფლის დღეობა იყო, სხვა სოფლებში კი უქმდნენ.

ხევში 16 (29) ივლისს ათენგენობას სოფ. სნოში დღესასწაული იცოდნენ. სოფ. ახალციხელები, ართხმოვლები და ქოსელთელები ათენგენობას ღალან გურობა ა-ხ-ე თან ბის სახელით აღნიშნავდნენ.

თუშეთშიც, როგორც სხვაგან ათენგენობა (ათნიგენობები) ახალწლის მსგავსად დიღი დღესასწაული იყო. ათნიგენობებს წინ უსწრებდა ალუდები, ანუ მიცვალებულთა მოსახსენებელი წლის ხარჯები. ამ დღეს ოჯახი მიცვალებულს უკანასკნელ, ყველაზე დიდ სუფრის უშლიდა. ალუდის გადახდაში მთელი საგვარეულო და ხშირად მთელი სოფელი მონაწილეობდა. ალუდს მხოლოდ მამაკაცებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, უმართავდნენ, იშვიათად ქალებს. ალუდის წლის ხარჯის გარეშე მიცვალებული დაუმარხავად ითვლებოდა. ალუდის გადახდის შემდეგ მიცვალებული ახალ მკვდრად აღარ მიაჩნდათ. ალუდი 3 დღე გრძელდებოდა.

ათნიგენობები მეათათვის ნახევარში იწყებოდა, რიცხვი დათქმული არ იყო და ორი კვირა გრძელდებოდა. ამ დღეობას ცველა სოფელი საკუთარ ხატში იხდიდა. ლუდი, პური, საკლავი ამ დღეობისთვის სოფელს ზიარად ჟეკრებილი ჰქონდა. ათნიგენობების დროს ცხვარში მხოლოდ ხნიერი კაცები რჩებოდნენ, ახალგაზრდები დღეობისთვის სოფელში ბრუნდებოდნენ.

ათნიგენობები ორ ნაწილად იყოფოდა. ერთი მეათათვის ნახევარში იყო, მეორე დამკიდებული იყო აღდგომასა და საერთო სათუშო დღეობა ლაშარობაზე. თუ აღდგომა ადრე იყო, მთელი თუშეთის ათნიგენობები ორ კვირას გრძელდებოდა. თუ გვიან იყო, მაშინ 1 თვის განმავლობაში, რაღვანაც პირველი და მეორე რიგის დღეობებს შორის 2 კვირიანი ინტერვალი იყო. კულტმსახურება ყველ-



გან ერთგვარი იყო და განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან მხოლოდ ერთმანეთისაგან თობი წეს-ჩვეულებები, რომლებიც სიმბოლიკითა და მნიშვნელობით ადამიანთა და საქონლის გამრავლება-ნაყოფიერებისთვის განკუთვნილ მაგიურ ქმედებებს შეიცავდა.

თუ შეთში ხატში ბავშვის მიბარება ათნიგენობებში ხდებოდა. ყველაფერს რომ მორჩებოდნენ, მთელი სოფელი ერთად იწყებდა ქეიფს. კაცები და ქალები ცალ-ცალკე ისხდნენ, მათ შორის დარჩენილ ადგილს საცეკვაო მოედნად იყენებდნენ. ამ დღეობისთვის დამახასიათებელი იყო ასეთი წესი: სანამ მზის ჩასვლისას რამდენიმე ახალგაზრდა ჭორბელ ელას ჩააბამდა, მანამ შულტა ჯვარის ნიშთან არყიან ტიქს დადებდა და დაშლისთანავე ყველა ამ ტიკისკენ გაიქცეოდა. ვინც მოასწრებდა, ტიკიც მისი იყო და სხვებსაც უმასპინძლდებოდა.

თუ შეთში ყველა სოფელს ხევსურული ხატების — ხატმატის, კარატის ან კოპალს ნიშნები ჰქონდა. ათნიგენობებშე ხევსურეთის ამ ხატებიდან თუ შეთში მოდიოდა ხევსურთა მცირე ჯვარიონი, რომელთაც მყაცრად დადგენილი მარშრუტი და თუ შეთში დარჩენის ვალები ჰქონდა. თუ შები დიდი პატივით ხევდებოდნენ ხევსურებს და თვლიდნენ, რომ მათ ლოცვას მეტი ძალა ჰქონდა, ვიდრე ადგილობრივი ხევისბრებისას.

როგორც ცნობილია ფშავში 11 თემია, რომელთაც თავიანთი სათემო სალოცავები აქვთ*.

ფშავში სათემო ხატობები ქვ. სტილით ივლისის პირველი რიცხვებიდან იწყებოდა და ერთი თვე გრძელდებოდა. მათ ფშავლები სერობას, საომურთობას და ათენგენობას უწოდებდნენ.

ეს დღეობები დაახლოებით ემთხვეოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის იმ საზაფხულო დღეობებს, რომელნიც ათენგენზის სახელით არიან ცნობილი.

გარდა სათემო ხატებისა, ფშავლებს საერთო საფშავლო სალოცავებში ჰქონდათ — ლაშარის და თამარ-მეფის ხატი**. ფშაველთა წარმოდგენებით

* 1. გოგოლაურის — ქმოდის წმ. გორგი; 2. უძილაურის თემი — კოპალა; 3. ცაცაურთოემი — მთავარანგელოზი; 4. უკანაფშავის თემი — წყაროსთავის წმ. გორგი; 5. გოდერძაურის თემი — პირქუში; 6. წოწყოლაურის თემი — ღვთისმშობელი; 7. წითელაურის თემი — კოტას; 8. მათურის თემი — მთავარანგელოზი; 9. ქისტაურის თემი — იახსარი; 10. ხოშარის თემი — თხუთმეტი წმ. გორგი; 11. ჭიჩოლების თემი — მთავარანგელოზი.

** ლაშარობა და თამარ-დედოფლობა ერთ-თანამდებობისთვისაც ერთ-ერთ მთავარ დღესასწაულად ითვლება.

ლაშარი უძლეველი ხატი იყო და თავის ყმებს მტრისაგან იცავდა. თამარ-მეფე კი აქიმ-დე უფლად ითვლებოდა. მას ჯანმრთელობას შესთხოვდნენ. ორივე კი მოდე-მოძმედ ჰყავდათ წარმოდგენილი.

ლაშარობა წელიწადში რამდენჯერმე იმართებოდა, მაგრამ მთავარი მაინც სერობა 5—6 (18—19) ივლისი იყო*. ძველად აქ თურმე აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, განსაყუთრებით კახეთიდან მრავალი ხალხი მოდიოდა სალოცავად. ლაშარის მოპირდაპირე გორაზე თამარ-დედოფლის ხატია, მის დღეობას ღელეობას ღელეობას ეძახდნენ.

ლაშარში ხატის გალავნის გარეთ სასანთლე იყო აშენებული, სადაც წვ. გიორგის ხატები და კვრები ესვენა. ხევისბრები ამ აღვილზე კლავდინენ საკლავს, ანთებდნენ სანთლებს. აქვე იყო დიდი ორმო, რომელშიც საკლავის სისხლი ჩაედინებოდა. ვინაიდან აქ სხვადასხვა კუთხეებიდან დიდძალი მომცველი მოდიოდა, ხატს მრავალი ხელოსნი ჰყავდა. მლოცველი ზოგი თეთრებში გამოწყობილი, ფეხშიშველი მოდიოდნენ, მოჰყავდათ დიდძალი საკლავი. ხატს გახეთიდან კულუხი-ღვინო მოუდიოდა საკუთარი ვენახებიდან. თურმე ძველად ხევისბერი ლაშარში ქერს ყრიდა — ლაშარის კვრის ცხენს მოუნდებათ**.

ლაშარს დიდძალი შეწირულობა შესდიოდა და მდიდარი ხატი იყო. მეორე დღეს ხალხი თამარ-დედოფალში გადადიოდა.

15 (28) ივლისს კახეთში აღნიშნავდნენ კვირიკობას**. საქართველოში მოარული ლეგენდის მიხედვით კვირიკეს დედა ივლიტე, უშვილო ყოფილა. ერთ დღეს უნდა მოენათლათ ბავშვები. ყველამ თავისი შეილი წაიყანა. ივლიტემ ქვას ჩააცვა ბავშვივით და სხვებთან ერთად წავიდა. მღვდელმა ვერ შენიშნა და ქვაც სხვა ბავშვებთან ერთად მონათლა. როდესაც მღვდელმა ივლიტეს

* ლაშარობის დღეობის საორიენტაციო თარიღი პეტრე-პავლობა იყო. ლაშარობა პეტრე-პავლობას ან მის მომდევნო დღეებში იმართებოდა. ვაჟა-ფშაველას განმარტებით „ლაშარობა ივივე გიორგობაა, ხოლო იმის უმთავრესი დღეობა პეტრე-პავლობა, ე. ი. 29 ივნისს მოდის და სამ დღეს გასტანს“. იხ. ვაჟა-ფშაველა, ტ. IX, 1964 წ.

** ლაშარი ფშაველთა წარმოდგენებით მხედარია.

*** დღეობა კვირიკობა უკავშირდება წმიდა. მოწამეებს დედა-შვილს კვირიკესა და ივლიტეს, რომელნიც მცირე აზიის მკვიდრი იყენენ. წმიდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტეს წმიდა ნაწილები წმიდა მოციქულთასწორ იმპერატორ კონსტანტინეს ზეობისას მოიძეს. კონსტანტინეპოლის მახლობლად აიგო მათი სახელობის მონასტერი, მათ პატიციაცემად იურუსალიმის მახლობლადც აიგო ტაძარი. ხალხური რწმენით, წმიდა კვირიკესა და ივლიტეს ოქასური ბეჭნიერებისა და ავადმყოფი ბავშვების ჯანმრთელობისათვის ევედრებიან.

შვილი მოსთხოვა, აღმოჩენა
ბავშვს კვირიკე დაარქვეს.

1 (14) აგვისტოს იშვებოდა მარიამ თბის მარცვა, რომელიც ორა კვირა გრძელდებოდა და მარიამობით მთავრდებოდა. ქართლში ამ მარხვას დიდმარხვის ნაგლეჯს ეძახდნენ.

Digitized by srujanika@gmail.com

6 (19) აგვისტოს დებონდა ფერისცვალება. ამ დღემდე ახალი ხილის ჭამას ერიდებოდნენ. ქართლში სუფრაზე თევზის მიტანა იცოდნენ. ვისაც ახალი მიცვალებული ჰყავდა, ზურგიელს უკურთხებდა მღვდელი. ანთებდნენ სანთლებს, აქმევდნენ საკმეველს, დილით მოკრეფილ უკრძანს და ატამს აკურხებდნენ. ნაკურთხ ზურგიელს მეზობლებში არიგებდნენ. ვენახში ბალახს მოგლეჭდნენ, სახეზე წაისვამდნენ და იტყოდნენ: ფერი იცვალა. კახეთში აიღებდნენ თეთრ ყვავილს, რომელსაც შავი გული ჰქონდა, თეფშე გასრესავდნენ და წყალს დაასხამდნენ. გამოუვიდოდა წითელი ფერი, რომელსაც ყველას უსვამდნენ შუბლზე, თან ეტყოდნენ: ფერი იცვალეო.

გუდამაყარში ამ დღეს ბალას და ყვავილს მიიტანდნენ სახლში და სამკურნალო მიზნებისათვის ზამთრისთვის ახმობდნენ. ფერისცვალებას ამოილებდნენ გიორგობის თვეში დათესილ ნიორს: „მარიამობის თვეს ამომასწარი და გიორგობის თვეს ჩიმასწარი“-ო.

ფერისცვალებას უქმობდნენ. ამასთან დაკავშირებით კახეთში ასეთი ლეგენდა იყო გავრცელებული. ამ დღეს მღვდელს კალო ულეჭია. ჩამოუვლია ქრისტეს და უკითხავს: დღეს რატომ ლეჭავო? მღვდელს ქრისტე აბუჩაძ უგდია. მაშინ ქრისტეს უთქვამს: შენს ადგილას ახტალა ამოვიდესო. დღეს მღვდლის კალოს აღგილზე ახტალააო — ამბობს ხალხი. ამ დღეს თუ ვინმე' კალო ჰქონდა გაშლილი, ჩაშლილნენ — ახტალა ამოვაო.

მთაში ამბობდნენ: „ფერიცვალება დღესათ, ქარი ვერ დასძრავს ხესაო“, ისეთი დიდი უქმე იყო. რაჭაში, ლეჩხუმსა და სვანეთში ამ დღეს საჭირო იყო მიცვალებულთათვის საკურთხის დამზადება. საკურთხში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ყოველგვარი ხილი, სიმინდი და სხვ. რაც კი ამ ღროს შემოსული იქნებოდა. იცოდნენ სასაფლაოზე გასვლა და ახლად შემოსული ხილის დაკურთხება. ლეჩხუმში მოხუცი ქალუბი ფერიცვალება დღეს მაყვალს მოკრი-ფავლნენ, მაყვლის წვენიდან შეჭმანდს გააკეთებდნენ და შეჭამდნენ — ამ დღეს ქარგაა პურის მაყვალში ჩაწებათ.

ფერიცვალების მესამე დღეს მთიულეთში ქარსეტყვის უქმეს იცავენ. მინდვრის სამუშაოები იქრძალებოდა. ვინც დაარღვევდა, 7 მანეთით გარიმდებოდა.

მარიამ ბა

15 (28) აგვისტო, მარიამობა (მიძინება ყოვლადწმიდისა დედოფლისა ჩევნისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა) ქართველთა-თვის დიდი დღესასწაული იყო. იქ სადაც ეკლესიები იყო, ხალხი წირვა-ლოცვას ესწრებოდა, მიცვალებულთა მოსახსენებლად სუფრა კეთდებოდა, იმართებოდა ხატობები.

გურიაში ამ დღეს თაგვმარიობას, ბასილობას, ყვავ-მარიობას, ანუ ჩიტ-მარიობასაც უწოდებდნენ.

პირიქით ხევსურეთში ეს დღე მხოლოდ არტოხში აღინიშნებოდა პირა-ქეთში სათემო ჯვრებში. განსაკუთრებული წესები არ სრულდებოდა.

თუშეთში ზოგან საზიარო ლუდს ადულებდნენ და საზიარო საკლავს ყიდულობდნენ. უმეტეს სოფლებში საოჯახო დღესასწაული იყო. აქაც მიცვალებულებს მოიხსენიებდნენ. თუ ვინმეს ახალი მიცვალებული ჰყავდა ბავშვი, გამოაცხობდა სტომიან პურა (ჯამის ფორმის პატარა პური, რომელშიც სტომია ჩაყრილი). ამ პურებს სუფრასთან დასხდომის წინ ბავშვებს დაურჩებდნენ.

მარიამობა ხევსა და გუდამაყარში განსაკუთრებულ დღედ ითვლებოდა, ვინაიდან ამ კუთხეების მთავარ სალოცავებს მარიამობას მოუდიოთ დღესას-წაული, ხევში გერგეტის წმ. სამებას და გუდამაყარში პირიმზე ფუძის ანგელოზს.

გერგეტის წმ. სამებაში არა მარტო მთელი ხევიდან, არამედ ძაუგიდან, სტავროპოლიდან მაღიოდა მრავალი მლოცვი. წირვა-ლოცვის გარდა, აღგილობრივი დეკანზები კლავლნენ საკლავს, სანთელს ანთებდნენ, ილოცებდნენ. იმართებოდა დოლი. მეორე დღეს გადიოდნენ სასაფლაოზე, მიჰქონდათ სურსათი: პური, ხორცი, ხინკალი, ხაბიძენები, ფლავი და სხვა. მოიხსენიებდნენ მიცვალებულებს.

პირიმზე ფუძის ანგელოზი თუმცა გუდამაყრის მთავარი ხატი იყო, იგი ბეჭაურებისა და წიკლაურების საგვარეულო ხატადაც ითვლებოდა. გადმოცემით ეს გვარები ხევსურეთიდან გუდამაყარში ყოფილიან გადმისახლებული. მათ თავიანთი საგვარეულო ხატი სოფ. უკან ახოს პირიმზე ფუძის ანგელოზი

ჰერონდათ. გუდამაყარში მისი ნიში დაუარსებიათ. ხატს, ანუ ნიშს, რომელიც
სოფ. ჩოხშია, პირიმზე ეწოდება, ხოლო ხევსურეთისას ფუძის ანგელოზის
ხალხის გადმოცემით პირიმზე და ფუძის ანგელოზი და-ძმანი იყვნენ. თუ პი-
რიმზეს დღეობა შუა კვირაში მოუვიდოდა, მომდევნო კვირის პარასკევს მი-
დიოდა მლოცველი ხევსურეთში ახორბაზე, ანუ ფუძის ანგელოზობაზე, სა-
დაც შაბათს უნდა დაკლულიყო საკლავი. ხალხი მას ცის ნაპირამდე მოარულს,
უყმო ყმის მშველეულს ეძახდა და ძლიერ ხატად მიიჩნევდა. არსებობს გადმო-
ცემა, თუ როგორ დაუსჭია პირიმზეს მისი ტყის გამქაფავი ჯარისკაცები. ეს
ამბავი ხალხმა გალენსა. ამ ლექსს ხშირად ხატში, ჩონგურზე მღეროდნენ:

„დიდია ჩვენი პირიმზე
ხმალს ირტყამს ლერწამ ტანზედა.
არ მოიხდინა მოძალე
მისული თავის კარზედა“.

მთიულეთ-გუდამაყარში ახალი დასტურები ხატებში მარიამობას დგე-
ბოდნენ. აქაც ჩვეულებრივ წმინდობდნენ, უვლიდნენ თას-განძს, აღულებდნენ
ლუდს და ხდიდნენ არაყს, ჰერონდათ დროშა, ბოვრაყი. ერთი დროშა მგზავ-
რია. ის გადადიოდა ხევსურეთში, მეორე კი ადგილზე რჩებოდა. ზემოთ ალ-
წერილი წესებით იკვლებოდა საკლავი, დალოცვა-დამწყალობება-გადიდებაც
ისეთივე იყო. მლოცვაც ღამისთვევით მიდიოდა. ბავშვებს დღეობის დროს „გა-
რევდნენ“ მამის სალოცვაშიც და პირიმზეშიც. იმართებოდა ლხინი, მღეროდ-
ნენ ფერხისას:

„ჩვენი პირიმზის კარზედა
ხე ალვა ამოსულაო.
იმას დაუსხამს ყურძენი
საჭმელად შემოსულაო.
იმის უჭმელი ქალ-ვაჟი
უდროოდ ჩამოშლილაო“.
(თუშური ქორბელელას ვარიანი).

ამ ტექსტს სხვა ხატებშიც მღეროდნენ. პარასკევს ჯვარიონი ხევსურეთს
მიემართებოდა. მთელ ამ მარშრუტზე არსებობდა დაწესებული აღგილები,
სადაც ჯვარიონს, ხალხს და დროშას უნდა შეესვენათ.

დასავლეთ საქართველოში მარიამობას აუცილებელი იყო კენტად გამომ-
ცხვარი ტაბლა და ყოველგვარი ახალი ხილი, სიმინდის ახალი ტარო, კვახი,



ყურძენი, შეალი, ღვინო. დიასახლისი აანთებდა სანთლებს და ლოცულობაზა: „მარიამობის გამჩენო ძალა, განათლებაში მიმყოფე ჩემი მკვდრების სული და მათ დანატოვარს მშვიდობა მიეცი“. ცხვებოდა ნიგვზიანი, ლობიანი ან ყველიანი ტაბლები. ამ დღეს ხსნილდებოდა.

სოფ. ლესინდში (ლეჩხუმი) მარიობას იქვლებოდა ორ ოფებზე ერთი ხარი — ე. წ. „სამარიო ხარები“, რასაც სხვა საკლავსაც დაუმატებდნენ. ოფებს მოსდიოდათ მოწვეული სტუმრები. სუფრა 2—3 დღის მანძილზე აულაგებლად უნდა ყოფილიყო გაშლილი.

ივანება, გერისთობა


მარიამობას დიდი დღესასწაული ივანობა, იოანე ნათლის მცემლის თავისკვეთის დღე, 29 (11/IX) აგვისტო, მოსდევდა. იყო მძიმე მარხეა.

ქართლში ამ დღეს იწყებოდა დღესასწაული გერისთობა, რომელიც 3 კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. პირველ კვირს, თავგერისთობას ეძახდნენ, მეორეს დიდს ან შუა გერისთობას, მესამეს ბოლო გერისთობას. სამი კვირის მანძილზე ეკლესიაში აღინიშნებოდა იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღე (29/IX) აგვისტო, ყოვლად წმ. ღვთისმშობლის კრება 1 (14) სექტემბერს; მოიხსენიებოდნენ წმ. წინასწარმეტყველი ზაქარია და წმ. ელისაბედ*. მართალი; ყოვლადწმიდა ღვთისმშობელის შობა 8 (21) სექტემბერი, წმიდა და მართალი მშობელი ღვთისმშობელისა იოაკიმე და ანაა 3 (22) სექტემბერი. ენკენია, რომელ არს ხსნება განახლებისა წმიდისა ტაძრისა ქრისტეს — ღვთის აღდგომისა; წმ. ქეთევანი 13 (26) სექტემბერი**. მსოფლიო ამაღლება პატიოსნის და ცხოველმყოფელისა ჯვარისა 4 (27) სექტ.

სოფ. გერის წმ. გიორგის ეკლესია ქართლში დიდ სალოცავად ითვლებოდა და ამიტომაც გერისთობას მრავალრიცხვებანი მლოცველი იყრიდა თავი¹. გერის წმ. გიორგის მშენებლობაზე ხალხში ასეთი თქმულებაა დაცული: ქართლის მეფე ფარსამანი (VI ს.) ცოლად შეურთავს აფხაზეთის მთავრის ქალიშვილი ხვარამზე, რომელსაც თან ვაჟიშვილი, სახელად ვარამაღსალი მოჰყოლია. დედოფალს მზითევში წმ. გიორგის ნაწილიანი ხატი მოჰყოლია. მეცე

* იოანე ნათლისმცემელის მშობლები.

** წმიდა დიდომიწმე ქეთევანი მნათობი საქართველოსი, კახეთის დედოფალი, რომელიც ევნო ქრისტეს საჭულოსთვის სპარსეთში 1624 წ. მისი წმიდა ნაწილები დასაფლავებულია აღავერდის საკათედრო ტაძრის ტრაპეზის ქვეშ.

უშვილო ყოფილა და ნაწილიანი ხატი თავის გერისთვის უჩუქებია.  უშვილო კევეყანას სპარსელები შემოსვეიან, ფარსმანს გერი და ხატი მთაში გაუსინებია, მთის წვერზე ეკლესია აუშენებია და ხატიც შიგ დაუსვენებია. ხალხსაც ამიტომ დაურქმევია სალოცავისთვის გერი.

მლოცველი გერის წმ. გიორგიში ლამისთევით მიდიოდა, ვისაც შეთქმული ჰქონდა, ჩიქვით, ცეკვა-თამაშით ან კისერზე დადებული „დადიანურით“ (დილი გაბვი), ეკლესიას სამჯერ უვლიდა, სალოცავს სწირავდნენ: სანთლისგან დამზადებულ, ოთორებში გამოწყობილ აღამიანის გამოსახულებას, ბეჭდებს, საყურებს, სამაჯურებს, მიჰყავდათ დიდაღი საკლავი. ოთორ ტანსაცმელში გამოწყობილი „მხვეწარნი“ (მლოცველები) სალამოს ანთებული სანთლებით ლოცულობდნენ, ხატის მონები ქადაგობდნენ. მესამე კვირას „გერის ბოლოს“ მლოცველი მიდიოდნენ სოფ. არბოში, სადაც იგივე წესები სრულდებოდა.

გერის წმ. გიორგის, რომელიც დიდი და ძლიერი სალოცავი იყო, განსაკუთორებული და მნიშვნელოვანი ფუნქციაც ჰქონდა: თუ ეპილეფსით დავადებულს ან სულით ავადმყოფს საორბისის წმ. გიორგი არ უშველიდა, მაშინ იგი თავგერში მიჰყავდათ. გერი ცნობილი იყო, სულით ავადმყოფების, ბნედა-ანების, მუნჯების და დახუთულების მკურნალ ღვთაებად. ხალხის რწმენით ასეთი ავადმყოფები ეშმაკებისაგან იყვნენ შეპყრობა-ლნი. მათ კლდეზე თავ-დაღმა გადაკიდებდნენ. მნათე მუხლებზე ხელს მოჰკიდებდა და ეტყოდა: „სთქვი შენი ეშმაკის ცოლის სახელი“. ეშმაკის შიშით ავადმყოფი არ პასუხობდა. მაშინ ავადმყოფში ჩასახლებულ ეშმაკს თოფებითა და ხმლებით აშინებდნენ, რომ შეშინებულს მისი ცოლის სახელი ეთქვა. ხალხის რწმენით, ამ დროს ეშმაკები ავადმყოფს ჩასჩურჩულებდნენ:

— არ გატყდე, სახელი არ თქვა, ჩამოვარდნის ნუ შეგუშინდება, ჩვენ აქვართ, გიშველითო. ბოლოს ავადმყოფს მაგრაც სცემდნენ. ისიც ატირებული დაიძახებდა: სალუმხან, კუტუშხან, ქუთუშხან, ტარუშხან და სხვა. მაგრამ მნათე ავადმყოფს მაინც არ მოეშვებოდა და ეტყოდა: — სთქვი ქალკულიანის ქმრის სახელი! სულით ავადმყოფი დაიძახებდა: ილისხან, ზელომხან, გელიხან და სხვა. ამის შემდეგ ავადმყოფს ამოიყვანდნენ, თოკს შეხსნილნენ და გამოგანმრთელებაში დარწმუნებულნი, შინ უშვებდნენ.

ივანობა, როგორც მას ხევში უწოდებენ, შესაძლოა საერთო ხევის დღეობად ჩაითვალოს. ძირითადი ხატი ყაზბეგიდან 3—4 კმ იყო დაშორებული. სოფლებს თავიანთი ნიშები ჰქონდათ. იოანე ნათლისმცმელს ხიზნების (ოჯახის, კერძოდ ბავშვების) ჭანმრთელობას შესთხოვდნენ, რომ მას სა-



ხადი, ე. ი. ბატონები კეთილად მოეხდევინებინა. თუ ავაღმყოფს შემოსწყობა გვილს დააყრიდა, იტყოდნენ: ნათლისმცემელი შემოსწყობა და ყველა ღონეს ხმარობდნენ მისი გვლის მოსალბობად. თუ ბაგშეს ინფექციური დაავადება გართულებას დაუტოვებდა, მის შეელასაც ითანე ნათლისმცემელს შესთხოვდნენ.

ნათლისმცემელში ღამისთვევით მიღიოდნენ. მიპქონდათ ქადა-სანთელი, მიპყავდათ ქათქათა თეთრი ცხვარი, — რაღგანაც ნიშნიანს ნათლისმცემელი არ იღებსო. მიპყავდათ ქათმის წითელი მამალი, რომელსაც გაუშვებდნენ ან კლავდნენ — მამალი ნათლისმცემლის კურატიათ.

ნათლისმცემელი ხევში ხიზნის გარდა ქალების მფარველადაც ითვლებოდა. იგი თავის კარზე დედათწესინ ქალსაც იღებდა. თურმე ერთ-ერთ ხატობაში ორსულმა ქალმა სახლში წასვლა ვერ მოასწრო და იქვე იმშობიარა, ნათლისმცემელი მას არ შემოსწყობოდა, ამის მერე იგი მელოგინე ქალების მფარველადაც ითვლება. როდესაც ქალი მშობიარობდა, ბებიაქალი მას წინსაფარს დაპკრავდა და იტყოდა: „ნათლისმცემელი გეხმარებოდეს მუხლისკვერში“ (ე. ი. მშობიარობაშიო).

დღეობის აუცილებელ ელემენტს ქალების ფერ ჰისა წარმოადგენდა. მას ძირითადად ხნიერი ქალები ჩააბამდნენ. ეს დღესაც ხდება არა მარტო მთავარ ხატში, არამედ ნიშებშიც. ქალები ფერხისას დროს იავნანის ტექსტს მღეროდნენ:

„იავნანა, ვარდოვნანა, იავნანიაო.

იავნანის მამიდასა წინ გავუშლი ხალიჩასა,

იავნანო, ვარდოვნანო, იავნანიაო.

ია-ვარდი შენსა გზასა, იავნანინაო..

ნათლისმცემლის მამიდაო, შენთან მოველ

ხალოცავად, იავნანინაო.

ჩამოსვლისას მოგვე წყალობა, წასვლისას

გამაგვაყოლეო“.

სოფ. ფხელშეში იავნანის ასეთი ვარიანტი სრულდებოდა:

„იავნანა, ვარდოვნანა, იავნანინაო.

ნათლისმცემლის მამიდასა წინ გავუშლით

ხალიჩასა.

იავნანა, ვარდოვნანა, იავნანინაო.

ნათლისმცემლის წინაო ხე ალვა ამოსულაო.

იმას მოსხმია ყურძენი. საჭმელად ჩამომდგაროა“.





8 (21) სექტემბერს ეკლესია აღნიშნავს ღვთისმშობლის შობას. უფრო უფლებული აუცილებლად დაკლავდნენ დედალ ქათამს, მამლის დაკვლა არ შეიძლებოდა. ღვთისმშობლის ჯანმრთელობას შესთხოვდნენ და უქმობდნენ. ქართლში, 14 (27) სექტემბერს დგებოდა ჭვართა მაღლ ლება და ემთხვეოდა გერის-თობას. კახეთში ამ ღღეს მძიმე მარხვას იცავდნენ, უქმობდნენ. მეორე ღღეს ალავერდობა იყო — წინა დღეს, 13 (26) სექტემბერს ენკენია და ქეთევანობა.

მ ნ კ ა მ ნ ი ა

ხევსურეთში ენკენიას პატარა დღეობა იცოდნენ (არხოტში). განსხვავებული წესები ხატში არ სრულდებოდა, მხოლოდ ძველი დასტურები ახლებს გადაბარებდნენ თავიანთ მოვალეობას. გამოლოცვის დროს, იქ სადაც დიასახლისი იყო, კლავდნენ საკლავს, ხატის მსახური გარს უკლიდა ხატს და სისხლით ნათლავდა მთელ გზას.

ლეჩხუმში შემორჩენილია ხსოვნა დიდი ეკენობისა, რომელიც ცაგერში 13 ენკენისთვიდან (სექტემბრიდან) იწყებოდა და გრძელდებოდა ოვის ბოლომდე. სპეციალურად შერჩეულ აღგილას იმართებოდა ვაჭრობა, გაცვლა-გამოცვლა და აღებ-მიცემობა. ეკენობაზე გარეშე ხალხიც მოდიოდა სავაჭროდ: ყარაჩაელები, ოსები. მათ გასაყიდად შემოჰყავდათ ცხენები, ხარები, ოხები, შემოჰყონდათ ნაბდები, მატყლი და სხვ. მოდიოდნენ სვანები; სამეგრელოდან მეუნაგრეებს შემოჰყონდათ აღვირები, მათრახები, ქუთაისიდან ხარაზებს, ოქონმჭედლებს, თერქებს და ქვაბების მშეღლებს შემოჰყონდათ თავისი ნაწარმი. ლეჩხუმლები კარვებს მართავდნენ, რომელსაც სამიყიტნოებს ეძახდნენ და იქ თავის ღვინოსა და პურს ჰყიდიდნნ.

ლეჩხუმის თავადა-აზნაურობა ეკენობაში გასართობად დადიოდა. შეიკრიბებოდნენ ერთად, ახალებდნენ ჯირითს და მარულას.

შემოღომაზე ფშავ-ხევსურეთში ქარის უქმეს აღნიშნავდნენ. ხევსურეთში ენკენის სწორზე მძიმე უქმე იყო, რომლის გატეხვა ქარისგან ძნისა და თვის განადგურებას გამოიწვევდა. ცდილობდნენ ეს დღე ხუთშაბათის-თვის დაემთხვიათ. ქარის უქმეს ხევსურები სამოგზაუროდ იყენებდნენ. ფშავში ამ უქმეს მექარეობას ეძახდნენ, რომლის შემდეგ იწყებოდა მკამარებელის წინ კი გუთნის საღმრთოს გადაიხდიდნენ.



1 (14) ოქტომბერს აღნიშნავდნენ ს ვეტიცხოვლობას. ს ამ დღეს გამოიყენებოდა აღნიშნავს კრებას წმ. მთავარი გელოზისა მი-

8 (21) ნოემბერს ეკლესია აღნიშნავს კრებას წმ. მთავარი გელოზისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა: გაბრიელის, რაფაელის, ურიელის, სელაფიელის, ეგუდიელის, ფარახოელის და იეჰომიელის. საქართველოს ეკლესიებში საყოველთაოდ აღინიშნებოდა ეს დღე წირვით.

გ ი თ რ გ ო ბ ა

10 (23) ნოემბერს დგებოდა გიორგობა. წმ. გიორგი, თაყვანისცემის ყველაზე პოპულარულ ობიექტს წარმოადგენს მთელ საქართველოში.

ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერი ტრადიციის მიხედვით, საქართველოში წმ. გიორგის სახელზე იმდენი ეკლესიაა აგებული, რამდენი დღეცაა წელიწადში. შესაბამისად ერთიანი ხატი წმ. გიორგისა იყოფა, იშლება დაუსრულებელ სიმრავლედ სახეებისა, უთვალავი სახელშიდებებითა და ეპითეტებით, რომლებიც მის სხვადასხვა სახეს ავლენენ.

საქართველოში არსებობს მრავალი ლოკალური საკულტო ცენტრი წმ. გიორგისა, რომლებთანაც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის ეპითეტი (გეოგრაფიული, თუ ფუნქციის გამომხატველი, აღწერითი). მაგალითად: ილორის წმ. გიორგი, ალერტის წმ. გიორგი, ყულის კარის წმ. გიორგი, ჯევე-მისარონი, სუჭუნის წმ. გიორგი, ოცინდალი, ჯევე-ხანგარამი, თოროსანი (სამეცრელო), ტეხისა (რაჭა), ჯევე-თეთროსანი (სვანეთი), თეთრი გიორგი მინდორისა; გიორგი ნაღვრის პირისა რჯულიან-ურჯულოთ სალოცავი, გიორგი ნაღვარ მშვენიერი, გიორგი ნაღვარში მობურთალი ანგელოზი, საღმრთო გიორგი, ხალანგის წმ. გიორგი, გიორგი ცხე-გორ შარის პირის ხატი, მინის მინდვრის წმ. გიორგი, გიორგი წყაროს თავისა, თავადი გორის ანგელოზი, გიორგი ბერ მუხას დაარსებული და სხვა მრავალი. ყველა მათგანთან დაკავშირებული იყო გარგეული გადმოცემები, რიტუალები, ცერემონიები.

ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და თაყვანცემულ საკულტო ცენტრად მთელ დასავლეთ საქართველოში ითვლებოდა ილორის წმ. გიორგის ეკლესია (ქვ. სამურჩაყან), ოჩამჩირეს მახლობლად. ილორის წმ. გიორგის დღეობას დღესასწაულობრივ არჩეული 23 (6. V) პატიოლს და 10 (23) ნოემბერს, მაგრამ გან-

* საუფლო ქვერთისა და ლოთაებრივ ბრწყინვალე მირონმდინარე ცხოველმყოფელი სვეტის პატიოდა დაქართველოს უძღვესი სამოცავულო ეკლესის მიერ ძველთავანევ დაწესებული დიალი დღესასწაული — სვეტიცხოვლობა (მცხეთობა). ამავე დღეს იხსენიებან წმიდა მოიკულოსწორი მეფე იბერიისა მირიანი და წმიდა დედოფლალი ნანა.

საკუთრებული ბრწყინვალებით, დღეობა 10 (23) ნოემბერს იმართებოდა. ამ დღეს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხებიდან ილორის ეკლესიაში თავს იყრიდნენ მლოცველები სხვადასხვა შესაწირავებით (აბრეშუმის ქსოვილები, ფული, სანთლები, სხვადასხვა სამკაული), სამსხვერპლო ხარები, ცხვრები, ვაცები და სხვ.

ილორის წმ. გიორგი სახელგანთქმული იყო თავისი სასწაულებით. ერთ-ერთ ასეთ სასწაულად ითვლებოდა ხალხში. მოარული წარმოდგენი იმის შესახებ, რომ 10 (23) ნოემბერს სახელგანთქმული მარტვილი ხარს იძარავდა და ჩუმად მიჰყავდა ილორის ეკლესის გალავანში. ამ ხარზე შემდეგ მკითხაობდნენ, ხოლო მისი ხორცი, რომელიც წვრილად იჭრებოდა და რიგდებოდა ხალხში, ყველაზე ეფექტურ სამკურნალო საშუალებად ითვლებოდა ნებისმიერი ავადმყოფობის დასაძლევად.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ისევე როგორც მთელ საქართველოში) ეს დღე ძველი სამეურნეო კალენდრის დასასრულისა და ახლის დაწყების მაუწყებელი იყო, როცა ძველი მოსავალი ბინავდებოდა და იწყებოდა ზრუნვა მომავალზე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის უმრავლეს სალოცავებში ახლად არჩეული ხატის მსახურები (დასტურები, შულტა) გიორგობის დღეობაში იწყებდნენ თავიანთ საქმიანობას. ხევსურეთში გიორგობას ახალი წლის მსგავსი, დიდი დღეობა იცოდნენ.

თუშეთში არსებობდა სპეციალური ნაგებობა, სალუდე, სადაც ამ დღეს იქრიბებოდა მთელი სოფელი. ღულადა ლუდი, ყველას მიჰყონდა სანთლი, არაყი, ხმიადი, კალტის კვერი. ხუცესის მოვალეობის შემსრულებელ ხელოსნების ნათაური, რომელსაც თვითონ ჩდიდა, ხატში მიჰყონდა. ამბობდა 363 წმ. გიორგის საღიღებელს, ხალხს ამწყალობებდა. თუ სოფელს წმ. გიორგის სახელობის სალოცავი ჰქონდა, მამაკაცები, ბავშვები, ხატში გავიდოდნენ. ანთებდნენ სანთლს, სამელით დაილოცებოდნენ, საკლას კლავდინენ. თუ კარგი ამინდი იყო, საჭარეში ქალებიც იქრიბებოდნენ. მათ სახლებიდან ტაბლები მოჰქონდათ. იმართებოდა საერთო პურიბა, რომელსაც წინ უძღვიდა ხელოსნის დალოცვა ამ დღეს ხატში ახალი რძლისა და ახალშობილის მიყვანაც იცოდნენ. ასეთ შემთხვევაში სუფრაზე პატარებლის ქორის და ყმის სუფრას მიიტანდნენ. ხელოსანი პატარძალს და ახალშობილს ხატს შეაველრებდა.

თუ ცუდი ამინდი იყო, ხატში სანთლებს დაანთებდნენ და სოფელში საჯარედ შეჩრეულ რომელიმე სახლში იმდენ დღეს იქინებდნენ, რამდენსაც სურსათი ეყოფოდათ. გიორგობაზე ნათე გამოხდიდა საწელწდო არაყის და გა-



მოაცხობდა პურებს, რომლებსაც კიდობანში ინახავდა. კიდობანში შენახული პურები ახალ წელს ახლად გამომცხარივთ იყო.

ამ ღღეს მთიულეთში ჩვეულებრივი წესები სრულდებოდა. მხოლოდ თუ 10 (23) ნოემბერი კვირას დაემთხვეოდა, ქრისტიში შობის მარტვის აღება ექნებოდათ, თუ არა და მომდევნო კვირას იწყებდნენ. უნდა აღნიშნოს, რომ მთიულეთ-გუდამაყარში განსაკუთრებულად მრავლად არის წმ. გიორგის სახელობის სალოცავები. თავად ლომისის სალოცავი წმ. გიორგის სახელს ატარებს. გუდამაყარში თითქმის ყველა სოფელს აქვს წმ. გიორგის ხატი. გუდამაყარში ხალხის რწმენით წმ. გიორგი ქართველი, ქრისტიანი კაცი ყოფილა. ურჯულობმა მთაზე იყვანეს და რწმენა რომ ვერ შეაცვლევინეს, აღმასებდა აერულ ურმის თვალზე მიაკრეს და დააგორეს. გიორგი 360 ნაწილად დაიჭრა. ხალხს ეს ნაწილები არ დაუკარგავს და ხატებში ჩაუყოლებია. მაგ. ჩოხის წმ. გიორგის ჯვარში ენა ყოფილა ჩაყოლებული, პირიმზეში — მელავი, რისგამც ჩოხის წმ. გიორგი ენის გამყოლია და პირიმზეში ხატობას ჩხუბი სცოდნიათ და სხვა.

ხევში ნოემბრის გიორგობას აღნიშნავდნენ საქლავით და ხატში გასვლით*. საქართველოს ამ კუთხეშიც, ხალხის წარმოდგენებში გიორგი ბოროტ ძალასთან (გველეშაპთან) მებრძოლი და ხალხის მხსნელია. მყინვარის შავი ლაქა გიორგის მიერ გახევებულ გველეშაპად ითვლება.

ამრიგად მართობილან შემოღვომის გიორგობამდე ძირითადად შემდეგი დღეობები მოღიოდა: „ივანე ნათლისმცემლის კვეთა“, ლვისშობლისა — 1 (14) სექტემბერი (ქრება ყოვლადწმიდისა ლვისმშობელისა, რომელი იყო მიასინეს), ჯვართამაღლება, 8 (21) ნოემბერს — მთავრიანგელოზობა და 10 (23) ნოემბერს გიორგობა, რომლითაც იკვრებოდა წლიური ცეკლი.

ლოგალური დღეობები

ზემოთ დღეობები აღწერილი და კლასიფიცირებულია სეზონების მიხედვით. წინამდებარე თავი მიზნად ისახავს აგრეთვე ლოკალური კალენდარული სისტემების გამოვლენას, რომელიც ემყარება საკულტო ცენტრების ფუნქციონირებას გარკვეულ რაიონში, თემში, სოფელში... მაგალითისათვის მოვიტანთ ქვემო სვანეთის მასალას**.

* ხევში მასში უფრო დიდი გიორგობა იცოდნენ.

** ქვემოთ მოტინილი კლასიფიკაცია მთლიანად ემყარება 1985 წელს ქვემო სვანეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მომვაბულ მასალას,

ქვემი სვანეთი, რომელიც დღეს, ერთიანდება ლენტეხის რაიონში, ინ-
 ტორიულად სამი საზოგადოების, სამი თემისაგან შედგებოდა. ლენტეხის, ხო-
 ლურისა და ლაშხეთის.

ლენტეხის თემის სოფლებში, რომლებიც ძირითადად მდინარე ხელედუ-
 რას ხეობაშია განლაგებული, წლის ასათვლელ საწყის დღეობად ითვლებოდა
 ბარბალობა. აქედან მოყოლებული აღნიშნულ რეგიონში სრულდებოდა დღე-
 ობები, რომლებიც სეზონურის გარდა შეიძლება დიფერენცირებულ იქნას,
 როგორც სათემო, სასოფლო, საგვარო (ერთი ან რამდენიმე გვარის გაერთია-
 ნების), საოჯახო დღეობების.

ყოველ სოფელში (ზოგჯერ ორ ან მეტ სოფელში) არის რელიგიური
 ცენტრი, წარმოდგენილი ქრისტიანული ეკლესიის (ან ნიშის) სახით, რომელ-
 შიც სოფლის მთავარი (წლის მთავარი) დღეობა იმართებოდა.

ლენტეხის თემის საკულტო ცენტრებია:

1. ისკალდის თარგლეზერი (მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია);
2. ს. ფაყის ლამარი//ფაყის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომე-
 ლიც, ასევე, „ორკარიანის“ სახელითაა ცნობილ;
3. ხელედის ჯგრაგი//წმ. გიორგის სახელობის ეკლესია;
4. ს. კახურის თარგზელი (მთავარანგელოზი) და მეზირი (რომელიც
 ზოგი მთხრობლის მიხედვით იგივე მთავარანგელოზია).
5. ს. გულიძას მაცხვარი (მაცხოვარი).
6. ს. ყველრეშის თარგლეზერი (მთავარანგელოზი).
7. ლენტეხის მაცხოვარი.

8. ბავარის ჯგრაგი (წმ. გიორგი) და მაცხვარი (მაცხოვარი);

ამ საკულტო ცენტრებში ყველაზე მთავარი და ძლიერი მთელი ლენტეხის
 თემისთვის იყო მაღალ მთაზე აგებული ისკალდის მთავარანგელოზი.

ისკალდის თარგლეზერის კულტის დაარსებაზე ხალხში გავრცელებულა
 თქმულება, რომლის მიხედვით ორ დაუუღებულ ხარს (ბულებს) დაადგეს
 რკინის უღელი და გაუშვეს. იმ ადგილის, სადაც ხარები გაჩერდნენ, ააგეს
 „თარგლეზერის“ ეკლესია. ხარების ნავალ გზას მთაზე ადგილობრივი მოსახ-
 ლეობა ეხლაც არჩევს გარკვეული ნიშნების მიხედვით.

ისკალდის მთავარანგელოზში მხოლოდ კაცები დადიოდნენ. მისი დღეობა
 მოდიოდა ალდგომიდან მერვე კვირას*. „ისკალდობაზე“//„სკალდობაზე“ თავს

* საეკლესიო კალენდრით, სულიშმილის გარაღმოსვლა ანუ სულთმოცენობა.



იყრიდა არა მარტო მთელი ლენტეხის თემი, არამედ ჩოლურის, ლენტეხის თემებიდან, ზემო სვანეთიდან და ლეჩებუმიდან მოსული მღლცველები.

ლენტეხის თემის მეორე უმნიშვნელოვანეს საკულტო ცენტრს ფაყის ლა-მარია/ლეონის მშობლის სახელობის ექლესია წარმოადგენდა, რომელსაც სხვა-გვარად ორკარიანსაც უწოდებდნენ. ფაყის ასევე, აღდგომიდან მეშვიდე კვირას მოდიოდა (საკულესიო კალენდრით ამ დღეს სხენებაა 318-თა წმიდა მამათა, I მსოფლიო კრებისა, რომელი იყო ნიკეას 323 წ.). ფაყობა სკალდო-ბის მსგავსად სათემო დღეობა იყო და ლამარიას (წმ. მარიამის) სახელობის ექლესიაში მთელი ლენტეხის თემი იყრიდა თავს. ამ დღეობაზე მოდიოდნენ ჩოლურიდან, ლაშეთიდან, ზემო სვანეთიდან, ლეჩებუმიდან. დღეობის ჩასა-ტარებლად სოფელი საგანგებოდ ემზადებოდა. ერთი კვირით აღრე (ე. ი. აღ-დგომიდან მეექვე კვირას) იყო „ლამარიას დღეობის მოსამზადებელი“ დღე-ობა ხა ტ წ ყ ვ ე ნ ა ლ ი // ხ ა ტ ა რ ე შ თ ბ ა, ამ დღეს ხატის გამოსვენება იცო-დნენ. აქ მოდიოდა ამ კუთხის ძირითადი (მკვიდრი) მოსახლეობა. იყრიბებოდ-ნენ და ბჭობდნენ, როგორ უნდა ჩაეტარებინათ დიდი დღესასწაული. მსხვერ-პლის შეწირვა ამ დღეს არ იცოდნენ. მღლცველებს მხოლოდ თითო ბოთლი ღვინო და რიტუალური პურები (ლემზირები) მოპქონდათ, რომლებსაც ეცლე-სიაში სტოვებდნენ. ამას ეძახდნენ ლამარიას შეწირვას. შეგროვილი პური „კუთხის“ კუთვნილება იყო.

ხელედის წმ. გიორგის ექლესიის სალოცავ დღედ და სოფლის მთავარ დღეობად აღდგომის მეორე კვირა დღე (ხალკვირა), უფლისი ითვლებო-და. სხვა სოფლები, რომლებიც ამ დღეს აქ იყრიდნენ თავს, იყო: ხაჩიში, ფა-ყი, წანაში.

გულიდის მაცხოვრის დღეობა ფუსტალლიტაბლიერი იყო და მოდიოდა აღდგომიდან მესამე კვირას (ხსენება მენელსაცხებლე დედათა; წმ. კეთილმორწმუნე ქართველთა მეფისა თამარის)*.

ს. კახურაში ხალხი ექლესიასთან გროვდებოდა დიდ მარხეის პირველ ორშაბათს//შავ ორშაბათს და ლოცულობდა. სალოცავად აქ მოდიოდნენ ცუმარიდან, ყველრეშიდან და წანარიდან.

ს. ბავარში ოთხი კუთხეა: მანანური, ქვედა ბავარი, ზედა ბავარი, ცხუ-მარი. ზედა ბავარის სალოცავი იყო ჯგრავი//წმ. გიორგის სახელობის ექლესია, რომლის დღეობა 28 აგვისტოს, მარიამბას მოდიოდა. ამ დღეობას სხვაგვა-რად ბავარობას აც ეძახდნენ და ითვლებოდა სოფლის მთავარ დღეობად.

* გარდამავალია, მოისენიებიან აღდგომიდან 3 კვირას.

ბავარში მაცხოვრის სახელობის ექლესიაც იყო, რომლის დღეობა აღდგომის მეორე კვირას (ახალგვირა) მოდიოდა და უწოდებდნენ უფლისს. თვითონ ჯგრაგის დღე განსაკუთრებულად არ აღინიშნებოდა. ადგილობრივი ჩრდენების მიხედვით, ჯგრაგის სალოცავი უფრო ძლიერი იყო მაცხოვარშე (მაცხოვარში ქალები არ შედიოდნენ). ოთხად დაყოფილი ბავარლები თავს ერთიანად თვლიდნენ, რადგან მათ აკაგშირებდათ საერთო სალოცავი ბავარი (ჯგრაგი), საერთო საქმიანობა, მიცვალებულის შეწევნა და დღესასწაული, რომლის დროსაც ისინი ერთად იყვნენ.

ლენტების თემის ქრისტიანული პანთეონის თავში იდგა ისკალდის მთავარანგელოზი, რომლის მონაწილეებად//წილებად ითვლებოდნენ კახურას მთავარანგელოზი და ყველერების მთავარანგელოზი. მის შემდეგ სიძლიერით გამოიჩინოდა ფაყის ლამარია//ღვთისმშობელი, რომელსაც თითქმის ყველა ეკლესიასთან ჰქონდა თავისი ნიში. შემდეგ ჯგრაგი (ბავარისა და ხელედის ჯგრაგი) და ბოლოს მაცხოვარი (გულედის, ბავარის, ლენტების).

ჩოლურის თემი განლაგებულია მდინარე ცხენისწყლის ხეობაში. ჩოლურის თემის აღმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს ს. თეკალი, საკულტო ცენტრს ს. საყდარი.

ჩოლურის თემის სალოცავები იყო: ს. საყდრის ჯგრაგი, ს. მამის ჯგრაგი, თეკალის მაცხოვარი, ლეუშერის ცხუმანი, ანუ მაცხოვარი (ცხუმანი აღგილის სახელწოდება), თეკალის თარიგებელი (მთავარანგელოზი), ჰველიერის თარიგებელი, ტვიბის თარიგებელი, გწდიშის თარიგებელი. ამათგან ყველაზე ძლიერ სალოცავად საყდრის ჯგრაგი ითვლებოდა.

საყდრის ჯგრაგის კულტის დაარსებაზე ხალხში გავრცელებული იყო ლეგენდა, რომელიც თამარ მეფის სახელს უკავშირდება. გადმოცემის თანახმად, თამარ მეფეს სამჯერ აუშენებდა ეს ეკლესია და სამჯერვე დანგრეულა, მკითხავს მეფისთვის ურჩევია კედელში ცოცხალი ბავშვის ჩაყოლება. ამის შემდეგ, წაუყვანიათ გვიდიანების პატარა ბიჭი და ცოცხლად ჩაუყოლებიათ კედელში. აქედან მოყოლებული, „ეს ეკლესია გვიდიანებისად ითვლება და ლოცვაც მეტწილად ამათი ურჩევნიათ ხალხსო“.

